საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge
№48(674) 25 ნოემბერი – 1 დეკემბ... ფასი 1,50 ლარი



გვ. 74
**რატომ უნდა ანრი ჯოხაძეს ქალად გარდასახვა და ვინ შეძლო მისი „გამოსწორება“**

გვ. 12
**რა „რევოლუცია“ მოუწყო ზურაბ წერეთელმა ლენინს წყალში და რაზე გაგიჟდნენ საბჭოთა ხელმძღვანელები**

გვ. 14
**რაზე ოცნებობს ნანა ნებიერიძე და იცეკვებს თუ არა ის გოჩა ჩერტკოევთან**

GDS
ახალი თაობის ტელევიზია

ISSN 1987-569X



**როგორ გახდა კალიფორნიაში, სილამაზის კონკურსზე თამი ადამია „მის საქართველო“ და რატომ ჩააცვეს მას ნიკოლ კიდმანის 10 000-დოლარიანი კაბა**

გვ. 47

გვ. 19
**რატომ არის მარიამ პავლიაშვილი ჰაერში 15 სანტიმეტრით აწეული და რატომ ვერ აკმაყოფილებენ მის „ჰაერში აწეულ“ კრიტერიუმებს**



გვ. 22
**ვინ აამღერა პოპულარული უკრაინელი მსახიობი ლილუ ვეგა ქართულად და რა ოცნება აიხდინა მან საქართველოში**



**ვინ აკეთებდა ტრიუკებს ყველანაირი დაცვის გარეშე 62 მეტრ სიმაღლეზე და რა საშინელი ტრაგედიის მოწმე გახდა თამარ მჭედლიშვილი**

გვ. 70

# მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!

# „მაკდონალდსი“ მომხმარებელს უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდას სთავაზობს – „საქართველოს ბანკისა“ და VISA-ს ერთობლივი ინოვაციური მომსახურება

*„მაკდონალდსმა“, VISA-მ და „საქართველოს ბანკმა“ „მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელში უნაღდო ანგარიშსწორებით მომსახურების დანერგვის შესახებ აუწყეს საზოგადოებას. თანამედროვე მომხმარებელს მოთხოვნილება აქვს, ისარგებლოს გადახდის სწრაფი, მარტივი და მოხერხებული შესაძლებლობებით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია „მაკდონალდსისთვის”, სადაც მომსახურების სისწრაფე, ხარისხთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა „საქართველოს ბანკის“ ახალი თაობის ტერმინალებისა და VISA-ს მარტივი, თანამედროვე პროდუქტის დანერგვით. „მაკდონალდში“ გადახდა, ასევე, შესაძლებელი იქნება საქართველოში ინოვაციური მეთოდით – NFC სმარტფონის ტერმინალთან ახლოს მიტანით.*



**ირაკლი გილაური**: „საქართველოს ბანკი“ მოხარულია, რომ „მაკდონალდსის“ განვითარებას უჭერს მხარს. მნიშვნელოვანია, რომ „საქართველოს ბანკმა,“ „მაკდონალდსთან” თანამშრომლობის შედეგად, დანერგა უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა „მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელში. ჩვენ არა მარტო სესხის კუთხით ვუჭერთ „მაკდონალდსის“ განვითარებას მხარს, არამედ, განახლების კუთხითაც. „საქართველოს ბანკი“ 1 დეკემბრიდან იწყებს აქციას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, „მაკდონალდსსაც“ დაეხმარება – ის, ვინც Express Card-ით „საქართველოს ბანკის“ ტერმინალში 10-ჯერ გადაიხდის 5 ლარზე მეტს, საჩუქრად მიიღებს 5 ლარს. Express Card უკვე წელზე მეტია, გამოვუშვით. უკონტაქტო გადახდის შემთხვევაში, წამებში ხდება გადახდა. შესაბამისად, „მაკდონალდსის“ მომხმარებელი ძალიან კმაყოფილი იქნება, რადგან, „მაკდონალდსის“ კონცეფცია სწრაფ გადახდებზეა ორიენტირებული. 400 ათასზე მეტი Express Card-ის მფლობელი გვყავს და, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტი შემოგვემატება. „მაკდონალდსის“ ყველა რესტორანში იქნება ჩვენი ტერმინალი და ყველა ბარათით შეიძლება უკონტაქტო გადახდა, მაგრამ, Express Card-ის მფლობელები საჩუქრად ფულს მიიღებენ. ეს არის ახალი ინიციატივა და, დარწმუნებული ვარ, ჩვენს მომხმარებელს კიდევ დიდ წარმატებას მოუტანს. „საქართველოს ბანკი“ არის ლიდერი საქართველოში – ჩვენი საბაზრო წილი დაახლოებით 55 პროცენტია. მნიშვნელოვანია, კიდევ უფრო განვვითარდეთ და ახლა უკვე ახალ ტექნოლოგიებზე გადავიდეთ. რაც უკონტაქტო გადახდებს შეეხება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი რესტორნებისთვის, სადაც სწრაფი გადახდა არის კრიტიკული და კლიენტს უნდა მოემსახურო რაც შეიძლება მოკლე დროში. „საქართველოს ბანკის“ უკონტაქტო სისტემა, რომელიც დავაყენეთ, საშუალებას მისცემს მომხმარებელს, სწრაფად მიიღოს სერვისი“.




**თენგიზ კაპანაძე** ***(„მაკდონალდსის“ გენერალური დირექტორი):*** „ბევრ კომპანიას აქვს საბარათე ოპერაცია, მაგრამ, ის პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ჩვენ გავაკეთეთ, არის უნიკალური და ერთადერთი ინტეგრირებული პროცესი საქართველოში. „მაკდონალდსისთვის“ მუდმივად მნიშვნელოვანია ჩვენი მომხმარებელი და მუდმივად გვაქვს უმაღლესი სტანდარტი. ეს სტანდარტი, რომელსაც ჩვენ დღეს ვთავაზობთ ჩვენს მომხმარებელს, არის განსხვავებული და უმაღლესი ხარისხის. საუბარია იმაზე, რომ, თუ სხვა ობიექტებში ორ და სამ ჩეკთან გვაქვს შეხება, აქ მხოლოდ ერთი ჩეკი გამოდის. სისტემა საშუალებას იძლევა, გადახდა მობილურითაც მოხდეს – საუბარია სწრაფ გადახდაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მომსახურება 3-8 წამზეა გათვლილი. ერთ წელიწადზე მეტია, ამ პროექტს ვამუშავებთ და, მოხარული და მადლობლები ვართ, რომ „საქართველოს ბანკი“ გვერდში დაგვიდგა და ყველა ჩვენი მოთხოვნა გაითვალისწინა, ისევე, როგორც სხვა სერვისის სფეროებში მათი მეშვეობით მოხდა ჩვენი განვითარება. მადლობა VISA-ს, რომელმაც ასე ხარისხიანად და დეტალურად ჩამოგვაყალიბებინა ამ სერვისის ინტეგრირებული პროცესი. ეს სერვისი დღესდღეობით მხოლოდ თბილისშია, წლის ბოლომდე კი ქუთაისსა და ბათუმშიც დაინერგება“.

**თემურ ჭყონია**: „დიდი მადლობა საქართველოს ბანკსა“ და VISA-ს. ჩვენ „საქართველოს ბანკთან“ ძალიან გრძელვადიანი და სერიოზული ურთიერთობა გვაქვს. მომავალ წელს თბილისში კიდევ ორი რესტორანი უნდა გავხსნათ და, საერთო ჯამში, საქართველოში სულ 15 რესტორანი გვექნება“.

**ირინა ქამხაძე** ***(VISA-ს რეგიონული მენეჯერი კავკასიის საკითხებში):*** „ჩემთვის დიდი პატივია, თქვენთან ერთად აღვნიშნო კომპანია VISA-ს პარტნიორების დიდი მიღწევა. დღეიდან „მაკდონალდსში“ შესაძლოა უნაღდო ანგარიშსწორება და საგადამხდელო ბარათების მიღება. საქართველოში VISA 15 წლის წინ შემოვიდა და მას შემდეგ ძალიან აქტიურად მონაწილეობს ელექტრონული გადახდების სისტემის განვითარებასა და ქართველი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. „მაკდონალდსის“ ქსელში არის დანერგილი VISA-ს სამკაულის ტარება სწრაფი გადახდების სისტემა, რომელიც 45 ლარის ფარგლებში ითვალისწინებს ტრანზაქციას და არ ესაჭიროება არც პინკოდი და არც ხელმოწერა. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ერთობლივი ძალისხმევით ეს პროექტი წარმატებით დასრულდა“.

**სოფი ლორია**

# Samsung-მა საქართველოში პირველი „სერვის პლაზა“ გახსნა

თბილისში „სამსუნგის“ პირველი უმაღლესი სტანდარტების მქონე სერვისცენტრი – „სერვის პლაზა“ გაიხსნა. საზეიმო ვითარებაში ლენტი „სამსუნგ ელექტრონიქსის“ კავკასიის ოფისის დირექტორმა სანგ პილ ჩანმა (Sang Pil Chun), „სამსუნგის“ სერვისის სტრატეგიული განვითარების ხემძღვანელმა ჩონჰი ჩომ (Cheonhee Cho) და „სამსუნგის“ მარკეტინგ მენეჯერმა საქართველოში ნატალია იანჩუკმა გაჭრეს.

ცენტრი ორბელიანის მოედანზე, ფხოვის ქ №2-ში მდებარეობს. კომპანიის მენეჯმენტის ინფორმაციით, სერვისცენტრში მისული მომხმარებელი საუკეთესო მომსახურებას მიიღებს. „სერვის პლაზა“ მომხმარებელს მომსახურების გამარტივებულ პროცედურას სთავაზობს. ცენტრში მისულ ადამიანს, მისაღებში სერვისოპერატორები დახვდებიან და ადგილზევე გაუწევენ კონსულტაციას. პროდუქციის დიაგნოსტიკის შემდეგ პლაზაში მომუშავე ინჟინრები პროდუქციის შეკეთებას ძირითადად 24 საათის განმავლობაში მოახდენენ. მომსახურება მოიცავს „სამსუნგის“ როგორც საგარანტიო, ისე არასაგარანტიო – ფასიან რემონტს და „სამსუნგის“ ყველა ოფიციალურ ჰოლოგრამიან პროდუქტზე ვრცელდება.



„სერვის პლაზას“ მომსახურება ნებისმიერი პროდუქციის და სირთულის რემონტს მოიცავს – იქნება ეს პროგრამული უზრუნველყოფა, თუ კომპონენტური რემონტი. ასევე, მომხმარებელი ნებისმიერი სახის რჩევებს და რეკომენდაციებს მიიღებს. ცენტრში მისულ ადამიანს, აქსესუარების ფართო არჩევანიც დახვდება. „სერვის პლაზა“ მომხმარებელს კიდევ ერთ სიახლეს შესთავაზებს – „საქართველოში პირველად, პროდუქციის შეკეთება სურვილისამებრ, უშუალოდ მომხმარებლის თვალწინ მოხდება,“ - განმარტა „სერვის პლაზას“ დირექტორმა სანდრო ხოჭოლავამ.

„სერვის პლაზაში“ მისულ მომხმარებელს, მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი მომსახურება და სრული კომფორტი დახვდება – პროფესიონალი სპეციალისტები, მეგობრული პერსონალი, კომფორტული გარემო, საბავშვო გასართობი კუთხე და 12 ავტომობილზე გათვლილი საკუთარი პარკინგი.

„სამსუნგის“ მენეჯმენტის ცნობით, „სერვის პლაზაში“ დასაქმებულმა ინჟინრებმა, სპეციალური გადამზადების კურსი გაიარეს და „სამსუნგის“ მსოფლიო დონის სპეციალისტების კვალიფიკაცია მიიღეს. „სამსუნგ ელექტრონიქსის“ წარმომადგენლები საქართველოშიც იმყოფებოდნენ და ინჟინრებისთვის ტრენინგებს ბრენდის თითოეულ პროდუქტზე ატარებდნენ.

– საქართველოში „სამსუნგი“ სწრაფად ვითარდება, ცოტა ხნის წინ კომპანიამ თბილისში პირველი ბრენდ-მაღაზია გახსნა. იგეგმება ახალი მაღაზიების გახსნა რეგიონებშიც. ახლა „სერვის პლაზას“ ვხსნით და სამომავლოდ, მომხმარებელს ბევრ სიახლეს ვპირდებით. საქართველო მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ჩამორჩება, ყველა უახლესი მოდელი ისეთივე სისწრაფით შემოგვაქვს გაყიდვაში, როგორც სხვა წამყვან ქვეყნებში ხდება. „სერვის პლაზას“ გახსნა მომხმარებლის ინტერესიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ. გვინდა, რომ ჩვენმა მომხმარებელმა შეიგრძნოს უმაღლესი დონის მომსახურება, ისევე, როგორც ეს ხდება „სამსუნგის“ სათავო ოფისში – კორეაში. აქ ყველაფერია მომხმარებლის კომფორტისთვის, – აღნიშნა ნატალია იანჩუკმა.

– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მომხმარებელს საუკეთესო ხარისხით მოვემსახუროთ. გპირდებით, გავაგრძელებთ მუშაობას და საკუთარ კლიენტებს უახლეს ტექნოლოგიებსა და მაღალი ხარისხის პროდუქციას შევთავაზებთ, განაცხადა სანგ პილ ჩანმა.

რაც შეეხება სამუშაო საათებს, სერვისცენტრი ყოველდღე - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 -18:00 საათამდე იმუშავებს, ხოლო შაბათს მომხმარებელს 11:00 – 17:00 საათამდე მოემსახურება. „სამსუნგ პლაზას“ კლიენტებისთვის მუშაობს ცხელი ხაზი: 0 800 555555, რომელზეც განხორციელებული ზარი საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან უფასოა.

სამომავლოდ, „სამსუნგი“ „სერვის პლაზას“ გახსნას ბათუმში გეგმავს.

კომპანია Samsung 1938 წელს შეიქმნა და დღეისთვის, ელექტროტექნიკის მწარმოებელი უდიდესი კომპანიაა.

## სარჩევი

რატომ აჩვენებენ ასდოლარიანებს უცხოელები ქართველ გოგონებს და რატომ მოითხოვენ ქართველი მეძავები ღამის კლუბებში ქართველი მამაკაცების შეშვების აკრძალვას ............ 6

რატომ არის ბიზნესწართმეული ბიზნესმენების 95 პროცენტი ქართველი და რატომ ვერ მოერია მონოპოლიებს ახალი მთავრობა ............ 8

როგორ გახდა ბრიგადის გენერალ ვახტანგ კაპანაძის 22 წლის ქალიშვილი თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე ............ 9

რას ნიშნავს სამსაფეხურიანი საპენსიო სისტემა, შეუნარჩუნდება თუ არა, საპენსიო რეფორმით, მინიმალური პენსია ყველას და რაზე იქნება დამოკიდებული საბოლოო პენსიის სიდიდე ............ 10

ადვოკატი გირჩევთ ............ 16

ინტიმური საუბრები ............ 17

ვისი ჩაცმულობა იყო იდეალური პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს ............ 18

რატომ ებღაუჭება ცოლიანი მამაკაცი საკუთარ წლებს და ნანობს თუ არა ის ახალგაზრდა ქალთან რომანს ............ 20

რუსეთში მცხოვრები შვილი თბილისში უგზო-უკვლოდ დაკარგულ დედას ეძებს ............ 21

ვინ იყვნენ ამქრების მფარველი წმინდანები, რომელ წელს მოხდა მათი აჯანყება თბილისში და რა შედიოდა ამქრის წევრის მოვალეობაში ............ 23

რისგან თავის შეკავება მართებთ თანამედროვე ქრისტიანებს ყველაზე მეტად და როგორ უნდა შევამოწმოთ ყველამ საკუთარი რწმენა ............ 24

რატომ ჰქონდა პრობლემები რაიან გიგზს რასისტულ ნიადაგზე და რით არის გამორჩეული მისი პირადი რეკორდი „მანჩესტერში“ ............ 26

რამდენ მილიონ დოლარად შეფასებული ბიუსტჰალტერი წარადგინა „ვიქტორიას სიქრეტის” ფეშენ-შოუზე ქენდის სვეინფულმა ............ 27

მსოფლიოს უმდიდრესი ქალი „ფორბსის” მილიარდერთა მსოფლიო რეიტინგის პირველი ათეულის წევრია ............ 27

როგორ შეიწირა ჰამლეტ გონაშვილი მეზობლის ახირებამ და სად არ მღეროდა არასდროს ის ............ 30

რა გავლენას ახდენს ეჭვიანობით დაზიანებული კარმა შეყვარებულ ადამიანებზე და როგორ ხდება მომავალი წარმატებების კოდის ჩაკეტვა სახელის დარქმევით ............ 32

კოსმეტოლოგის რჩევები ............ 34

როგორ გააკოტრა სტალინმა ჩემბერლენი და დალადიე ............ 35

შეკითხვა ასტროლოგს ............ 36

დროის რა პერიოდში იმუხტება კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი დადებითი და სასიცოცხლო ენერგიებით ............ 36

როგორ გახდა კალიფორნიაში, სილამაზის კონკურსზე თამი ადამია „მის საქართველო“ და რატომ ჩააცვეს მას ნიკოლ კიდმანის 10 000-დოლარიანი კაბა ............ 47

2 მილიონი მანეთი ყალბი ფული თბილისის 31-ე ქარხანაში დამზადებულ დაზგაზე იბეჭდებოდა ............ 48

მდგმურმა სახლის პატრონი არყის ორი ქვაბისთვის მოკლა ............ 49

ვეტერინარის რჩევები ............ 50

ფლორის სამყაროში ............ 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ............ 51

საბედისწერო დამთხვევა ............ 57

ქურდული ცხოვრება ............ 58

სერიული მანიაკები ............ 68

რუსეთის ტახტის მემკვიდრე დედით ქართველია, მის შვილს კი პაპის, გიორგი ბაგრატიონის პატივსაცემად დაარქვეს სახელი ............ 72

როგორ გახდა ფილარმონიის პაროდისტი ტრუსიკიანი „მკვდარი“ ............ 78

# მედალთცვენა

## შენ რომ ჩემთვის ორდენი არ ჩამოგიკიდია?!

უკვე **ერთი კვირაა, პრეზიდენტიც ახალი გვყავს** და **პრემიერიც**. მინისტრთა **კაბინეტიც ხომ დაკომპლექტდა და დაკომპლექტდა** და **ზოგიერთ სტრუქტურაში შიდა თანამდებობრივი მისვლა-მოსვლაც ფინიშისკენ მიდის.**



**ძირითადი დარტყმა** (საკადრო ცვლილებების, რასაკვირველია) **მაინც პროკურატურამ განიცადა:** მთავარი პროკურორიც შეგვეცვალა, ზედაც, თბილისისაც და, ამ ეტაპზე მეტად **რთული სათქმელია, ეს ძალოვანი სტრუქტურა სამართლებრივი შტურმისთვის ემზადება თუ ცვლილებები ოდენ კოსმეტიკურ-გუნდურია.**

მეორე მხრივ, **ძველი პრეზიდენტი თავისი მეორე ვადის გასვლის ბოლო წამამდე ჰიპერაქტიური იყო**, იმდენადაც, რომ, **ლამის მოქალაქე არ დაუტოვებია** (ჩვენი, ორმაგი თუ უცხო ქვეყნის) **ორდენი არ დაეკიდებინა**.

**ტრადიციას არც ახალმა უღალატა**: ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღის პრეზიდენტი ბ-ნი **მარგველაშვილი შეიარაღებული ძალების მეოთხე მექანიზებულ ბრიგადას ესტუმრა**. განა მარტო – **თავდაცვის მინისტრ, ბ-ნ ალასანიასა და გაერთიანებული შტაბის აწ უკვე ახალ უფროს, ბ-ნ კაპანაძის თანხლებით.**

და, **არც ხელცარიელი მისულა**: პრეზიდენტმა **მეოთხე მექანიზებული ბრიგადის 42-ე მექანიზებული ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებს** სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის დროს მაღალი ინდივიდუალური მომზადების გამომჟღავნებისა და ერთიანობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული პიროვნული დამსახურებისთვის **„სამხედრო დამსახურებისთვის“ მედლები გადასცა.**

ყველასთვის ნათელია, რომ **დაჯილდოება წახალისების ერთგვარი ფორმაა** და **ფრიადაც აუცილებელი,** მით უფრო, რომ **ამ მიდრეკილების სიმწირეს არც პრეზიდენტი შევარდნაძე უჩიოდა**, მით უმეტეს, **არც პრეზიდენტი სააკაშვილი** და, **პრეზიდენტ მარგველაშვილსაც კოჭებშივე ეტყობა, რომ არც ის აპირებს ამ გზიდან გადახვევას**. ჰოდა, თუ ამ ტემპით გაგრძელდა, **ამ ჩვენს სამშობლოში ქვა რომ ისროლო, მედლიანს ვერ აასცდენ.**

# სად – ერეკლე, სად – მისი ცოლი თეკლე

## პრეზერვატივის როლი განათლების სრულყოფაში

მართალია, **ოპოზიცია ირწმუნება, რომ ეკონომიკა სტაგნაციაშია** და მაინცდამაინც **არც იმპორტ-ექსპორტის საქმე გვაქვს კარგად**, მაგრამ, **საქსტატმა გვაცნობა, რომ 2013 წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოში,** არც მეტი, არც ნაკლები, **33,2 ტონა პრეზერვატივის იმპორტი განხორციელდა.**

მეტიც, **ისიც კი ვიცით, რომ ეს ბაზარი დივერსიფიცირებულია**. კერძოდ, საქსტატისვე ცნობით, **პრეზერვატივების იმპორტი გერმანიიდან, ჩინეთიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან, სინგაპურიდან, ტაილანდიდან, მალაიზიიდან** და კიდევ რამდენიმე ქვეყნიდან **ხორციელდება**.

თითქოს **სად – ერეკლე, სად – მისი ცოლი თეკლეო,** მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, **ეს მონაცემები დამაიმედებელია არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ამ პროდუქციის იმპორტია დივერსიფიცირებული**, არამედ, იმიტომაც, რომ, როგორც დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი გვარწმუნებს, **„კონტრაცეპტული საშუალებების იმპორტის ზრდა ნიშნავს, რომ განათლების დონე ზოგადად და ინფორმირებულობის დონე მოსახლეობაში არის გაზრდილი“!**

ეს ზრდა კი დადებითად აისახება აბორტების შემცირებასა და შობადობის ზრდაზე. სამწუხაროდ, საქსტატის **ამ მონაცემში არ დაკონკრეტებულა ბუსუსებიანი პრეზერვატივების წილი საერთო რაოდენობაში** (რომელთა მიყიდვა ამ ჩვენმა პარლამენტმა არასრულწლოვანების მოძრაობის არეალში აკრძალა).

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ, საერთაშორისო კვლევებით, **ჩვენს ახალგაზრდებს ზოგადი განათლების დონე, მტერს რომ გაახარებს, ისეთი აქვთ**, უდავოდ, **დამაიმედებელია, რომ პრეზერვატივების იმპორტის მაჩვენებლის ზრდა მაინც მუშაობს ჩვენი განათლების ზოგადი დონის სასარგებლოდ.**

# გინესის რეკორდსმენი მსჯავრდებულები

## „სამი გუმანნი სუდ“

მართალია, ჩვენი **სასამართლო ხელისუფლების მამამთავრებსა და მესვეურებს ღრმად სწამთ, რომ ქართული მართლმსაჯულების ოქროს ხანაა** (პათოსით, **„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“,** ანუ, სასამართლო – ასეთი ობიექტური და სამართლიანი), მაგრამ, ამ ჩვენს დალოცვილ თუ დასაწყევლ **თემიდას ისეთი განაჩენები აქვს გამოტანილი, თვით ნერონს აატირებდა ცხარე კურცხლებით.**

იმ გახმაურებულ ფაქტზე აღარ შევჩერდები, **მოქალაქე მკვლელობისთვის რომ გაასამართლეს, ხოლო, როდესაც „მოკლული“ ცოცხალი აღმოჩნდა, შემდეგ უკვე ცრუ ჩვენებისთვის გამოკეტეს ციხეში.**

მაგალითად, **2007 წელს დედოფლისწყაროელი, თანაც, 84 წლის, გიორგი მჭედლიშვილი** ამ ჩვენმა მთაწმინდის მთვარესავით უმწიკვლო და მიუკერძოებელმა სასამართლომ **5-ტონიანი ავზის ქურდობისთვის გაასამართლა**. მოხუცმა, რაკი დაპატიმრებას უფრთხოდა, **დანაშაული აღიარა, ამიტომაც, ქართულმა თემიდამ გულმოწყალება გამოიჩინა და მხოლოდ 2-წლიანი პირობითი სასჯელი აკმარა** (პათოსით: „სოვეტსკი სუდ სამი გუმანნი სუდ ვ მირე“).

განაჩენის თანახმად, **84 წლის მოხუცმა** დანაშაული ინდივიდუალურად ჩაიდინა **და 5-ტონიანი ავზი მარტოდმარტომ მოიპარა**. რაც მთავარია, **განაჩენი გასაჩივრებას არ დაექვემდებარა – საბოლოო და ერთადერთიაო.**

ამიტომაც, **84 წლის მოქალაქე მჭედლიშვილმა გინესის რეკორდსმენად აღიარება მოითხოვა – სავსებით სამართლიანად!**

ზემოთქმულის გათვალისწინებით და ამ ჩვენი – **„ოქროს ხანაში“ გაბრწყინებული – სასამართლო გადაწყვეტილებებით, თუ მთლად გინესების რეკორდსმენებს ვერ გავიმრავლებთ** და ვერც დასავლურ დემოკრატიას დავუყენებთ თვალს, **რეალური ანეკდოტებით ხომ მაინც გავუხანგრძლივებთ ცხოვრებას დედამიწელებს?!**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ზური ქავთარაძე, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ბიზნესის ტკბილია „როგორც ლერწამნი“

აქეთ – **აღმასრულებელ ხელისუფლება-შია გადაადგილ-გადმოადგილებები** (რაც წინასწარვე იყო მოსალოდნელი და კანონით გათვალისწინებულიც), იქით – **ჯერჯერობით მდორე, მაგრამ მაინც მოძრაობა შეიმჩნევა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში** (ჩვენი დეპუტატები ისევე ირხევიან, „როგორც ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“).



ჰოდა, რაკი ირხევიან, გასულ კვირას **თეთრი წყაროს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ბეჟუაშვილმა საპარლამენტო უმცირესობა დატოვა.**

**ეს მათთვის არცთუ სახალისო ფაქტი უმცირესობამაც დაადასტურა.** იმის გათვალისწინებით, რომ ბ-ნი **ბეჟუაშვილი,** ისევე, **როგორც მისი ძმა, მჭიდროდ ასოცირდებოდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“** ერთი შეხედვით, იფიქრებდი, **რომ მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებდათ** (პირი ქვისკენ მიქნია!).

შესაბამისად, **რთულად დასაჯერებელია, რომ საქმე იდეების აცდენასთან გვქონდეს** (ვინაიდან, „ნაცმოძრაობის“ იდეები, პოეტის თქმის არ იყოს: „არ სდევს ჟამთა ცვლას, იგივეა მარად და მარად“), მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ბ-ნი **ბეჟუაშვილის ბიზნესებზე ლეგენდები დადის,** შესაძლოა, **ძაღლის თავი მეტად მერკანტილურ ადგილას იყოს ჩამარხული**: სკამი ხომ ტკბილია და ტკბილი, მაგრამ, **სიტკბო არც ამდენი წლის ნალოლიავებ და ნანინანატრ ბიზნესს აკლია**?!

# „უდიპლომო სასიძო“ ნერონის კვალზე

რიგ მიზეზთა გამო, ძირითადად, უფრო ხშირად დედაქალაქის საკრებულოში დატრიალებული მოვლენები ხვდება ხოლმე ჩვენი ყურადღების ცენტრში, თუმცა, ბუნებრივია, **ნაკლები ორომტრიალი არც საქართველოს სხვა ქალაქების მუნიციპალიტეტებშია.**

**8 ნოემბერს გორის საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო** ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობების დასაკავებლად **კონკურსის გამოცხადების შესახებ** და იქვე **დაადგინა, რომ ამ კონკრეტული ტერიტორიული ორგანოს აპარატში დასაქმების მსურველებს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ევალებათ.**




თუმცა, **19 ნოემბერს 8 ნოემბრის დადგენილებაში ცვლილება შევიდა**, ვინაიდან, გორელმა კანონმდებლებმა დაასკვნეს, რომ **ზემოხსენებულ ადგილებზე დასაქმების მსურველებს აღარ დაევალებათ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა.**

**ცვლილება**, ღვთის შეწევნით, **მთლად ერთხმადაც არ მიუღიათ**: 25 დეპუტატიდან ხმა უდიპლომობას მხოლოდ 13-მა მისცა. ერთი ისაა, რომ **უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ქალაქის ტერიტორიულ ორგანოს რწმუნებულების ვალდებულებად მაინც დარჩა.**

ჩვენ არ ვიცით, **რატომ აითვალწუნეს დიპლომი გორელმა კანონმდებლებმა,** მაგრამ, თუ უახლოეს წარსულს გადავხედავთ, იმის გათვალისწინებით, რომ **დიპლომიანებს მაინცდამაინც არ გაუბრწყინებიათ ჩვენი სამშობლო**, იქნებ, **უდიპლომოთა მმართველობამ მაინც გაჭრას**?! ოღონდ, **არც ისაა გამორიცხული, გორელი კანონშემოქმედნი ნერონის გზას დადსგომოდნენ** – სენატში რომ თავისი საყვარელი ცხენი აირჩია – **და დიპლომის ჩაჩოჩება ამ გზის მხოლოდ დასაწყისიც იყოს**.

# დირექტორი ბჭობდა... ანუ, მარცხი ელანძეა

რაკი საპარლამენტო მოდელზე უკვე გადავედით, **ჩვენი პირველი პირი პრემიერ-მინისტრი გახდა**, ხოლო, რადგან ამ ახალ საკონსტიტუციო მოდელში ჯერჯერობით ცვლილებები არ შესულა, **ახალ პრემიერ-მინისტრს ისეთი უფლებები აქვს კანონით მინიჭებული, ლამის მზეს უთხრას, შენ ჩადი, მე ამოვალო.**

იმის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით ბ-ნი **ღარიბაშვილი ფრიად კონსტუქციულად და არააგრესიულად იქცევა**, ჩვენც **მშვიდად ვართ და დემოკრატიის კიდევ უფრო გაბრწყინებას ველით ამ ჩვენს ნაშუქურალ სამშობლოში**, თუმცა, **მაინცდამაინც ყველას არ უნდა უძგერდეს გული მშვიდად საგულეში.**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, **როდესაც კოალიცია „ოცნება“ აწ ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობის“ შემოტევების მოგერიების მძიმე პროცესში იმყოფებოდა,** ამჟამინდელი **პრემიერ-მინისტრის და თბილისის 52-ე საჯარო სკოლაში მუშაობდა**. ხოლო, რაკი **იმ და ამჟამინდელი დირექტორი,** ბ-ნი **პაატა ბერიკაშვილი,** როგორც თავად ამბობდა, **სულით და გულით „ნაციონალი“ იყო** (აზლაც – ნეტავ?!), ზედაც, თვითმხილველთა მტკიცებით, **ამატებდა, თუ ქვეყანაში 5 „ნაციონალი“ დარჩა, ერთიც მე ვიქნებიო –** , ცდას არ აკლებდა, რომ ბ-ნი **ღარიბაშვილის და სამსახურიდან გაეთავისუფლებინა.**

ოღონდ, **რაკი კანონი ამის საშუალებას არ აძლევდა, აძალებდა, თავად დაეწერა განცხადება** (ვფიქრობ, **ეს ფაქტი დააინტერესებს „ოცნების“ ნეპოტიზმით დაინტერესებულ ქ-ნ ნადირაშვილს**).

**არ გამოვრიცხავ**, ბ-ნი **ბერიკაშვილი დღეს უკვე იმ ვერსიაზეც იყოს**, **5 „მეოცნებეც“ რომ დარჩეს, მათგან ერთი მე ვიქნებიო** და, ისიც საინტერესოა, **ახლაც თუ აძალებს რომელიმე პედაგოგს განცხადების დაწერას?!**

# „ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა“ „აბი გლუკოზა“

თავი **ისე გაგვჭირვებია, რომ, აქეთ – აფხაზეთი დაიცალა ქართველებისგან, იქით – ცხინვალის რეგიონი**, ხოლო **ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ქართულს წამლადაც ვერ გაიგონებ**. ამ **ჩვენს ერთი საქართველოს** ტერიტორიას კი **სამი პრეზიდენტიც ჰყავს:** ერთი – **ყველას მიერ აღიარებული**, ორიც – **მხოლოდ ხუთის მიერ**.

მაგრამ, რაკი ნათქვამია, **გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწევაო, ავანსცენაზე კვლავ გამოჩნდა განათლების ცენტრ „კოლხიდას“ წარმომადგენელი, ვინმე იური ღვინჯილია**. თუკი ეს უკანასკნელი **აქამომდე მეგრულისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას სჯერდებოდა**, აწ **უფრო შორს გაიჭრა** და საკუთარ მოთხოვნებს **სამეგრელოსთვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭებაც დაამატა.**

იქვე **ჩივის, რომ არც გამგეობის წარმომადგენლები ხვდებიან** და **არც პოლიტიკური პარტიებისა და**, შესაბამისად, **ასკვნის**, რომ (მოვიხმობ ციტატას, ვინაიდან, ამ ბოდვის ჩემი სიტყვებით გადმოცემა ჩემსავე ძალებს აღემატება): **„ეს არის გააზრებული პოლიტიკა,**



**რომლის მიზანია მეგრული ენის სრული განადგურება და მეგრელების ასიმილაცია,** შექმნილია უპირობო ეთნოკონფლიქტის წინაპირობა, როდესაც **არსებობენ მჩაგვრელი ქართველები**, რომლებიც არ აძლევენ **დაჩაგრულ მეგრელებს** თავიანთი ენის შენარჩუნების საშუალებას.“

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ **ხსენებული ბატონი და მისი თანამოაზრეები მიმდევართა სიმრავლით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან** და **პოპულარობით სამეგრელოშიც ვერ დაიკვეხნიან**. ხოლო, თუ ბ-ნი **იური ღვინჯილიას ბოდვასთან მიახლოებულ იდეებს გავიხსენებთ** და იმასაც დავამატებთ, რომ ქვეყანაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოქმედებს, **ფსიქიატრის კონსულტაცია მისთვის სულზე მისწრებაა.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ორიოდე კვირის წინათ, თავდაპირველად, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველ მამაკაცებს უცხოურ ღამის კლუბებში ეთნიკური ნიშნით არ უშვებდნენ. ამ ფაქტის ამსახველი ვიდეორგოლი საქართველოში ქართველთა დისკრიმინაციით აღშფოთებულებმა სოციალურ ქსელში კიდეც გაავრცელეს და სპონტანურად საპროტესტო აქციაც დაგეგმეს იმ ღამის კლუბებთან, რომლებშიც, მათი თქმით, მხოლოდ ქართველ ქალებს უშვებენ, ოღონდ არა – ქართველ მამაკაცებს.**

**თუმცა იმ ღამით ქართველთა დისკრიმინაციაში შემჩნეული ღამის კლუბი არ მუშაობდა. თავის მხრივ, ღამის კლუბების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ეთნიკური ნიშნით არავის ბლოკავენ. საპროტესტო აქციას ირაკლი წერეთელიც შეუერთდა და დისკრმინაციის შეჩერებასთან ერთად, სხვა მოთხოვნებიც წამოაყენა. თუ რა, ამის შესახებ თავად მოგვიყვება.**

# რატომ აჩვენებენ ასდოლარიანებს უცხოელები ქართველ გოგონებს და რატომ მოითხოვენ ქართველი მეძავები ღამის კლუბებში ქართველი მამაკაცების შეშვების აკრძალვას

**– თქვენ როგორ აღმოჩნდით ჩართული ამ პროცესში?**

– რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა აქცია ხუდონჰესისა და გიგანტური ჰესების აშენების დაუშვებლობის შესახებ, მოვიდნენ ახალგაზრდები და მითხრეს, რაც ხდებოდა, რაც აშკარა დისკრიმინაციაა და დაუშვებელია, ღია დაწესებულებაში ადამიანის არშეშვება ეროვნული და სქესის ნიშნით, იმიტომ რომ ქალს უშვებენ, კაცს – არა. ეს ძალიან შეურაცხმყოფელია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ჩვენ პრინციპულად ვართ წინააღმდეგნი ანტიქართული და ანტიეროვნული კანონმდებლობის მოქალაქეობის მიღების, საიმიგრაციო და სავიზო საკითხებში. მიგვაჩნია, რომ ეს კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს ეროვნული ინტერესების შესაბამისად და საქართველოს მოქალაქეობის მიღება ადვილი არ უნდა იყოს უცხოელებისთვის. მოქალაქეობის მიღება უნდა ხდებოდეს მხოლოდ დაბადებით და ნატურალიზაციით. არც ერთ თანამდებობის პირს: დაწყებული პრეზიდენტით და დამთავრებული კათოლიკოს-პატრიარქით, არ უნდა ჰქონდეს მოქალაქეობის მინიჭების უფლება. რაც სააკაშვილმა გააკეთა, ეს იყო სამშობლოს ღალატი, როდესაც ერთ დღეში ათასზე მეტ ადამიანს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობას, რასაც მათ აუცილებლად ჩამოვართმევთ. ერთი სიტყვით, ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, გამკაცრდეს საიმიგრაციო და სავიზო პოლიტიკა და მოქალაქეობის მიღების პროცედურა.

**– რამდენად ესადაგება თქვენი მოთხოვნები დასავლურ მოთხოვნებს?**

– ჩვენ ამოვდივართ იქიდან, რომ ქართველი არის არასწრაფგამრავლებადი, მცირერიცხოვანი ერი და მე არ მეშინია იმის თქმის, რომ მინდა, საქართველოში 88 პროცენტი იყოს ეთნიკურად ქართველი. იტალიაში 96 პროცენტი იტალიელები არიან, პოლონეთში – 92 პროცენტი პოლონელები და არ მინდა, რომ საქართველოში ქართველს გაუტოლდეს ან რაოდენობით გადაუსწროს რომელიმე ენთიკურმა ჯგუფმა. ეს დანაშაულია?! უამრავი ქვეყნიდან, განსაკუთრებით აზიიდან ჩამოსულმა სხვა მოდგმისა და ჯიშის, სხვა კანის ფერის ხალხმა აავსო ქვეყანა. საქართველო რას ნიშნავს? ქართველთა ქვეყანას. კი ბატონო, ჩამოვიდნენ სტუმრად, დარჩნენ, ისწავლონ ქართული ენა, მიიღონ ქართული ცნობიერება, გაქართველდნენ და, თუ აქ გაატარებენ მთელ ცხოვრებას, მათი შვილი, ალბათ, გახდება მოქალაქე. მაგრამ ისე არ გამოვა, რომ, ვისაც კი მოუნდება, გახდეს საქართველოს მოქალაქე.



მოქალაქეობის მიღება უნდა ხდებოდეს მხოლოდ დაბადებით და ნატურალიზაციით. არც ერთ თანამდებობის პირს: დაწყებული პრეზიდენტით და დამთავრებული კათოლიკოს-პატრიარქით, არ უნდა ჰქონდეს მოქალაქეობის მინიჭების უფლება

**– ჩვენ ვიცით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რა ფასად დაგვიჯდა ნაციონალიზმი, დღემდე გვიყენებენ ბრალად, რომ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე თითქოს გვქონდა ლოზუნგი: „საქართველო – ქართველებისთვის“. ეს გაბუქებულია, ჩვენ არასდროს გვქონია ასეთი სახელმწიფო პოლიტიკა, მაგრამ ამის მწვავე შედეგები მაინც ვიწვნიეთ.**

– რა მწვავე შედეგები ვიწვნიეთ?! ამის გამო ჩვენ რა დაგვაკლეს?! დამოუკიდებლობისთვის რომ ვიბრძოდით და „ნატოსკენ“ და ევროპისკენ რომ ვიქაჩებოდით, ამიტომ გადაგვემტერა რუსეთი, თორემ სხვა რამ არ აღელვებდა რუსეთს, სხვათა შორის.

**– მაგრამ დღეს პოლემიკისას ჩვენ წინააღმდეგ აქტიურად იყენებენ ერთ-ერთ არგუმენტად საიმისოდ, თუ რატომ დაეხმარნენ ოსებსა და აფხაზებს.**

– გასაგებია, მაგრამ, თუ იტალიაში მოსახლეობის 96 პროცენტი იტალიელია, რატომ უნდა იყოს საქართველოში ამაზე ნაკლები ქართველი?! მე, მაგალითად, ძალიან კმაყოფილი ვარ საქართველოში 2002 წლის აღწერის შედეგებით, რომ საქართველოში 88 პროცენტი ქართველია და არ მინდა, ნაკლები იყოს. მცირე ტერიტორია გვაქვს, თან, ოკუპირებული, არ ვმრავლდებით და ამ ფონზე გვაქვს იმის ფუფუნება, რომ განსაკუთრებით აზიიდან და აფრიკიდან ჩამოსული ხალხი, რომლებიც კატასტროფულად მრავლდებიან, უპრაგონოდ შემოვუშვათ?!

**– ამ შემთხვევაში უბრალოდ აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა გამოიყენა ეს უფლება და პირდაპირ მიანიჭა უცხოელებს მოქალაქეობა.**

– ამიტომ უნდა ჩამოერთვას პრეზიდენტს ამის უფლება. გაკეთდეს ისე, როგორც ამერიკაშია: დაბადებით და ნატურალიზაციით, თუ ქართველი კაცი ცოლად მოიყვანს უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე დაქორწინდება ქართველ ქალზე, რასაც მაინცდამაინც არ მივესალმები, მაშინ წინ ვერ აღუდგები ასეთი ადამიანისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას. მაგრამ სად არის ისე, რომ ჩამოვა თუ არა, ერთ დღეში გახადო საქართველოს მოქალაქე?! ამერიკაში მოქალაქეობის მიღების პროცედურა გულისხმობს გამოცდების ჩაბარებას: უნდა იცოდე ენა, ამერიკის ისტორია და ცნობიერება უნდა გქონდეს ამერიკული. ჩვენ რომ 150 მილიონი ვიყოთ და ინდოეთის სიდიდის ტერიტორია მაინც გვქონდეს, მაშინ არ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ ნორმალურია ამ პატარა ქვეყანაში ამდენი უცხო ტომის მოძალება, თან ტრადიციულად არაკეთილგანწყობილი ერების?! ირანელები თუ თურქები რომელი ჩვენი მეგობრები იყვნენ?! მე პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს: გასაგებია, რომ მეზობელთან ნორმალური ურთიერთობები უნდა გვქონდეს, მაგრამ ირანთან და თურქეთთან ისტორიულად კარგი ურთიერთობა გვქონდა?! ნახეთ, რა ხდება აღმაშენებლისს გამზირზე?! ქართულად ლაპარკს ვერ გაიგონებ აღმაშენებლის გამზირზე. ჩვენ იმას ვითხოვთ, რომ ყველა დაწესებულებაზე იყოს ქართულენოვანი წარწერა.

**– ეს სახელმწიფოს პრობლემაა, მან უნდა დაარეგულიროს და არა იმის, ვინც აქ შემოდის და ბიზნესს იწყებს.**

– ამიტომაც ჩვენ პრეტენზია გვაქვს სახელმწიფოსთან. ჩვენ არ შევსულვართ ბარებში და არ გვიჭიდავია თურქებთან, ირანელებთან და არაბებთან, მაგრამ, თუ სახელმწიფო არ მოაგვარებს ამ პრობლემას და ქართველები ჩავთვლით, რომ დამოუკიდებელ საქართველოში უფრო ვიქნებით შევიწროებულები, ვიდრე რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოში ვიყავით, მაშინ თავმოყვარე ქართველები გავერთიანდებით და შემდეგ ველარ უშველით ვერც ქართული პოლიცია და ვერც ქართული ჯარი.

ძალიან ცუდი ხმები მოდის, რომ კარგი გარეგნობის ქართველ გოგონებს ქუჩაში აჩვენებენ ასდოლარიანებს და თავხედურად ექცევიან. უფრო თავხედურად იქცევიან, ვიდრე იტალიაში, გერმანიაში. ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რაც საფრანგეთში ხდება, სადაც არის კვარტლები, რომლებშიც ვერ შედის პოლიცია.

**– ევროპაში მიგრანტები იმიტომ მიდიან, რომ იქ ცხოვრების უფრო მაღალი დონეა, ჩვენთან რატომ მოდიან?**

– ძალიან ბევრ არაბულ ქვეყანაში, სადაც რევოლუციები მოხდა, ბევრი ადამიანია, რომლებსაც რევოლუციამდე ძალაუფლებაც ჰქონდათ და ფულიც. რადგან იქ არ დაედგომებოდათ, აქ წამოვიდნენ. აქ შედარებით იაფია ცხოვრება. ევროპაში თუ ცხოვრების უფრო მაღალი დონეა, იქ ცხოვრებაც უფრო ძვირი ღირს. აქ ყველაფერი უფრო იაფია და სამწუხაროდ, ქალიც უფრო იაფია. საქართველო კარგი ქვეყანაა საცხოვრებლად, მით უმეტეს, თუ ფული გაქვს.

**– როდესაც სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველ მამაკაცებს ეთნიკური ნიშნით არ უშვებდნენ ღამის კლუბებში, მაშინვე გამახსენდა...**

– იცით, რა არის ამის მიზეზი?! ის ბარები გადაქცეულია არალეგალური პროსტიტუციის ბუდეებად, სადაც ბევრი ქართველი მეძავი მუშაობს, მაგრამ არ უნდათ, რომ უბანში, სანათესაოში ჰქონდეთ მეძავის სახელი. თურქთან, არაბთან და ირანელთან კი, რომლებიც ფულსაც უხდიან, იმალება მისი ვინაობა. თურქმა სად უნდა თქვას, ესა და ეს იყოო?! მე კი არ ვამართლებ ამას, მაგრამ ძალიან ბევრ ოჯახში მშობლები აღარ არიან ფულის შემომტანები, ზოგს დედა არ ჰყავს, ზოგს – მამა. ზოგს ორივე ჰყავს, მაგრამ სილატაკეში ცხოვრობენ. სამუშაო არ აქვთ, შემოსავალი არ აქვთ და აი, ამ მალულ პროსტიტუციას ეწევიან. იმ ქართველი გოგონებისთვის არ არის ხელსაყრელი, ქართველმა ბიჭმა დაინახოს ისინი და იცნოს. პირადად მე, არასდროს დამჭირდება იქ შესვლა, სულ ერთხელ ვიყავი თურქების ბარში, სადაც

არანაირი დისკრიმინაცია არ ყოფილა, მაგრამ მეორედ შესვლის არანაირი სურვილი არ მაქვს. თურქებს ძალიან ბევრი დაწესებულება აქვთ, სადაც არანაირი დისკრიმინაცია არ ხდება, მაღალი დონის რესტორნებია და ვერც მიხვდები, რომ თურქულია. ჩვენ ვაპროტესტებთ პროსტიტუციის ბუდეებს. ვინაიდან საქართველოში პროსტიტუცია არ არის ლეგალიზებული, შეუშვან მაშინ ყველა, რატომ ეშინიათ?! თუ რესტორნაში ან ბარში შესული ქართველი ჩაიდენს კანონით გათვალისწინებულ დანაშაულს, მადლობა ღმერთს, პოლიცია ძლიერია საქართველოში, მოჰკიდონ ხელი და აგებინონ პასუხი. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ რესტორანში ან ბარში შესულმა ქართველმა თურქი და ქართველი მეძავი გალახოს და არ დაიჭირონ. შეუშვან და, თუ დანაშაულს ჩაიდენენ, ამის შემდეგ მოჰკითხონ პასუხი.

**– თუმცა ღამის დაწესებულებების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ქართველებს არ ვუშვებთ, რადგან არიან ნასვამები და ფულის გადახდა არ უნდათო.**

– თუ ვინმე არ იხდის ფულს და ნასვამია, მათთვის არსებობს კანონი და კანონით აგებინონ პასუხი. იმ დაწესებულებებში დაცვა უფრო მეტია, ვიდრე კლიენტი – ვერ მოკიდებენ ხელს და ვერ ჩააბარებენ პოლიციას?! პირადად მე, მაწუხებს მიგრაციის მოძალება და მინდა, რომ საქართველოში დაცული იყოს ეროვნული ბალანსი და საქართველოს მოქალაქეობა არ იყოს ასე ადვილად მოსაპოვებელი. თორემ არ ვარ იმის წინააღმდეგი, უცხოელებმა აქ ბარი გახსნან, მაგრამ აუცილებელია, ვინც აქ ბარს გახსნის, ყველა საქართველოს მოქალაქე გახდეს?! ჩემი აზრით, ორმაგი მოქალაქეობა საერთოდ უნდა გაუქმდეს, როგორც ეს არის 1921 წლის კონსტიტუციაში. ჩემი პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა, რომ საქართველოში გაბატონებული იყოს ქართველი ერი: ბიზნესში, პოლიტიკაშიც და ყველგან.

**– ალბათ, საქართველოს მოქალაქეებს გულისხმობთ?**

– საქართველოს მოქალაქე არის ქართველი და ამას ნიშნავს ევროპული მიდგომა: მაგალითად, რომ დაიწყოს ომი, ღმერთმა არ ქნას, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, აქაურმა აზერბაიჯანელმა, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უნდა იბრძოლოს აზერბაიჯანელების წინააღმდეგ, საქართველოს გვერდით. ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, – ეს არის დაუწერელი კანონი. მაგრამ მე მაინც დაინტერესებული ვარ, რომ საქართველოს მოქალაქეებში ეთნიკურად ქართველი იყოს ყველაზე მეტი. ეს გაუგებარია?!

**ის ბარები გადაქცეულია არალეგალური პროსტიტუციის ბუდეებად, სადაც ბევრი ქართველი მეძავი მუშაობს, მაგრამ არ უნდათ, რომ უბანში, სანათესაოში ჰქონდეთ მეძავის სახელი**

**– თქვენი აზრი გასაგებია, მაგრამ ეს მიუღებელია ევროპული ცნობიერებისთვის.**

– მე არ ვაპირებ ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას ევროპაში.

**– მაგრამ ჩვენს ქვეყანას უნდა, რომ გახდეს ევროკავშირისა და „ნატოს“ წევრი.**

– მე მინდა, რომ საქართველო გახდეს „ნატოს“ წევრი, მაგრამ არა – ევროკავშირის. „ნატოსთვის“ მთავარია, მათი სამხედრო მოკავშირე იყო და მათი სამხედრო სტანდარტები არ დაარღვიო. როდესაც თავის დროზე თურქეთი მიიღეს „ნატოში“, დემოკრატიის თაიგული იყო?! სამხრეთ იტალიაში, ვერც ერთი არაიტალიელი ვერ გაჭაჭანდება, მაგრამ ამის გამო რა, იტალიელებს „ნატოდან“ ყრიან? გერმანელები არაგერმანელებს სრულფასოვან ადამიანებად აღიქვამენ?! ისე აქვთ საქმე დაყენებული, რომ, თუ არ ხართ გერმანელი, წინ ვერ წახვალთ.

**– ის ჩემი შეკითხვა ვერ დავასრულე: ქართველმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ეთნიკური ნიშნით არ შეუშვეს ღამის კლუბში, მოაწყვეს საპროტესტო აქცია, არადა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სწორედ ეთნიკური ნიშნით არ გვიშვებენ. ცოტა არ იყოს გამაღიზიანა, იმიტომ რომ იქ არ აპროტესტებენ და აქ გააპროტესტეს, იმიტომ რომ ბარის მეპატრონე ადვილად მოსარევია?**

– ბოლო ორი თვის განმავლობაში დვანსა და დიცში, საოკუპაციო ხაზთან, ოთხჯერ ჩავატარე ანტისაოკუპაციო აქცია.

**– მე თქვენ არ მიგულისხმიხართ, იმ ახალგაზრდებს ვგულისხმობ, ბარში არშეშვებით აღშფოთებულებს.**

– უიარაღო ქართველი ახალგაზრდა ჭიდაობას ხომ არ დაუწყებს რუს ოკუპანტს?!

**– ჭიდაობა არც მიგულისხმია, უბრალოდ მშვიდობიანი საპროტესტო აქცია ვიგულისხმე.**

– ეს ეჭვები რომ არ იყოს, ამიტომ პირველ დეკემბერს დავნიშნეთ აქცია და მას არ მოვაწყობთ ბარების წინ, რომ არ გაჩნდეს მოსაზრება, მაინცდამაინც თურქს და არაბს ვერჩით. ეს იქნება ქართველ ერისკაცთა შეკრება და დავაყენებთ ერთად აღებულ ყველა ეროვნულ მოთხოვნას.

**ნინო ხაჩიძე**




**ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე გააკეთა განაცხადი, რომ სადავო საქმეები გადაისინჯებოდა, მათ შორის, კერძო საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევაც და ყველა პრობლემა სამართლიანად გადაწყდებოდა. არათუ მატერიალური, მორალური კომპენსაციის გაცემაზეც კეთდებოდა აქცენტი. შესაბამისი კომისიაც შეიქმნა იუსტიციის სამინისტროსთან, თუმცა, საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ კომისიის ამოქმედება გაურკვეველი ვადით გადაიდო. პროკურატურას 20 000-მდე ადამიანმა მიმართა საჩივრით, ზოგი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ასაჩივრებდა, ზოგიც – წართმეული ქონების დაბრუნებას მოითხოვდა. მათ შორისაა „კავკაზუს ონლაინის" დამფუძნებელი და ყოფილი მეპატრონე მამია სანადირაძეც, რომლისგანაც შევიტყობთ, თუ როგორ ანდომებდა წინა ხელისუფლება ბიზნესმენებს საკუთარი ბიზნესის გაჩუქებას, რა სქემით აკოტრებდნენ მეწარმეებს და როგორ შეიქმნა მონოპოლიური ბიზნესები, რომლებიც დღესაც წარმატებით განაგრძობენ საქმიანობას.**

# რატომ არის ბიზნესწართმეული ბიზნესმენების 95 პროცენტი ქართველი და რატომ ვერ მოერია მონოპოლიებს ახალი მთავრობა



საქართველოში უფრო მომგებიანია მდიდარი ხალხის დაცვა. გაგებაა მთავარი და არა – კანონი

**– იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი სამართლის დამდგენი კომისიის ამუშავება გაურკვეველი ვადით გადაიდო. ყველა იმედი გადაწურულია, რომ უკანონოდ წართმეული ქონება დაბრუნდება?**

– ერთი წელია ტრიალებს ეს თემა საზოგადოებაში. არასამთავრობო ორგანიზაციაც შევქმენი, გავაერთიანე რამდენიმე ათეული ადამიანი, ვცდილობდი, რაღაცნაირად დავხმარებოდით სახელმწიფოს, მთავრობას, რადგან დღეს ხალხს საჭმელზე მეტად სამართალი აწუხებს. თავისი ღირსება უფრო მეტად ულირს, ვიდრე პურის ნაჭერი. კანონიერება და სამართლიანობა საფუძველთა საფუძველია: ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირში იმიტომ გაერთიანდნენ ძალიან სწრაფად, რომ მათ საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონებები დამოუკიდებლობის მიღებისთანავე დაუბრუნეს მემკვიდრეებს. აღადგინეს ის სამართალი, რაც საბჭოთა სისტემამ დაარღვია ოკუპაციის გამო და ამიტომ გახდნენ ისინი ევროპელები, რადგან დასავლური ცივილიზაციის საფუძველთა საფუძველია კანონიერება და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. ჩვენ ამას არ ვაკეთებთ და ამიტომაც ვართ გაურკვეველ სივრცეში, საქართველოში უფრო მომგებიანია მდიდარი ხალხის დაცვა. გაგებაა მთავარი და არა – კანონი. მმართველი ძალა, რომელიც ისეთი ლოზუნგებით მოვიდა, რომ ჩასწვდა ქართველი კაცის სულს და გულს, გვერდით უნდა დაუდგეს დაჩაგრულ ხალხს და დაუბრუნოს წართმეული, თუ უნდათ, რომ ჩვენს შვილებს მომავალი და ცივილიზებული სამშობლო ჰქონდეთ. არადა, ჯერჯერობით ისევ მედროვეები მიეკედლნენ ხელისუფლებას და ისინიც ისევე გაძღნენ, როგორც ყოველთვის ძღებოდნენ შევარდნაძის პერიოდიდან დაწყებული. 5 საათის განმავლობაში ვისხედით ბატონი ხმალაძის კაბინეტში და ვუხსნიდით, რომ კომისია, რომელსაც ქმნიდა იუსტიციის სამინისტრო, იქნებოდა ჩიხი. ჩვენც წაგვიყრუეს და უამრავ ექსპერტსაც, ახლა უკვე ვენეციის კომისიამ ცნო არაკონსტიტუციურად ეს კომისია და ამ მიზეზით შეჩერდა მისი ამოქმედება. არადა, მოხდა ის, რასაც ერთი წლის განმავლობაში ვეუბნებოდით. ხალხი ისევ მოტყუებული აღმოჩნდა, გასაჩივრების ვადებიც გავიდა და მტკიცებულებებიც გაფუჭდა. ჩემი აზრით, ეს სწორედ ამისთვის იყო გაკეთებული.

**– ანუ ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავთ?**

– ამის შემდეგ ბატონმა ბიძინამ თქვა, აღარ გამოვიძიოთ ეს საქმეები, იმიტომ რომ თითქოს ამის გამო 7-მილიარდიანი დავალიანება წარმოიშვება. რაც აბსურდია. თუ წართმეულს არ დაუბრუნებ, ის ადამიანი ველარაფერს შექმნის, მიშას უსამართლოდ გამძღარი ბიზნესმენები, რომლებმაც ხალხის ცრემლსა და ოფლზე იშოვეს ფული, დღეს მიშას ევროპელ ლობისტებს აფინანსებენ, რომლებიც ჭკუას გვასწავლიან, რომ, თურმე, სამართალი არ უნდა გვქონდეს ქვეყანაში. ამას ითხოვენ ევროპელი კორუმპირებული მოხელეები, რომლებიც მრავლად არიან სტრასბურგსა თუ ბრიუსელში. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ ქართველებმა, თუ გვინდა, ვიყოთ ევროპელები, თავად უნდა გავხდეთ ევროპელები და მაშინ გვაღიარებს დასავლეთი. თუ საქართველოში ისეა, რომ, ვინც ძლიერი და მდიდარია, ის არის მართალი, როგორც ბატონმა ბიძინამ პირველი ის დასაჯა, ვინც მისი ბანკი დააზარალა, ეს არის საბჭოთა კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ მე მისი მადლიერი ვარ და მხარდამჭერიც, მოყვარეს პირში უნდა უძრახო და, თუ ადამიანი ცდება, პირდაპირ უნდა უთხრა.

**– კონკრეტულად თქვენს შემთხვევაში როგორ იყო, მიმართეთ პროკურატურას?**

– მაქვს ჩანაწერები, ვიდეოები, როგორ მემუქრებიან, მივიტანე პროკურატურაში, მაგრამ არავის არაფერი გამოუძიებია. დასაკითხადაც კი არ გამოუძახებიათ ის კრიმინალური დაჯგუფება, რომელმაც ბიზნესი წამართვა. თუ არ გამოიძიე, გამოდის, რომ ყველამ გააჩუქა თავისი ბიზნესი, მაგრამ ყველას აქვს მტკიცებულებები, რომ ნებით არ უჩუქებიათ. „კავკაზუს ონლაინი", რომელშიც ჩემი წილი 100 მილიონი იყო, წართმეულია, მაგრამ პროკურატურა არ იძიებს, ის პიროვნებები კი ჩემს კომპანიაში შოულობენ ფულს და ჩემ წინააღმდეგვე ხარჯავენ.

**– ბიზნესების მითვისების როგორი სქემით მუშაობდა „ნაციონალური მოძრაობა"?**

– სახელმწიფო ინსტიტუტები ახორციელებდნენ შეტევას ბიზნესმენზე. მაგალითად, ვანო მერაბიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებს იყენებდა ბიზნესმენის მოსასმენად: ისმინებოდა მისი ტელეფონი, უთვალთვალებდნენ, უნერგავდნენ აგენტებს. მაგალითად, ჩემს შემთხვევაში გადაიბირეს ჩვენი კანცელარიის უფროსი, მთელი ჩვენი ჩანაწერების, დოკუმენტების, მიმწოდებლების ვინაობის ჩათვლით, ქსეროასლები გააკეთებინეს და მიატანინეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**– ანუ, თავდაპირველად, კომერციულ საიდუმლოებას იგებდნენ?**

– შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის ძალებს იყენებდა ბიზნესმენების კომერციული ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომ გაეგოთ იმ ბიზნესის ლოგიკა. ამის შემდეგ იწყებოდა ბიზნესმენზე შეტევა: მის ობიექტზე შედიოდა საგადასახადო, თუ რამეს მოუნახავდნენ, რომ დამალა შემოსავალი ან კანონი დაარღვია, მაშინვე ჩაავლებდნენ ხელს, შეაგდებდნენ ციხეში და იწყებოდა მასზე ზეწოლა, რომ გადაეფორმებინა ქონება. ემუქრებოდნენ, რომ გაუუპატიურებდნენ ცოლს, ქალიშვილს და ვიდეოს აჩვენებდნენ ან ამას მის თვალწინ გააკეთებდნენ. ზაურ ცხადაძე, მკლავჭიდელი, ხომ ნახეთ, ნახევარი ადამიანი გამოვიდა ციხიდან, იმიტომ რომ არ დათმო თავისი 20-პროცენტიანი წილი, ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ, ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, ის კომპანია გააკოტრეს, რომელშიც 20-პროცენტიანი წილი ჰქონდა.

თუ ვერ ნახავდნენ დარღვევებს, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში იყო, იბირებდნენ თანამშრომელს. მე, მაგალითად, ვერაფერი მომინახეს, თუმცა საგადასახადომ შეამოწმა 5-წლიანი პერიოდი. პირიქით, გადახდილ გადასახადებში ზედმეტობა მქონდა, იმიტომ რომ ვიცოდი, რა ხალხიც იყო და ჩემი საფინანსო განყოფილება გაფრთხილებული მყავდა, საგადასახადო კოდექსის ორმაგი ინტერპრეტირებისას გადასახადი უარესი ინტერპრეტაციით გადაეხადათ. იმიტომ რომ საგადასახადო, როგორც წესი, ორმაგი ინტერპრეტირების შემთხვევაში ედავებოდა ბიზნესმენს. შემდგომ ამ პატარა დანაშაულს სამმაგად უზრდიდნენ ყოველთვიურად საურავების დარიცხვით. 25 წელია, ბიზნესმენი ვარ, ვიცოდი, ვინც იყვნენ, ამიტომ სუფთად მქონდა ყველაფერი. ამით რომ ვერაფერს გახდნენ, კაბელების გადაჭრა დაიწყეს ქუჩაში და მარეგულირებელი კომისია მაჯარიმებდა. ბოლოს მითხრეს, რომ 5 წლის განმავლობაში ინტერნეტს იაფად ვყიდდი და ამის გამო ბიუჯეტმა ვერ მიიღო 11 მილიონი დღგ-ს სახით.

**– ძვირი თუ იქნებოდა მომსახურება, ხომ უფრო ნაკლები აბონენტი ჩაერთვებოდა?**

– კომპანიას ყოველთვიურად მილიონი ლარი ჰქონდა მოგება, მე არ მინდოდა, რომ 2 მილიონი ჰქონოდა?! მაგრამ საბაზრო ფასად ვყიდდი ჩვენს მომსახურებას. ბოლოს, მითხრეს, ეს 11 მილიონი გადაიხადე და შემდეგ გვიჩივლეო. მე უარი ვუთხარი, მაშინ დამემუქრნენ, თუ გადაიხდი, ციხეში წახვალ და იქ ქურდებს დაუმტკიცე, რომ ინტერნეტს იაფად არ ჰყიდდიო. ამის შემდეგ მოვიდნენ სააკაშვილის ბიზნესმენები და შემომთავაზეს, რომ ეს პრობლემები მოიხსნებოდა, თუ მათ წილის 50 პროცენტს გადავუფორმებდი.

**– ანუ აწყობილ ბიზნესებს იღებდნენ?**

– როდესაც ბიზნესის მეპატრონე ციხეში ჰყავდათ, ვანო მერაბიშვილი მიღებული ინფორმაციის საშუალებით, მომწოდებლებს თვითონ უკავშირდებოდა. მაგალითად, დაიჭერდა წიწიბურის მომწოდებელს და თვითონ იღებდნენ იმ ბაზარს. ასე გუდავდნენ ბიზნესმენებს და მთელ ბაზარს ხელში იგდებდნენ. ახლა რომ ჰკითხოთ, კანონიერად აქვთ მიღებული ბიზნესები. არადა, კრიმინალები არიან და ციხეში უნდა ისხდნენ. აი, ასე ააწყო ვანო მერაბიშვილმა ბიზნესები.

**– მაგრამ ბიზნესს ხომ მართვა სჭირდება?**

– როდესაც ყველა ბიზნესს აკონტროლებ, შემდეგ უბრალოდ იყოფ ბაზარს.

**– ბაზარი რომ დაყოფილია, იმითაც ჩანს, რომ ჩვენთან არასდროს მოუკლავთ ბიზნესმენი, ჯვარი სწერიათ, არც არანაირი დაპირისპირება ყოფილა არასდროს. იმის თქმა მინდა, რომ კონკურენცია არ იგრძნობოდა და არც იგრძნობა.**

– გაძარცვული ბიზნესმენების 95 პროცენტი ქართველია, ისინი, ვინც ნამდვილად დამოუკიდებელი იყო. დღეს ის ადამიანები ულუკმაპურ-

# როგორ გახდა ბრიგადის გენერალ ვახტანგ კაპანაძის 22 წლის ქალიშვილი თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე

აწ უკვე გაერთიანებული შტაბის უფროსი ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, 1960 წელსაა დაბადებული. თავდაპირველი განათლება თსუ-ს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო და სპეციალობით ოკეანოლოგია. 1996 -1997 წლებში გერმანიაში სწავლობდა, მარშალის სახელობის სამხედრო ბიუჯეტის დაგეგმარებისა და უსაფრთხოების კოლეჯში; 1998 წელს – უკრაინის ეროვნული სამხედრო აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1999 წელს ოქროს მედლით დაამთავრა; 2002-2003 წლებში კი – აშშ-ის სახმელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯში გაიღრმავა განათლება.

თავდაპირველი პროფესიიდან გამომდინარე, მისი სამუშაო გამოცდილება 1983 წელს იწყება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში; სადაც 1990 წლამდე კასტროლოგია – სპელეოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკი იყო. 1990 წელს, რატომღაც, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახდა (რატომღაც. რადგან სამხედრო განათლება ჯერ არ ჰქონდა მიღებული) და პოსტზე 1991 წლამდე მუშაობდა, 1991-1992 წლებში ავღანეთის ვეტერანთა ბატალიონის შტაბის უფროსი გახდა, 1992-ში – სპეციალური დაზვერვის ბატალიონის მეთაური; 1993-1995 წლებში – საქართველოს გენერალური შტაბის საჯარისო დაზვევრის სამმართველოს განყოფილების უფროსი; 1995-დან 1999-მდე კი დაზვერვის მთავარი სამმართველოს საჯარისო დაზვერვის სამმართველოს უფროსი იყო; 1999 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურად დაინიშნა. 2001 წლიდან გენერალურ შტაბში სხვადასხვა თანამდებობა მოიარა, თუმცა 2004 წელს გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა, 2005 წელს – საქართველოს პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველად, 2006 წელს აფხაზეთის მთავრობის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსად გადაიყვანეს და იმავე წელს აფხაზეთის მთავრობის მინისტრის მოადგილედაც იმუშავა. 2007-ში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი გახდა, იმავე წელს სრულუფლებიან და საგანგებო დესპანად გადაიყვანეს პოლონეთის რესპუბლიკაში; 2008 წლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე კი საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე იყო, რის შემდეგაც დღემდე გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.



მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან მოყოლებული სახელმწიფო თანამდებობებზეა, საჯარო სამსახურის ბიუროში ბ-ნი კაპანაძის ერთადერთი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაცია იძებნება – 2013 წლის 18 ოქტომბერს შევსებული, რომლიდანაც ვიგებთ, რომ მას ჰყავს მეუღლე – ინგა ნებიერიძე და ორი ქალიშვილი: 1990 წელს დაბადებული ანა და 1994 წელს დაბადებული ქეთევანი.

ვახტანგ კაპანაძის საკუთრებაა: ბინა თბილისში, დგებუაძის ქუჩაზე (70 კვ. მ. ფართობის), მიწის ნაკვეთი დაბა კოჯორში (1 000 კვ. მ. ფართობის), მიწის ნაკვეთი სამცხე-ჯავახეთში (600 კვ. მ. ფართობის), მიწის ნაკვეთი ასურეთში (600 კვ. მ.), მიწის ნაკვეთი გლდანში (600 კვ. მ. ფართობის) და საცხოვრებელი სახლი კოჯორში (130 კვ. მ. ფართობის). ინგა ნებიერიძის საკუთრებაა ბინა თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე – 115 კვ. მ. ფართობის და ბინა თბილისში, კრწანისის ქუჩაზე (60 კვ. მ. ფართობის).

ვახტანგ კაპანაძის სახელზე გაფორმებულია ორი პისტოლეტი – glock-30 და bereta, ხოლო ინგა ნებიერიძეს ჰყავს ორი ავტომანქანა – mersedes ML და mersedes CLK.

2012 წლის განმავლობაში ბ-ნმა კაპანაძემ, როგორც საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილემ, 20 000 ლარი მიიღო, როგორც გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილემ კი – 11 240 ლარი. ინგა ნებიერიძემ, როგორც საქართველოს იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა – 16 000 ლარი, ხოლო ანა კაპანაძემ, რომელიც 22 წლის ასაკში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამართველოს უფროსის მოადგილე გახლდათ – 11 000 ლარი.

ბ-6 კაპანაძეს გასულ წელს შვილის სწავლის საფასური 6 000 ლარი დაუჯდა, 2 000 აშშ დოლარი კი ავტომანქანის გასხვისებით მიიღო, სამაგიეროდ, მის მეუღლეს შეუძენია ავტომანქანა 5 500 აშშ დოლარად.

**ნინო ხაჩიძე**

---

ოდ არიან. მაგალითად, „მაგნატის“ მფლობელი ლეონიძე დღეს „ბომჟია“, ვაგონში ცხოვრობს, მაშინ, როდესაც 80 მილიონის კაპიტალი ჰქონდა. არათუ საქმის დასაწყებად, საჭმლის ფული არ აქვს. ეს ფულწართმეული ხალხი ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს იმ ბობოლა მონოპოლისტებს, რომლებიც ვანო მერაბიშვილთან მუშაობდნენ. არადა, მარსიდან ხომ არ ჩამოვლენ ბიზნესმენები? საქართველოში შემოსვლა კი ჯერჯერობით არავის უნდა, იმიტომ რომ ჯერ ბიზნესს ის უნდა დაუმტკიცო, რომ ქვეყანაში კანონი კანონობს. სხვა შემთხვევაში, შემოვა ოლიგარქი, რომელიც ბატონი ბიძინასგან აიღებს გარანტიებს და წილებს გაიყოფს. ისინი არ არიან ბიზნესმენები, ისინი ვერ ეგუებიან კონკურენციას. მათ უნდა მისცე სფერო, ჩადებენ იქ ფულს და აიღებენ 5-ჯერ მეტს. მცირე და საშუალო ბიზნესი მათ კონკურენციას ვერ გაუწევს, რადგან გაძარცვულია და კაპიტალი წართმეული აქვს. დღესაც გაყოფილია ბაზარი, ისევ მიშას ბიზნესმენები არიან და ისევ ისე ძარცვავენ ხალხს, ბიზნესებს ისევ ის მონოპოლისტები აკონტროლებენ და ამიტომაც არ იცვლება არაფერი და ვერც ბატონი ბიძინა შეცვლის.

– **რატომ ვერ შეცვლის, ასე ძლიერები არიან?**

– დანაშაულს თუ არ გამოიძიებ, როგორ შეცვლი?! საქმე ისაა, რომ ყველაფერს აქვს თავისი კანონზომიერება. მიშასთან იმიტომ შემოდიონენ მხოლოდ ოლიგარქები, რომ კანონი არ არსებობდა. არავინ შემოვა საქართველოში, თუ კანონი არ იკანონებს, რადგან არ იქნება გარანტია, რომ ხვალ მასაც არ წაართმევენ ბიზნესს. ანუ ბიძინასგან უნდა მიიღოს პირადი გარანტიები და ყველა მცირე ბიზნესმენი ბიძინასგან ხომ არ აიღებს გარანტიას?! ამიტომ აქ სხვა არავინ ჩადებს ფულს, სულ მონოპოლისტები იქნებიან.

– **ისევ სააკაშვილის ბიზნესმენები არიან და ახლა წილს ახალი მთავრობის მედროვეებსაც უყოფენო. რას შოულობენ ამდენს ამ ღარიბ ქვეყანაში, რომ ყველას ჰყოფნის?**

– ახლებიც წილში იქნებიან აუცილებლად, იმდენად დიდია მონოპოლიური მოგება, რომ იციან მისი სიტკბო და გაყოფა. ამიტომაც არ იცვლება მონოპოლიური ფასები.

– **არ დავასახელებ ვინაობას, ახლა მაღალი რანგის თანამდებობის პირია, როდესაც ოპოზიციაში იყო ჟურნალისტური გამოძიებისთვის, რომელიც საწვავის ფასებს ეხებოდა, მასალა ავიღე მისგან და მითხრა, რომ საქართველოში ხელოვნურად იბლოკება თურქმენეთიდან საწვავის შემოტანა. ერთი წელია, ხელისუფლებაშია, მაგრამ საწვავი ისევ არ შემოდის თურქმენეთიდან.**

– ახლებსაც აუხსნეს, რომ დაჩოქილი ხალხი უკეთესია და ისინიც ამ სქემაში ჩასხდნენ. დღესაც ბევრი მედროვეა. ძღებიან, ამბობენ, რა ქნას, ოჯახი აქვს სარჩენი და პოლიტიკა ბინძური საქმეაო. არადა, ბევრისთვის ღირსების საქმეა პოლიტიკა.

– **თუ არის ბიზნესის უცხოელებისთვის წართმევის შემთხვევები?**

– ჩემი პარტნიორი უცხოელი არ იყო?! ვინც გარისკა და მიშასთან დაახლოების გარეშე ჩადო ფული, ყველას წაერთვა და ყველა განადგურდა. სააკაშვილის დოქტრინა იყო, რომ ქართველ კაცს არ უნდა ჰქონოდა ფული, რომ ქართველი არ დაესაქმებინა. ყველა ეროვნებისთვის უნდა შეეწყოთ ხელი ბიზნესში, გარდა ქართველისა, იქნებოდა ეს სომეხი, ყაზახი, აზერბაიჯანელი, თურქი, რუსი თუ სხვა. მხოლოდ ქართველ კაცს არ უნდა ჰქონოდა ფული, რომ ქართული საქმე არ გაეკეთებინა. სხვათა შორის, სომხები აფხაზეთში ბიზნესში აფხაზებს არ აჭაჭანებენ. ბატონ ბიძინას უნდა დავუფასოთ ქართველებმა, რომ სამშობლო დაგვიბრუნა, მაგრამ ქართველ კაცს, რომელსაც ქონება წაართვეს, უნდა დაუბრუნდეს. მე ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გადამხდელი ვიყავი და ძალიან მეამაყებოდა ჩემი ქვეყნისთვის გადასახადების გადახდა. ბევრ ქართველ ბიზნესმენს ესახელებოდა და ეამაყებოდა ეს, მაგრამ ბიზნესები წაართვეს, რომ კაპიტალი აღარ ჰქონდათ და მხოლოდ იმაზე ეფიქრათ, როგორმე საჭმელი ეშოვათ. 99 პროცენტს წაართვეს ქონება, მე კიდევ ჭკუით ვაჯობე, რაღაცნაირად მოქნილად ვიმოქმედე და კრიმინალებს ხელიდან დავუსხლტი, თორემ დღეს მეც არაფერი შემრჩებოდა, მაგრამ 99-მა პროცენტმა რომ გულუბრყვილოდ შეაკლა თავი და ყველაფერი დაკარგა?! განა სახელმწიფოს ვალდებულება არ არის, რომ იმ ხალხს თავისი ღირსება და ქონება დაუბრუნოს?!

– **დღეს საქართველოში არანაირი ბიზნესი არ გაქვთ?**

– არც მექნება, თუ არ იქნება სამართალი, თუ არ დამიბრუნდება ჩემი ქონება და არც ჩემს შვილებს ჩამოვიყვან უკანონო ქვეყანაში.

– **ინგლისში რა საქმიანობას ეწევით?**

– ლონდონის ცენტრში მაქვს ბიზნესი, ჩემი შვილები ინგლისის ყველაზე კარგ სკოლებში სწავლობენ, 4 შვილი მყავს, იზრდებიან ინგლისური კანონებით და იციან შრომისა და კანონის პატივისცემა. მაგრამ მე მაინც ბოლომდე მივიყვან ჩემს საქმეს და დავიბრუნებ, რაც მეკუთვნის.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სიბერე კვლავაც სიღარიბის სინონიმია, რასაც არც სუბიექტური მიზეზები აკლია და არც ობიექტური. ამიტომაც დღის წესრიგში პენსიის დაგროვებითი სისტემის დანერგვის საკითხი დადგა. რას ითვალისწინებს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელი ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეები ისარგებლებენ ამ ინიციატივით და როდის შეძლებენ საქართველოს პენსიონერები სიბერის ღირსეულად გატარებას. თემას ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე განგვიმარტავს.**

# რას ნიშნავს სამსაფეხურიანი საპენსიო სისტემა, შეუნარჩუნდება თუ არა, საპენსიო რეფორმით, მინიმალური პენსია ყველას და რაზე იქნება დამოკიდებული საბოლოო პენსიის სიდიდე



**საფრანგეთში პენსიაზე გასვლის შემდეგ მამაკაცები საშუალოდ ცხოვრობენ 22 წელიწადს, ხოლო ქალები – 28 წელიწადს. ჩვენთან ეს ციფრი ქალებისთვის, დაახლოებით, 15 წელიწადია, მამაკაცებისთვის – 7**

**– რასაც ჩვენ დღეს პენსიას ვუწოდებთ, არ არის, კლასიკური გაგებთ, პენსია, ეს ერთგვარი სოციალური დახმარებაა ხანდაზმულებისთვის. რა არის მთავრობის მიერ შემოთავაზებული ახალი დაგროვებითი მოდელის არსი?**

– ეს სუფთა ქართული ნოუ-ჰაუ არ არის. ეს არის მოდელი, რითაც სარგებლობს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა. იქ, სადაც საბაზრო ეკონომიკა უკვე დამკვიდრდა და, იმავდროულად, გარკვეული პრობლემებია დემოგრაფიული სტრუქტურის თვალსაზრისით: გაიზარდა შედარებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეების წილი და შემცირდა ბავშვების წილი. ეს ჩვენთან მოხდა და არა იმიტომ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა, არამედ, მთავარი მიზეზი ისაა, რომ შობადობაა შემცირებული და ამან გამოიწვია მაღალი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. ოპტიმალური იქნებოდა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა საპენსიო ასაკის ადამიანებზე 4-ჯერ მეტი ყოფილიყო. ჩვენთან სრულიად განსხვავებული სურათია და არა მარტო საქართველოში. ფრჩხილები რომ გავხსნათ, ჩვენთან გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა საგრძნობლად ჩამორჩება ამ გადასახადების იმედზე მყოფი ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის რაოდენობას. ამ ფონზე ძველი მოდელის შენარჩუნება ნიშნავს, რომ მაღალი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა გავწიროთ ცხოვრების ძალიან დაბალი დონისთვის.

**– თუ არ მეშლება, ჩვენთან მილიონ 600 ათასია სამუშაო ძალის ოდენობა, საიდანაც დაქირავებით დასაქმებულია 600 000, ხოლო პენისონერთა რაოდენობა უახლოვდება 800 000-ს, რაც იმას ნიშნავს, სამუშაო ასაკის ყველა მოქალაქეც რომ იყოს დასაქმებული, მაინც გაგვიჭირდებოდა ჩვენი საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შესაქმნელად.**

– დიახ, ამ მხრივაც, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ერთ პატარა „საიდუმლოს" გავამხელ: დასაქმებულებს შორის არიან ის ადამიანებიც, რომლებიც გასცდნენ საპენსიო ასაკს, მაგრამ პენსიონერებს არ მიეკუთვნებიან იმის გამო, რომ განაგრძობენ მუშაობას. ისინი დე-ფაქტო აქტიური მოსახლეობაა, თუმცა, ასაკობრივი ნიშნით, დასაქმებულებს არ მიეკუთვნებიან. სხვა ფაქტორებსაც თუ დავამატებთ, კიდევ უფრო მძიმე სურათს მივიღებთ. გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობა ძალიან მონდომებულია, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა დანერგოს. ეს არ არის ერთჯერადი აქტი, ამას გარკვეული მუშაობა დასჭირდება და ამით ისარგებლებენ, უპირველესად, ის ადამიანები, რომლებიც დღეს თავიანთი შრომისუნარიანობისა და ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში არიან.

**– თუ შეიძლება, ასაკი დავაკონკრეტოთ.**

– დაახლოებით, 40 წლამდე ასაკის მოსახლეობა, იმიტომ რომ დაგროვებით საპენსიო სისტემას გარკვეული დროც სჭირდება და რესურსებიც. ვნახოთ, როგორია კლასიკური საპენსიო მოდელი: სახელმწიფო უარს არ ამბობს თავისი ხანდაზმული მოსახლეობის დახმარებაზე. სოციალურ დახმარებას თუ სოციალურ პენსიას მიიღებს ქვეყნის ყველა მოქალაქე, რომელიც საპენსიო ასაკის იქნება.

**– დავაზუსტებ, ანუ იმ თანხას, რაც დღეს შეადგენს 150 ლარს?**

– დაახლოებით, საარსებო მინიმუმის დონეზე სოციალურ პენსიას გარანტირებულად მიიღებს ქვეყნის თითოეული მცხოვრები, მიუხედავად მისი დამსახურებისა, შრომითი სტაჟისა და ამ პერიოდში მის მიერ გამომუშავებული თანხისა. მაგრამ, ამის გარდა, გვაქვს სტრატეგია: ვიყოთ განსხვავებულები სიმდიდრეში და არა მსგავსნი სიღარიბეში. ეს არის ჩვენი სამერმისო საქმიანობის სლოგანი და ითვალისწინებს, რომ ადამიანები თავიანთი კეთილდღეობის დონესა და ხარისხს უნდა განსაზღვრავდნენ თავიანთი შრომითი საქმიანობის დროს და ისინი დადგებიან არჩევნის წინაშე: დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი? ანუ მათ შეეძლებათ, გარკვეული თანხა შეიტანონ საპენსიო ფონდებში.

**არსებობს მესამე საფეხურიც: თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენი პენსია უფრო მეტი იყოს, შეგიძლიათ, გააფორმოთ ხელშეკრულება რომელიმე საპენსიო ფონდთან და შეიტანოთ შენატანები ყოველთვიურად**

**– რა განსხვავებაა ბანკში და საპენსიო ფონდში შენატანს შორის?**

– თქვენ თავისუფალი ხართ თქვენს არჩევანში.

**– ის, რომ ბანკში ფულის შეტანა უფრო რისკიანია?**

– საპენსიო ფონდი შეიძლება, იყოს სახელმწიფო ან კერძო, მსჯელობის პროცესშია ეს საკითხი. ბევრ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საპენსიო ფონდები. როდესაც თანხების აკუმულირება ხდება, 40 წლის ადამიანი, რომელიც საპენსიო ფონდში გადარიცხავს თანხას, იმის ილუზიით არ უნდა იკვებებოდეს, რომ ის თანხა იქნება უძრავად და უკან დაუბრუნებენ 20 თუ 25 წლის შემდეგ. რა თქმა უნდა, ის ფული არ არის გაჩერებული, მუშაობს და რაღაც ნაწილს გააჩნია საინვესტიციო დატვირთვა. მაგალითად, როდესაც 40 წლის ასაკში დაიწყებს ადამიანი თანხის შეტანას და 65 წლის ასაკში მოუწევს პენსიაზე გასვლა, ამ 25 წლის განმავლობაში მის მიერ შეტანილი თანხა ბრუნავს, იზრდება და ცივილიზებული ურთიერთობის პირობებში პენსიის სიდიდე განისაზღვრება არა მხოლოდ მოქალაქის მიერ შეტანილი თანხის სიდიდით, ინდექსირების გათვალისწინებით, არამედ, პლუს მოგების იმ ნაწილით, რაც ამ თანხის მეშვეობით იქნა მიღებული ამ ხნის განმავლობაში.

**– თუ დასავლეთის მაგალითს ავიღებთ, ჩვენ ვიცით, რომ იქ ანაბრებზეც დაბალი საპროცენტო განაკვეთია და სესხებზეც, ჩვენთან ორივე მაღალია, თუმცა კრედიტებზე – არაადეკვატურად მაღალი. საპენსიო ფონდის მიერ დარიცხული პროცენტი უფრო მაღალია თუ საბანკო ანაბარზე დარიცხული?**

– საბანკო პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ იქ უფრო დაბალია ჩვენთან შედარებით, მაინც უფრო მაღალია, ვიდრე იქაურ საპენსიო ფონდში არსებული. აქ ლაპარაკია მასშტაბებზე: რისკის ფაქტორი განაპირობებს საპროცენტო განაკვეთის სიდიდესაც.

**– მესმის, მაგრამ დასავლეთში ანაბრები ხომ დაზღვეულია, მაშინ სად არის რისკი?**

– დაზღვეულია ანაბარზე შეტანილი თანხის გარკვეული რაოდენობა. მაგალითად, ევროპაში ის გაზარდეს 100 000 ევრომდე; რუსეთში გაზარდეს 40 000 – დოლარამდე. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა პოსტსოციალისტურ სივრცეში, რომელსაც არ აქვს ანაბრების დაზღვევა.

**– იმას ამბობთ, რომ საპენსიო ფონდებს აქვს დაბალი რისკი და არიან უფრო სტაბილურები?**

– დიახ და სახელმწიფო აწარმოებს მონიტორინგს და ცუღლუტობებს ნაკლებად უნდა ველოდოთ, ვიდრე ბანკების შემთხვევაში, რადგან ბანკები აბსოლუტურად დამოუკიდებელი სტრუქტურებია და გამორიცხულია სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა.

**– ჩვენც იმ დაგროვებითი საპენსიო სისტემისკენ მივდივართ, რაზეც თქვენ ახლა ისაუბრეთ?**

– ჩვენ ახლა ვდგავართ გზაჯვარედინზე, იყოს თუ არა ნებაყოფლობითი შენატანები საპენსიო ფონდში; მოხდეს თუ არა საშემოსავლო გადასახადის გადამისამართება საპენსიო ფონდში.

**– ანუ შესაძლოა, 20-პროცენტიანი საშემოსავლოდან გადაირიცხოს თანხები საპენსიო ფონდში ან იმ 20 პროცენტს ზემოთ დამატებით გადარიცხოს თანხა დაქირავებულმა?**

– ჯერჯერობით რიტორიკული კითხვებია, პასუხები არ არის. ბევრი ვარიანტია, მაგრამ ზუსტად არ ვიცით, რა გზით წავლენ და რა მეთოდებს შემოგვთავაზებენ; ვფიქრობ, ამაზე მხოლოდ მთავრობის ძალისხმევა არ იქნება საკმარისი, უნდა გაიმართოს საზოგადოებრივი მსჯელობა, მათ შორის, მეცნიერების, პრაქტიკოსების კომპეტენტური სიტყვის მონაწილეობ-

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

# როგორი ქორწილი გადაუხადა დიმა სანაკოევმა უფროს შვილს და რატომ არ მიიწვია მან ქორწილში მინისტრები

*მართალია, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ДИМА САНАКОЕВИ ქართულ პოლიტიკურ ორბიტაზე აქტიურად აღარ ჩანს, მაგრამ როგორც თავად ამბობს, პრობლემები არც ახალ ხელისუფლებასთან აქვს და მათთან აქტიურად თანამშრომლობს. მიშა სააკაშვილის მიერ „აღმოჩენილი" ლიდერი, რომელსაც ოს და ქართველ ხალხს შორის ურთიერთობის დათბობა ერგო მისიად, ამაზე საკუთარ ოჯახშიც „ზრუნავს". გასულ კვირას მისი შვილი ქართველ გოგონაზე დაქორწინდა, რასაც რესტორან „მონოპოლში" ქართულ-ოსური ტრადიციული ქორწილი მოჰყვა. „თბილისელები" ულოცავს გაბედნიერებას ახალდაქორწინებულებს და ქორწილის დეტალებზე მამამთილის ამპლუაში, დიმა სანაკოევს წარმოგიდგენთ.*



**– ბატონო დიმა, ამ ბოლო დროს საერთოდ აღარ ჩანხართ. როგორ ხართ, რას საქმიანობთ?**



– მთავრობის პოზიციაა ასეთი და მეც წყნარად, მშვიდად მირჩევნია მუშაობაც და ცხოვრებაც. ურთიერთობები ცხინვალის მიმართულებით ახლა სხვა ფორმატშია. ჯერჯერობით პოლიტიკური აქტივობები აქტუალური არ არის, ჩვენი მთავარი საქმეა მივყვეთ იმ კურსს, რაც საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა გამოაცხადა ინაუგურაციაზე, სადაც მეც ვიყავი მიწვეული. მე ვესწრებოდი პრეზიდენტის ინაუგურაციას, ისევე როგორც აფხაზეთის და აჭარის მთავრობების წარმომადგენლები. დღეს ჩვენი მიზანია აქტიურად ვიმუშაოთ ხალხთან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ვეხმარებით ადამიანებს, რომ გადმოვიდნენ აქეთ, იმკურნალონ. უკვე ძალიან ბევრი ხალხი ჩამოდის ცხინვალიდან თბილისში სამკურნალოდ, ნათესავებთან. „ხალხური დიპლომატია" მაინც ყველაზე კარგად მუშაობს. მე კი დავფუძნდი თბილისში, ჩემი სამივე შვილი აქაა, მაგრამ ვფიქრობ, ეს მაინც დროებითია – მინდა, ცხინვალში დავბრუნდე და წერეთლის ქუჩაზე ჩემს სახლში ვიცხოვრო, სადაც ახლა ჩემი მშობლები და და არიან.



**– თქვენ წინა ხელისუფლების მიერ აღმოჩენილი სახე ხართ. როგორი ურთიერთობა გაქვთ ახალ პოლიტიკურ გუნდთან?**

– ჩემი თანამშრომლობა ახალ ხელისუფლებასთან ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობს და არა მგონია, პრობლემები შეიქმნას. მათ ძალიან კარგად იციან, რომ თბილისში უნდა არსებობდეს ოფისი, რომელიც იმუშავებს ოს და ქართველ ხალხთან, ვინც იქით დარჩა და იმ ოსებთან, ვინც თბილისში არიან. სახელი როგორი ექნება ამ ოფისს, ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, იყოს ოფისი, სადაც დახმარებას გაუწევენ ადამიანებს. მე ჯერ არ შევხვედრივარ ახალ პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს. თუმცა გიორგი მარგველაშვილს შევხვდი, როცა განათლების მინისტრი იყო. ამ ერთი წლის განმავლობაში მქონდა აქტიური თანამშრომლობა როგორც რეინტეგრაციის სამინისტროსთან, ასევე სხვა სამინისტროებთან.

**– ამ შვიდი წლის განმავლობაში, რაც თბილისში ხართ, არაერთი სკანდალი აგორდა თქვენთან დაკავშირებით. ამას წინათ, სახალხო პარტიამაც მოგიწყოთ მიტინგი ადმინისტრაციასთან.**

– ჰო, ნოდარ ნათაძე იყო მოსული თავისი პარტიის წევრებთან ერთად. საზოგადოებას აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი და დამოკიდებულება. ის ხალხი, ვინც აქციაზე მოვიდა ადმინისტრაციასთან, ძირითადად, კონსტიტუციაში სტატუსის განსაზღვრასთან დაკავირებით გამოხატავდნენ საკუთარ აზრს. მე სულ ვამბობ, რომ ამ წლებში შეიძლება ყველაფერი არ იყო სწორად, შეცდომებიც გვქონდა, მაგრამ ის ნაბიჯები, რაც ჩვენ გადავდგით, რომელიც მიმართული იყო ხალხის შესარიგებლად, მართლაც სწორი იყო. მე ყველაფერი გავაკეთე ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობის დათბობისთვის.

**– როგორც ჩანს, ამაზე საკუთარ ოჯახშიც „ზრუნავთ". ცოტა ხნის წინ, თქვენი შვილი ქართველ გოგონაზე დაქორწინდა.**

– ჩემი უფროსი შვილი – ალსარი დაქორწინდა. ჩემი რძალია მშვენიერი გოგო – ნინო ჯანგირაშვილი. ამაზე თურმე წერდნენ, რომ დათო აქუბარდიას ცოლიც ნინო ჯანგირაშვილი ყოფილა და უხუმრიათ ვილაცეებს. მაგრამ, მე არც კი ვიცოდი, რომ ისიც ნინო ჯანგირაშვილი იყო. ჩემი შვილის ბედნიერება ჩემთვის ძალიან დიდი სიხარული იყო. სიხარულით ბევრი ვიტირე. ალსარი და ნინო ერთად სწავლობდნენ სკოლაში, მეთერთმეტე კლასი ერთად დაამთავრეს. მერე ალსარი უნგრეთში წავიდა სასწავლებლად, ნინომ თბილისში დაამთავრა ჭავჭავაძის უნივერსიტეტი. ვიცოდი, რომ ბავშვებს ერთმანეთი უყვარდათ, როცა გავიცანი, ძალიან მომეწონა ნინო. ჩვენ ყველანაირად შევუწყვეთ ხელი. ალსარს ვუთხარი: თუ გიყვართ ერთმანეთი, მიდით და დაქორწინდით-მეთქი და დღეს უკვე ბედნიერი ოჯახი აქვთ. ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერეს.

**– ამბობენ, რესტორან „მონოპოლში" გრანდიოზული ქორწილი გადაუხადეთ.**

– ეს იყო ჩემი საჩუქარი შვილის და რძლისთვის. არ ვიცი, იყო თუ არა ქორწილი გრანდიოზული, მაგრამ ტრადიციული ქართულ-ოსური ქორწილი ნამდვილად გვქონდა. ქართული და ოსური ქორწილი ტრადიციებით ერთმანეთს ჰგავს. ადრე ოსურ ქორწილში საოცარი წესები იყო – სიძე ქორწილში არ ჩანდა და პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მეჯვარეს, რომელსაც პატარძალი უნდა ჩაებარებინა სიძისთვის. ახლა ოსურ ქორწილში ასე აღარაა, თუმცა ჩრდილო ოსეთში მაინც არის შენარჩუნებული. ჩვენ გვქონდა კარგი ქორწილი, ალსარს ეცვა ქართული ჩოხა, ნინოს – ოსური კაბა. სიძე-პატარძალმა ხანჯლების ქვეშ გაიარეს. ქორწილში გვქონდა როგორც ქართული კერძები, ასევე ოსური სამზარეულოც. 400-მდე სტუმარი გვეწვია – ქართველები, ოსები. ძალიან ბევრი სტუმარი ჩამოგვივიდა ვლადიკავკაზიდან, მათ შორის იყვნენ როგორც ჩემი მეგობრები, ასევე ჩემი ბიჭის ფეხბურთელი მეგობრები. ალსარი ფეხბურთელია და ამ წრეში ბევრი მეგობარი ჰყავს.



**– ქორწილში პოლიტიკური ელიტა გყავდათ მიწვეული?**



– მინისტრის მოადგილეები იყვნენ, მინისტრები არ დავპატიჟე, მაინც არ მოვიდოდნენ ***(იცინის).*** ფეხბურთის ფედერაციიდან იყვნენ სტუმრები. თემურ ქეცბაიაც იყო. ვლადიკავკაზიდან სპეციალურად ჩამოვიდა იქ ძალიან ცნობილი მომღერალი ვალერა ხურიევი. მან საგანგებოდ ამ ქორწილისთვის დაწერილი სიმღერები შეასრულა ქართულ-ოსურ მეგობრობაზე. სუფრაზე გვყავდა ორი თამადა – ერთი ოსი, მეორე – ქართველი, შესაბამისად, სადღეგრძელოები ოსურადაც ითქვა და ქართულადაც. კარგი ღვინო მქონდა, ატენური. იმდენი ღვინო დაილია, ბოლოს დაგვაკლდა კიდეც. სახლში უზარმაზარი ყანწი მაქვს, რომელიც მეგობრების ხათრით წავიღე ქორწილში. მისი დალევა იოლი არაა – სამჯერ დაილია ეს ყანწი: მშვიდობის სადღეგრძელო ითქვა, ქართულ-ოსური ურთიერთობის და სიძე-პატარძლის. როცა დრო მოვა, ეს ყანწი ცხინვალში უნდა წავიღო – ჩემი გოგო ჯერ პატარაა, მისი ქორწილი ცხინვალში უნდა გადავიხადო. წერეთლის ქუჩას დავკეტავ და ისეთ ქორწილს მოვაწყობ, არავის დაავიწყდეს. ეს ყანწი იქაც გამოგვადგება ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

# რა „რევოლუცია“ მოუწყო ზურაბ წერეთელმა ლენინს წყალში და რაზე გაგიჟდნენ საბჭოთა ხელმძღვანელები

*20 ნოემბერს თბილისს ზურაბ წერეთელი მოსკოვის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, დაახლოებით 30-კაციანი დელეგაციით ეწვია. ჩამოსვლის ძირითადი მიზეზი 9 აპრილის ბაღში რამაზ ჩხიკვაძის „აზდაკის” ძეგლის გახსნა იყო, რომელსაც მთავრობის წარმომადგენლები და თეატრალური საზოგადოება ესწრებოდნენ. ძეგლის გახსნის შემდეგ სტუმრები რუსთაველის გამზირზე ზურაბ წერეთლის ხელოვნების მუზეუმის გახსნასაც დაესწრნენ და თბილისის ზღვაზე გადაიცნავლეს. წერეთლის საოცრების – ბრინჯაოში, რკინა-ბეტონსა და მინანქარში ჩამოსხმული სკულპტურულ-არქიტექტორულ-მონუმენტური ანსამბლის – „საქართველოს მატიანეს” ნახვით ხომ, რუსმა სტუმრებმა ლამის შოკი მიიღეს. ორი წლის წინ „თბილისელებმა” მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა, სადაც მან ვრცლად ისაუბრა თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და, ახლაც, მიუხედავად მცირე დროისა, მასთან ინტერვიუს ჩაწერა მაინც მოვახერხეთ.*



ექვთიმე თაყაიშვილის ანდერძი ვნახე. მისი უკანასკნელი სურვილი ყოფილა, მისი მეუღლე ჩამოესვენებინათ და მის გვერდით დაეკრძალათ. ეს დავიმახსოვრე. პარიზში ყოფნისას გადავწყვიტე, მისი სურვილი შემესრულებინა

**– ბატონო ზურაბ, თქვენ და რამაზ ჩხიკვაძე კარგი მეგობრები იყავით.**

– დიახ, რამაზიც და მისი მეუღლეც, ნატაშა, ჩემი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ, რამაზი უნიჭიერესი მსახიობი იყო, ხალხს უყვარდა. როცა ის თამაშობდა, ყოველთვის მივდიოდი თეატრში – მიყვარდა მის სპექტაკლებზე სიარული. როდესაც დაისვა საკითხი, რომ შეიქმნას მისი ძეგლი და წინადადებით მომმართეს, სიამოვნებით დავთანხმდი და გავაკეთე.

**– ახლა თბილისის ზღვაზე ვიმყოფებით. ამ მშვენიერ კომპლექსურ ნაგებობაზეც გვესაუბრეთ – როგორ იქმნებოდა „საქართველოს მატიანე?”**

– ამ პროექტის განხორციელება დაახლოებით 40 წლის წინ დავიწყე. დიდუბეში ზამთრის კომპლექსის აშენება გვინდოდა. მე და გურამ მირიანაშვილმა ბიუროზე გავიტანეთ პროექტი. განხილვის შემდეგ შევარდნაძემ დამტოვა და მითხრა: ხომ ხედავთ, როგორ ითხოვენ უნივერსიტეტში თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლებს. ხომ იცით, რომ ამის უფლებას მოსკოვი არ მოგვცემს. იქნებ, ისეთი რამ მოვიფიქროთ, რომ კომპლექსი გამოვიდეს და თავი ავარიდოთ ამ კონკრეტიზაციასო. ეს ყველაფერი, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. ჩავიკეტე, გავაკეთე ჩანახატები, ორი კვირის შემდეგ მივუტანე და ვაჩვენე. ასეთი მოცულობის კომპლექსი მსოფლიოში არ არსებობს. ადრე ასეთივე პროექტი მინდოდა ზღვის ირგვლივ (როგორც „დისნეი ლენდშია“), რომ მთელი საქართველო მეჩვენებინა. აქ რომ ამოვედი ადგილის დასათვალიერებლად, დამხვდა უზარმაზარი ორმო. თურმე – სტალინის უზარმაზარი ძეგლის დადგმას აპირებდნენ, რომელიც ასეთი უნდა ყოფილიყო: მზე, რომ ამოვიდოდა, სტალინის ქანდაკებაც ამოვიდოდა, მზე რომ ჩავიდოდა, სტალინის ქანდაკებაც ჩავიდოდა. მამაჩემმა მიამბო ეს ამბავი – თურმე, სტალინმა დაურეკა ჩარკვიანს და უთხრა: აი, მზე რომ ჩავა, მაშინ შენ დადექი იქო. გადავხედე, გადმოვხედე ტერიტორიას და, არავისთვის არაფერი მითქვამს, ისე დავიწყე „საქართველოს მატიანეზე” მუშაობა – მაშინ საერთოდ არ შეიძლებოდა ამაზე ლაპარაკი. გეგმის მიხედვით, ეს ჯვარია. თუ კარგად დააკვირდით, ეს წარწერები, რაც აქააა ამოტვიფრული, არქივიდანაა. ვიფიქრე: რამე რომ მოხდეს და დაიწვას ან, საერთოდ, გაქრეს არქივი, ყველაფერი აქ არის-მეთქი. აქ წერია, როგორ გაჩნდა პირველი ქართული ასო, და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, ყველა სკოლამ უნდა ამოიყვანოს ბავშვები და ელაპარაკონ აქ გამოსახულ თითოეულ გმირზე. მასალად გამოყენებულია ბრინჯაო, რკინა, ბეტონი, მინანქარი. საქართველო მე მიმაჩნია ხელოვნების, პოეზიისა და ტურიზმის ქვეყანად.

**– ბატონო ზურაბ, 60-იან წლებში თქვენ ასეთივე დიდი პროექტი განახორციელეთ ბიჭვინთაში. ნათელა კობიაშვილი, წიგნში – „ზურაბ წერეთელი, ან, იქ, სადაც მზე კაშკაშებს, ბნელი ვერ ჩერდება” – წერს, რომ, როდესაც თბილისის მთავარ აქრიტექტორს საბჭოეთში ცნობილი არქიტექტორი აშოტ მდოიანცი ესტუმრა და დაინახა, რომ მისი კაბინეტი თბილისის ბავშვთა კინოთეატრის ესკიზებით იყო სავსე, უკითხავს, ვისი ნამუშევრებიაო და, უთხრეს, ზურაბ წერეთლისო. მოსკოვში დაბრუნებულმა, მოსკოვის მთავარ არქიტექტორს, პოსოხინს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები. ამის შემდეგ პოსოხინმა თავისთან მიგიწვიათ. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ამის შესახებ.**

– ზაფხული იყო, მთაში ვიყავით ასულები. მე მთელი დღე სახატავად დავდიოდი. ერთხელაც, ტყის პირას ვზივარ და, უცებ, ვხედავ, ჩემ გვერდით ეშვება ვერტმფრენი. გადმოვიდა სამხედრო და მეკითხება: „წერეთელი არ გინახავთ?“ მე ვარ წერეთელი-მეთქი ვპასუხობ და გაკვირვებისგან ხელებიდან მცვივა ყველაფერი. ბიჭვინთაში გელოდებიან, ახლავე უნდა წავიდეთ, ვერტმფრენში დაბრძანდითო. რა იცოდით, აქ რომ ვიყავი, რა ხდება, ვინ მელოდება-მეთქი? ბიჭვინთაში ნამყოფი არ ვიყავი. გაიცინეს და, მივხვდი, რომ არ მაპატიმრებენ. ჩავჯექი ვერტმფრენში. რამდენიმე საათის მერე დავეშვით ბიჭვინთაში. სანაპიროზე გამაცნეს პოსოხინი. ხელკავი გამიკეთა და ერთად დავათვალიერეთ ბიჭვინთის შვიდი კორპუსი. ისეთი პროექტი უნდა გავაკეთო, რომ კორპუსები საერთოდ აღარ ჰგავდნენ ერთმანეთს. ესკიზები მოსკოვში ჩამოიტანე, შეძლებ? ვიფიქრე: შაგალი ვიტრაჟებსა და მინანქარს აკეთებდა, მეც გავაკეთებ; პიკასო ჩამოსხმითაც იყო დაკავებული, მე რატომ ვერ შევძლებ-მეთქი და მაშინვე დავეთანხმე. ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ისინი წავიდნენ, მე კი ისე დავრჩი, კაპიკი ფული არ მქონდა. რა ვქნა? სხვა გზა არ მაქვს, მატარებელში უნდა შევიპარო და ისე დავბრუნდე უკან. მართლაც ასე მოვიქეცი. გამიმართლა.

ბიჭვინთაში მრავალი ცნობილი ადამიანი გავიცანი. ერთხელ, ხარაჩოებზე შავი ცემენტით ვმუშაობ. სახე და ხელები გაშავებული მაქვს. რამდენიმე წყვილი იდგა და ქვემოდან მიყურებდა. თითქმის მთელი კვირა მაკვირდებოდნენ – აინტერესებდათ, რას ვაკეთებდი, როგორ ვმუშაობდი. ერთ-ერთმა მამაკაცმა მთხოვა, ქვემოთ ჩავსულიყავი. ჩავედი. გამეცნენ: კულიჯანოვი, გერასიმოვი მეუღლით, ფურცევა მეუღლით. ზანგ გინეკოლოგს ჰგავხარო, – მითხრა გერასიმოვმა და ყველას სიცილი აუტყდა. შემდეგ შემომთავაზეს მოსკოვში კინოსახლის დეკორატიული გაფორმება. სხვათა შორის, იქაც სრული თავისუფლება მქონდა, როგორც ბიჭვინთაში. სტუმრებისთვის პატარა სუვენირები დავამზადეთ სპილენძისგან, მათ შორის – ჯვრებიც. საჩუქრები უზარმაზარ ლანგარზე ელაგა. რა თქმა უნდა, ყველას არ ეყო, მაგრამ, გამიკვირდა, როცა ფურცევამ ჯვარი აირჩია – საბჭოთა იდეოლოგია და ჯვარი წარმოუდგენელი რამ იყო. ბიჭვინთაში ვალით ვცხოვრობდი, ვიღებდი და ვიღებდი პროცენტიან ვალებს, თანხა იზრდებოდა და იზრდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მოლარემ ჩამოიტანა ფული, ძალიან დიდი თანხა იყო. ვალებიც დავარიგე და მაშინვე მეგობრებს დავურეკე – ბიჭვინთაში მოვიპატიჟე.

**– იყო ასეთი შემთხვევაც: რუსეთში ლენინისა და რევოლუციის თემაზე მუშაობდით.**

– ულიანოვსკში გავაკეთე უზარმაზარი წყლის სარკე, რომელშიც, ზღვის სამყაროსთან ერთად, სასტუმროს სილუეტი ირეკლებოდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს შენობა ზეცისკენ იწევდა. მთლიანად წყლის ეფექტია გამოყენებული. მარტო ვმუშაობდი. საერთოდ, მარტო უფრო სწრაფად ვმუშაობ – დღეს და ღამეს ვასწორებდი. დავამთავრე სამუშაო, ჩამოვხსენი ფარდები და, რას ვხედავ: ქალაქკომისა და საოლქოს ხელმძღვანელები ჯერ გაწითლდნენ, მერე ფერი დაკარგეს, ატეხეს ყვირილი, იქნევენ ხელებს, ფეხებს, ყვირიან: „რა უნდათ თევზებს ლენინთან? სად არის რევოლუცია? სად არის ლენინი?“ – თან ჩემკენ იწევდნენ. დიდი ამბავი ატყდა. მე თავს ვუშველე – თვითმფრინავში ჩავჯექი და გავფრინდი. სუსლოვთან მიჩივლეს. დამიბარეს. ისინიც იქ არიან. სიტყვის თქმის უფლება მომცეს. ამათ უნდათ, რომ წყალში, აუზში, ლენინმა რევოლუცია მოაწყოს. გამაგებინეთ ერთი, როგორ მოვაწყო წყალში ლენინის მეთაურობით თევზების რევოლუცია-მეთქი. ასე გამოვძვერი...

**– თქვენ ექვთიმე თაყაიშვილს ანდერძი აუსრულეთ – მისი მეუღლე გადმოასვენეთ**

**(გაგრძელება მე-15 გვერდზე)**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# როგორ დავიცვათ თავი „კამელინის“ დახმარებით გრიპის ვირუსისგან და წელიწადის რა დროს უნდა გამოვიყენოთ ის სხვადასხვა მძიმე დაავადების თავიდან ასაცილებლად

*„თბილისელების“ დახმარებით, ჩვენს მკითხველს არაერთხელ მივაწოდეთ ინფორმაცია ნატურალური თაფლისგან დამზადებული, ქართული პრეპარატის – „კამელინის“ ამპულების, კაფსულების, მალამოს, სანთლებისა და სპრეის შესახებ. ბევრმა სწორედ ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი საინტერესო ინფორმაციის, პაციენტების ისტორიების წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა მისი გამოყენება და ხშირ შემთხვევაში, დადებითი შედეგებიც მიიღეს. ამ პრეპარატის შექმნის ისტორია, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში დაიწყო, ცნობილი ქირურგისა და მეცნიერის – ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძის დახმარებით სწორედ იმ დროს, როცა არ არსებობდა ეფექტური საშუალება სხვადასხვა ბაქტერიული და სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ. ამ დროიდან დაიწყო პრეპარატის ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა. დღეს კი მიმდინარეობს „კამელინის“ თვისებების ახლებური კვლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ ინფორმაცია, დიდი ხანია, საქართველოს ფარგლებს გასცდა და დღეს უკვე არაერთი ქვეყნიდან ჩამოდის დელეგაცია, რომელსაც სურს, საკუთარ ქვეყანაში ქართული ბუნებრივი წარმოების პრეპარატის, „კამელინის“ დარეგისტრირება და შეტანა.*

*გარდა ამისა, ეფექტურია „კამელინის“ მიღება ზამთრის პერიოდში, რომელიც უკვე მოგვადგა კარს და ხალხს ვირუსების შიში ნელ-ნელა უძლიერდება. პირადად მე, ზამთარში „კამელინი“ არაერთხელ გამოვიყენე და მთელი სეზონის განმავლობაში ვირუსებისგან საიმედოდ ვიყავი დაცული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებობს „კამელინის“ ფორმა „კამელინ ფლუ“ – სპრეი, რომელიც სწორედ გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებების, ანთებითი პროცესების სამკურნალოდ გამოიყენება.*

**კობა გურიელიძე** *(კომპანია „კამელინის” აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):* გრიპის ეპიდემია ყოველ წელიწადს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ასნებოვნებს დედამიწის მოსახლეობის თითქმის 15 პროცენტს. გრიპოზული ინფექციის დროს ზიანდება პრაქტიკულად ორგანიზმის ყველა სისტემა, განსაკუთრებით კი – იმუნური. კვებეკის, მონრეალის, ბერნის, ილინოისის, ბრაზილიის სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში დადგინდა, რომ კამელინი შესანიშნავი ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და იმუნური სისტემის გამაძლიერებელი, ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატია. მისი გამოყენება გრიპოზული დაავადებისა და მისი პროფილაქტიკის მიზნით, იდეალური საშუალებაა. როცა ვირუსი უკვე უჯრედშია, ხელს უშლის მის გამოსვლას ინფიცირებული კერიდან და სხვა უჯრედებზე გავრცელებას. ამავე დროს, ორგანიზმის იმუნიტეტს საშუალებას აძლევს, გაანადგუროს უჯრედში ლოკალურად შემოჭრილი ვირუსები. რაც ყველაზე მთავარია, „კამელინის“ საშუალებით, ვირუსს ხელი ეშლება, თავისი დამანგრეველი გენეტიკური მონაცემები ჩანერგოს ორგანიზმის ჯანმრთელ უჯრედში. კვებეკისა და ბერნის უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევების შემდეგ დავადგინეთ, რომ „კამელინის“ გარკვეულ ფრაქციებს აქვს ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო უშუალო მოქმედება, ხელს უწყობს პირის ღრუში რეგენერაციის პროცესს და ეფექტურია მისი გამოყენება ანგინის დროს. ანუ, ამ პრეპარატის შექმნის მიზეზი იყო ის, რომ გვინდოდა, მომხდარიყო მისი ამ თვისებების გამოყენება. შესაბამისად, „კამელინ ფლუ“, ეს არის პრეპარატი, რომელიც ანთებების, გაციების დროს პირის ღრუში შესხურებისას ძალიან კარგ ეფექტს იძლევა. პრეპარატში არის ის კომპონენტები, რომელიც ლორწოვან გარსზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჩერებს პრეპარატის აქტიურ ნივთიერებებს და, შესაბამისად, ეს უფრო მეტად ეფექტურია. როგორც „კამელინის“ სხვა ფორმებს, ასევე სპრეისაც, სხვა წამლებთან მიმართებაში უკუჩვენება არ აქვს და მისი გამოყენება შეიძლება თითქმის ყველა მედიკამენტთან ერთად. რაც მთავარია, ამ პრეპარატს არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. სეზონი მოდის გაციების, ყელის ტკივილების, ანთების – თუ ადამიანი ოდნავ მაინც შეიგრძნობს დისკომფორტს პირის ღურში, ყელის არეში, კარგი იქნება, მაშინვე შეისხუროს „კამელინ ფლუ“ და ის მომენტალურად ჩააქრობს დაავადების, გაციების კერებს, აღარ გამოიწვევს მომავალ გართულებებს.



**– როგორც ცნობილია, ძალიან კარგია „კამელინის“ პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება. პირადად მე, ეს არაერთხელ ვურჩიე ჩემს ახლობლებს. მათ მიიღეს „კამელინი“ და კმაყოფილები დარჩნენ – მადლობას მიხდიდნენ. მაინტერესებს, წელიწადის რომელ დროს არის სასურველი პროფილაქტიკისთვის „კამელინის“ გამოყენება?**

– კარგია გაზაფხულისა და ზამთრის დადგომის დროს, როცა ადამიანი ვიტამინების ნაკლეობობას განიცდის, იმუნიტეტი, თავისთავად, ქვეითდება. ასევე კარგია, დაავადების გადატანის შემთხვევაში, როდესაც იმუნიტეტი მოშლილია. ამ დროს სასურველია, მიიღოთ კაფსულები – ბრწყინვალე შედეგს იძლევა, მალე აღადგენს იმუნიტეტს. მინიმუმ ერთი კურსი ძალიან კარგია განსაკუთრებით მძიმე, გრიპოზული დაავადების გადატანის შემდეგ. მინდა აღვნიშნო, რომ, ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მისი გამოყენება შეიძლება ხანგრძლივი დროითაც.

დღეს ონკოლოგების გარკვეული ნაწილი უკვე ღიად საუბრობს „კამელინ მ 1–ისა“ და „კამელინ მ 2-ის“ გამოყენებით მიღებულ იმ შედეგებზე, რომელიც მიღწეულ იქნა სხვადასხვა სიმსივნეების, უმძიმესი დიაგნოზის (მე-4 სტადიის) მქონე პაციენტებში. შედეგი ასეთია: ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევებში, დროებით მოხსნა, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება, მადისა და ენერგიის მატება, დეპრესიული ფონის მოხსნა, მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი. განსაცვიფრებელი შედეგი იყო 55 წლის ქალბატონის შემთხვევაში, რომელიც საბერძნეთში ცხოვრობდა წლების განმავლობაში და სწორედ იქ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი – მეორე სტადიიდან მესამეში გარდამავალი ავთვისებიანი სიმსივნე. გაიკეთა ოპერაცია და განაგრძო მკურნალობა – გაიკეთა ქიმიოთერაპია, სხივები. 5 წლის განმავლობაში ყოველ 6 თვეში ერთხელ იკეთებდა ანალიზებს. არ ჰქონდა მაინცდამაინც კარგი პასუხები. ისევ ცუდად იყო, აწუხებდა გაუსაძლისი ტკივილები. ერთ დღესაც მას საქართველოდან ახლობლები დაუკავშირდნენ და მიაწოდეს ინფორმაცია „კამელინის“ შესახებ. თბილისში ექიმთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, გაუგზავნეს პრეპარატი და მან დაიწყო „კამელინის“ კაფსულების სმა, ასევე, სანთლების გაკეთება. სულ მკურნალობის ოთხი კურსი ჩაიტარა და როგორც თავად ამბობს, თავს ძალიან კარგად გრძნობს, არ აწუხებს ტკივილები. რაც მთავარია, ცოტა ხნის წინ ჩაიტარა გამოკვლევები და აღმოჩნდა, რომ სრულიად ჯანმრთელია. ის მთელი მკურნალობის განმავლობაში მხოლოდ „კამელინს“ იღებდა. ამიტომაც დღემდე ამ პრეპარატისა და მათი შემქმნელების მადლიერია. პროფილაქტიკის მიზნით ის კვლავ აპირებს „კამელინის“ მიღებას.

**ნათია** ***(32 წლის):*** ჩემს დეიდას ცოტა ხნის წინ დაუსვეს კუჭის სიმსივნის დიაგნოზი. მაშინვე დაიწყო მედიკამენტებით მკურნალობა, მაგრამ, არცთუ ისე კარგი შედეგი იყო. დიდი ხანია, თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ, „კამელინის“ შესახებაც არაერთი სტატია მქონდა წაკითხული. ამიტომ, როგორც კი შევიტყვე დეიდას მდგომარეობა, მაშინვე „კამელინი“ გამახსენდა. მის მწარმოებელთან გავიარე კონსულტაცია, დეიდასაც ვკითხე და მისი თანხმობის შემდეგ, გავუგზავნე პრეპარატი. მაშინვე დაიწყო მკურნალობა, ჯერჯერობით შედეგები არის: აღარ აწუხებს ტკივილები, ენერგიულიც გახდა, ძალაც დაუბრუნდა, გამოჯანმრთელების იმედი გაუჩნდა. „კამელინით“ მკურნალობის შეწყვეტას არ აპირებს. ცოტა ხანი შეისვენა და ახლა უკვე მკურნალობის მესამე კურსს იტარებს. რაც მთავარია, არანაირი გართულება არ ჰქონია, პირიქით, წინ და წინ წავიდა. ჩვეულებრივ მუშაობს, შრომისუნარიანობა აუმაღლდა, ტკივილებიც აღარ აწუხებს. კიბო ისეთი დაავადება, ერთი ხელის მოსმით ვერ მოერევი. ამიტომ, კიდევ აგრძელებს მკურნალობას და იმედი აქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები, ან გსურთ კონსულტაცია, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

**სცენის დედოფალი... კონკურსის აღმოჩენა... პარკეტის საოცრება. ეს შეფასებები „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ყველაზე მკაცრი ჟიურის წევრების მხრიდან გაისმის. ნანა ნებიერიძე ამ შოუს ის ელემენტია, რომლის გარეშეც, ის ნამდვილად არ იქნებოდა ისეთი შთამბეჭდავი და მიმზიდველი, როგორიც ახლაა. ყოფილი სპორტსმენი ყველა საქმეს სპორტული ჟინით, ინტერესითა და დისციპლინით უდგება. ალბათ, ამიტომაც მისი ცეკვა ყველასგან გამორჩეული და ზუსტია.**

# რაზე ოცნებობს ნანა ნებიერიძე და იცეკვებს თუ არა ის გოჩა ჩერტკოევთან



**ნანა ნებიერიძე**: უკვე ცამეტი წელია, რაც პროფესიულ სპორტს თავი დავანებე, აღარ ვვარჯიშობ. ვარ ევროპის ჩემპიონი და სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე წყალში ხტომაში. ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელად პროექტში მონაწილეობა შემომთავაზეს და დავთანხმდი. სპორტში ვარ ბავშვობიდან, ჯერ ტანვარჯიშზე დავდიოდი და შემდეგ წყალში ხტომაზე გადავედი. ამას ერთადერთი მიზეზი ჰქონდა, დედა ყოფილი წყალში მხტომელია და ეს ერთგვარად მისი გზის გაგრძელება იყო. პარალელურად, დავდიოდი ფორტეპიანოზე. ცოტა ხმამაღალი ნათქვამი გამომდის, მაგრამ სპორტშიც და მუსიკაშიც ნიჭიერი ვიყავი – მესამე კლასიდან მეხუთეში გადამიყვანეს. მაგრამ მაინც სპორტში დავრჩი. დავიწყეთ უცხოეთში გასვლები, შეჯიბრებები, რაც მაშინ ძალიან უცხო იყო. იმ პერიოდში უცხოეთში მართლა ერთეულები დადიოდნენ.

**– სპორტის სახეობებიდან ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზია...**

– ერთ ფედერაციაში გაერთიანებულია ცურვა, წყალბურთი, სინქრონული ცურვა და წყალში ხტომა...

**– რის მიხედვით ფასდება წყალში ხტომაში სპორტსმენი? გადახტომის სილამაზე, სირთულე, კიდევ...**

– უამრავი ელემენტია, ყველაფერი ერთად. სილამაზე, სირთულე... როგორ გგონიათ ათი მეტრიდან სამნახევარ ბრუნს რომ აკეთებ, წყალში სწორად რომ უნდა ჩახვიდე, შხეფების გარეშე, ეს ადვილია?! პრაქტიკულად, ოცდახუთი წელი ამ სპორტით ვიყავი დაკავებული და ოცდახუთი წელი ყოველდღიურად ვვარჯიშობდი. იყო პერიოდები, როდესაც დღეში სამი ვარჯიში მქონდა – ერთი საათი დარბაზში და ორი წყალში.

**– ევროპის ჩემპიონატი მინდა, გაიხსენოთ. რამდენი წლის იყავით, როცა ეს ტიტული მოიპოვეთ?**

– თოთხმეტი წლის ვიყავი. ჩემპიონატი ტარდებოდა მადრიდში. როდესაც შეჯიბრება დამთავრდა და ჩემპიონი გავხდი უცებ ისე მომინდა სახლში, ისე მომინდა დედა და მამა, როგორც არასდროს. იმდენად ბედნიერი ვიყავი, ემოციებით სავსე, რომ მინდოდა ისინი გვერდში მყოლოდნენ, მათთვის გამეზიარებინა სიხარული. მგონი, პირველად ცხოვრებაში, ძალიან მინდოდა სახლში ყოფნა. ეს ტიტული ადამიანს ცხოვრების ბოლომდე მიჰყვება და მიხარია, რომ ამ ტიტულს ვატარებ. ცხოვრებაში ცოტა არ გამიმართლა ამ მხრივ – როცა სპორტული კარიერის პიკში ვიყავი, ალბათ, ყველას ახსოვს: არ იყო წყალი, შუქი, გათბობა, რომელ სპორტზე და ვარჯიშზე იყო ლაპარაკი. სამი წელი პაუზა მქონდა, გავთხოვდი, შვილი გავაჩინე. ახლა უკვე დიდი გოგოა, ცხრამეტი წლის. ამის შემდეგ წავედი რუსეთში, იქ ვვარჯიშობდი, ჩემს მწვრთნელთან ერთად ვცხოვრობდი და ვემზადებოდი სიდნეის ოლიმპიადისთვის. ოლიმპიადაზე როგორც კი ვიწყებ საუბარს, ყველა მეკითხება, რომელი ადგილი აიღე, რა წარმატებას მიაღწიე ოლიმპიადაზეო. არის ასეთი გამოთქმა, მთავარი მონაწილეობაა და არა მოგებაო, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. ეს გამოთქმა ჩემთვის არ არის. როდესაც ოცდახუთი წელი ამ ერთი საქმით ცხოვრობ და მიდიხარ ტურისტივით, ეს ძალიან მტკივნეულია. ეს, ალბათ, ერთადერთი მიზეზით მოხდა – როცა სხვები თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ, მე ბავშვთან ერთად ვიყავი. ეს კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ფორმიდან ამოვარდე. თან, სპორტი ძალიან დიდ დისციპლინას მოითხოვს, პრინციპში, იგივეა, რაც ცეკვაში.

**– სპორტის შემდეგ რას აკეთებდით?**

– იმას, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი, მუშაობა დავიწყე ტელევიზიაში. საერთოდ, რუსულენოვანი ვარ. ვმუშაობდი „ალანიაზე“, ძალიან მომწონდა ეს საქმე. მახსოვს, სტენდაფი ჩაწერეს და ალბათ, ორმოცი დუბლი დამჭირდა ორი წინადადების სათქმელად. ამის შემდეგ „პირველ არხზე“ პროდიუსერად ვმუშაობდი გადაცემაზე, რომელიც საბჭოთა რეპრესიებს ეხებოდა. შემდეგ, როდესაც გაიხსნა „პიკი,“ ვიყავი გადაცემის და საინფორმაციოს წამყვანი.

**– ხშირად გიღებენ რეკლამებშიც.**

– კი, ერთი პერიოდი ბუმი იყო. ახლაც არის ჯიხურებზე „ნატახტარის“ რეკლამები.

**– რაც შეეხება ცეკვებს, პროექტის ცეკვის დედოფლად ჩამოყალიბდით. სპორტში ყოფნა რამენაირად დაგეხმარათ?**

– არა მგონია, შეიძლება მხოლოდ მიდგომაში. ბავშვობიდან მოდის დისციპლინირებულობა, პუნქტუალურობა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით კიდევ არის ის მომენტი, რომ თუ სადმე დროზე მიდიხარ, უკვირთ. ორი თვეა უკვე ვვარჯიშობთ, თავიდან, სიმართლე გითხრათ, ცოტა გამიჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ სულ ვვარჯიშობ, ვცურავ, ცეკვაში მაინც სულ სხვა კუნთები ჩაერთო, სულ სხვა ტიპის სამუშაოა, სხვა დატვირთვა. ორი კვირის შემდეგ, როგორც ამბობენ, კალაპოტში ჩავჯექი. ისევ ვიმეორებ, მთავარი მიდგომა და ზუსტი მიზანია.

**– ანუ, თქვენთვის ეს გართობა არ არის.**

– არანაირად, რა გართობა. ამ პროექტში მონაწილეობის გამო, მივატოვე ყველაფერი – ბავშვი, ოჯახი, სამსახური. სხვანაირად არ გამოვა. ან ერთ საქმეს აკეთებ და აკეთებ კარგად, ან ბევრს და – ცუდად. ამიტომ, რაღაცას აკეთებ ან არა. საერთოდ, მოლოდინიც არ მქონია და არ მიფიქრია, რა იქნებოდა. არ ვარ პრეტენზიული, რასაც მასწავლიან, ვსწავლობ, რასაც მიდგამენ, უპრეტენზიოდ ვიღებ. ვენდობი ჩვენს უნიჭიერეს ქორეოგრაფებს – დიმა, ალიონა, საშა, არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. მათ გარეშე საინტერესო არაფერი იქნებოდა.

**– ოჯახი რამდენადაა ჩართული?**

– უი, უი, ძალიან. ბოლომდე მგულშემატკივრობენ. უბრალოდ, ერთი სასაცილო მომენტია – ჩემი შვილი კვირაში სამჯერ მირეკავს და მთხოვს: ჩამირიცხე თანხა, რომ დაგიმესიჯოო. კი, ახლავე-მეთქი, ვეუბნები და ისე გადის ორი-სამი დღე, მავიწყდება. ისევ ხომ შენთვის მინდაო, მეუბნება ***(იცინის),*** მაგრამ, რა ვქნა, მავიწყდება. მისი დაქალები, ყველანი ჩართულები არიან და ერთობიან. ლევანს აქვს თავისი არტ-სტუდია და ბავშვები ისე გულით გვგულშემატკივრობენ, იმხელას ყვირიან და ეს ძალიან სასიამოვნოა ცეკვის დროს. ხმამაღლაც აღვნიშნე ეს, უდიდეს ძალას მაძლევთ და თქვენ გარეშე რა მეშველებოდა-მეთქი, ვუთხარი. სცენაზე დგომის დროს მათი ხმა რომ მესმის ეს არანორმალურად სასიამოვნო შეგრძნებაა. ამ დროს ყველაზე ნაკლებად ფიქრობ საკუთარ თავზე.

**– გოჩა ჩერტკოევთან თქვენი ურთიერთობა...**

– ამაზე ყველა მეკითხება ***(იცინის).*** შოუ რომ იწყება, კულისებში ისეთი ამბავი ხდება, ყველა ისე ნერვიულობს, ემზადება, ყველა დარბის აქეთ-იქით, ნამდვილად არ არის იმის დრო, კიდევ ცალკე ვისაუბროთ და მას დაველაპარაკო. გოჩა არის პროფესიონალი, უდიდესი რანგის მოცეკვავე. ბევრჯერ ვნახე „იუთუბიზე“ მისი ცეკვის ვიდეოები და აღფრთოვანებული, გადარეული ვარ. შეიძლება, ჩემი მხრიდან ეს ცოტა თავხედურად ჟღერს, მაგრამ ჩემი ოცნებაა, ერთი ცეკვა გოჩასთან ერთად ვიცეკვო.

**– იცის ამ სურვილის შესახებ?**

– არა მგონია, ეს რომ გაიგოს, ალბათ, იფიქრებს, ძალიან თავხედიაო. სად მე და სად გოჩა. ასეთი ტური რომ იყოს, გადასარევი იქნებოდა. მოკლედ, არ ვმალავ, რომ გოჩასთან ძალიან დიდი სიამოვნებით ვიცეკვებდი ***(იცინის).***

**სალომე გველესიანი**



## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გიორგი მარგველაშვილს გაპრეზიდენტებას ულოცავს

„ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე ადემ ონალი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად არჩევას ულოცავს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ადემ ონალი საგანმანათლებლო ფირმა „ჩაღლარის" სახელით მილოცვის წერილს აქვეყნებს.

როგორც წერილშია აღნიშნული, „ჩაღლარის" პირველი სასწავლო დაწესებულება საქართველოში 1992 წელს, თურქეთისა და საქართველოს მაშინდელ პრზიდენტებს - სულეიმან დემირელსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის „განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ" ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე გაიხსნა.

„ამით საძირკველი ჩაეყარა სასწავლო დაწესებულებების ქსელის ამოქმედებას საქართველოს მასშტაბით, რასაც მოჰყვა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსება 1995 წელს. „ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებს უკვე 20 წელია თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ საქართველოს განათლების სისტემის განვითარების საქმეში. ჩვენი მოსწავლეები წარმატებით წარმოადგენენ საქართველოს სახელს სხვადასხვა საერთაშორისო ოლიმპიადებში" - ნათქვამია წერილში და აღნიშნულია, რომ „ჩაღლარი" განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მხარდაჭერით, ყოველწლიურად ატარებს ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადას, რომელსაც 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებიან.

როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, ასეთი ღონისძიებების წყალობით, უცხოელი ახალგაზრდები საქართველოსა და ქართულ კულტურას ეცნობიან.

ამასთან, როგორც „ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე აღნიშნავს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, რითიც თავისი წვლილი შეაქვს განათლებისა და მეცნიერების დონის ამაღლებაში.

„ჩვენი სასწავლო დაწესებულებები ხელს უწყობენ ორ ქვეყანას შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებას. დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი ლიდერობით, საქართველო გააგრძელებს წინსვლას. ჩვენ გვწამს ქვეყნის უკეთესი მომავლის. მთელი ჩვენი სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის, პერსონალის, ლექტორების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების სახელით გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს თქვენს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო თანამდებობაზე. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კეთილდღეობას პირად ცხოვრებაში", - ნათქვამია მილოცვის წერილში.

## რა „რევოლუცია" მოუწყო ზურაბ წერეთელმა ლენინს წყალში და რაზე გაბიქდნენ საბჭოთა ხელმძღვანელები

(მე-12 გვერდიდან)

**საქართველოში. ეს, ალბათ, ყველას ძალიან აინტერესებს.**

– ექვთიმე თაყაიშვილის ანდერძი ვნახე. მისი უკანასკნელი სურვილი ყოფილა, მისი მეუღლე ჩამოესვენებინათ და მის გვერდით დაეკრძალათ. ეს დავიმახსოვრე. პარიზში ყოფნისას გადავწყვიტე, მისი სურვილი შემესრულებინა. სწორედ მაშინ გადმოასვენეს შალიაპინი პარიზიდან მოსკოვში. საბჭოთა ელჩს, ეჟოვს ვთხოვე, პოლტორაცკაიას ნეშტის გადმოსვენებაზე შუამდგომლობა გაეწიათ საფრანგეთის მთავრობასთან. წერილს კი მოგცემთ, მაგრამ, ჩვენ შალიაპინის გადმოსვენებას რვა თვე მოვანდომეთ, შენ კი სამ დღეში გინდა, გააკეთო ეგ საქმეო?! არა, მე ძალიან ცოტა დრო მაქვს-მეთქი... იმ დილით საშინელი წვიმა მოვიდა და მუშებმა უარი მითხრეს მუშაობაზე – გადაიღებს და მერეო, მაგრამ, მე დრო აღარ მრჩებოდა, თვითმფრინავზე ყველაფერი შეკვეთილი იყო. უცებ მოვიფიქრე, თვითონ გამეთხარა საფლავი. ყველაფერი გავაკეთე, რომ ამ დიდი ქართველის მეუღლე ჩამოგვესვენებინა.

**– მართალია, თავად ამაზე არასოდეს ლაპარაკობთ, მაგრამ, როგორც ამბობენ, საქართველოში, ალბათ, არ დარჩენილა ადამიანი, ვისაც არ დახმარებიხართ, თუმცა, გამკრიტიკებელი მაინც ბევრი გყავთ.**

– მე არავის წინაშე ვალდებულება არ ამიღია, გარდა უფლისა. მე სრული თავისუფლება ერთხელ და სამუდამოდ მოვიპოვე. მონობა სულისგან მოდის, თავისუფლებაც სულისმიერია. მისი მოპოვება ყველას შეგიძლიათ, რად უნდა ამას ხმაური და თეორიები? თავისუფლებისთვის სულ მცირე რამაა საჭირო: მუშაობა, მუშაობა, მუშაობა; საკუთარი თავის მოთმენა და სხვისი პატივისცემა; ღმერთის, ადამიანებისა და ქვეყნის სიყვარული. ბებიაჩემმა მითხრა, კრიტიკა სამკურნალო ტალახივით უნდა მიიღო და უფალი ცოდვებს შეგინდობსო. ესე იგი, ჩვენი შეურაცხმყოფელები ჩვენი სულის კეთილისმყოფელებად უნდა მივიჩნიოთ. პირჯვარი უნდა გადავიწეროთ, რომ ისინი არსებობენ და ვახსოვართ. მე საყვედურები არ მეთქმის – მტერსაც ვახსოვარ და მოყვარესაც. ბრაზილიაში მივფრინავდი – ეს იყო ჩემი პირველი მივლინება უცხოეთში. საბაჟო დეკლარაციაში ოქროს ჯვარიც იკრძალებოდა და კონფისკაციის უფლება ჰქონდათ. მებაჟე მიყურებდა და დუმდა, ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. მეც ვდუმდი. ბებიის ნაჩუქარ ჯვარს არავითარ შემთხვევაში არ მოვიხსნიდი. მაჩვენეთ ჯვარიო. არ შემიძლია, ჯვარს ვერ მოვიხსნი, თუ გინდათ ნუ გამიშვებთ-მეთქი. ისეთი სახე მქონდა, მებაჟეს სიცილი აუტყდა და ხელი ჩაიქნია. გამიშვეს. ეს ჯვარი არასდროს მომიხსნია.

**– მოსკოვის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ბრძანდებით.**

– ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: დიპლომზე მუშაობას ვამთავრებდი. მაშინ საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ვლადიმირ სეროვი იყო. დაათვალიერეს დიპლომები. იმ პერიოდში იმპრესიონისტების გავლენას განვიცდიდი და მქონდა ორი სტილიზებული ფიგურა, თემაზე – „სიმღერა თბილისზე". ასეთი შინაარსი არ მოეწონათ, ითათბირეს და დიპლომიდან მომხსნეს. დარჩენილი იყო ორი კვირა. რა უნდა მექნა?! მოვიდა ალიკა რატიანი, რომელსაც სპორტული მაისური ჩავაცვი, ჩოგბურთის „რაკეტკა" დავაჭერინე და ორი კვირის განმავლობაში ოთახიდან არ გავსულვართ. ალიკა რატიანის პორტრეტი ისეთი ფერებით დავხატე, როგორიც იმ დროს მოსწონდათ. მაშინ კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩუბინაშვილი იყო, დიდი მეცნიერი. მივიღე ხუთი ქულა. იცით, რა არის პარადოქსული? იმ სკამზე და იმ ოთახში, სადაც სეროვი იჯდა, ახლა მე ვზივარ – ალბათ, არის გარკვეული სამართლიანობა ცხოვრებაში

*P.S. „ის ხატავს და ყიდის თავის ნახატებს. გამომუშავებული ფულით კი სხვა ოსტატების ნამუშევრებს იძენს, აგროვებს რუსი და უცხოელი ავანგარდისტების შედევრებს," – წერს ერთ-ერთი რუსული გამოცემა ზურაბ წერეთელზე. ბატონი ზურაბი ვან გოგის ნახატების კოლექციონერიც გახლავთ. ამბობენ, მისი ერთ-ერთი სურათის შეძენისას ორიგინალი შეუცვალესო. მართალია ინტერვიუში ამასთან დაკავშირებით არ გვიპასუხა, მაგრამ, მისმა მეგობარმა, ფერდინანდ ლორთქიფანიძემ, ზურაბ წერეთლის ვან გოგისადმი სიყვარული დაგვიდასტურა: „არ ვიცი, ეს უნდა გითხრათ თუ არა. ერთხელ ზურა პარიზიდან მოსკოვში ჩამოვიდა. აეროპორტში დავხვდი – მაშინ მოსკოვში ვმუშაობდი. ხელში რაღაც დიდი შეფუთული მომაჩეჩა. მე წინ, სხვა მანქანაში ჩავჯექი. სიცილით მითხრა – შენ თუ იცი რა მიგაქვსო. რა მიმაქვს, პლანშეტი მიმაქვს-მეთქი. რა პლანშეტი, არ დამიკარგო, ვან გოგია, რომ იცოდე, რამდენი მილიონი გადავიხადეო... ამ რამდენიმე წლის წინ ზურამ შეიძინა თანამედროვე ტექნიკის ლაბორატორიაც – ეს არის მთელი ცენტრი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში, ყველა სურათს ატარებს, რიგები დგას. შეგიძლიათ, მიიტანოთ ნახატი და ექსპერტიზა ჩაუტაროთ."*

**ეკა პატარაია**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა**: **გთხოვთ განმიმარტოთ რას ნიშნავს იურიდიული პირი და როგორია მისი სამართლებრივი განმარტება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია, სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. იურიდიული პირი შეიძლება, იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში ითვლება სამოქალაქო ურთიერთობებში ხელშეკრულება დადებულად და ამისთვის აუცილებელია თუ არა ხელშეკრულების დადების განსაზღვრული ფორმა?**



**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა, რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ხელშეკრულებით შეიძლება, წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულებაც. ხელშეკრულება შეიძლება, იყოს წერილობითი ან ზეპირი, მაგრამ ნამდვილობისთვის აუცილებელია არსებით პირობებზე შეთანხმება. ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე, წინარე ხელშეკრულებაზედაც.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რას ეწოდება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ოფერი და რას ნიშნავს ეს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ოფერად სამოქალაქო ურთიერთობებში მოიხსენიებენ სამოქალაქო სამართლებრივ ტერმინს – „ოფერტს“, რაც ნიშნავს წინადადების შეთავაზებას ხელშეკრულების დადების შესახებ. ოფერტი ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში, მზადაა, შეასრულოს თავისი წინადადება.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, ვინ არის ზოგადად ადვოკატი და რა სახის სამართლებრივი მოქმედებები იგულისხმება საადვოკატო საქმიანობაში?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისთვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას და ასე შემდეგ.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს ადვოკატი თავისი პროფესიული მოვალეობის აღსრულების დროს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება; საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა; ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა; საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა; ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა; ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა; ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა უფლებებით სარგებლობენ ადვოკატები და რა მოვალეობები გააჩნიათ კლიენტების წინაშე?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ადვოკატს უფლება აქვს: წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟსა და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან; კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები; დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს და კონტროლის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირისპირ შეხვდეს დაკავებულ, დაპატიმრებულ ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში მოთავსებულ პირს, იქონიოს მასთან მიმოწერა; ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. ადვოკატის საქმიანობა შეიძლება, შეიზღუდოს მხოლოდ კანონით. რაც შეეხება ადვოკატის მოვალეობებს, ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები; დაიცვას პროფესიული საიდუმლოება; შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში, კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ; მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, კონკრეტულად რა ღონისძიებების გატარების უფლება აქვს ადვოკატს კლიენტის ინტერესების დასაცავად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად, გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთან, ადვოკატი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს ინტერესთა შეუთავსებლობა ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ადვოკატი ვალდებულია, არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. ადვოკატს უფლება არა აქვს, შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსითა და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

# ინტიმური საუბრები

### ჩემს უიმედო სიყვარულს ვერ ვერევი

არ ვაპირებდი თქვენთვის მოწერას, რადგან, ვიცი, რომ, ჩემს პრობლემას ვერავინ უშველის და ვერც რჩევას მომცემს ვინმე, მაგრამ, მაინც გწერთ, იმიტომ რომ, გულში ველარ ვიტევ ამდენ ტკივილს და განცდებს. ვერც ვერავის ვუმხელ ჩემს მდგომარეობას, უახლოეს მეგობრებსაც კი (ოჯახის წევრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), რადგან, ვიცი, რომ ვერავინ გამიგებს. ყველა ჭკუის დარიგებას დამიწყებს, გამამტყუნებს და, რაც მთავარია, მსჯელობის საგანი გავხდები ყველასთვის. უფრო სწორად კი, ათას ჭორს შეთხზავენ. ათას კუდს გამოაბამენ და კარგა ხანს გაერთობიან ამით. ამიტომ, გადავწყვიტე, თქვენ გაგანდოთ ჩემი გულის ნადები, იქნებ ოდნავ მაინც ვიგრძნო შვება.

საქმე ისაა, რომ მიყვარს ჩემი ბავშვობის მეგობარი. ვგრძნობ, რომ მასაც აქვს ჩემ მიმართ გარკვეული გრძნობა, მაგრამ, ამას სიყვარულს ვერ დავარქმევ, უფრო ფიზიკურ ლტოლვას განიცდის და ისე არ ვუყვარვარ, მე რომ მინდა და არც სერიოზულად ფიქრობს ჩემზე. მე კი სულ მასზე ვფიქრობ და ველოდები, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. თუმცა, ვიცი, რომ ეს არასდროს მოხდება, რადგან ჩვენ ერთმანეთისთვის შორეული, მაგრამ, მაინც ნათესავები ვართ და სიყვარულის უფლება არ გვაქვს. ეს ყველაფერი გაცნობიერებული მაქვს, მაგრამ მაინც ველი რაღაც სასწაულს, თუმცა, რისი იმედით, ვერ გეტყვით, რადგან ჩემი სიყვარული თავიდანვე განწირულია. ამის მიუხედავად, თავს ვერ ვერევი, ვერც ვერავის ვუყვები ჩემს ამბავს და ვარ ასეთ საშინელ მდგომარეობაში. ამას წინათ კი გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ და ჩემ გამო ყველაფრისთვის მზადაა. ვხვდები, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია ჩემთვის, მაგრამ, რა ვქნა, რომ მისი შეყვარება არ შემიძლია?! ხანდახან ისიც კი მიფიქრია, რომ გავყვები ცოლად და მერე შემიყვარდება-მეთქი, მაგრამ, იმდენად წესიერი ადამიანია და ისე ძალიან ვუყვარვარ, რომ, არ შემიძლია, მოვატყუო – ის ჩემგან ამას არ იმსახურებს. მან არ იცის, რომ სხვა მიყვარს, თანაც – უიმედოდ. იქნებ, ჯობია, სწორედ მას გავენდო? ხომ შეიძლება, სწორედ მან მომცეს ყველაზე სწორი რჩევა?

**ნინიკო, 21 წლის.**



### ლიკუნა, მაპატიე და შემირიგდი

მართალია, ჩემი ეს წერილი დეპეშას უფრო ჰგავს, ისე მოკლეა, მაგრამ, ძალიან გთხოვთ, დამიბეჭდოთ, რადგან ამაზეა დამოკიდებული ჩემი მომავალი და, საერთოდ, მთელი ჩემი ცხოვრება. ვიცი, რომ ჩემი შეყვარებული ყოველთვის კითხულობს თქვენს რუბრიკას და ამიტომ, მინდა, „თბილისელების“ მეშვეობით მივმართო მთელ დედამიწაზე ჩემს უსაყვარლეს ადამიანს:

ჩემო ლიკუნა! მუხლებზე დაჩოქილი გიხდი ბოდიშს, რადგან, მართლა დაუმსახურებლად გაწყენინე და, თუ ოდნავ მაინც გჯერა ჩემი, გევედრები, მაპატიო და შემირიგდე, ხომ იცი, რომ უშენოდ მოვკვდები. ისე მიყვარხარ, როგორც არავის არავინ არასდროს ჰყვარებია და, თუ დამიბრუნდები, ამას დაგიმტკიცებ.

თუ მაპატიე, ამ წერილის წაკითხვისთანავე დამირეკე. გელი.

**ავთო, 23 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ნათელმხილველი ნინო ვარსიმაშვილი – ის თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

***ნინო ვარსიმაშვილი დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. მის შესახებ ჩვენს ჟურნალში პირველად წელიწადნახევრის წინ დაიწერა. მას შემდეგ, მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ არაერთხელ მოგაწოდეთ ინფორმაცია ამ ქალბატონის შესახებ, რომლის ფენომენალურ ნიჭზეც თბილისში საოცარ ისტორიებს ჰყვებიან. უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ნინო ვარსიმაშვილი ადამიანების დახმარებას ცდილობს და მათ ცხოვრებას უკეთესობისკენ ცვლის.***

**– ქალბატონო ნინო, დღეს რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებს ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიკურ პრობლემებზე, ვკურნავ სხვადასხვა შიშებს, ნევროზსა და ალკოჰოლიზმს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე, ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ მე მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში. იქ ჩემი ძველი კლიენტების თხოვნითა და მიწვევით ჩავედი, რომელთაც უკვე არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს ამ ადამიანებთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ.

***ნინო ვარსიმაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, ზოგიერთი, ვისაც ქალბატონი ნინო ცხოვრების რთული ეტაპის გადალახვაში დაეხმარა, აქ მადლიერების სათქმელად არის მოსული, ზოგი კი აქ პირველადაა. მაგრამ, ნათელმხილველის ფენომენალური უნარის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებს არ მალავს.***

**ქეთინო ნ-შვილი** *(47 წლის, თბილისი):* მე რომ პრობლემა მქონდა, მტერს არ ვუსურვებ. არ ვიცოდი, ჩემი საშველი თუ არსებობდა. ერთ-ერთ გადაცემაში შევიტყვე ნინოს შესახებ და აქეთ გამოვეშურე. დამინახა თუ არა, მაშინვე უთხრა ხალხს, ამ ქალს რიგში ნუ ჩააყენებთ, პირდაპირ გამოუშვით ჩემთან, ისეთი დიდი პრობლემა აქვსო. განვმარტოვდით თუ არა, სიტყვასიტყვით მითხრა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი. ისეთი სიზუსტით მითხრა ყველაფერი, ვიფიქრე, ადრეც ხომ არ შევხვედრივარ-მეთქი. მითხრა, შენი ქალიშვილი ძალიან ცუდად არის, რადგან ქმარმა მიატოვაო. გაკვირვებული დავრჩი. მე არც მინდოდა, ყოფილი სიძის უკან დაბრუნება, მაგრამ ვხედავდი როგორ იტანჯებოდა ჩემი შვილი და სხვა რა გზა მქონდა? როგორც ნინო დამპირდა, სულ სამიოთხი შეხვედრა დაგვჭირდა და ყველაფერი ძველებურ რეჟიმში დაბრუნდა – ჩემი სიძე ცოლ-შვილს დაუბრუნდა, ბოდიშებით, თავგზა ამებნა და უნდა მაპატიოთო. ამის შემდეგ დავიჯერე ნინო ვარსიმაშვილის ძალა. დღესდღეობით ის თბილისში ყველაზე ძლიერი ნათელმხილველია.

**მარინა კ-ძე** *(53 წლის, ქუთაისი):* ნინო ვარსიმაშვილის შესახებ ჩემი მეზობლისგან შევიტყვე. ის მომიყვა, როგორ დაეხმარა დაკარგული შვილის მოძებნაში სომეხ ბიზნესმენს, რომელიც სომხეთის პრეზიდენტის კარზე ძალიან გავლენიანი კაცი ყოფილა. ის ჩემი მეზობელი იმ ბიზნესმენის ნათესავია და მითხრა: იმ კაცმა ნინო ერევანში წაიყვანა, მადლიერების ნიშნად რას აღარ ჰპირდებოდა, უკან აღარ უშვებდაო. ეს რომ გავიგე, მაშინვე თბილისისკენ წამოვედი – ჩვენს ოჯახს ძალიან დიდი ფინანსური პრობლემები ჰქონდა. ისეთი უბარაქობა დაგვემართა, ძლივს გაგვქონდა თავი. ამას ისიც დაემატა, რომ ყველანი უმუშევრები დავრჩით. ნინომ თბილად მიმიღო, ბარაქაზე შემილოცა, მომცა სპეციალური თილისმები, რომელსაც ორი თვე ვატარებდით ოჯახის წევრები. ამის შემდეგ ჩვენი საქმეები წინ და წინ წავიდა. მადლობა, ქალბატონო ნინო!

**მერაბ ვ-შვილი** *(62 წლის, თელავი):* ამ ქალბატონთან ჩემმა ცოლმა მომიყვანა. უჩემოდ იყო ჩამოსული და ასე უთქვამს, შენს ქმარზე საგვარეულო ჯადოა გადასული და ხელი იმიტომ არ გემართებათო. შემჭამა ჩემმა ცოლმა, სანამ აქ არ მომიყვანა. ერთი თვეა, დავდივარ. ვიცავ ყველაფერს, რაც ქალბატონმა ნინომ გვასწავლა და ჩვენი საქმეები წინ მიდის. ბიჭმა, რომელიც 40 წელს არის გადაცილებული, ცოლი მოიყვანა, გოგონაც სამსახურში აიყვანეს. აი, ამას ჰქვია ნათელმხილველი!

***ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 5 99 003 006; 597 82 68 68 (ჩაწერა წინასწარ).***

***მისამართი: თბილისი, წითელწყაროს ქუჩა (მეტრო „ავლაბართან“).***

**თამარ ჩხენკელი**

# ვისი ჩაცმულობა იყო იდეალური პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს

*წელს, ისე როგორც არასდროს, საქართველოს უახლეს ისტორიაში, პრეზიდენტის ლეგიტიმაციის დღეს განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა არა აღლუმის მასშტაბურობას, ჩამოსული სტუმრების წონასა და გავლენას, არამედ იმას, რასაც ცივილიზებულ სამყაროში ყოველთვის გამადიდებელი შუშით უყურებენ – პირველებისა და მათ გვერდით მყოფი ქალბატონების ჩაცმულობას. ერთ-ერთ ცნობილ ქართველ დიზაინერს ინაუგურაციაზე და მის შემდგომ საზეიმო მიღებებზე ჩაცმულობის შეფასება ვთხოვეთ და თან, ინკოგნიტოდ დარჩენა შევთავაზეთ, რათა მისი მიმოხილვა უფრო გულწრფელი, კონკრეტული და საინტერესო ყოფილიყო.*



**დიზაინერი**: ძალიან ხშირად მქონია მედიისგან შემოთავაზება, რომ არა მხოლოდ ინაუგურაციის დღე, არამედ ზოგადად, საქმიან თუ ოფიციალურ მიღებებზე, უბრალოდ, ელიტურ წვეულებებსა და ღონისძიებებზე ცნობილი ქალბატონების ჩაცმის სტილი, მანერა შემეფასებინა. იყო ასეთი მცდელობებიც, მაგრამ ამას შემდეგ, იმდენი გაუგებრობა, იმდენი არასასიამოვნო საუბარი მოჰყვა, რომ მირჩევნია, ჩემი ვინაობა არ დასახელდეს. რაც შეეხება თვითონ ინაუგურაციას, მას ყოველთვის დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ სოციალური ქსელების ასეთმა პოპულარობამ გამოიწვია ის, რომ ინაუგურაციაზე ქალბატონების ჩაცმულობას მთელი ერი განიხილავდა. დავიწყოთ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მეუღლის, ეკა ხვედელიძის ჩაცმულობით. თავიდანვე ხაზი მინდა გავუსვა, მიუხედავად იმისა, რომ ის მედიაში იშვიათად ჩნდება, ყოველთვის ელეგანტურად, სადად, ძალიან დახვეწილად აცვია. საკმაოდ გამხდარი და მაღალი ქალია, შესაბამისად, სამოსს კარგად ირგებს. ყოველთვის შეხამებული აქვს სამოსთან სათვალე, საათი და სხვა აქსესუარები. მას ყოველთვის დიდი ისტორიის მქონე მოდის სახლების სამოსი აცვია, რომელთა მორგება ნიშნავს, რომ იქ კითხვის ნიშანი არ არსებობს. ინუაგურაციის დილას, პარლამენტის შენობის ეზოში მას „კრისტიან დიორის" 2013 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციიდან, „დიორის სახლის" კრეატიული დირექტორის, ბელგიელი დიზაინერის, რაფ სიმონსის მიერ შექმნილი თეთრი საყელოთი გაფორმებული შავი პალტო ეცვა. პალტო ხაზს უსვამს სისადავეს, ელეგანტურობას, ქალურობას, არ არის მყვირალა და უხეშად არ იქცევს ყურადღებას. ალბათ, ქალბატონი ეკა ხვედელიძის მხრიდან ეს საუკეთესო არჩევანია. ამ პალტოსთან, რომელიც დაახლოებით ხუთი ათასი ევრო ღირს, ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს ფეხზე კრისტიან ლაბუტინის ფეხსაცმელი ეცვა – ფეხსაცმელი, რომელშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლება.







**– მისი საღამოს ჩაცმულობა.**

– საღამოს მიღებაზე, თითქოს შეთანხმებულივით, ყველას გიპიურით ან წულით გაფორმებული კაბები ეცვათ, რამაც, ზოგადად, ყურადღება გაფანტა. ეკა ხვედელიძეს გიპიურით გაფორმებული, ტანზე მომდგარი შავი კაბა ეცვა, რომელიც პალტოს ეფექტის შემდეგ უფრო ნაკლებად მომეწონა. თუმცა, ერთიანობაში უნდა ითქვას, რომ მას ამ დღესაც, ისევე როგორც ზოგადად, გემოვნებით ეცვა ყოველგვარი ზედმეტობების გარეშე. ანუკი არეშიძე ძალიან სასიამოვნო მდგომრეობაშია. ორსულობამ, ისედაც ულამაზესი ანუკი, განსაკუთრებით გაალამაზა და დაანაზა. ღია ვარდისფერი გიპიურის კაბა, როგორც პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თავისივე დიზაინით იყო შექმნილი. თუმცა, მის ადგილას ტანზე ნაკლებად მომდგარ კაბას ჩავიცმევდი. ფეხზე „ვალენტინოს" ძველი კოლექციიდან ეცვა ფეხსაცმელი, რომელიც მასზე ადრეც შემიმჩნევია. იმის ხაზგასმა მინდა, რომ ორსული ქალი ისედაც დიდ ყურადღებას იქცევს და მის ადგილას უფრო სადა და არამკვეთრ კაბაზე გავაკეთებდი არჩევანს. ინტერნეტგამოკითხვით ანუკი არეშიძე ყველაზე გემოვნებით ჩაცმულ ქალბატონად აღიარეს.

**– გამადიდებელი შუშის ქვეშ მოექცა პრეზიდენტის მეგობარი ქალბატონი – მაკა ჩიჩუა, რომლის ჩაცმულობა, პირადად მე, ძალიან მომეწონა ყველა ეტაპზე.**

– გეთანხმები, მაკა ხელოვანია და როგორც ჩანს, ძალიან კარგი ხედვა და გემოვნება აქვს. სამივე კოსტიუმი, რომელიც გავრცელდა, იმსახურებს აპლოდისმენტებს. კოსტიუმები მან ქართველ დიზაინერს, დათუნა სულიკაშვილს შეაკერინა. ულამაზესი იყო ღია კაკაოსფერი პიჯაკი და ქვედაბოლო დილით. თუმცა, პიჯაკი ისეთი თხელი იყო, აშკარად ითხოვდა ლაბადას ან თხელ პალტოს, როგორც მინიმუმ. ზუსტად გარემოს შესაფერისი იყო მისი თვლებით გაფორმებული შავი კაბა, მაგრამ ერთადერთი, რასაც მის იმდღევანდელი აუტფიტების ჩამონათვალში კორექტივას შევიტანდი, იყო ვერცხლისფერი სამოსი – კაბაც და პიჯაკიც, არაპროტოკოლურად გამოიყურებოდა. არ შეიძლება, იატაკზე ეთრეოდეს კაბა, როგორც ქორწილში ან წითელ ხალიჩაზე ინაუგურაციის დღეს. და არც პიჯაკი შეიძლება, იყოს ისე, თითქოს ერთი ზომით დიდია. ასეთი პიჯაკები ძალიან მოდურია, მაგრამ იმ დღეს მაინც იყო გასათვალისწინებელი, რომ ნებისმიერ კოსტიუმს, კაბა იქნებოდა ეს, პიჯაკი თუ ქვედაბოლო, აუცილებლად მაინც ჰქონოდა მინიშნება საქმიანობისა და კონსერვატულობისკენ.







**– რას იტყვი ახალი პრემიერ-მინისტრის ცოლის ჩაცმულობაზე?**

– როგორი ახალგაზრდა და ლამაზი გოგო ყოფილა, მაგრამ მისი „ოსკარ დე ლა რენტას" კაბა ნამდვილად კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი. არ შეიძლება, ასეთ ოფიციალურ მიღებაზე, როგორი მსუბუქი გარემოც არ უნდა იყოს, წულის ყვავილებამოქარგული კაბა გეცვას. თავისთავად ის ძალიან რომანტიკული, ნაზი და ახალგაზრდულია და ბევრ სიტუაციას მოუხდებოდა, მაგრამ არა ინაუგურაციას. კაბაზე მას წითელი პალტო ეცვა, წითელი ზოგადად, ასეთ დღეებში ჩასაცმელად საკმაოდ სარისკო ფერია. მაგრამ, თუ მაინცდამაინც წითელი ფერი მომინდებოდა, მის ადგილას პირიქით გავაკეთებდი – სადა, ნაზ, ტანზე მომდგარ წითელ კაბას და შავ პალტოს ჩავიცვამდი.



**– სხვა ქალბატონებზე რას იტყვით?**

– რაც არ უნდა მინუსები ვიპოვო, მაინც მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ისინი, ვინც მაგალითად მოვიყვანე, იმ სიტუაციაში აშკარად გამოირჩეოდნენ სილამაზით და თავი არა მარტო მე, არამედ საზოგადოებას დაამახსოვრეს, რაც ნიშნავს, რომ მიზანი მაინც მიღწეულია. რასაც ვერ ვიტყვი სხვა პოლიტიკოსების მეუღლეებსა და პოლიტიკოს ქალბატონებზე. შესაძლებელია, მათ ბევრი სხვა საფიქრალი აქვთ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ასეთი რაღაცეები ყოველდღე არ ხდება და საზოგადოებას დიდხანს ამახსოვრდება. მათ ვურჩევდი, მეტი დატვირთვა მისცენ ვიზუალურ მხარეს, რადგან ხშირად ეს მათ სიტყვებზე მეტ გავლენას ახდენს მაყურებელზე.

**სალომე გველესიანი**

**დარწმუნებული ვარ, გასულ სამშაბათს „ახალი ხმის“ რინგზე გამოსული მარიამ პავლიაშვილისა და ნიკა ჭიბოშვილის დუეტი, არავის დატოვებდა გულგრილს. თუმცა, კონკურსის წესებიდან გამომდინარე, ნიკამ პროექტი დატოვა, მარიამი კი დარჩა.**

# რატომ არის მარიამ პავლიაშვილი ჰაერში 15 სანტიმეტრით აწეული და რატომ ვერ აკმაყოფილებენ მის „ჰაერში აწეულ“ კრიტერიუმებს

**მარიამ პავლიაშვილი**: ოთხი წელია, ვმღერი თბილისის მერიის ბიგ-ბენდში, ფაქტობრივად, იქ გავიზარდე. მათი პროფესიონალიზმი და დიდი გამოცდილება მეხმარებოდა, რომ იმაზე უფრო კარგი გოგო ვიყო, ვიდრე ვარ. ძალიან გავიზარდე, თუმცა, მანამდე, სადამდეც მინდა, რომ მივიდე, ჯერ კიდევ ბევრი მიკლია.

**– ბავშვობიდან მღერი?**

– ბავშვობიდან ვმღერი. ლაპარაკი ჯერ არ ვიცოდი და უკვე ვმღეროდი. როგორც მეუბნებიან, 10 თვისა სწორი ინტონაციით ვღიღინებდი. 4-5 წლიდან მუსიკის გარდა, გულით სხვა არაფერი მიკეთებია. დედა პიანისტი მყავს და მშობლების მხრიდან ამ კუთხით ხელშეწყობა სულ მქონდა. თავიდან შვიდწლედში ვსწავლობდი, ოღონდ, ფორტეპიანოს განხრით. ვოკალის პედაგოგი ცალკე მყავს – ხათუნა ლეჟავა, რომელთანაც ბავშვობიდან დავდივარ და ძალიან მიყვარს; ეს ჩემი მეორე მშობელი და დიდი პროფესიონალია. ახლახან „ბერკლის“ მუსიკალურ კოლეჯში ჩავაბარე და დაფინანსებას ველოდები. რადგან ამერიკაში ვერ ჩავდიოდი, ამიტომ, ვალენსიაში ჩავაბარე. გამოცდაზე რომ შევედი, ძალიან ვნერვიულობდი. შემატყვეს კიდეც და ბევრი იცინეს: ჩათვალე, რომ შენი ოჯახის წევრები ვართ, სანამ არ დაწყნარდები, არ დაიწყოო.

**– მახსოვს, ადრე „ჯეოსტარშიც“ მონაწილეობდი.**

– პირველი კონკურსი იყო „ნუცას სკოლა“, სადაც გავიმარჯვე – ხალხის რჩეული გავხდი. სწორედ იქ მომისმინეს და, დინი ვირსალაძისა და ჩემი პედაგოგის, ხათუნა ლეჟავას დიდი მონდომების შედეგად, მოვხვდი თბილისის მერიის ბიგ-ბენდში. მიმაჩნია, რომ ვარ კონკურსის ფორმატის კონკურსანტი; თან, კონკურსი სულ სხვა გამოცდილებას გძენს – შინაგანი ღელვა, ნერვიულობა გაქვს; იძულებული ხარ, სულ ფორმაში იყო, რაც ძალიან კარგია.

> ძლიერი ფსიქიკის ადამიანი ვარ და მშვიდად ვიღებ ყველაფერს. ყველაში არის სისუსტეები, შესაბამისად, ჩემშიც, მაგრამ ეს არანაირად არ ეხება მუსიკალურ კარიერას, რადგან აქ ყველაფერს თავით „ვაწვები“

**– რატომ გადაწყვიტე „ახალ ხმაში“ მონაწილეობა?**

– „ახალ ხმაში“ იმიტომ გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება, რომ, მინდა, უფრო მეტად ვიყო ხალხის გარემოცვაში, გამიცნოს ხალხმა. როგორც „ჯეოსტარში“, ასევე „ახალ ხმაში,“ ამის კარგი საშუალებაა, ანუ, შეგიძლია, ხშირად ჩანდე.

**– რატომ წახვედი დათოსთან?**

– ზოგადად, ყველა მწვრთნელს ძალიან დიდ პატივს ვცემ მათი შემოქმედებისა და მუსიკალური ისტორიის გამო. მაგრამ, მიმაჩნია, რომ ჩემი ადგილი ნამდვილად დათოსთან იყო. მერე თქვეს, დათოს ნათლულიაო, ყველგან ეკვეტებაო. არ ვარ ნათლული და არსად არ ვეკვეტები... ერთი ადამიანი ასეთ რამეს წერდა: ამ გოგოს თვალებზე ხელაფარებულმა უნდა უსმინო, ისეთი მახინჯიაო... ასეთ საინტერესო რალაცეებს წერენ ხოლმე.



> მერე თქვეს, დათოს ნათლულიაო, ყველგან ეკვეტებაო. არ ვარ ნათლული, არ ვარ! არსად არ ვეკვეტები. ერთი ადამიანი ასეთ რამეს წერდა, ამ გოგოს თვალებზე ხელაფარებულმა უნდა უსმინო, ისეთი მახინჯიაო

**– და, შენ აქცევ ამას ყურადღებას?**

– არა, არ ვაქცევ ყურადღებას, რადგან, ძლიერი ფსიქიკის ადამიანი ვარ და მშვიდად ვიღებ ყველაფერს. ყველას აქვს სისუსტეები და შესაბამისად, მეც მაქვს, მაგრამ, ეს არანაირად არ ეხება მუსიკალურ კარიერას, რადგან, აქ ყველაფერს თავით ვაწვები.

**– რინგზე შენი და ნიკას გამოსვლა ერთ-ერთი საუკეთესო იყო.**

– იმიტომ, რომ მე მყავდა სუპერპარტნიორი ნიკუშა, რომელიც დღეს ჩემი მეგობარია. ამ პროექტში გავიცანი, ძალიან შემიყვარდა და ჩემი კარგი მეგობარი გახდა. ახლა ბევრ რამეში მეხმარება და ამას მალე მაყურებელი ტელევიზიით იხილავს. კარგი ტანდემი შედგა და ეს ძალიან მიხარია. ჩემი აზრით, არ უნდა დაეტოვებინა პროექტი.

**– დათო ფორჩხიძე შენზე დიდ იმედებს ამყარებს და ამას ხმამაღლა აღიარებს კიდეც – მგონი, ფინალში გხედავს.**

– არ ვიცი, ფინალში მხედავს თუ არა, რადგან, ასე არ გვათამამებს მონაწილეებს, ასეთ რალაცეებს არ გვეუბნება. სულ ტონუსში ვარ, ვფიქრობ, რომ მე, როგორც ამ საკითხში მეტად გამოცდილს, უფრო მეტი მომეთხოვება. დათოს გუნდში ყველაზე უფროსი გოგო მე ვარ, თან, ყველაზე გამოცდილი და, ამიტომ, ჩემგან უფრო მეტს მოითხოვს დათო, უფრო მკაცრად მექცევა. სხვას თუ ეპატიება ყელის ტკივილი, მე არ მეპატიება. კი არ მსჯის, მეჩხუბება. თუმცა, ჯერჯერობით დათოს არც ერთი შენიშვნა არ დამიმსახურებია, რადგან, ყოველთვის ფორმაში ვარ – არ ვცივდები, თავს ვუვლი. ვცდილობ, ძილის რეჟიმი მქონდეს კარგი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და ხშირად ვსვამ თბილ სასმელებს, განსაკუთრებით ჩაი მიყვარს.

**– როცა ასეთ კონკურსში იღებ მონაწილეობას, ალბათ, გამარჯვების ამბიციაც გაქვს.**

– განწყობილი და მომართული ვარ იმისკენ, რომ მოვიგო. რა თქმა უნდა, როცა ამ პროექტში მონაწილეობ, არ ფიქრობ იმაზე, რომ რინგიდან ან პირველივე ლაივიდან გავარდები. მე იმისთვის მოვედი, რომ მოვიგო, ვნახოთ, რა გამომივა – არც ენერგიას ვიშურებ, არც დროს, არც ექსპერიმენტებს.

**– გიყვარს ექსპერიმენტები?**

– მიყვარს, მაგრამ, შედეგების ლოდინი არ მიყვარს, მოუთმენელი ვარ. ყველა მეკითხება, ცხრა თვე როგორ იჯექი მუცელშიო. ცხრა თვე ვიჯექი, მაგრამ, იმის მერე შვიდთვიანი ვარ. ვერ ვისვენებ. მოულოდნელი იქნება ჩემი შემდეგი გამოსვლა: ისეთი მუსიკალური განხრა ავირჩიე, რაც არასდროს მიმღერია, მაგრამ, შედეგით კმაყოფილი დავრჩი – დიდი ხასიათი, ემოცია სჭირდება იმ ჟანრს, რაც ავირჩიე და რომელიც არასდროს მიმღერია. ეს დათოს იდეა იყო და მეც თავდანხმდი. დათოს არ სჭირდება დიდი ძალისხმევა ჩემთან ერთად იმ იდეების განსახორციელებლად, რაც მას აქვს, რადგან, ხშირად ბევრ რამეს ერთნაირად ვფიქრობთ. საქმის იქით, ანუ, ცხოვრებაში, ექსპერიმენტები არ მიყვარს, რადგან, მირჩევნია, ყველაფერი დალაგებული და გათვლილი მქონდეს. თუ რალაც გათვლილი არ მაქვს, ის ისეთი არ გამოდის, როგორიც მინდა. ოღონდ, უნდა გქონდეს გეგმა A, B, C, რომ მეორეზე გადახვიდე. ზოგადად, ერთ რალაცაზე ჩაციკლული ადამიანი ვარ, ამიტომ, სხვა რამეზე გადართვა მიჭირს ხოლმე. მაგრამ, თუ რალაცაში არ გამიმართლებდა, მაინც ვახერხებდი ფეხზე წამოდგომას. დეპრესიული ადამიანი საერთოდ არ ვარ, არც ჩაკეტილი. უბრალოდ, არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი. როცა გამიცნობენ, ხვდებიან, რომ არ ვარ ჩაკეტილი ადამიანი, პირიქით, ძალიან კონტაქტური ვარ – მიყვარს ხალხის გაცნობა, ის გარემო, რომელშიც მე ვარ და ჩემი საქმე.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– არაფერი არ ხდება, დაოჯახებული არ ვარ. თუ ერთი ხუთი წელი კიდევ ასე გაგრძელდება, მერე უკვე დაუოჯახებელი დავრჩები. ჯერ არ ვჩქარობ, სხვა საქმეები მაქვს. თუმცა, გრძნობებს არასდროს გავექცევი, მაგრამ, ჯერ არავინ არ მიყვარს. თუ უახლოეს მომავალში შემიყვარდება ვინმე, რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნები.

**– მას მუსიკასთან კავშირი უნდა ჰქონდეს?**

– თუ მოუსმენს კარგ მუსიკას, ძალიან კარგი იქნება. თუ ექნება სმენა – ესეც ძალიან კარგია, თუ არ ექნება, არც ეს იქნება პრობლემა, რადგან, მუსიკოსები, ზოგადად, ძალიან რთულები არიან, განსაკუთრებით – კაცები და ძნელი იქნება მისი ატანა.

**– შენც ხომ მუსიკოსი ხარ, ანუ, რთულია შენი ატანა?**

– მეც რთული ვარ – ძალიან მომთხოვნი. მგონი, ყველა მუსიკოსი ჰაერში ვართ 15 სანტიმეტრით მაღლა, ამიტომ, როცა ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს „ჰაერში აწეულ“ კრიტერიუმებს, გვწყინს. ზედმეტ ყურადღებას ვითხოვთ, ზედმეტ სითბოს, რომანტიკას. სულით, გულით რომანტიკოსი ვარ, მიყვარს რომანტიკული გარემო და პერსონალური ურთიერთობები, რადგან, ასეთ დროს ადამიანებს უფრო კარგად გაიცნობ. როცა არ მექცევიან სათანადო ყურადღებით, მერე ვბრაზდები, ვეშვები, თავს ვანებებ. ადამიანებს ყოველთვის ყველაფერს ვუხსნი მანამდე, სანამ ეს შემიძლია. ათჯერ ვერავის ვერაფერს ავუხსნი. ამბობენ, სიყვარული ადებილებს ადამიანსო. თუ ვინმე მეყვარება, შეიძლება, თორმეტჯერაც ავუხსნა რალაც, მაგრამ, არა მგონია, ისეთი ადამიანი შემიყვარდეს, ამდენჯერ დასჭირდეს ახსნა.

**– ყოველ შემთხვევაში, რომანტიკული გარემო ნამდვილად უნდა შეგიქმნას.**

– შეიძლება, გულები არ დამინთოს, სახლთან ფოიერვერკები არ მომიწყოს, მაგრამ, ისეთი გარემო შემიქმნას, რომ ჩემთვის ყველაზე რომანტიკული იყოს. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. შეიძლება, სხვას არ ვგავარ, ცოტა არაჩვეულებრივი მოთხოვნები მქონდეს, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შიფერი მაქვს დაცურებული...

**ნათია უტიაშვილი**



# რატომ ეზღაუჭება ცოლიანი მამაკაცი საკუთარ წლებს და ნანობს თუ არა ის ახალგაზრდა ქალთან რომანს

**ამბობენ, რომ მამაკაცებს მოწიფულობის ასაკში ეწყებათ პრობლემები. ისინი ძნელად ეგუებიან იმას, რომ აღარ არიან ახალგაზრდები და, ამის გამო საკომპენსაციოდ, ცდილობენ, რომანი ახალგაზრდა ქალთან გააბან, რაც მათ საკუთარი თავის რწმენას უბრუნებს. სამწუხაროდ, აფექტში მყოფნი, ნაკლებად ფიქრობენ შედეგზე, რომელიც საკმაოდ სავალალოა ხოლმე, მით უფრო, როცა მამაკაცი წარმატებულიც არის და დაოჯახებულიც. კრიტიკული ასაკის გართულებები ქალებშიც შეინიშნება, თუმცა, გაცილებით ნაკლებად. უფრო აქტუალური ის მამაკაცებშია. მაგრამ, როცა ვნებები და ემოციები ცხრება, დგება იმედგაცრუებისა და რეალობის აღქმის პერიოდი და, არცთუ იშვიათად, ცხოვრებაც თავდაყირა დგება.**

**მიხეილი** ***(48 წლის):*** ახლა უკვე ეს ჩემი სინანულიც სასაცილოა. როცა ვფიქრობ, რა გავუკეთე საკუთარ ცხოვრებას, ნერვები მეშლება. სამწუხაროდ, გამონაკლისი არ ვარ და უამრავი მამაკაცი მოქცეულა ჩემსავით. ეჭვი არ მეპარება, ისინიც ასეთივე მდგომარეობაში იქნებიან, როგორშიც მე ვარ, უბრალოდ, არ ლაპარაკობენ ამაზე, მით უმეტეს – საჯაროდ.

**– თქვენ რატომ ლაპარაკობთ?**

– გეტყვით, დასამალი აღარაფერი მაქვს. მინდა, როგორმე მივაწვდინო ხმა იმ ადამიანს, რომელსაც ძალიან ვატკინე გული. ვერ ვამბობ, ცხოვრება დავუნგრიე-მეთქი, თუმცა, კარგად ისიც არ იქნება. ცუდად მოვექეცი, მაგრამ, უფრო ცუდად საკუთარ თავს მოვექეცი, მართალი ყოფილა – ჭაღარის გაჩენასთან ერთად რაღაც გემართება. თუმცა, მე არასდროს მქონია ცდუნება, გულწრფელად გეუბნებით ამას, იმიტომ კი არა, რომ განსაკუთრებული ცოლი მყავს და დღემდე მასზე ვარ უგონოდ შეყვარებული.

**– ცოლის უგონოდ სიყვარული სირცხვილია?**

– არა, რა თქმა უნდა. რა სისულელეა! ვისურვებდი, რომ ცოლი უგონოდ მყვარებოდა. მხოლოდ ბედნიერი ვიქნებოდი ამით. ახლა კარგად ნამდვილად არ ვარ. ჩემს ასაკში ასეთი რადიკალური რყევები ძალიან საშიშია. ბევრი შრომა ჩავდე, რომ უზრუნველყოფილი მომავალი და ის ყველაფერი მქონოდა, რაც ახლა მაქვს. ცოლი სიყვარულით არ შემირთავს.

**– ეს უკვე არის თავის გამართლების მცდელობა...**

– მე ასე არ ვფიქრობ. თავის გამართლებას არ ვცდილობ, მარტო იმის ახსნა მინდა, რომ სინანულში ვარ, ანუ, იმათზე უკეთ არაფრით ვგრძნობ თავს, ვინც ჩემი მიზეზით დაზარალდა. თუმცა, მარტო ჩემი მიზეზითაც არ ყოფილა და არ მომხდარა ეს ყველაფერი. ხომ ფაქტია, რომ მარტო ერთი მხრიდან არაფერი ხდება. ცოლი შევირთე პრაგმატული გათვლით. ძალიან კარგი ოჯახიდან იყო და, ვიცოდი, მამამისი ხელს მეც წამაშველებდა. მართლაც ასე მოხდა – ძალიან დამეხმარა კარიერის გაკეთებაში და გამიმარტივა ცხოვრება. მე მადლიერების განცდა სულ მქონდა. ურჩხული არ ვარ და ვერაფერს ვხედავ ცუდს იმაში, რომ კარგი ოჯახის შვილი მინდოდა ცოლად.

**– რომელიც არც გიყვარდათ და არც მოგწონდათ.**

– სამაგიეროდ, იმას მოვწონდი და ვუყვარდი. თუმცა, როგორც ქალი, მეც მიზიდავდა. უბრალოდ, ცოტა პრეტენზიული იყო – ასეთად გაზარდეს. მშობლები ყოველთვის უსრულებდნენ კაპრიზებს და მანაც არ მოიშალა ხუშტურები. ერთი სიტყვით, ცოტა მძიმე ხასიათი ჰქონდა და გვერდზე არასოდეს გამიხედავს.

**– გაშინებდათ და იმიტომ?**

– რა თქმაა – „გაშინებდათ“? არ მაშინებდა, მაგრამ, სკანდალებს ვერიდებოდი. მშვიდი ცხოვრება მერჩივნა წუთიერ სიამოვნებას. რომ წარმოვიდგენდი, რა ამბავს ამიტეხდა ჩემი ეჭვიანი ცოლი, რამე რომ შეემჩნია, ფლირტისა და არშიყობის სურვილი საერთოდ მიქრებოდა. მერე რა მოხდა, რა დამემართა, არ ვიცი. ეტყობა, ახალგაზრდა უფრო საღად ვაზროვნებდი. ჩემი ახალი თანამშრომელი რომ დავინახე, გული მაშინვე სხვანაირად შემიფართხალდა. ძალიან ლამაზი ფეხები ჰქონდა და უსაშველოდ მოკლე კაბა ეცვა.

**– გასაგებია: ოცი წლით უმცროსი ნორჩი გოგონა – თინეიჯერობის ასაკიდან ახალი გამოსული და, თქვენც ამჩატდით...**

– როგორი ცუდი მოსასმენია თქვენგან „ამჩატდი“, მაგრამ, უნდა დაგეთანხმოთ. ჩემს საქციელს ნამდვილად ამჩატება ერქვა. თავი დავკარგე. მთელი დღე ვუყურებდი და ვგრძნობდი, როგორ ვებმეოდი მისი მომაჯადოებელი გარეგნობის ბადეში. ჩემი ცოლი საკმაოდ ხშირად მაკითხავდა სამსახურში და მართლა მეშინოდა, რამე არ შეემჩნია. მუდმივად დაძაბული ვიყავი, თუმცა...

**– თუმცა, მაინც წახვედით რისკზე.**

– ჰო, ასე მოხდა. შეუძლოდ ვიყავი. ზოგადად, მის გვერდით სიმშვიდე დაკარგული მქონდა. უცებ მომიახლოვდა და მკითხა, ცუდად ხომ არ ხარო. თან, ხელი შუბლზე დამადო. თითქოს დენმა დამარტყა – საერთოდ ველარ ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი. მოვეხვიე და კოცნა დავუწყე. თავიდან მიძალიანდებოდა, მერე კი მომენდო... იმ დროს კაბინეტში ვინმე რომ შემოსულიყო, არ ვიცი რა მოხდებოდა. მეორე დღეს სახეში ველარ ვუყურებდი, ის კი თითქოს რაღაცას ელოდა ჩემგან. ბოლოს, ძალა მოვიკრიბე და ვუთხარი, მოდი, ორივემ დავივიწყოთ, რაც გუშინ ჩვენ შორის მოხდა-მეთქი. მესმის, თქვენ ცოლი გყავთ, ოჯახი გაქვთ, თანამდებობა... ვიცი, რომ არაფრის იმედი არ უნდა მქონდესო. მე მართლა გამიხარდა, ასე რომ მითხრა. მინდოდა, დაწყებამდე დამემთავრებინა ყველაფერი. არ გამომივიდა, ვერ შევიკავე თავი, რასაც ძალიან ვნანობ. ოღონდ, არ მითხრათ, სიამოვნებას რომ იღებდი, მაშინ რატომ არ ფიქრობდი ამაზეო. ვერ ვიფიქრე და რა ვქნა ახლა, თავი მოვიკლა?! არ ვამბობ იმას, რომ იმასაც უნდა ეფიქრა, რაზე მიდიოდა.

> **სკანდალებს ვერიდებოდი. წარმოვიდგენდი, რა ამბავს ამიტეხდა ჩემი ცოლი, რამე რომ შეემჩნია და, ფლირტისა და არშიყობის სურვილი საერთოდ მიქრებოდა**

**– ანუ, იმას აბრალებთ?**

– არავის არაფერს ვაბრალებ. საკუთარ საქციელზე პასუხი ყველამ თვითონ უნდა აგოს და მეც საკმაოდ ძვირად დამიჯდა ამჩატება. პირობა, რომელიც საკუთარ თავს მივეცი, ჰაერში დარჩა. ბედის ირონიით, თითქოს ჯიბრზე, რაღაც პროექტის განსახორციელებლად რამდენიმე დღით ერთად მოგვიწია წასვლა სხვა ქალაქში. სხვათა შორის, წასვლამდე ჩემმა ცოლმა საშინელი სკანდალი მომიწყო, არ მიშვებდა.

**– გაიგო, რომ უღალატეთ?**

– არა. უბრალოდ, ეჭვიანია და, ჩემი მივლინებები, თუნდაც ორდღიანი, მუდმივად ხდებოდა ოჯახში გრანდიოზული სკანდალის მიზეზი. ისე მღლიდა ეს ამბავი, რომ, ვცდილობდი, როცა საშუალება იყო, ისიც თან წამეყვანა.

**– იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, აღარ წაიყვანეთ.**

– ოჰ, როგორ „პრესში“ მატარებთ... ჰო, არ წავიყვანე. დაუვიწყარი, ვნებიანი დღეები და ღამეები გავატარეთ ერთად. წლები უკან მოვიტოვე. თავს ახალგაზრდა, ნორჩ, თავისუფალ ბიჭად ვგრძნობდი, სიამოვნებას ბოლომდე რომ ეძლევა და არაფერზე ფიქრობს. ვიცი, რომ ეს დიდი შეცდომა იყო, მაგრამ, მანახეთ ერთი მამაკაცი, რომელიც ასეთ ხანმოკლე ბედნიერებაზე იტყოდა უარს.

**– შედეგები რომ აღმოჩნდა მძიმე?**

– გეთანხმებით. ძალიან მძიმე აღმოჩნდა და, ვერ ვიტყვი იმას, რომ ეს ჩემთვის მოულოდნელი ან ძნელად წარმოსადგენი იყო. ბოლო დღეს ჩემმა საყვარელმა ძალიან მოიწყინა, იტირა კიდეც. ჩავალთ და ყველაფერი დამთავრდებაო, – სლუკუნებდა, – შენ გარეშე ცხოვრება ველარ წარმომიდგენიაო. ემოციური სურათი იყო და სისუსტე გამოვიჩინე. ვუთხარი, მეც ველარ წარმომიდგენია უშენობა და, სახლში რომ მივალ, ცოლს აუცილებლად დაველაპარაკები-მეთქი.

**– ანუ, მოატყუეთ?**

– არა, მაშინ მეგონა, რომ აბსოლუტურად გულწრფელი ვიყავი. როგორ აგიხსნათ, ალბათ თქვენც გქონიათ ისეთი მომენტი, როცა რაღაც ისე გინდა, რომ გგონია, ეს მართლაც შესაძლებელია.

**– ჰო, მაგრამ თქვენ ხომ იცოდით თქვენი სიტუაცია კარგად და საკუთარ ცოლსაც იცნობდით?**

– სამწუხაროდ, ეს ყველაფერი მხოლოდ ცივი გონებით რომ გავიაზრე, მაშინ მივხვდი, რომ ცოლს ვერაფერს ვეტყოდი... არ არის ადვილი გაშორება, როცა ადამიანთან ერთად მეოთხედი საუკუნე გაქვს გატარებული. ორმოცდაათი წლის ასაკში ცხოვრებას სუფთა ფუ-

# რუსეთში მცხოვრები შვილი თბილისში უგზო-უკვლოდ დაკარგულ დედას ეძებს

***49 წლის ტამარა ივანეს ასული ტოლმასოვა ეძებს 74 წლის სვეტლანა ივანეს ასულ სელინას.***

**ისტორია**: ვეძებ დედას, 1939 წელს დაბადებულ სვეტლანა ივანეს ასულ სელინას. დედის შესახებ 2013 წლის 10 ივნისის შემდეგ არაფერი ვიცი. დედაჩემი თავის დასთან ერთად ქალაქ თბილისში ცხოვრობდა, დის ავადმყოფობის შემდეგ კი ის უგზო-უკვლოდ დაიკარგა და მას შემდეგ დედას შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. თავად მე რუსეთში ვცხოვრობ და ძალიან გთხოვთ, დედის მოძებნაში დამეხმაროთ.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: გასულ კვირას „ჟდი მენიას“ რედაქციამ რამდენიმე ათეული ისტორია გადმომიგზავნა, რადგან, 2007 წლიდან ვარ საქართველოში მათი დამხმარე. ამ ისტორიებს შორის ერთ-ერთია ისტორია 74 წლის სვეტლანა სელინას დაკარგვის შესახებ. სამწუხაროდ, განმცხადებელს მწირი ინფორმაცია აქვს დაკარგული დედის შესახებ და, ამიტომ, ამ ქალბატონის პოვნის იმედს მის ფოტოზე ვამყარებ.

**– როგორ დაკარგეთ დედა-შვილმა ერთმანეთი, რა მოხდა ამა წლის ივნისში?**

– უკვე წლებია, რაც რუსეთში ვცხოვრობ. დაოჯახებული ვარ და აქ ვმუშაობ კიდეც. დედაჩემი კი, 1939 წელს დაბადებული სვეტლანა ივანეს ასული სელინა, თავის დასთან ერთად საქართველოში, ქალაქ თბილისში ცხოვრობს. 2013 წლის ივნისში დეიდაჩემი ცუდად გამხდარა და საავადმყოფოში დაუწვენიათ გულის შეტევის დიაგნოზით. მას შემდეგ დედა აღარავის უნახავს, მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ვიღაცას ქუჩაში მოუკრავს თვალი, მაგრამ, მეტი ინფორმაცია ვერაფრით ვერ მოვიძიეთ. რა თქმა უნდა, პოლიციასაც მივმართეთ და ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ დედა გვეპოვა, თუმცა, მისი პოვნის ცდა უშედეგოდ დასრულდა. ამა წლის ოქტომბერში მივმართე „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტსაც. აღარ ვიცი, რა ვიფიქრო, ძალიან რთულია გაურკვევლობა. მინდა, როგორმე დამეხმაროთ დედის პოვნაში. იქნებ, ის სურათზე მაინც იცნოს ვინმემ და გამოგვეხმაუროთ. გიგზავნით მის ბოლო ფოტოს. ჩვენი აზრით, დედას მეხსიერება დაებინდა და ამის გამო დაიკარგა.



**– აქამდე თუ ჰქონია დედათქვენს პრობლემები მეხსიერებასთან დაკავშირებით, ან, სხვა დროს თუ დაკარგულა?**

– ნამდვილად ვერ ვიხსენებ ასეთ რამეს. მგონი, აქამდე დედას მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები არ ჰქონია. დიდი იმედი მაქვს, რომ ის ცოცხალია და ჩვენ მას მალე ვიპოვით. სამწუხაროდ, მას არც პირადობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონია თან, მაგრამ, მე შემიძლია, დაახლოებით აგიწეროთ: ის საშუალო სიმაღლის ქალია, მუქი ფერის თმითა და თვალებით. განსაკუთრებული ნიშანი არ გააჩნია.

**– ანუ, ამა წლის ივნისის შემდეგ დედაზე არანაირი ინფორმაცია არ გაგაჩნიათ. თავად არ აპირებთ ჩამოსვლას?**

– ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გავიგეთ, თბილისში ჩამოსვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ, ერთ თვეზე მეტხანს არ გამომიშვეს. ამჟამად ისევ ვგეგმავ ჩამოსვლას და დედის მოძებნას. ვფიქრობ, ახლო მომავალში, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩამოვიდე.

**– ტელევიზიით თუ განაცხადეთ დედის დაკარგვის შესახებ?**

– სიმართლე გითხრათ, არ გამოგვიცხადებია, რადგან, თავიდან, ეს ამბავი რომ გავიგეთ, შოკში ვიყავით, შემდეგ პოლიციას მივმართეთ, ახლა კი თქვენ მოგმართავთ. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ დედა ცოცხალია, მისი პოვნისა და ნახვის იმედს არ ვკარგავთ.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ვთხოვ ჩვენს მკითხველს, ყურადღებით დააკვირდეს სურათს და, თუკი ვინმეს რაიმე ინფორმაცია აქვს ამ ქალბატონის შესახებ, აუცილებლად გვაცნობოს.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

რცლიდან ვერ დავიწყებდი, ამიტომ, გადავწყვიტე, ისევ ჩემს საყვარელს დაველაპარაკებოდი და დამემთავრებინა ეს სახიფათო ურთიერთობა. გაგიჟდა. საშინელი სიტყვებით გამლანძღა. ისეთი დამამცირებელი რაღაცეები მითხრა, რომ მიწა შემერყა ფეხქვეშ.

**– გაგიკვირდათ? არ იმსახურებდით?**

– ალბათ, ვიმსახურებდი, მაგრამ მერე მეტისმეტი მოუვიდა. როცა ვიფიქრე, რომ ყველაფერი გაიგო და დავასრულეთ, მერე ჩაიდინა წარმოუდგენელი საქციელი, რასაც მისგან არანაირად არ ველოდი – ჩემს ცოლს დაურეკა და შეხვდა. არ ვიცი, რა ელაპარაკა, აღარ დავინტერესებულვარ, ან, რაღა საჭირო იყო. ჩემმა ცოლმა ისეთი დღე მაყარა, ვეხვეწებოდი, მთელ სახლს ნუ დალეწავ-მეთქი. სასამართლოში გარბოდა – ცარიელზე უნდა დაგსხვა, მათხოვრად უნდა გაქციოო.

## საკუთარ საქციელზე პასუხი ყველამ თავად უნდა აგოს და მეც საკმაოდ ძვირად დამიჯდა ამჩატება

**– აი, თურმე რა ყოფილა თქვენი მთავარი პრობლემა.**

– არც დამიმალავს, რომ ეს იყო მთავარი პრობლემა. თქვენთანაც ვთქვი და ჩემს საყვარელსაც ვუთხარი, რომ ჩემს ასაკში აწყობილ ცხოვრებას ვერ დავინგრევდი, ყველაფერს თავიდან ვერ დავიწყებდი. ნაძირალა ვარ თუ იდიოტი, ეს რეალობას არ ცვლის.

**– გამოიყენეთ ახალგაზრდა და გულუბრყვილო ქალის ნდობა...**

– რა უცნაურ რამეს ამბობთ. როგორ გამოვიყენე?! იყო რომანი და დამთავრდა. მე მისთვის სიყვარული არ ამიხსნია; არ მითქვამს, ჩემი ცხოვრების ქალი ხარ-მეთქი. ისიც არ იკმარა, რომ ოჯახში მომიწყო ჯოჯოხეთი, კორპორაციის უფროსთან მიჩივლა, ჩემზე სექსუალური ძალადობა განახორციელაო, საქვეყნოდ მომჭრა თავი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემს ცოლს შევეცოდე და შეწყვიტა ტერორი, ოღონდ, მუდმივად მაძახებს, რომ ოჯახის ღირსი არ ვარ; რომ გარეთ უნდა გამაგდოს, მაგრამ, შვილების და ერთად გატარებული წლების გამო ვებრალები. კიდევ, იმ ძუკნას არ გავახარებ ჩემი ოჯახის დანგრევითო. მოკლედ, მაინც მოვყევი ნანგრევებში. საშინელი დეპრესია მაქვს. მაწუხებს ისიც, რომ, სადაც კი მოხვდება და ხელი მიუწვდება, ჩემი ყოფილი საყვარელი ყველგან საშინლად მლანძღავს. სამსახურში თანამშრომლები ალმაცერად მიყურებენ და ზურგს უკან ჩემზე ჭორაობენ. ისეთი დამთრგუნველია ეს კაცისთვის, რომელსაც რესპექტაბელურობაზე ჰქონდა პრეტენზია, ვერ აგიწერთ. მოკლედ, ვიცი, რომ გვიანაა თითზე კბენანი, მაგრამ, რაღას ვიზამ? ადრე უნდა მეფიქრა ამ ყველაფერზე. ნეტავი, ოდესმე თუ დალაგდება ჩემი ცხოვრება ისევ? ეჭვი მეპარება. საკუთარ თავს ვეკითხები: ნუთუ, რაც ჩავიდინე, სიბერის შიშით მომივიდა-მეთქი? ისეც ხომ ხდება, რომ ორმოც წელს გადაცილებულ მამაკაცებს ასეთი რამ მექანიკურად, შეუცნობლად ემართებათ, საკუთარი ნებისგან დამოუკიდებლად? თუმცა, ასეც რომ იყოს, მე ეს მაინც არ გამამართლებს.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**მე და ჩემი ქმარი უკვე ძალიან ხშირად ვჩხუბობთ, უმნიშვნელო წვრილმანზეც კი. ჩვევად გვექცა მუდმივი კინკლაობა და უკვე მეშინია – ნუთუ ერთად ცხოვრება არ შეგვიძლია და უნდა გავშორდეთ? როცა ერთად არ ვართ, სულ მენატრება – ვნახავ და ვიწყებთ ომს. რა მჭირს? როგორ უნდა მოვაგვარო ეს პრობლემა?**

**გამოხმაურება**: პრობლემა მართლაც სერიოზულია. თქვენ გაქვთ მექანიკური აგრესია ქმარზე, ასეთი ფსიქოლოგიური „ჩავარდნები“ არსებობს და ფსიქოლოგია იცნობს ასეთ შემთხვევებს. საკუთარ თავს მარტო თქვენ თუ უშველით. თუ ქმართან ურთიერთობა თქვენთვის ძვირფასია, ნუ დააკლებთ ძალისხმევას, გამოასწოროთ სიტუაცია. თუ ქმარი გიყვართ, შეძლებთ ამას.

**ფსიქოლოგი**

**ჩვენი რესპონდენტი უკრაინელი მომღერალია, რომელიც კიდევ არაერთ პროფესიას ითავსებს. ლილუ ვეგა ქართველმა მსმენელმა გაიცნო მას შემდეგ, რაც მან სიმღერა „თბილისი-კიევი" ქართველ რეპერთან, მასტერთან ერთად ჩაწერა. ლილუ საქართველოში უკვე რამდენჯერმე იყო და, იმდენად მოეწონა ჩვენი ქვეყანა, რომ სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა, ქართულ-უკრაინული დუეტი ჩაეწერა. მასტერი კი ინტერნეტის მეშვეობით იპოვა. უფრო დაწვრილებით, რას საქმიანობს ჩვენი რესპონდენტი, მისივე ნაამბობიდან შეიტყობთ.**

# ვინ აამღერა პოპულარული უკრაინელი მსახიობი ლილუ ვეგა ქართულად და რა ოცნება აიხდინა მან საქართველოში

**– ლილუ, უკრაინაში საკმაოდ ცნობილი მომღერალი ხართ, ასევე, მუშაობთ ტელევიზიაში.**

– გარდა იმისა, რომ ვმღერი და ვმუშაობ ტელევიზიაში, ასევე, ვარ უკრაინაში ძალიან პოპულარული რადიოს – „ევროპა პლუსის" წამყვანი. სტუმრად ვიწვევ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილ და პოპულარულ ადამიანებს. ჩემს გადაცემაში მოუსმენთ როგორც სპორტსმენებს, ასევე, ბიზნესმენებს, მსახიობებს და ასე შემდეგ. ყველა სტუმარი თავისი წარმატების სამ ძირითად მიზეზს ასახელებს ეთერში. რაც შეეხება ტელევიზიას, დილის გადაცემაში ვმუშაობ. ამასთან ერთად, მონაწილეობას ვიღებ ბევრ კონცერტში, ვახმოვანებ ჰოლივუდის ფილმებს. სხვათა შორის, ძალიან ბევრი მთავარი როლი მაქვს ამ ფილმებში გახმოვანებული. იშვიათად მეც მიღებენ ფილმებში. მთავარ როლს ვთამაშობ უკრაინულ პირველ 3D ფილმში, მითამაშია რამდენიმე მეორეხარისხოვანი როლიც.

**– სიმღერა როდის დაიწყეთ?**

– ბავშვობიდან ვმღერი. სკოლის დამთავრების შემდეგ კიევში გადმოვედი საცხოვრებლად და ჩავაბარე უმაღლესში. იმის გამო, რომ კარგად ვსწავლობდი, ინსტიტუტი ექსტერნად დავამთავრე და მუშაობა დავიწყე, თუმცა, დიდ სცენაზე მაშინვე არ მოვხვედრილვარ. ბევრს ვმღეროდი კლუბებში, ასევე, რადიოში სიმღერით ვახმოვანებდი სარეკლამო რგოლებს, რადიოს ტიხრებს და ასე შემდეგ. რამდენიმე წელიწადში კი ესტრადაზე ჩემი პირველი ნაბიჯიც გადავდგი.



**„ლილუ" ჩემი ფსევდონიმია. აბა, ნორმალური დედა თავის შვილს ამ სახელს ხომ არ დაარქმევს. მოგვიანებით გვარიც ავიღე ფსევდონიმად და დღეს ვარ ლილუ ვეგა**

**– როგორც ვიცი, სოლო შემსრულებელი ხართ, თუმცა, ერთი დუეტი მაინც მაქვს მოსმენილი, ისიც, ქართველ შემსრულებელთან, მასტერთან ერთად. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

– ეს დუეტი ორ ქვეყანაში ჩაიწერა: მე ჩემი პარტია უკრაინაში ჩავწერე, ხოლო მასტერმა თავისი პარტია – საქართველოში. აი, როცა ამ სიმღერაზე ვიდეოს გადავიღებთ, მაშინ მე და მასტერი, რა თქმა უნდა, ერთად ვიქნებით.

**– ერთმანეთი საქართველოში გაიცანით თუ უკრაინაში?**

– ერთმანეთი ინტერნეტის საშუალებით გავიცანით. საერთაშორისო დუეტის ჩაწერა მინდოდა და „ფეისბუქის" საშუალებით მამრობითი სქესის ქართველი შემსრულებლების გვერდებს ვათვალიერებდი – მინდოდა, ის ადამიანი მეპოვა, რომელთანაც ამ დუეტს ჩავწერდი. აი, ასე ვიპოვე მასტერიც, რომელიც მაშინვე მივხვდი, რომ თანამედროვე და ნიჭიერი შემსრულებელი იყო. ეს სიმღერა უკრაინაში ძალიან პოპულარულია, ბევრს მოსწონს. მართალია, არც მათ და არც მე არ გვესმის, ქართულ ენაზე რას ვმღერი, მაგრამ, სიმღერა ძალიან პოზიტიურია.

**– ქართულ ენაზე სიმღერა არ გაგიჭირდათ?**

– კი, ძალიან გამიჭირდა. სტუდიაში ქართული ენის პედაგოგიც კი მყავდა მოწვეული, რომელიც ჩაწერის დროს მისწორებდა სიტყვებს. მართალია, აქცენტით ვიმღერე, მაგრამ, მაინც კმაყოფილი ვარ.

**– კლიპის გადაღებას სად გეგმავთ?**

– გადაღებები საქართველოშიც იქნება და უკრაინაშიც. გადამღები ჯგუფიც უკრაინული იქნება. მართალია ოპერატორი საკმაოდ ძვირად ღირებული მყავს შერჩეული, მაგრამ, როგორც ჩემი მეგობარი, კარგ ფასდაკლებას მიკეთებს. ძალიან კარგი გადამღები ჯგუფია, რომლებთანაც არაერთხელ მიმუშავია. ამიტომ, ექსპერიმენტების დრო არ არის და, მირჩევნია, ვისაც ვიცნობ, ვიდეოც მათ გადაიღონ.

**– საქართველოში ადრეც იყავით თუ ამ სიმღერას უკავშირდება თქვენი და საქართველოს ურთიერთობა?**

– არა, საქართველოში უკვე ექვსჯერ ვარ ნამყოფი. პირველად დაქალთან ერთად ჩამოვედი სამი-ოთხი დღით, ქვეყნის დასათვალიერებლად. თავი ისე კომფორტულად ვიგრძენი, რომ მერე უკვე ჩემს შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ჩამოვედი და რამდენიმე კლიპიც ჩამოვიტანე, რომლებიც „მიუზიკ ბოქსზე" ტრიალებს. მერე უკვე „თბილისის მოდის კვირეულზე" ჩამოვედი და ჩემი მეგობარი დიზაინერის, თამუნა ზაუტაშვილის ჩვენება დავხურე. ამ შემთხვევაში ვიყავი უკვე როგორც მოდელი. ერთ-ერთ კლუბში გამართულ კონცერტშიც მივიღე მონაწილეობა. მერე კი ჩამოსული ვიყავი ჩემი და მასტერის დუეტის პრეზენტაციაზე, რომელიც რადიო „ფორტუნა პლუსის" ეთერში შედგა.

**– გამოდის, რომ მოდელიც ხართ?**

– არა, ეს ჩემი ოცნება იყო, რომელიც საქართველოში ავიხდინე. მოდელის სიმაღლეც კი არ მაქვს, მოყვარული ვარ. ხანდახან არტისტებიც ვდგავართ პოდიუმზე, მით უმეტეს, თუ ფიზიკური მონაცემები ამ ყველაფერში ხელს გვიწყობს.

**– როგორც ვიცი, დედა ხართ.**

– 11 წლის ბიჭი მყავს, რომელიც არ მღერის, ძალიან არის სპორტით გატაცებული, თამაშობს ფეხბურთს.

**– ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი გყავთ უკრაინაში. მათგან ბევრს იცნობთ?**

– ყველა არტისტს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. როცა პოპულარული ხარ, ესეც ჩვეულებრივი ამბავია. ყველას ნამდვილად არ ვიცნობ, ამისთვის, უბრალოდ, დროც არ მეყოფა. „ფეისბუქისა" და სხვადასხვა სოციალური ქსელის საშუალებით კი უამრავი მათგანი მიკავშირდება. მინდა გითხრათ, რომ, წერილებს, რომლებსაც ისინი მიგზავნიან, მე თვითონ ვპასუხობ, როგორც კი ამის დრო მაქვს ხოლმე.

**– „ლილუ" სასცენო სახელია?**

– „ლილუ" ჩემი ფსევდონიმია, აბა ნორმალური დედა თავის შვილს ამ სახელს ხომ არ დაარქმევს? მოგვიანებით გვარიც ავიღე ფსევდონიმად და დღეს ვარ ლილუ ვეგა, ჩემი ნამდვილი სახელი კი სვეტლანაა.

**მინდა, ჩემი და მასტერის დუეტი ისევე პოპულარული იყოს საქართველოში, როგორც უკრაინაშია; მინდა, მას უსმენდნენ ყველგან – რადიოში, ავტომობილში და ასე შემდეგ**

**– რას ეტყვით ქართველ მსმენელს, რომელმაც თქვენი სიმღერა უკვე მოისმინა?**

– მინდა, ჩემი და მასტერის დუეტი ისეთივე პოპულარული იყოს საქართველოში, როგორც უკრაინაშია; მინდა, მას უსმენდნენ ყველგან – რადიოში, ავტომობილში, მერე კი უყურონ ვიდეოს, როცა მას გადავიღებთ. ქართველი მსმენელი მე უკვე ძალიან შემიყვარდა.

**მარიკა ხიდურელი**

# ვინ იყვნენ ამქრების მფარველი წმინდანები, რომელ წელს მოხდა მათი აჯანყება თბილისში და რა შედიოდა ამქრის წევრის მოვალეობაში

*იოსებ გრიშაშვილი თავის უკვდავ ნაშრომში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა" ასე გვიხსნის ამქრის მნიშვნელობას: „ამქრობა ყარაჩოღელთა კულტი იყო. ამქრობა ბოჰემის ერთი იმ ნატეხთაგანია, ურომლისოდაც ძველი თბილისის დარღვეული სახე ვერ შეკოწიწდება".*

**ამქრობა**

ივანე ჯავახიშვილის ცნობებით, საქართველოში ამქრობის წეს-წყობილების დამკვიდრება მეთვრამეტე საუკუნეში იღებს სათავეს. ვინაიდან „არაბეთის სახალიფოში" ამქრები უკვე მერვე საუკუნეში არსებობდნენ, ხოლო საქალაქო

თბილისის ამქარი (1913 წლის ფოტო)



წესწყობილებაზე არაბებს გავლენა ჰქონდათ, ამის გამო, საფიქრებელია, რომ ამქრები თბილისში მაინც უნდა ყოფილიყვნენ. ხელოსნობის თითოეულ დარგს საკუთარი ამქარი ჰყავდა. ამ ორ-



თბილისელი მეწაღეები, ამქრის წევრები (დავით ერმაკოვის ფოტო)

განიზაციაში შესვლა შეეძლო ყველა ადგილობრივ მცხოვრებ ხელოსანს, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა. ამქარს ჰყავდა თავისი გამგეობა, რომელსაც განაგებდა უსტაბაში (ოსტატების თავი, თავმჯდომარე). ყველა ამქარს საკუთარი დროშა ჰქონდა, რომელზეც გამოხატული იყო ფირი (ღერბი, ემბლემა) და ეს ფირი წარმოადგენდა ამქრის სიმბოლოს. თითოეულ ამქარს თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდა. ასე, მაგალითად, ხარაზების დროშაზე გამოხატული იყო ელია (ილია წინასწარმეტყველი), დაბალებისაზე – ღვთისმშობელი, სირაჯებისაზე – ყურძნის მტევანი, ყასბებისაზე – მამა აბრამი თავისი ბატკნით, ხუროებისაზე – ნოეს კიდობანი და სხვა. ხუროებმა, ხარატებმა და დურგლებმა თავიანთ დროშას შემდეგ მტრედიც მიუმატეს. ამ „მტრედის" ისტორია ასეთია: როცა ნათლისღება დღეს, მტკვრის პატარა ტოტში ჯვარს ჩაუშვებდნენ, გაიმართებოდა მტკვარში ცხენების ჯირითი. გაღმა ჯარი იდგა, გამოღმა – ქალაქის მოსახლეობა. ისროდნენ თოფებს, უკრავდნენ ზურნას და, ამასთანავე, მტრედების გუნდსაც აუშვებდნენ. ერთხელ, ასეთი „აფრენის" დროს, ერთი მტრედი დურგლების დროშაზე დაჯდა. ხელოსნებმა ეს სასწაულად მიიღეს და მას შემდეგ დროშას მტრედიც მიუმატეს.

საქეიფოდ ყოველ ამქარს წელიწადში გაზაფხულის ერთი დღე ჰქონდა არჩეული. თითქმის ორმოცი დღის განმავლობაში (აღდგომის ორშაბათიდან – ამაღლებამდე) ორთაჭალა და ქალაქის სხვა განაპირა მიდამოები ახმაურებული იყო ამქართა დღესასწაულებით. მიდიოდნენ ქალაქის ბაღებში, დაკლავდნენ სალვთოს და ამზადებდნენ შილაფლავს. ეს შილაფლავი რიგდებოდა ღარიბ-ღატაკთა შორის და ერთ კარგა მოზრდილ ქვაბს, თავის „ჯვარისმამის ლავაშებით", ციხეშიც უგზავნიდნენ პატიმრებს.

ამქართა ოჯახი საკმაოდ მტკიცე ორგანიზაციას წარმოადგენდა. შემაკავშირებელი დუღაბი იმდენად მძლავრი იყო, რომ ამქრები ზოგჯერ ორგანიზებულად გამოსვლასაც კი ახერხებდნენ. ასე მოხდა, მაგალითად, 1865 წელს, როცა ახალი გადასახადების შემოღებას – ამ ახალი სამოქალაქო ცხოვრების პირველ სტუმარს, თბილისის ამქრობამ აჯანყებით უპასუხა. ათი ათასზე მეტი კაცი შეიარაღდა ქვებით (ყველა მეამბოხეს ჩოხის კალთები რიყის სიპი ქვებით ჰქონდა სავსე) და გამოვიდა ქუჩებში. „მთელ ქალაქში დაიკეტა დუქნები, მედროჟკეებმა დატოვეს ბირჟა, „მეპოვოსკენი" დაიმალნენ, თულუხჩებმა შეწყვიტეს წყლის ზიდვა და მთელი ქალაქი გალაგდა ხოჯივანქში, ბებუთაანთ სასაფლაოზე", სადაც მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგი გაიმართა. ამქრებს ჰყავდათ თავიანთი მეთაურები, რომელნიც ხალხს აქეზებდნენ და აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ. მთავრობა შედრკა, შეეშინდა, ქალაქელებს სოფლელები არ გამოჰქომაგებოდნენ და ჯარის გამოყვანა დაიწყო, მუხროვანიდან მოიტანეს ზარბაზნები და ავლაბრის ორივე ხიდზე, თათრის მოედანზე პოლიციის შენობასთან, კუკიის ხიდთან და ჩუღურეთის სიახლოვეს განალაგეს. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ამქრებიდან ბევრი დაიჭირეს, ბევრიც გადაასახლეს. თუმცა, არ იფიქროთ, რომ

თბილისელი სირაჯები



ამით მათში ჩაკლეს ბრძოლის ან იარაღის ტარების უნარი. ისტორიული მაგალითები გვიჩვენებს, რომ, როგორც ქართველ მეფეებს, ისე შე-



თბილისელი მკერავი (დავით ერმაკოვის ფოტო)

მდეგი დროის მმართველებს, ხშირად მიუმართავთ ამქრებისათვის, როგორც მებრძოლი ძალისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე თბილისის დაცვას ეხებოდა. „ამქარი ქართველი მეფეების დროს წარმოადგენდა ქალაქის ადგილობრივ გარნიზონს, რომელიც თბილისს იცავდა მტრების თავდასხმისგან. ჯერ კიდევ 1803 წელს, განჯის ციხის აღების დროს, ქართულ ჯართან ერთად თბილისის ამქრობაც იღებდა მონაწილეობას; 1826 წელს ამქრები სდარაჯობდნენ ნავთლუღის ჰოსპიტალს, არამწყობრ ჯარისკაცებთან ერთად; ხოლო, 1854 წელს ოსმალეთთან ომის დროს, გენერალ რეადის მიერ, სხვა მოქალაქეებთან ერთად, თბილისის ამქრებიც იყვნენ გაწვეულნი და ეს ხალხი, მთლად შეიარაღებული, ერთსულოვნად გამოცხადდა". ზოგი რუსი მოხელე ამქრობის ინსტიტუტის წინააღმდეგი იყო, ვინაიდან, ამქრობაში გაერთიანებული იყვნენ წვრილი ვაჭრები, რომლებიც თითქოსდა მონოპოლიური უფლებით სარგებლობდნენ. 1849 წელს



თბილისის ამქრის წევრები მეცხრამეტე საუკუნეში

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

# რისგან თავის შეკავება მართებთ თანამედროვე ქრისტიანებს ყველაზე მეტად და როგორ უნდა შევამოწმოთ ყველამ საკუთარი რწმენა

**დღეს, ალბათ, იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომელიც ყველაფრით კმაყოფილია, არ წუწუნებს, არ გამოთქვამს უკმაყოფილებას და ამაში ხშირად სხვებს ადანაშაულებს. რატომ არის წუწუნი ცოდვა, რატომ არ უნდა ფიქრობდეს ქრისტიანი მუდმივად ცუდზე, როგორ უნდა მოიქცეს ის წირვის დროს, – ამ ყველაფრის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

**– მამაო, რა წერია სჯულის კანონში იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არ დადიან ეკლესიაში?**

– სჯულის კანონში გარკვევით წერია: თუ ადამიანი ერთი თვის განმავლობაში არ გამოჩნდება ეკლესიაში, ის უნდა დაითხოვოს მოძღვარმა ეკლესიიდან. მაგრამ, დღეს მოძღვრები ასეთი მკაცრები ვერ ვიქნებით, რადგან, სეკულარულ საზოგადოებაში გვიწევს მოღვაწეობა, თითქმის ბოლო ჟამის დასაწყისია. მე ყოველთვის შემწყალებელი ვარ, ადამიანი წელიწადში ერთხელ რომ მოვიდეს ეკლესიაში, შევიწყალებ, ვათქმევინებ აღსარებას და ვაზიარებ. მაგრამ, თუ ადამიანს სინდისი გააჩნია, მიხვდება, რომ მას არ ეკუთვნის ეს ზიარება, რომელიც ღვთის უდიდესი მოწყალებაა, მოძღვრის კეთილი ნებაა. ასეთ ადამიანს სინდისი მუდმივად უნდა ამხილებდეს: არ დაიღალე ერთი და იმავე ცოდვის ჩადენით, ერთი და იმავეს თქმით აღსარებაში, ულოცველობით, უმადლობით? ამიტომ, ყოველი კვირა, არ აქვს მნიშვნელობა რომელიმე წმიდანის ხსენების დღე იქნება ის, დიდი დღესასწაული თუ ჩვეულებრივი დღე, ყველასთვის უნდა იყოს 1 სექტემბერი, ანუ, გარკვეული სწავლის დაწყება, მონატრება. ვაკვირდები ადამიანებს და, როდესაც ისინი წირვაზე მოდიან, უპირველეს ყოვლისა, ხატებს კი არ ეამბორებიან, არამედ, მესანთლესთან მიდიან, მერე სტიქაროსნებს, ერთმანეთს ეამბორებიან. რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერია, უბრალოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ, როდესაც ეკლესიაში შემოდიხართ, ამ დროს მესანთლის სახლში ან მამა გიორგის, სტიქაროსნების სახლში კი არ დგამთ ფეხს, არამედ, უფლის სახლში შემოაბიჯებთ. უფალი ამ დროს გესაუბრებათ, გისმენთ, თქვენ კი მიბრუნდებით და თქვენივე მსგავს ადამიანს ათას სისულელეზე ესაუბრებით და, შესაბამისად, ლიტურგიას იწყებთ დამახინჯებულად. ამ დროს შენი გონება არ არის მზად იმისთვის, რომ კვერექსი მოისმინო, საგალობლები, პირიქით, ერთი სული გაქვს, ეს ყველაფერი როდის დამთავრდება და სახლში გაიქცე. ზოგი მხოლოდ ზიარებას ელოდება, ზოგი – ქადაგებას, თუმცა, ამას არც ასრულებს; ზოგი მხოლოდ ერთმანეთთან სასაუბროდ და გასართობად მოდის. ზოგჯერ ადამიანი ეკლესიაში მიდის და ზოგჯერ შიგნით არც კი შედის, ან, თუ შედის, ძალიან ბევრს მოძრაობს. მინდა, არქიმანდრიტ მამა გაბრიელის სიტყვები შეგახსენოთ: თქვენ რომ იცოდეთ, წირვაზე რამხელა მადლია, წირვის მერე მტვერს მოხვეტდით და ეამბორებოდითო.



**მინდა, არქიმანდრიტ მამა გაბრიელის სიტყვები შეგახსენოთ: თქვენ რომ იცოდეთ, წირვაზე რამხელა მადლია, წირვის მერე მტვერს მოხვეტდით და ეამბორებოდითო**

**– რისგან გვჭირდება დღეს ყველაზე მეტად თავის შეკავება?**

– პირველი: ცუდზე აღარ უნდა ვიფიქროთ. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ოქრო და ვერცხლი რომ დაუყარო წინ, მთელი სამყაროს ბრილიანტები რომ დაუყარო მუხლებთან, მაცხოვარი რომ გამოეცხადოს, მაინც ცუდზე ფიქრობს. ხშირად მინახავს, ხუთი წუთის წინ ნაზიარებ ადამიანს როგორ ჩამოსტირის თავ-პირი. არ მგონია, მას იმხელა სულიერება ჰქონდეს, რომ თავის ცოდვებს ისევ განიცდიდეს, მაგრამ, სიხარული ხომ უნდა გეტყობოდეს სახეზე ღიმილის სახით მაინც?! სამწუხაროდ, ისეთი მოძღვრებიც არიან, მათ რომ მოუსმენ, საქართველოდან უნდა გაიქცე, ყველაფერი უნდა გაყიდო; არავითარი აიდი-ბარათი, ყველაფერი დამთავრდა, ჯოჯოხეთია დედამიწაზე და აღარაფრის კეთებას არ აქვს აზრი. რა თქმა უნდა, ასე არ არის, მაინცდამაინც ცუდზე რატომ უნდა ვიფიქროთ? ასეთმა ადამიანებმა უნდა წაიკითხონ აპოკალიფსი, იქ ძალიან ბევრი რამ წერია მოსალოდნელ კატაკლიზმებზე, მაგრამ, ბევრი ზღაპარი სწორედ აპოკალიფსიდან იღებს სათავეს. მათ, ვინც სახარებას კითხულობს, კარგად იცის ერთი მომენტი, როდესაც ეშმაკეულის მამა დასახმარებლად მოციქულებთან მიდის. მან ჩვენსავით კი არ ჩაიქნია ხელი – არაფერი აღარ ეშველებაო, პირიქით, მოციქულებთან მიდის დახმარების სათხოვნელად, თუმცა, როდესაც ისინიც ვერ ახერხებენ დახმარებას, არც მაშინ ჩაიქნევს ხელს და ახლა უკვე იესო ქრისტეს მიმართავს. მაცხოვარი ეკითხება: გწამს, რომ მე ეს შემიძლია. მიიღე შენი სარწმუნოებითო. ამ ადამიანს რომ არ ჰქონოდა იმედი, ღმერთის რწმენა, სასოება, ვერ განიკურნებოდა მისი შვილი, რომელიც ბავშვობიდან ეშმაკეული იყო. ხომ შეიძლება, ასეთი ადამიანის მამა ყოფილიყო გაბოროტებული, უიმედო; მაგრამ, არა, პირიქით, ის იმედიანი იყო, სასოებით მივიდა მაცხოვართან და შვილის კურნებაც მიიღო. ამიტომ, თქვენც უნდა იყოთ იმედიანები, ცუდის მაგივრად კარგზე უნდა ფიქრობდეთ და არ უნდა იყოთ დაღვრემილები, დამძიმებულები. თუ ქრისტიანი ხარ, მოღიმარი უნდა იყო; თუ რამე გაწუხებს, შენს გულში უნდა დამალო და სხვას არ უნდა მოახვიო შენი პრობლემები, რადგან, ყველას გაგვაჩნია პრობლემები და ამის გარეშე არ გვამყოფოს ღმერთმა, რადგან, ამის გარეშე ვერც გვაცხონებს.

**– როგორ ეხმარება ადამიანს პრობლემები ცხონებაში?**

**თავი უნდა დავანებოთ ცხოვრებაზე წუწუნს. ძალიან ბევრი ქრისტიანი ეკლესიაში ღმერთის ან მოძღვრის სიყვარულით კი არ მოდის, არამედ, მუდმივად ცხოვრებაზე წუწუნებს**

– გარკვეული პრობლემები, განსაცდელები, ჯვარი, რომელიც ღმერთმა ჩვენზე დაუშვა, საჭიროა იმისთვის, რომ უფრო მეტად გავიზარდოთ, გავძლიერდეთ, არ დავკარგოთ სასოება; ამიტომაც, ამის გარეშე ვერავინ ცხონდება. კარგად ამბობს ბასილი დიდი: ცხონება ადამიანის ნებით და ღვითს დაშვებით ხდება. როგორ შეიძლება, ღმერთმა რამე ვერ შეძლოს, მაგრამ, შენ თუ არ გინდა ცხონება, ის ძალით არ გაცხონებს, რადგან, მთავარია ადამიანის თავისუფალი ნება. მაგრამ, თუ შენ თავიდანვე ფიქრობ: აიდი-ბარათი ავიღე, რა მეშველება, ყველაფერი დამთავრდა, სატანები არიან ეკლესიაში, ყველაფერი ცუდად არის, – შენ უკვე ჩაკეტე ღმერთთან ურთიერთობის კარი და ველარ ცხონდები. იმიტომ კი არა, რომ ღმერთს არ შეუძლია, არამედ, შენ არ გინდა, პესიმისტი ხარ და, როდესაც ანტიქრისტე მოვა, შენ იქნები კარგი მრევლი. ასეთი ადამიანები შეგროვდებიან და იტყვიან: არ გაგვიმართლა ქრისტეში და იქნებ გაგვიმართლოს ანტიქრისტეში, ანუ, უკვე არსებობს ის მრევლი, რომელიც ანტიქრისტეს მიიღებს. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც მუდმივად ცუდზე ფიქრობენ; კეთილი მოვიდა – არ მიიღეს, ცუდი მოვა და იმას მიიღებენ, რადგან, ის ეტყვის: აქამდე ყველაფერი მირაჟი იყო, არავითარი ქრისტე, არავითარი სიწმინდე, არავითარი ოჯახური პატიოსნება, სიყვარული... დადგება დრო, როდესაც თქვენ, მართლამდიდებლებს, გეტყვიან: თქვენ არანორმალურები ხართ, იმიტომ, რომ ძალიან ცოტანი ხართ. ლუკას სახარებაში ქრისტე ამბობს: „როცა მოვა იესო ქრისტე, ნახავს კი რწმენას დედამიწაზე?!“ ჭეშმარიტი სარწმუნოება იქნება არა ერთ ქვეყანაში, არამედ – ერთეულებში, რამდენიმე ეკლესიაში, როგორც იოანეს გამოცხადებაში წერია. ამიტომ, ვიფიქროთ არა ცუდზე, არამედ – კარგზე. მეორე: თავი უნდა დავანებოთ ცხოვრებაზე წუწუნს. ძალიან ბევრი ქრისტიანი ეკლესიაში ღმერთის ან მოძღვრის სიყვარულით კი არ მოდის, არამედ, მუდმივად ცხოვრებაზე წუწუნებს. იმას კი არ ამბობს, ეს ყველაფერი იმიტომ დამემართა, რომ ულმერთო ვიყავი, განვიკითხავდი ირგვლივ ყველას, დავცინოდი, რომ ჩემი არასწორი ცხოვრების წესიდან ჩავვარდი გაჭირვებაში, სნეულებაში, პატიმრობაშიო, პირიქით, ამას სხვას აბრალებს: მთავრობას, მშობლებს, დედმამიშვილებს. ანუ, წუწუნი ცოდვაა, რადგან, არ ხარ შენი მდგომარეობით მადლიერი. იყავი მადლიერი და ღმერთი მოგცემს იმდენს, რამდენიც გჭირდება. დავით მეფსალმუნე ამბობს: ვიყავი ახალგაზრდა, დავბერდი და მე არ მინახავს მორწმუნე ადამიანი ხელგაშლილიო. ეს ბევრს გაუკვირდება, მაგრამ, არ გწამს და არ გაქვს, გწამდეს და მოგეცემა. თუ მორწმუნედ მიიჩნევ საკუთარ თავს და მაინც გშია, მაშინ, შეამოწმე შენი რწმენა – იქნებ, ისე არ გწამს, როგორც ეშმაკეული ჭაბუკის მამას. თუ ითხოვ და არ იღებ, ესე იგი, როგორც პავლე მოციქული ამბობს, ითხოვ ბოროტს. ამიტომ, კარგად დაუკვირდით, რატომ მოდიხართ ეკლესიაში. თავიდანვე არ უნდა ითხოვოთ ვალების გასტუმრება, ნუ გგონიათ, რომ ყველაფერი მაშინვე კარგად იქნება, ხელფასი მოგემატებათ. ეკლესიაში იმიტომ მოდიხართ, რომ თქვენი ცოდვები აღიაროთ, განიწმიდოთ, შეინანოთ: ღმერთო, მოვედი უძღები შვილივით და, იქნებ, მოჯამაგირედ მაინც დამაყენო კარში და ერთი-ორჯერ მაინც მაზიარო. მოჯამაგირედ დამაყენოო და და არა მაშინვე სტიქაროსნად ან დიაკვნად, როგორც ამას ხშირად ითხოვენ. ღმერთი თქვენს სინანულს, მონდომებას რომ დაინახავს, მერე ყველაფერს დაგიბრუნებს, რაც შენგან აიღო, რაც დაკარგე იმით, რომ მუდმივად უკამყოფილო იყავი, წუწუნებდი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი ღვთისგან გვაქვს და, ამიტომ, მუდმივად უნდა ვიყოთ მადლიერები და თავი დავანებოთ წუწუნს, უარი ვთქვათ უკმაყოფილო სახით სიარულზე და იმედიანად ვიყოთ განწყობილები.

**ნათია უტიაშვილი**

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „შენ ხარ ვენახის“ ხატების აღსრულებული სასწაულები

*დეკანოზი ილია ნასიძე რამდენიმე სიწმიდის მოსალოცად იმყოფებოდა რუსეთში.*

**– თქვენ ბრძანდებოდით ფსკოვო-პეჩორის ლავრაში, სადაც სასწაული აღესრულა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

– დიახ, ჩვენ გახლდით ფსკოვო-პეჩორაში; ის მოსკოვიდან 700 კილომეტრზე მდებარეობს. ვიცოდით, რომ პეტრე-პავლეს ტაძრის ერთ-ერთმა მოძღვარმა, მამა თეოდორემ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „შენ ხარ ვენახის“ (ქართული ხატი დაწერა მოციქულთა თავთა წმიდათა პეტრესა და პავლეს ეკლესიის ხატმწერმა და მრევლმა ირაკლი ცინცაძემ. ხატი დაბრძანებულია იმავე ეკლესიაში) სამი ხატი ჩააბრძანა, საიდანაც მირონის დენა დაიწყო. გვინდოდა მამა ვასილის (იგი 90 წლისაა, დეკანოზის ხარისხში) მონახულება და მასთან გასაუბრება. ღვთის მადლით, მართლაც ჩავედით მასთან. თბილად მიგვიღო, დაგვარიგა, ძალიან თბილი და სასიამოვნო საუბრები გვქონდა. ჩვენ ვიხილეთ საოცრება, როდესაც სულ პატარა „შენ ხარ ვენახის“ კულონიდან 33 ლიტრი მირონი ჩამოდიოდა, ეს საოცრებაა. სანამ მამა ვასილთან სასაუბროდ შევიდოდით, ჩვენი ჯვრები და კულონები, რომლებსაც თან ვატარებთ, სუფთა ჯამში ჩადეს; მასთან საუბრიდან გამოსულებმა კი ვნახეთ, რომ ისინი მირონში ცურავდა. მირონდენა პირველად ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატიდან დაიწყო და შემდგომ ყველა ხატზე გადავიდა. კალენდრის ხატებიდანაც კი მოდის; ეს საოცრებაა, საოცარი კეთილსურნელება აქვს; სახლში რომ შედიხარ, იქაც კი ეს სურნელება დგას. შემდეგ მირონდენა დაიწყო ამ „შენ ხარ ვენახის“ ხატებიდან. სამი ხატი ჩააბრძანა მამა თეოდორემ, სამ მოძღვარს აჩუქა ისინი, თითოეულის სენაკში დაიწყო ეს მირონდენა, მაგრამ, ყველაზე დიდი რაოდენობით მამა ვასილის ხატიდან მოდის. არის შემთხვევები, როდესაც ზეთთან შეერთებული წყალი მოდის, ზოგჯერ კი, სდის მირონი, თანაც, ძალიან დიდი რაოდენობით. ჩვენი იქ ყოფნის დროს უკვე 200 ლიტრი ჰქონდათ აღებული. ეს მართლაც საოცრება იყო, უდიდესი სასწაული. თვითონ მამა ვასილი ამ მოვლენას უკავშირებს ბოლო ჟამს, უკავშირებს ომს და იმას, რომ ეს მოხდა ადამიანების გასაძლიერებლად და რწმენაში მოსაყვანად...

**– საქართველოს შესახებ თუ აქვს მამა ვასილს რაიმე წინასწარმეტყველება?**

– იცით რა, კონკრეტული საუბარი საქართველოსა და რუსეთზე არ გვქონია, ის საუბრობდა აბორტის ცოდვებზე, რაც ასე ძლიერ გახშირდა დღეს. იგი ამბობს, რომ ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც მსოფლიო დაისჯება უფლის მიერ და ეს საშინელი ომი დაიწყება. ეს იქნება ღვთის რისხვა, რომ მილიონობითა და მილიარდობით დედა კლავს თავის შვილებს. ეს იქნება ერთ-ერთი მიზეზი იმის გარდა, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, მაგრამ, უფრო მეტად ამ ცოდვაზე იყო საუბარი...

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: სულ ვკითხულობ სახარებას, მაგრამ, ბევრ რამეს ჩემებურად განვმარტავ და ამის გამო ხშირად დავაც მომდის მრევლში. როგორ უნდა გავერკვიო მართებულად ბიბლიის საკითხებში?**

**პასუხი:** ამის პასუხად გთავაზობთ ეგნატე ბრიანჩანინოვის შეგონებას: „ნუ გაკადნიერდები, თავად განმარტო სახარება და წმინდა წერილის სხვა წიგნები. სულიწმიდა განმარტავს მათ წმინდა მამების მეოხებით. ხოლო ღვთის სიტყვა, სიტყვა ხსნისა, კადნიერი განმმარტებლისთვის იქცევა მომაკვდინებლად, ორლესულ მახვილად, რითაც ისინი განიგმირავენ თავს მარადიული დაღუპვისთვის“.

**კითხვა: მართლა ასვენია თუ არა სვეტიცხოველში წმიდა ილია წინასწარმეტყველის კვართი (ხალენი)?**

**პასუხი:** დიახ, წმიდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი, რომელიც მისგან ელისე წინასწარმეტყველს ხვდა წილად, ნაბუქოდონოსორისგან დევნილმა ებრაელებმა ჩამოიტანეს მცხეთაში და ის სვეტიცხოველშია დავანებული.

**კითხვა: შეუძლია თუ არა მოუნათლავ ადამიანს ეკლესიაში სანთლის დანთება?**

**პასუხი:** მოუნათლავ ადამიანს შეუძლია ეკლესიაში სანთლის დანთება, მაგრამ, მას ეკრძალება საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა.

**კითხვა: სასარგებლოა თუ არა საერო პირისთვის ფსალმუნების ხშირად წაკითხვა?**



**პასუხი:** ფსალმუნების კითხვა ბოროტ სულს განაგდებს თქვენგან და თქვენს სულში სულიწმინდას ჩაასახლებს. „ფსალმუნთა კითხვითა და მოწყალების გაღებით სული განიწმინდება ცოდვებისგან“, – ამბობდა გიორგი ზადონელი.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## როგორ მოიღო უფალმა მადლი ღირს მამა ვიტალიზე საროსკიპოებში სტუმრობისთვის

ღირსი მამა ვიტალი, წმიდა სპირიდონის სენაკში გატარებული სამოცწლიანი ღვაწლის შემდეგ, ალექსანდრიაში ჩავიდა და იქ დაიწყო ცხოვრება, როგორც წერია მის ცხოვრებაში „ადამიანთა საცდურად“. რათა განრიდებოდა ადამიანურ დიდებას, გადაწყვიტა, დღისით, როგორც დაქირავებულ მუშას, ისე ემუშავა. შრომის საფასურად დღეში თითო ვერცხლს იღებდა. გამომუშავებული თანხიდან უმნიშვნელო ნაწილს გამოკვებას ახმარდა (ლობიოს ყიდულობდა), ხოლო საღამოობით კი საროსკიპოებში მიდიოდა, იქ მთელ ფულს იმ ქალებს უტოვებდა, ემუდარებოდა, განრიდებოდნენ სიძვას და მთელ ღამეს მათთან ატარებდა. შინ დაბრუნებისას პირობას ართმევდა, არ გაემხილათ წმიდა მამის ჭეშმარიტი მიზანი. ქალაქის მკვიდრნი კი ჰკიცხავდნენ წმიდანს და გაიძახოდნენ: „წადი, წყეულო, შენ მეძავებთან გელოდებიანო“; ან კიდევ: „უმჯობესი იყო, ცოლი მოგეყვანა, ბერის სახელს რყვნიო“. ღირსი მამა ვიტალი არ იმართლებდა თავს, მალავდა უფლის მიერ ბოძებულ მადლს, სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა და ბევრი დაცემული ქალი გამოიხსნა ცოდვისგან. ღირსი მამის ღვაწლი მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გამომჟღავნდა, როდესაც წმიდა ნაწილებთან შეხებისას ეშმაკეული განიკურნა და „ბევრი მკელობელი და ბრმა გამოჯანმრთელდა“.

## უფალმა ღირს მამას შვიდი წლის შემდეგ შეუნდო განკითხვის ცოდვა

ღირსი იოანე საბაიტელი მოგვითხრობს: „ერთხელ ჩემთან მეზობელი მონასტრიდან მორჩილი მოვიდა და შევეკითხე, როგორ ცხოვრობდნენ იქაური მამები. მან მიპასუხა: „კარგად, თქვენი ლოცვის შემწეობით“. შემდეგ კი ის მორჩილი მოვიკითხე, რომელიც კარგი სახელით ვერ სარგებლობდა. სტუმარმა მითხრა: „სრულიად არ გამოცვლილა, მამაო“... გაგონებისთანავე წამოვიძახე: „ცუდია!“ და, წარმოვთქვი თუ არა ეს სიტყვა, იმწამსვე რაღაც გაურკვეველი აღტაცება შევიგრძენი და ვიხილე იესო ქრისტე ორ ავაზაკს შორის ჯვარცმული. ის-ის იყო, განვემზადე, თაყვანი მეცა მაცხოვრისთვის, რომ, უეცრად, უფალმა წინამდგომარე ანგელოზებს მიმართა: „განდევნეთ იგი – ეს ანტიქრისტე, რამეთუ, ჩემს სამსჯავრომდე განიკითხა ძმაი თვისი“, და, როდესაც უფლის განგების თანახმად ვიდევნებოდი, კარში დარჩა ჩემი მოსასხამი და უცებ გამეღვიძა. „უბედურება დამატყდა თავს, – მივუგე სტუმრად მოსულ მორჩილს, – ბოროტ არს დღეი ესე ჩემთვის“. „რატომ?“ – მკითხა მან. მაშინ გავუმხილე ხილვა და განვუმარტე, რომ დარჩენილი მოსასხამი ღვთის მფარველობისა და შეწევნის დაკარგვას მოასწავებდა. იმ დღიდან მოყოლებული, შვიდი წელი უდაბნოში გავატარე, არც პური მიმიღია, არც თავშესაფარი მიძებნია, არც ადამიანთან გამიბამს საუბარი, სანამ არ ვიხილე უფალი ჩემი, რომელმაც მოსასხამი დამიბრუნა“.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# რატომ ჰქონდა პრობლემები რაიან გიგზს რასისტულ ნიადაგზე და რით არის გამორჩეული მისი პირადი რეკორდი „მანჩესტერში“

*ის თანამედროვე ფეხბურთის ჭეშმარიტი ლეგენდაა. უელსელი რაიან გიგზი „მანჩესტერ იუნაიტედში“ 1990 წლიდან თამაშობს და დღემდე ითვლება გუნდის შეუცვლელ ფეხბურთელად, რომლის გარეშე „წითელი ეშმაკების“ თამაშების ყურება შეუძლებელია და, რთულია იმის დაჯერება, რომ იგი ოდესმე დაასრულებს საფეხბურთო კარიერას. 29 ნოემბერს რაიან გიგზი 40 წლის იუბილეს იზეიმებს და ამ თარიღთან დაკავშირებით გთავაზობთ საინტერესო ფაქტებს მისი ცხოვრებიდან.*



* რაიან გიგზი დაიბადა კარდიფში, მორაგბე დენი უილსონისა და ლინ გიგზის ოჯახში. მამის მხრიდან რაიანი უელსელია, დედის მხრიდან კი – ინგლისელი. მისი ბაბუა დედის მხრიდან სიერე-ლეონიდან იყო და ბავშვობაში რაიანს ხშირად უხდებოდა რასისტული შეძახილების მოსმენა. 1980 წელს რაიანის მამამ კონტრაქტი გააფორმა რაგბის კლუბ „სუინტონ ლაიონსთან“ და ოჯახს ინგლისის სამხრეთში, ქალაქ მანჩესტერში მოუწია გადაბარგება.

* 16 წლის ასაკში რაიანმა მამის გვარზე უარი განაცხადა და დედის გვარზე გადავიდა, ასე გახდა იგი რაიან გიგზი.

* რაიან გიგზი ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია – ის პრემიერლიგის 13-გზის ჩემპიონია.

* პირველი პროფესიული კონტრაქტი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ რაიან გიგზმა 1990 წლის 29 ნოემბერს გააფორმა, თავის მე-17 დაბადების დღეზე. იმ პერიოდში მას დიდი ბრიტანეთის ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ასახელებდნენ ჯორჯ ბესტის შემდეგ.

* რაიან გიგზი სელფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, ის პროფესიით ხელოვნების მაგისტრია.

* 2013 წლის 5 მარტს მადრიდის „რეალთან“ მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში, რაიან გიგზისთვის კარიერაში მე-1 000 ოფიციალური შეხვედრა იყო.

* 2007 წელს რაიან გიგზი ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის ორდენის მფლობელი გახდა.

* რაიან გიგზი ერთადერთი ფეხბურთელია ინგლისის პრემიერლიგის არსებობის ისტორიაში, რომელსაც ყველა სეზონში აქვს გატანილი გოლი. მიმდინარე სეზონში გიგზს ჯერჯერობით გოლი არ გაუტანია, მაგრამ, მაისამდე, ანუ, სეზონის დასრულებამდე, ის უგოლოდ არ წავა ფეხბურთიდან. ამას გარდა, რაიან გიგზი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც გატანილი აქვს გოლები ჩემპიონთა ლიგის 16 გათამაშებაში.

* კარიერის დასაწყისში რაიან გიგზი ინგლისის სასკოლო ნაკრების ღირსებას იცავდა, თუმცა, შემდგომში მან უელსის ნაკრებში თამაში არჩია და მისი დებიუტი ეროვნულ გუნდში 1991 წლის 5 ივნისს შედგა გერმანიასთან მატჩში. რაიან გიგზი იმ მომენტისთვის 17 წლის და 321 დღის იყო. იგი დღემდე ითვლება ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად მათ შორის, ვისაც უელსის ნაკრების მაისური ჩაუცვამს.

* რაიან გიგზი უაღრესად დისციპლინირებული ფეხბურთელია. ის იშვიათად იღებს ყვითელ ბარათებს, ხოლო „მანჩესტერში“ ასპარეზობის პერიოდში ერთხელაც არ გაუძევებიათ მოედნიდან. გიგზი სულ ერთხელ გააძევეს მოედნიდან, ისიც, უელსის ნაკრებში თამაშის დროს; ეს მოხდა 2001 წელს, ნორვეგიის ნაკრებთან მატჩში.

* რაიან გიგზი 2007 წელს დაქორწინდა თავისი დიდი ხნის მეგობარ ქალზე, სტეისი კუკზე, რომელთანაც ჰყავს ორი შვილი, ლიბერტი და ზაკი. გიგზების ოჯახი მანჩესტერთან ახლოს, უორსლიში ცხოვრობს.

* რაიან გიგზი გინესის რეკორდების წიგნის რამდენიმეგზის რეკორდსმენია.

* ალექს ფერგიუსონი ასე იხსენებს თავის პირველ შეხვედრას რაიან გიგზთან: „მახსოვს, როდესაც პირველად დავინახე, ის 13 წლის იყო და ფეხბურთის მოედანზე კოკერ-სპანიელივით დარბოდა“.

* ბრიტანეთის სპორტული მედიის ცნობით, კულუარულად მიდის საუბრები რაიან გიგზთან ახალი კონტრაქტის გაფორმების შესახებ. შესაძლოა, უელსელი ლეგენდა ფეხბურთს არა 2014, არამედ, 2015 წელს გამოეთხოვოს.

## საახალწლო ნაძვის ხე – 5 მილიონ დოლარად

სულ მალე საიუველირო კომპანია Tanaka Kikibzoku ტოკიოში გასაყიდად გამოიტანს 2,4 მეტრი სიმაღლის საახალწლო ნაძვის ხეს, რომლის დასამზადებლად 43 კილოგრამი სუფთა ოქრო გამოიყენეს. ძვირფასი ლითონისაა, ასევე, მოსართავი სათამაშოები მიკი მაუსისა და მისი მეგობრების გამოსახულებით. ნაძვის ხე 5 მილიონი დოლარი ეღირება. აქვე გაიყიდება 1,6 ათას დოლარად შეფასებული, ოქროთი და ვერცხლით დამზადებული მინი ნაძვის ხე.

კომპანია Tanaka Kikibzoku თითქმის ყოველ ახალ წელს სთავაზობს მომხმარებელს ძვირფას სიურპრიზს: შარშან მსგავსი საახალწლო ნაძვის ხე 4,2 მილიონ დოლარად გაიყიდა; 2008 წელს 1,5 მილიონი დოლარი გადაიხადეს ოქროს ნაძვის ხეში, რომელიც ბრილიანტის, პლატინისა და მარგალიტის სათამაშოებით იყო მორთული; 2007 წელს კი კომპანიამ გასაყიდად გამოიტანა სუფთა ოქროსგან დამზადებული მიკი მაუსის 20-კილოგრამიანი სტატუეტი.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ძვირი ნაძვის ხე 2010 წელს, აბუ-დაბის ფეშენებელურ სასტუმრო Emitates Palace-ში იდგა. ოქროსგან დამზადებულ, ბრილიანტებით, საფირონებითა და ზურმუხტებით შემკულ, 11 მილიონ დოლარად ღირებულ ნაძვის ხეს ძვირფასი საიუველირო ნაწარმიც ამშვენებდა – საათები და სამკაულები.

## რუნის პაროლი ტელეფონზე

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი, უეინ რუნი, საკუთარი ტელეფონის პაროლად ერთ-ერთი ცნობილი ლუდის დასახელებას იყენებდა. ამის შესახებ გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება. რუნი სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად „ნიუს ოფ ზი ვორლდის“ ჰაკერების მსხვერპლი გახდა და მისი პირადი ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნდა. ცნობილია, რომ „ნიუს ოფ ზი ვორლდმა“ შეწყვიტა არსებობა, თუმცა, საქმე სასამართლოში დღემდე გრძელდება. სწორედ უეინ რუნის ტელეფონის პაროლის გატეხის შემდეგ გაიგეს მისი ღალატის შესახებ ცნობილმა ბრიტანულმა ტაბლოიდებმა. ცნობისთვის, რუნის ტელეფონის პაროლი იყო „სტელა არტუა“.



## საჩუქარი რომის პაპს

ტურინის „იუვენტუსის“ არგენტინელი შემტევი, კარლოს ტევესი, ოჯახთან ერთად ვატიკანში იმყოფებოდა, სადაც ის რომის პაპ ფრანცისკს შეხვდა. ფეხბურთის ქომაგ რომის პაპს კარლიტომ თავისი 10-ნომრიანი მაისური გადასცა საჩუქრად და ავტოგრაფიც გაუკეთა. რომის პაპმა უკვე მიიღო საჩუქრად „კიევოსა“ და „სანდერლენდის“ მაისურები, ხოლო თავად ფრანცისკი არგენტინული „სან ლორენსოს“ ქომაგია, რომელსაც 9 წლის ასაკიდან გულშემატკივრობს.

## დევიდ ბექჰემი, შესაძლოა, რაინდი გახდეს

ინგლისის ნაკრების ექსფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, შესაძლოა, ბრიტანეთის იმპერიის რაინდი გახდეს და მის სახელს წინსიტყვა „სერ“ დაემატოს. ფეხბურთის ლეგენდა დიდი ბრიტანეთის დედოფალმა პრეტენდენტების სიაში შეიყვანა. მას ეს პატივი სპორტული მიღწევების, ფეხბურთის განვითარებისა და ქველმოქმედებისთვის ხვდა წილად. ტიტულის მინიჭების შესახებ ნოემბრის ბოლოს შეიტყობს საზოგადოება და, თუკი დევიდ ბექჰემს ტიტულს – „სერ“ – მიანიჭებენ, მისი მეუღლე, ვიქტორია ადამსი, ლედი ვიქტორია გახდება. რაინდის ტიტულის მინიჭება ბუკინგემის სასახლეში შედგება.

## ყველაზე სექსუალური კოლუმბიელი ქომაგი

ანჟელიკა კამაჩო კოლუმბიელი მოდელი და ტელეწამყვანია. ის ბავშვობიდან არის ფეხბურთის ქომაგი და კოლუმბიის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხარდამჭერია. „მიყვარს ფეხბურთი, მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ. მე ვარ თანამედროვე ფეხბურთის ნამდვილი აპოლოგეტი,“ – აცხადებს ანჟელიკა, რომელიც უკვე დაასახელეს კოლუმბიის ყველაზე სექსუალურ ქომაგად. ანჟელიკა ცნობილი გახდა 2011 წელს, როცა კოლუმბიაში ჩატარებული ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის დროს მიიქცია ყურადღება, ამჟამად კი მისგან გულმხურვალე ქომაგობას 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოელიან.

**გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ**

# რამდენ მილიონ დოლარად შეფასებული ბიუსტჰალტერი წარადგინა „ვიქტორიას სიქრეტის" ფეშენ-შოუზე ქენდის სვეინფულმა

*2013 წლის 13 ნოემბერს გაიმართა „ვიქტორიას სიქრეტის" „ანგელოზების" შოუ, რომელიც, ტრადიციულად, მდიდრული და სანახაობრივი გამოვიდა. წელს ჩვენებაში „ანგელოზების" სარეკორდო რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა – 40 ლამაზმანმა პოპულარული ბრენდის სექსუალური თეთრეული და საცურაო კოსტიუმები მოირგო. განსაკუთრებული ეფექტი კი შოუს კულმინაციას ჰქონდა, როცა სამხრეთაფრიკელმა მოდელმა, ქენდის სვეინფულმა, 10 მილიონ დოლარად შეფასებული ბიუსტჰალტერით ჩაიარა პოდიუმზე. ქენდისი „ვიქტორიას" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „ანგელოზი" და პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური მოდელია.*



* ქენდის სვეინფული დაიბადა 1988 წლის 20 ოქტომბერს სამხრეთ აფრიკაში, პროვინცია მიდლენდს კვაზულუ-ნატალში. მისი სამოდელო კარიერა 15 წლის ასაკში დაიწყო, როცა სამოდელო აგენტმა ქენდისი ქალაქ დურბანში, ძველმანების ბაზრობაზე აღმოაჩინა.

* 2007 წელს ქენდის სვეინფული „ვიქტორიას სიქრეტის" მოდელი გახდა და მას შემდეგ ის იღებს მონაწილეობას ბრენდის სახელით ორგანიზებულ ყველა შოუში, გადაღებებსა და სარეკლამო კამპანიებში. „ანგელოზის" სტატუსი ქენდისმა ოფიციალურად 2010 წელს მიიღო.

* ქენდისს საკმაოდ პიკანტურ ადგილზე აქვს პირსინგი – მას ძუძუსთავი აქვს გახვრეტილი.

* ქენდის სვეინფულის პარამეტრებია: 84-59-88.

* 16 წლის ასაკში ქენდის სვეინფული ერთ გადასაღებ დღეში ჰონორარის სახით 4 600 გირვანქა სტერლინგს იღებდა.

* 2012-2013 წლების „ფორბსის" მონაცემებით, ქენდის სვეინფული მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელებს შორის მეცხრე პოზიციაზე იმყოფება. ჟურნალის ცნობით, მისი წლიური შემოსავალი 3 მილიონი დოლარია.

* ქენდის სვეინფული მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილ ბრენდთან თანამშრომლობს, მაგრამ მისი საყვარელი მარკებია: „დოლჩე და გაბანა", „ქლოე", „ლობუტენის" ფეხსაცმელი და მარკ ჯეიკობსის აქსესუარები.

* სამოდელო სამყაროში ქენდის სვეინფულს „სამხრეთაფრიკელ ქეით მოსს" უწოდებენ.

* სამოდელო კარიერის გამო, ქენდისმა სკოლაში სწავლა მიატოვა, თუმცა, ის მომავალში გეგმავს განათლების მიღებას. იგი გატაცებულია ფილოსოფიით, ისტორიითა და ხელოვნებით.



* მოდელს უყვარს გარუჯვა, ცეკვა და ჯირითი.

* ქენდისის დედა ოცნებობდა, რომ მისი შვილი მოდელი გამხდარიყო.

* 2013 წლიდან ქენდის სვეინფული კოსმეტიკური კომპანია „მაქს ფაქტორის" სარეკლამო სახეა.

* ქენდისის სიმაღლე 175 სანტიმეტრია, წონა – 48 კილოგრამი.

* ჟურნალებმა – „მაქსიმმა" და FHM-მა ქენდის სვეინფული მსოფლიოს ყველა დროის 100 ყველაზე სექსუალური ქალის რიეტინგში შეიყვანეს.

* ქენდის სვეინფულის ახლო მეგობრები არიან: „ვიქტორიას" „ანგელოზი" ბეჰატი პრინსლო და ყოფილი „ანგელოზი" – როუზ ჰანტინგტონ-უაიტლი.

* ქენდის სვეინფული ჟურნალების „ელის", „ჯიქიუს", „ჰარპერს ბაზარისა" და „ვოგის" სხვადასხვა ქვეყნის გამოცემების გარეკანებზე ფიგურირებდა.

# მსოფლიოს უმდიდრესი ქალი „ფორბსის" მილიარდერთა მსოფლიო რეიტინგის პირველი ათეულის წევრია

## ლილიან ბეტანკური – 30 მილიარდი დოლარი

მსოფლიოს უმდიდრესი ქალი „ფორბსის" მილიარდერთა მსოფლიო რეიტინგის პირველი ათეულის წევრია. ბეტანკური კოსმეტიკური გიგანტის, „ლორეალის" აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი და „ნესტლეს" აქციონერია. ლილიანი 90 წლისაა და 1999 წლიდან წელს პირველად მოხვდა ტოპ-ათეულში. ბოლო პერიოდში საფრანგეთში ბევრს საუბრობენ ლილიან ბეტანკურის ჯანმრთელობაზე და სასამართლო გარჩევებზე შვილთან, მაგრამ, ის მაინც ინარჩუნებს პოზიციებს რეიტინგში, რაც, უპირველეს ყოვლისა განპირობებულია მისი კომპანიის ახალი ტოპ-მენეჯერის კარგი მუშაობით, მენეჯერად კი ლილიანს საკუთარი შვილიშვილი, ჟან-ვიქტორ მეიერსი ჰყავს დანიშნული.

## ბერნარ არნო – 29 მილიარდი დოლარი

64 წლის ბერნარ არნომ დაკარგა „ყველაზე მდიდარი ფრანგის" სტატუსი და ტოპ-რეიტინგში მეათე პოზიციაზე ჩამოქვეითდა, რაც გამოიწვია მისი კომპანიის – LVMHს-ის აქციების ფასის ვარდნამ, განსაკუთრებით კი „კრისტიან დიორის" აქციების ფასი დაეცა – დაახლოებით 20 პროცენტით. საფრანგეთში ახალი საგადასახდო კოდექსის მიღების შემდეგ არნო ბელგიის მოქალაქეობის მიღებას აპირებდა, მაგრამ, მას ორჯერ უთხრეს უარი, თუმცა, მილიარდერი ამ ფაქტს უარყოფს. როგორც ამბობენ, ახლო მომავალში არნო დიდი ბრიტანეთის რაინდის წოდებას მიიღებს, ხოლო მომავალ წელს ის „ლუი ვიტონის" მუზეუმის გახსნას აპირებს.

## ფრანსუა პინო – 15 მილიარდი დოლარი

76 წლის პინომ თავისი კაპიტალი 2 მილიარდი დოლარით გაზარდა. ის მოდის ინდუსტრიაში, ფუფუნების საგნებსა და ხელოვნების ნიმუშებში აბანდებს ფულს. პინოს კონგლომერატი აერთიანებს ისეთ ბრენდებს, როგორიცაა: „გუჩი," „ივ სენ ლორანი" და „ალექსანდრ მაქქუინი." პინო ფლობს „კრისტის" აუქციონის აქციების 100 პროცენტს, ხოლო მისი ხელოვნების ნიმუშების კოლექციაში ინახება მატისის, პიკასოსა და ჯეფ კუნსის ნამუშევრები.

## სერჟ დასო – 13 მილიარდი დოლარი

87 წლის სერჟ დასო და მისი კომპანია „გრუპ დასო" დაკავებულები არიან ავიაკოსმოსური პროდუქციის წარმოებით, პროგრამული უზრუნველყოფითა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. დასოს საკუთრებაშია გავლენიანი ფრანგული გაზეთი „ლე ფიგარო"; ასევე, ის ფლობს სიდიდით მესამე სააუქციონო სახლს მსოფლიოში „კრისტისა" და „სოთბის" შემდგომ, ფრანგულ „არტკურიალს".

# ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები და მათი ავტომობილები

*ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს სახელმწიფო იცავს და ისინი სახელმწიფოს კუთვნილი ისეთი ავტომობილებით გადაადგილდებიან, რომლებსაც მსოფლიოში ყველაზე დაცული ავტომობილების სახელი აქვთ. თუმცა, პრეზიდენტებს საკუთარი ავტომანქანებიც ჰყავთ და ისინი თავად უსხედან საჭეს. გთავაზობთ ამერიკის პრეზიდენტების ავტომობილების ჩამონათვალს.*

## ჯორჯ ბუში-უმცროსი

ტეხასის შტატისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო, ჯორჯ ბუში-უმცროსს „კოვბოი" შეარქვეს და მისი ავტომობილიც ნაღდი კოვბოურია. ცნობილია, რომ ბუშს თავისუფალი დროის გატარება საკუთარ რანჩოზე უყვარს, სადაც თავისი საყვარელი „პიკაპით" – „ფორდ F-150-ით" გადაადგილდება. ავტომობილი ამერიკულ ბაზარზე 20-დან 50 ათასამდე დოლარის ფარგლებში ღირს, თუმცა, პრეზიდენტისთვის ის ზედმეტად მოკრძალებული ჩანს.

## ბარაკ ობამა

ილინოისის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ბარაკ ობამას ჰყავდა „სედანის" ტიპის „კრაისლერი 300C", რომლის ფასი 15 ათას დოლარს არ აღემატებოდა. როდესაც ობამა პრეზიდენტად აირჩიეს, მან განაახლა ავტოპარკი და „ფორდ ისკეიპ ჰიბრიდი" შეიძინა 22 ათას დოლარად.

## ბილ კლინტონი

ბილ კლინტონი ორჯერ იყო არჩეული ამერიკის პრეზიდენტად და მისი წასვლა თანამდებობიდან სკანდალის თანხლებით მოხდა. ბილის მეუღლე მასზე არანაკლებ წარმატებული პოლიტიკოსია – ჰილარი კლინტონს სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა, ხოლო ამჟამად ნიუიორკის შტატს წარმოადგენს სენატში. ბილ კლინტონის საკუთრებაში იყო ავტომოყვარულთათვის სათაყვანებელი მოდელი, 1967 წლის გამოშვების „ფორდ მუსტანგი", რომელიც მან პრეზიდენტობის პერიოდში გაყიდა.

## რონალდ რეიგანი

რონალდ რეიგანი პოპულარული მსახიობი და ამერიკის მე-40 პრეზიდენტი იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის დანგრევაში. რეიგანს რამდენიმე ავტომობილი ჰყავდა, რომელთა შორის ის განსაკუთრებით გამოარჩევდა „ჯიპ M-38A1-ს", რომლითაც თავის რანჩოზე გადაადგილდებოდა კალიფორნიაში. ეს „ჯიპი" რეიგანს მისმა მეუღლემ, ნენსიმ, 1972 წელს აჩუქა.

## რიჩარდ ნიქსონი

ნიქსონი ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი და სკანდალური პრეზიდენტი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. ნიქსონი „ოლდსმობილის" მარკის ავტომობილების მოყვარული იყო.

## ლინდონ ჯონსონი

ლინდონ ჯონსონი ჯონ კენედის მკვლელობის დღეს გახდა პრეზიდენტი. ისიც, ნიქსონის მსგავსად, არცთუ წარმატებული პრეზიდენტი იყო, რომელსაც საშინაო და საგარეო პოლიტიკაში წარუმატებლობები უფრო მეტი ჰქონდა ვიდრე წარმატებები. სამაგიეროდ, ჯონსონი ავტომობილების მოყვარული გახლდათ და მის ავტოპარკში ორი საინტერესო მოდელი იდგა: პიკნიკებისთვის იდეალური „ფიატ ჯოლი", რომელსაც სახურავი და კარები არ ჰქონდა და ავტომობილი-ამფიბია „ამფიკარი", რომლითაც ჯონსონს ტბის ნაპირზე უყვარდა სეირნობა მეგობრებთან ერთად.

## ჯონ კენედი

ამერიკის 35-ე პრეზიდენტი, ჯონ კენედი, გემოვნებიან ადამიანად მიაჩნდათ და, ავტომობილებიც გემოვნებით ჰქონდა შერჩეული. კენედის კაბრიოლეტები უყვარდა, განსაკუთრებული ადგილი კი მის კოლექციაში ეკავა წითელი ფერის, 1961 წლის გამოშვების „ფორდ სანდერბირდს". საგულისხმოა, რომ სწორედ კაბრიოლეტმა ითამაშა კენედის ცხოვრებაში საბედისწერო როლი.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**



**კლიმაქსის დროს ჭამეთ სოია და თავიდან აიცილეთ ოსტეოპოროზის საფრთხე**

კლიმაქსის მოახლოებასთან ერთად, თანდათან მცირდება ეგრეთ წოდებული ქალური ჰორმონების – ესტროგენების რაოდენობა, რის შედეგადაც ბევრ ქალს უჩნდება კლიმაქსისთვის დამახასიათებელი ჩივილები, მაგალითად, მომატებული ოფლიანობა, ალები, აგზნებადობა, ჭირვეულობა, კიდურებისა და ძვლების ტკივილი. საქმე ის არის, რომ ესტროგენები ძვლებში კალციუმის შემცველობას განსაზღვრავს. ამიტომ, როცა მათი სეკრეცია მცირდება, ძვლებიც უფრო სუსტი და იოლად მსხვრევადი ხდება, რასაც ოსტეოპოროზს უწოდებენ. ეს, ძირითადად, გამხდარ ქალებს ემუქრებათ, რადგან, მენოპაუზის დროს ცხიმოვანი ქსოვილი საკვერცხეების დანიშნულებას იძენს და ესტროგენების წყარო ხდება.

იმ ქალებს, რომლებიც ინტენსიურად მიირთმევენ სოიას, კლიმაქსის სტადიაში ოსტეოპოროზის საფრთხე ნაკლებად ემუქრებათ. კლიმაქსის პერიოდში სოიით მომზადებული საკვების მიღება წელის არეში ტკივილსა და კიდურების ეგრეთ წოდებულ „ტეხას“ აგარიდებთ თავიდან.

**ჰერპესი ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითების ნიშანია**

იმუნიტეტის დაქვეითების პირველი ნიშანია ჰერპესი, რომელიც გამოდის ტუჩზე, კანზე და ლორწოვან ადგილებში. ამ დროს იგრძნობთ ტუჩის წვასა და დისკომფორტს, რაც წინ უძღვის ჰერპესულ ბუშტუკს. გამონაყარზე წაისვით დინდგელის ათპროცენტიანი ნაყენი, დილა-საღამოს შეიზილეთ გვირილის კრემი ან გულყვითელას მალამო.

ასევე, ტუჩზე გამონაყარს შველის კბილის პასტა, რომელიც აშრობს ბუშტუკებს და მალევე აშუშებს. აგრეთვე, დღის განმავლობაში დალიეთ სამი ჩაის ჭიქა ანტივირუსული ბალახეული ჩაი, რომელიც ასე უნდა მოამზადოთ:

* აურიეთ ერთმანეთში 1 წილი ღვიის ნაყოფი და 3 წილი ბარამბოს ფოთლები. 1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, კარგად შეფუთეთ და დადგით ოთახში ნახევარი საათით. დაუმატეთ ცოტა შაქარი და დალიეთ ცხელი.

* 1 ჩაის კოვზ გვირილის ყვავილს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათის განმავლობაში, გადაწურეთ, დაამატეთ 1 ჩაის კოვზი დინდგელის სპირტიანი ნაყენი და ყლუპ-ყლუპით დალიეთ.

ჰერპესის დროს, ასევე, კარგია, შეისუნთქოთ ლიმონის, ფიჭვის, პიტნისა და გვირილის სურნელი ან გაიკეთოთ ინჰალაცია.

**ჰიპერტონიული დაავადების მქონე ადამიანისთვის ფორთოხალი აუცილებელია**

ფორთოხალი სამკურნალო ხილია. ის მდიდარია A, B და C ვიტამინებით; წმენდს სისხლს, არეგულირებს ორგანიზმის წონას, ავსებს მას სასიცოცხლო ძალებით და აუმჯობესებს გუნება-განწყობას.

ფორთოხლის ჭამა ძალიან სასარგებლოა სისხლნაკლულობის დროს. ის აახალგაზრდავებს ორგანიზმს, რადგან მასში ბევრია კალიუმი; ასევე, მისი მიღება კარგია ჰიპერტონიული, ღვიძლის დაავადებებისა და პოდაგრის გართულების დროს.

სასარგებლოა ფორთოხლის ახალგამოწურული წვენიც. ყოველდღე დალიეთ 1 ჭიქა წვენი ან ჭამეთ 3 ცალი ფორთოხალი.

**გაციების დროს ნივრით შეკაზმული ჭარხალი ჭამეთ**

ჭარხალი მდიდარია აქტიური ნივთიერებებით. მასში ბევრია ორგანული მჟავეები და უჯრედისები, ამიტომ, ყაბზობის დროს მისგან დამზადებული სალათები თავისუფლად ცვლის კუჭში გამხსნელ მედიკამენტებს. ჭარხალი შეიცავს B, C და P ვიტამინებს; მიკროელემენტებს, კერძოდ, კალციუმს, კალიუმსა და მაგნიუმს, რაც მეტად საჭიროა ყველა ორგანოსა და უჯრედის ნორმალური მუშაობისთვის.

ჭარხალი, ასევე, უხვად შეიცავს რკინასა და კობალტს, რაც ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნას. ის განსაკუთრებით სასარგებლოა ქალებისთვის კრიტიკულ დღეებში, გაციების დროს კი უებარია ნივრით შეზავებული ჭარხალი.

ჭარხლის შემადგენლობაში არსებული საღებავი ნივთიერებები სისხლძარღვების კედლებს ელასტიკურობას სძენს. ჭარხალში არსებული ბეტაინი აჩერებს სისხლძარღვთა სკლეროზის განვითარებას, ასტიმულირებს ღვიძლის მოქმედებას, ხოლო უჯრედისი აძლიერებს კუჭის სეკრეციასა და ნაწლავთა პერისტალტიკას.

ანემიის დროს კარგია ჭარხლის, ბოლოკისა და სტაფილოს წვენების თანაბარი რაოდენობით მიღება. ორი თვის განმავლობაში, დღეში ორჯერ დალიეთ თითო ჩაის კოვზი დასახელებული ბოსტნეულის წვენების ნარევი.

გაციების დროს, ასევე, ეფექტურია ჭარხლის წვენისა და თაფლის ნარევი.

წითელი ჭარხალი სასარგებლოა ნებისმიერი სახით, ყველასთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ფარისებრი ჯირკვალი აწუხებს, რადგან, ის მდიდარია იოდით. გარდა ამისა, მას შარდმდენი ეფექტი აქვს და ხელს უწყობს ორგანიზმიდან მარილების გამოდევნას.

ჭარხლის წვენი კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა ჰიპერტონიული დაავადების დროს. შეურიეთ მისი წვენი სტაფილოს ან ახალგამოწურულ ვაშლის წვენს და სვით ყოველდღე.

**ისინი, ვინც ჩაიზე უფრო ხშირად კაკაოს სვამენ, ნაკლებად ავადდებიან კიბოთი**

კაკაო ლიდერია ანტიოქსიდანტების შემცველობით. ის ადამიანს იცავს კიბოსა და ბევრი სხვა დაავადებისგან, რომლებიც სიცოცხლისთვის საშიშია; ასევე, ხელს უწყობს ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებას.

კაკაოში არსებული ანტიოქსიდანტების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება წითელ ღვინოში არსებულს. მიუხედავად იმისა, რომ კაკაოს ბევრი პროდუქტი შეიცავს, მაგალითად, შოკოლადი, უმჯობესია, თუ ამ ნუგბარის ნაცვლად ერთ ფინჯან კაკაოს მიირთმევთ. შოკოლადში დიდი რაოდენობითაა ნაჯერი ცხიმი, კერძოდ, 40 გრამ შოკოლადის ფილაში ცხიმები 8 გრამია, ფინჯან კაკაოში კი – 0,3 გრამი.

თუ ყოველდღიურად სვამთ კაკაოს ფხვნილისგან დამზადებულ სასმელს, ამით მნიშვნელოვნად შეამცირებთ ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს და სისხლში ანტიოქსიდანტების შემცველობაც მოიმატებს.

ფაქტია, კაკაოს მოყვარულები, ანუ ის ადამიანები, ჩაიზე ხშირად კაკაოს რომ სვამენ, ნაკლებად ავადდებიან კიბოთი – ეს შედეგი ბოლოდროინდელმა სამედიცინო კვლევებმა აჩვენა.

**რომელ ასაკში ეწყება მამაკაცს კლიმაქტერიული ნევროზი**

კლიმაქსი ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობაა, რაც ნეიროენდოკრინული რეგულაციის მოშლითა და სასქესო ჯირკვლების დაქვეითებით არის განპირ-

ობებული. ძლიერი სქესის წარმომადგენლებს კლიმაქსი დაახლოებით 50-60 წლის ასაკში უვითარდებათ. ის ნელა ვითარდება და მხოლოდ სქესობრივი პოტენციის დაქვეითებით ხასიათდება. ხშირად ის ყოველგვარი გართულების გარეშე მიმდინარეობს, იშვიათად კი ზოგს უჩნდება კლიმაქტერიული ნევროზი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ალები, ოფლიანობა, კიდურების დაბუჟება, დისკომფორტის შეგრძნება და ასე შემდეგ.

ამ დროს მამაკაცს გახშირებული აქვს გულისცემა, აწუხებს გული, უმატებს არტერიული წნევა, უძნელდება შარდვა. ასევე, ხშირია შარდის ბუშტის ტკივილი. ამის მიზეზი კი ის არის, რომ კლიმაქტერიული ნევროზის დროს შარდის ბუშტი სუსტდება, მცირდება მისი ტონუსი და წინამდებარე ჯირკვალში იწყება ცვლილებები.

კლიმაქსის პერიოდში მამაკაცი გაღიზიანებულია, უქვეითდება მეხსიერება, ეწყება სხვადასხვა სახის შიში, შფოთვა. ბევრი ამ დროს საკუთარ თავში იკეტება და უჩნდება განმარტოების სურვილი. ეს დეპრესიის, სხვადასხვა სახის ნევროზისა და ფსიქოზის პირველი ნიშანია.

კლიმაქტერიული ნევროზის პროფილაქტიკისთვის საჭიროა ორგანიზმის ასაკის შესაბამისად დატვირთვა, დასვენება, კვების რეჟიმის სათანადოდ დაცვა. მიზანშეწონილია რაციონალური კვება, ვიტამინების მიღება, გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება და სტრესული სიტუაციებისგან თავის დაცვა.

### ზამთარში იმუნიტეტის ამაღლებაზე იზრუნეთ

ზამთრის ცივ პერიოდში აუცილებელია, დროულად მიხედოთ საკუთარ თავს და ხელი შეუწყოთ ორგანიზმს, გამოიმუშაოს იმუნიტეტი. ამით თავიდან აიცილებთ ზედმეტ უსიამოვნებას და იოლად გაუმკლავდებით ვირუსს. როცა იგრძნობთ, რომ თავი ან სახსრები გტკივათ, მაშინვე ნუ იჩქარებთ წამლების დალევას, ამ დროს უფრო ეფექტურია, მიიღოთ დიდი რაოდენობით სითხე. მისწრებაა ლიმონიანი ცხელი ჩაი, ნატურალური წვენები, კომპოტები და ვიტამინი C.

თუ გრძნობთ, რომ დასუსტებული ხართ, ნუ ჩავარდებით დეპრესიაში. მიირთვით წითელი ღვინო, მეტად ეკონტაქტეთ მეგობრებს, ნუ დაკარგავთ დროს უქმად ჯდომაში. ზამთარში მაქსიმალური ფიზიკური დატვირთვა ისევე კარგია, როგორც გართობა. ხალისიანი და ენერგიული ცხოვრებით უფრო იოლად გაუმკლავდებით პრობლემებს და ცხოვრებაც გაგიადვილდებათ.

თუ ზამთარში გიჭირთ გათბობა და გამუდმებით გაციებთ, ყურადღება მიაქციეთ თქვენს მენიუს, კერძოდ, დილით მიირთვით კვერცხი ან შვრიის ფაფა და ისე გადით სახლიდან.

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **სახლში ტელევიზორი სულ ჩართული გვაქვს. შესაბამაისად, ბავშვებიც უყურებენ, თან იმავე ოთახში სძინავთ. საშიშია ეს ჯანმრთელობისათვის? გამოსხივება დიდი აქვს?**

**პასუხი**: ტელევიზორები, მობილურები და კომპიუტერები ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროა, რაც უარყოფითად მოქმედებს ჩვენს და მით უმეტეს, ბავშვების ნერვულ სისტემაზე, განსაკუთრებით საძინებელ ოთახში. ამიტომ, ეცადეთ, ძილის წინ ოთახი გაანიავოთ. უკეთესია, ბავშვი სუფთა ჰაერზე ასეირნოთ, შინ მშვიდი, მყუდრო გარემო შეუქმნათ.

**კითხვა**: **ასუქებს თუ არა წყალი მისი დიდი რაოდენობით მიღების შემთხვევაში?**

**პასუხი**: წყალს კალორია არ აქვს. ბევრს ჰგონია, რომ წყალი ჭარბი წონის დაგროვებას უწყობს ხელს. სინამდვილეში წყალი ბუნებრივი შარდმდენია. დიდი ოდენობით წყლის სმა წონის დაკლების საუკეთესო საშუალებაა. უფრო მეტიც: თუ შემაწუხებელ შიმშილს ველარ უძლებთ, გირჩევთ, ხშირად სვათ წყალი. ის მადას დაგიქვეითებთ.

**კითხვა**: **მაინტერესებს, სასარგებლოა თუ არა სტაფილოს ყოველდღიური მიღება?**

**პასუხი**: ზოგადად, სტაფილო სასარგებლო ბოსტნეულია, მდიდარია ვიტამინებით (განსაკუთრებით A პროვიტამინით) და სხვა ბიოაქტიური ნივთიერებებით. თუ ყოველდღიურად სტაფილოს ზომიერი რაოდენობით მიიღებთ, თქვენი ჯანმრთელობისთვის ეს სასარგებლო იქნება. მაგრამ საჭიროა, ზომიერების დაცვა, რადგან სტაფილოში შემავალი პიგმენტი ზოგჯერ კანის ჰიპერპიგმენტაციას იწვევს.

**კითხვა**: **შესაძლებელია თუ არა, რომ ნაცხის ანალიზში ტრიქომონა არ გამოჩნდეს? ზღვიდან თუ გადადის?**

**პასუხი**: ტრიქომონა ნაცხში უნდა გამოჩნდეს. დაავადება ვრცელდება მხოლოდ სექსუალური კონტაქტით და მას ადამიანის გარდა, სხვა რეზერვუარი არ ჰყავს, საერთო აბაზანა-ტუალეტის ხმარებით, ზღვიდან, პირსახოციით და ასე შემდეგ. ტრიქომონიაზი არ გადადის.

**კითხვა**: **ვარ 14 წლის, იდაყვები მაქვს ყოველთვის შავი, ჩვეულებრივად კი კანის ფერი თეთრი მაქვს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: უნდა მიმართოთ დერმატოლოგს ფსორიაზის გამოსარიცხად. თუ ეს არ დადგინდა, მაშინ უნდა მიმართოთ ენდოკრინოლოგს ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქციის გამოსარიცხად. თუ ფარისებრი ჯირკვალიც წესრიგში აღმოჩნდა, მაშინ იდაყვების გაუხეშების მიზეზი იქნება ხახუნი.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# როგორ შეიწირა ჰამლეტ გონაშვილი მეზობლის ახირებამ და სად არ მღეროდა არასდროს ის

*„თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი, იაო...” ვაჟა-ფშაველა ლექსით ეფერებოდა ბუნებას, ჰამლეტ გონაშვილი კი – სიმღერით. უცხოელები თავიანთ დამოკიდებულებას და ემოციას ჰამლეტ გონაშვილის ხმასთან სხვადასხვაგვარად გამოხტავდნენ. მაგალითად, ფრანგები „მრავალჟამიერს” ყოველ ხუთ წუთში ამეორებინებდნენ, ესპანელები კი ყელზე ჰკოცნიდნენ. გონაშვილის „ურმულსა“ და „ოროველას“, მის ხმას, როგორც მისტიკურ მოვლენას სამყაროში, უცხოელები თავიანთ ეზოთერიკულ ფილმებში იყენებენ. ერთ-ერთი ასეთია რონ ფრიკეს დოკუმენტური ფილმი – „ბარაკა”. მე ბევრს აღარ გავაგრძელებ. მის საოჯახო ალბომს მისი მეუღლე, ლამარა ცინციბაძე დაგვათვალიერებინებს*



## ლამპის შუქზე ჩასახული სიყვარული

ჰამლეტის დეიდაშვილი ჩემი თანამშრომელი იყო. ამ გოგონამ დაბადების დღეზე დამპატიჟა, სადაც ჰამლეტიც იყო და სუფრაზე გავიცანით ერთმანეთი. მაშინ იშვიათად ქრებოდა შუქი. იმ საღამოს ჰამლეტი ჩემ წინ იჯდა. შუქი რომ ჩაქრა, ლამპები შემოიტანეს და ახლოს დამიდგეს. ლამპის შუქმა არ შეგაწუხოსო – ხელსახოცი ამოჭრა და შუშაზე ჩამოაცვა, დამიჩრდილა. რასაკვირველია, სუფრასთან იმღერა. მაშინვე გაჩნდა ჩვენ შორის სიმპათიები. მერე ქობულეთში ვიყავი დასასვენებლად და რადიოში მოვისმინე მისი სიმღერა. იმდენად იმოქმედა ჩემზე, ოთახში ვერ გავჩერდი და ზღვის ნაპირზე გავედი, რომ მისი ხმით გამოწვეული ემოციები გადამეხარშა. იქიდან რომ ჩამოვედი და შევხვდი, უკვე სხვა დამოკიდებულება მქონდა მის მიმართ. ასე ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ბოლოს გადავწყვიტეთ, დავოჯახებულიყავით. ის 44 წლის იყო, მე – 39-ის. ერთმანეთისგან ძალიან განვსხვავდებოდით: მე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვიყავი, ჩაის სპეციალისტი, ჰამლეტი კი – ასეთი მომღერალი. სამაგიეროდ, პოეზიის სიყვარული გვაკავშირებდა.



ჰამლეტ გონაშვილი ცოლ-შვილთან და სოკრატ სალუქვაძის მეუღლესთან ერთად

## მატარებელში

ერთხელ ჰამლეტსა და დედამისს მატარებლით უმგზავრიათ. ზედა საწოლზე ვიღაც ბიჭი წამოწოლილიყო და ღიღინებდა. შენს გამზრდელს ვენაცვალეო, – უთქვამს ჩემს დედამთილს. გათენდა, სადგურში უნდა ჩავიდნენ და, ხედავს, ზედა საწოლიდან ჰამლეტი ჩამოდის. ასე აღმოაჩინა მან თავისი შვილი, როგორც მომღერალი. ერთხელ, ისევ მატარებლით მიდიოდნენ და ჰამლეტს ისევ წაუღიღინია. გამცილებელს ტირილი დაუწყია და დედამისს უთქვამს, ნუღარ მღერი, გამცილებელი ტირისო.



ჰამლეტ გონაშვილი გარეჯობაზე

## ბუნებაში ნაპოვნი ხმა

1947-1948 წლებში მომღერალთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედისთვის. მის ნაცვლად მისმა მამიდაშვილმა, ავთანდილ ჯანიაშვილმა შეიტანა განცხადება, რადგან, იმ დროს ჰამლეტი ცხინვალში, პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. იქ მიიღო დეპეშა, რომ ამა და ამ დღეს თბილისში კონკურსზე უნდა გამოცხადდეო. ჩამოვიდა. მივიდა თავის მამიდაშვილთან და ჰკითხა: ასეთი ცნობა მომივიდა და ნეტავ რაშია საქმეო. მე შევიტანე განცხადება შენ მაგივრადო, – უთხრა ავთომ. პირველივე ტურიდან ჩარიცხეს ათწლედში. მასთან ერთად სწავლობდა ზურიკო ანჯაფარიძე. მერე ცხინვალიდან საბუთები თბილისში გადმოიტანა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამდენ წასვლა-წამოსვლაში გაცივდა, სერიოზულად ავად გახდა და, იძულებული იყო, აკადემიური აეღო. აღარც დაჰბრუნებია ათწლედს. ჩემი მამამთილი არ იყო მომხრე, მომღერალი გამხდარიყო. მიაჩნდა, რომ სიმღერით ოჯახის რჩენას ვერ შეძლებდა (ჰამლეტს სახელი მამამ, დიმიტრი გონაშვილმა დაარქვა, ქალიშვილს კი ჯულიეტა უწოდა. თვითონ არ მოსწონდა ეს სახელი მაგრამ, ისე მალე გახდა პოპულარული, ახალი სახელით გამოჩენა ეუხერხულა). ისე, თვითონ ძალიან უნდოდა, ექიმი ყოფილიყო. ცხინვალში სამედიცინო არ იყო და ამიტომ შეიტანა საბუთები ბიოლოგიურზე, თორემ, აუცილებლად სამედიცინოზე ჩააბარებდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა თბილისის საექსკურსიო ბიუროში დაიწყო. ძალიან უყვარდა ბუნება, ფეხით აქვს შემოვლილი მთელი საქართველო. ერთხელაც, ერთ-ერთ ექსკურსიაზე, სახელმწიფო ანსამბლის მომღერალთა ჯგუფი შეხვდა. კარგად მღერი და მოდი ჩვენთანო, – შესთავაზეს. ასე, სრულიად შემთხვევით მოხვდა ანსამბლში, სადაც სოლისტიც იყო და წამყვანიც. გასტროლები ძირითადად საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჰქონდათ. ბრწყინვალედ ფლობდა რუსულს. 1978 წელს კი ანსამბლი „რუსთავი“ ჩამოყალიბდა და სიცოცხლის ბოლომდე ამ ანსამბლის სოლისტი იყო



„აბესალომ და ეთერი” (ჰამლეტ გონაშვილი მარჯვნიდან პირველი)



ჰამლეტ გონაშვილი და გენო მუჯირი

## უბრალოდ, ჰამლეტი

ძალიან მშვიდი და უპრეტენზიო იყო. არ უყვარდა სახლში ხელცარიელი მოსვლა, აუცილებლად სარჩო-სანოვაგით დატვირთული უნდა მოსულიყო. ზოგჯერ იმდენს მოიტანდა, ვსაყვედურობდი, სად წავიღო ამდენი-მეთქი. შაბათ-კვირას მე, ბავშვებს, ახლობლებს ჩაგვსვამდა მანქანაში და ბუნებაში – სადმე კარგ ადგილას გავყავდით. ბავშვებსაც ძალიან უხაროდათ მამასთან ერთად მგზავრობა. რაღაცეებს უხსნიდა, ასწავლიდა. ის იყო გამორჩეულად კარგი მამა. ერთხელ, უფროსი ბიჭი საბავშვო ბაღში წაიყვანა. მაშინ მანქანა არ ჰყავდა. წვიმამ მოუსწროთ და დასველდნენ. საღამოს ბავშვს მე მივაკითხე წამოსაყვანად. მასწავლებელმა მითხრა: ქალბატონო ლამარა, ჰამლეტი როგორი არაჩვეულებრივი ადამიანია. მშობლებმა დასველებული ბავშვები შემოგვიყარეს და წავიდნენ. ამან კი ბავშვს სველი ტანსაცმელი გახადა, გაამშრალა და, კარადაში რომ სათადარიგო ტანსაცმელი ჰქონდა შენახული, ის ჩააცვა, ყველაფერი გამოუცვალა და ისე წავიდა. ასე დედებიც კი არ იქცევიან, არამცთუ მამებიო. ასევე, ძალიან ერთგული, მოსიყვარულე მეუღლე იყო. ლამაზი ფოთოლიც რომ ენახა სადმე, აუცილებლად აიღებდა და მე მომიტანდა – ლამარას არ უნახავს და წავუღებო. ერთხელ, საბაობაზე იყო წასული. საღამოს კარზე ზარის ხმაა. გავაღე – ვხედავ, რაღაც დიდი თაიგულის მსგავს ხის ჯირკს ფერად-ფერადი ფოთლებით. ეს, სამხრეთ-საქართველოს ბუნების ნაწილი – შენო. ძალიან სტუმართმოყვარე იყო. სახლში რომ მოდიოდა, თავისი გასაღები ჰქონდა და ისე შემოდიოდა, მაგრამ, თუ სტუმარი მოჰყვებოდა, გასაღებითაც აღებდა კარს და ზარსაც რეკავდა – მანიშნებდა, რომ სტუმართან ერთად ვარო. სახლში ჩვეულებრივი იყო და, სხვათა შორის, არ მღეროდა. ერთადერთი, რასაც აკეთებდა, სუნთქვითი ვარჯიშები იყო – ბგერებს ამუშავებდა.



## როგორც პირადი ტკივილი

იშვიათად ბრაზდებოდა. ერთ დღეს უხასიათოდ მოვიდა. რაშია საქმე, ჰამლეტ, რამე მოხდა-მეთქი? – ვკითხე. იცი, რა, ლამარა, როკის გვირაბს აშენებენ და, ეს იმას ნიშნავს, რომ ცხინვალს დავკარგავთო. ან, თუ დაინახავდა, რომ წვიმაში ასფალტს აგებდნენ, განიცდიდა – მთელი ნაწვალები წყალში ჩაეყრებათო და დარდისგან კაცს ღამე არ ეძინა. ის, რაც მის ქვეყანას არ წაადგებოდა, გულთან ახლოს მიჰქონდა, როგორც პირად ტკივილს, ისე იღებდა. ძალიან განათლებული პიროვნება იყო. ზედმიწევნით ერკვეოდა არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, სხვა ქვეყნების ისტორიაშიც. სადმე რომ მიდიოდა, იმ ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას გაიგებდა, წიგნებს გადახედავდა. სამზარეულოში მსოფლიოს რუკა გვქონდა გაკრული და ბავშვებს დაწვრილებით აცნო-



მეგობრებთან ერთად

ბდა ყველაფერს. ერთხელ გერმანიაში იყო გასტროლებზე და ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად მიუპატიჟებიათ. სუფრაზე კარგი ჯიშიანი ქათმები დაუნახავს. უნდოდა, კვერცხი წამოეღო, რომ აქ გაემრავლებინა ქათმები. ვერაფრით მიახვედრა მასპინძელს, რა უნდოდა. რამდენჯერაც ახსენა კვერცხი, იმდენჯერ მოხარშული მიუტანეს. ესპანეთში კი ოთხცურიანი თხა უნახავს და გადარეულა – როგორმე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ასეთი ჯიშის თხები და ქათმები ჩვენთანაც იყოსო, – აღტაცებული მეუბნებოდა, რომ ჩამოვიდა. სირიაში სვიმეონ მესვეტის ტაძრის ეზოში განსხვავებული ლეღვის ხე რომ ნახა, ტოტი მოატეხა, სველ ცხვირსახოცში გაახვია და მთელი ერთი კვირა ასე, უბით ატარა გასტროლებზე. რომ ჩამოვიდა, ყიფშიძეზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ეზოში ჩარგო. პირველი ნაყოფი საზეიმო ვითარებაში გავსინჯეთ.


და-ძმა – ჯულიეტა და ჰამლეტი

### ჩიტივით გაფრენილი...

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ფილარმონიაში კონცერტი ჰქონდა. რეპეტიციების დროს რკინის კონსტრუქციის ნაწილი ჩამოვარდა და მის ცხვირწინ დაეცა. ლამარა, როგორ გადავრჩი, არ გიკვირსო? – აღშფოთებული მეუბნებოდა. მაინც ვერ ასცდა რკინის სოლს – ორ წელიწადში დაიღუპა. მანამდე უმცროსი ძმა გარდამეცვალა. ამის შემდეგ ჰამლეტი სხვანაირი გახდა, უფრო მობილიზებული და ყურადღებიანი. ნუ ტირი ამდენს, ის ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადავიდა, ფიზიკურად აღარ არის, თორემ, შენს გულში, ჩემს გულში და ყველა ჩვენგანის გულში ხომ არისო, – მამხნევებდა. თურმე, მეორე ტკივილისთვის შემამზადა, რომ კიდევ ერთი უბედურება გადამეტანა. ლენინგრადში მიდიოდნენ გასტროლებზე. გადაწყვიტა, მე და ბავშვებიც წავეყვანეთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გამოსათხოვარი პერიოდი. იქიდან რომ ჩამოვიდოდით, მერე იტალიაში უნდა წასულიყვნენ, მაგრამ, ლენინგრადში ყოფნის დროს რაღაც ცვლილებები მოხდა და იტალიის გასტროლები ჩაიშალა. 10 ივლისს ჩამოვედით. კონცერტები კახეთში დაგეგმეს. მაგ დროს ჰამლეტს ბრმა ნაწლავი ასტკივდა. „ლეჩკომბინატში“ მივედით, სადაც აღრიცხვაზე იყო. არ გაიკეთა ოპერაცია – კონცერტებია დაგეგმილი და, როგორ შეიძლება, კახეთში „რუსთავი“ უჩემოდ წავიდესო. ქირურგი ჩვენი ახლობელი კაცი იყო და მითხრა: ლამარა, გაუშვი ეს კაცი, წავიდეს, თელავი ახლოსაა. თუ შეტევა მოუვა, აგერ არ ვარ? უცებ ჩავალ და ყველაფერს გავუკეთებ, ამის გამო ნუ ხარ წინააღმდეგიო. ღამით კი ასეთი რამ მოხდა: ტელეფონმა დარეკა, ავიღე ყურმილი და მესმის ჩემი გარდაცვლილი ძმის ხმა – ლამარა, რას შვრებიო, – და, გაითიშა. ჰამლეტს სადილზე და ვახშამზე წესად ჰქონდა ერთი-ორი ჭიქა ღვინის დალევა, ერთმანეთს ვუყვებოდით, დღემ როგორ ჩაიარა, ბავშვები როგორ სწავლობენ. ერთხელ, მთხოვა, შენც დალიეო. ღვინო არა, მაგრამ, შამპანურს კი ნამდვილად დავლევდი-მეთქი. ეჰ, ეს რა ცხოვრებაა, ცოლს შამპანური უნდა და სახლში არ მაქვსო. წავიდა კახეთში. მეორე დღეს უნდა ჩამოვიდეს, ველოდები. თვითონ ვიყიდე შამპანური, მაცივარში შევდგი გასაცივებლად და კარგი სადილიც მოვამზადე. მოსაღამოვდა. რამდენი მანქანა გაჩერდება, აივნიდან გადავხედავ, ჰამლეტი ხომ არ მოვიდა-მეთქი. რომ დააგვიანდა, ანსამბლის ერთ-ერთ წევრთან, ტარიელ ონაშვილთან დავრეკე. თელავიდან პირდაპირ ანაგაში ***(დედულეთში – ავტორი)*** წავიდა, სტუმრები ჰყავდაო, – მითხრა. ცოტა ხანში ტელეფონი რეკავს – გონაშვილის ბინააო? დიახ-მეთქი. ჰამლეტი ცუდად გახდა და დაიბარა, მეუღლე ჩამოვიდესო. მაშინვე ვიფიქრე, ალბათ, ბრმა ნაწლავის შეტევა მოუვიდა-მეთქი. მე და რამდენიმე ადამიანი ჩავსხედით მანქანაში და მივდივართ. წელან ხომ გიყვებოდით, სადმე ჭრელ ფოთოლს რომ ნახავდა, ჩემთან მოჰქონდა-მეთქი და, უცებ, თავში გამიელვა. გზაში ჩემს მულს ვკითხე, ახლა ანაგაში რა ხილია, ჰამლეტი ხეზე ხომ არ ავიდა და ჩამოვარდა-მეთქი? ვიფიქრე, ალბათ, ჩემთვის კრეფდა ხილს და ნამდვილად რაღაც დაემართა-მეთქი. ზუსტად ასე მომხდარა. მათ იცოდნენ, რომ აღარ არის და გაოცდნენ – რას ამბობსო. ვხედავ, ჭიშკარი ღიაა და უამრავი ხალხია თავშეყრილი. მაინც არ დავუშვი, რომ აღარ იყო. ბოლომდე ვფიქრობდი, რომ ცუდად არის და ამიტომ იყო ამდენი ხალხი. მეზობელს ხე უჩრდილავდა და უთხოვია, ტოტები მოეჭრა. ძირში ძველისძველი ხის კუნძი იდგა, რომელზეც საქონლის დასაბმელი სოლი იყო ჩარჭობილი. წინა დღეებში ჩემს დედამთილს უცდია მისი ამოღება – ბავშვები რომ ჩამოდიან, ამაზე რამე არ იტკინონო. ამოღება რომ დაუწყია, მეზობელი მისულა რაღაც საქმეზე, ამასობაში შებინდებულა კიდეც და თავი მიუნებებია. ეტყობა, ჰამლეტს ტოტზე ფეხი დაუცურდა და ზედ ჩამოეგო.


ჰამლეტ გონაშვილი დედასთან, მარგოსთან (შუაში) ერთად


ზურაბ ანჯაფარიძესთან და სხვა მეგობრებთან ერთად


მთაში

**ეკა პატარაია**

(23-ე გვერდიდან)

# ვინ იყვნენ ამქრების მფარველი წმინდანები, რომელ წელს მოხდა მათი აჯანყება თბილისში და რა შედიოდა ამქრის წევრის მოვალეობაში

საგუბერნიო სამმართველოში შეიტანეს განცხადება ამქრობის მოსპობის შესახებ, მაგრამ, ვორონცოვმა, რომელიც ხშირად გამოდიოდა ადგილობრივი ადათების გულმოდგინე დამცველად, ამ უძველესი ორგანიზაციის ერთბაშად მოსპობა არ ისურვა.

ამქრის უსტაბაშს ძველად დიდი გავლენა ჰქონდა. ის, როგორც არჩეული მამასახლისი, სარგებლობდა მარად დაუბერებელი ავტორიტეტით. უსტაბაშის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგენდა ზედამხედველობა და ზეპირი მეთვალყურეობა, რომ ამქრის ცხოვრებაში წესიერება არ დარღვეულიყო; ზეპირს იმიტომ ვამბობ, რომ ძველად ამქრის უმეტესმა ნაწილმა, ქალაქური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „წიგნი არ იცოდა”.


თბილისის ამქარი ქეიფის დროს

ამქრის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე გარდაცვლილი ამხანაგების დაკრძალვა. რომელი ამქრის წევრიც გარდაიცვლებოდა, იმ ხელობის დუქნები, ნიშნად განსვენებულის პატივისცემისა, დაიკეტებოდა და ყველანი გარდაცვლილის ოჯახში მოგროვდებოდნენ, „ოქუცზე” მიდიოდნენ. თუ გარდაცვლილი მდიდართა წრეს ეკუთვნოდა, ჭირისუფლები ამქრის სალაროს სასარგებლოდ იხდიდნენ ერთგვარ თანხას, რომ ამქრის წევრები გასვენებას დასწრებოდნენ. ამქრის წესდებაში აღნიშნული იყო ქვრივ-ობოლთა მოვლა, პატრონობა. უნდა ითქვას, რომ ამ წესდებას მუხლმაგრად ასრულებდნენ. ქოლერისა და შავი ჭირის დროს, როცა თბილისის მცხოვრებნი ქალაქიდან თავგზადაბნეულები გარბოდნენ და თავიანთ მკვდრებსა თუ ავადმყოფებს ბედის ანაბარა ტოვებდნენ, ამქრის წევრებს თავიანთ წმინდა მოვალეობად მიაჩნდათ, რომ ქალაქში დარჩენილიყვნენ და მიცვალებულთათვის პატრონობა გაეწიათ. არამცთუ გაჭირვებისას, თვით დალხინების დროსაც, ამქრებმა ნამდვილი ამხანაგობა იცოდნენ.

ამქრების თბილისური ისტორია გასაბჭოების შემდეგ დასრულდა. 1920-30-იან წლებში ცნობილი უსტაბაშები გააკულაკეს, ამქრების საქმიანობა კი აკრძალეს, თუმცა, ამქართა ნაკვალევი თბილისში სრულად დღემდე არ წაშლილა.


თბილისელი ხელოსნები

**უშანგი რუხაძე**

**გამოყენებული ლიტერატურა: იოსებ გრიშაშვილი, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა” (გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1986 წელი)**



**ჩვენ გარშემო ზოგი ადამიანი ჰარმონიულად ცხოვრობს და ტკბება ბედნიერებით, ზოგიც დადარდიანებულია, საყვარელ ადამიანთან პრობლემები აქვს, ვერ ართმევს თავს ცხოვრებისეულ ბარიერებს და მცირედი პრობლემაც კი დეპრესიაში აგდებს. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნანი ამბობს, ადამიანის ცხოვრებაში მომხდარ ნებისმიერ მოვლენაზე კარმა დიდ გავლენას ახდენს; ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევთ შვილს, რადგან, სახელი მომავალში ბევრ რამეზე აგებს პასუხს და, მათ შორის, ბედნიერ სიყვარულზე, კარიერულ წინსვლასა და ჰარმონიულ ოჯახურ თანაცხოვრებაზე.**

# რა გავლენას ახდენს ეჭვიანობით დაზიანებული კარმა შეყვარებულ ადამიანებზე და როგორ ხდება მომავალი წარმატებების კოდის ჩაკეტვა სახელის დარქმევით

**ნანი**: ცხოვრებაში ყოველთვის ისე არ ვითარდება მოვლენები, როგორც ეს ჩვენ გვსურს ან წარმოგვიდგენია. ამის ბევრი მიზეზი არსებობს, თუმცა, მთავარი მაინც ადამიანის კარმაა, ანუ, ჩვენ ცხოვრებაში იმას ვიღებთ, რასაც გავცემთ.

**– გამიგია, რომ კარმა უდიდეს გავლენას ახდენს სასიყვარულო ურთიერთობაზე და სწორედ მისი დამსახურებაა, ადამიანი ბედნიერი იქნება თუ დეპრესიული. ასეა?**

– დიახ, ასეა. სასიყვარულო ურთიერთობაზე კარმა უდიდეს ზეგავლენას ახდენს. სწორედ მასზეა დამოკიდებული, იქნებით თუ არა იღბლიანი და ბედნიერი. ჩვენ დამსახურებულად ვიღებთ ამ ცხოვრებაში იმას, რაც წინა ცხოვრებაში, ანუ, წარსულში დავთესეთ. დამსახურებულის მიღება კი ხშირად არ გვსიამოვნებს. თუ სიყვარულში ბედნიერების მიღწევა გსურთ, მაშინ, ამ მხრივ რაღაც-რაღაცეების გათვალისწინებაც მოგიწევთ. კარმა თქვენ მიერ წარსულში და წინა ცხოვრებაში ჩადენილი საქციელის ასახვის პრინციპია. ყოველდღიურ ცხოვრებაში კარგი ქმედებები და მცდელობები, კარგ კარმას გვაძლევს, ცუდს კი საწინააღმდეგო, ცუდი კარმისკენ მივყავართ. როცა საქმე სასიყვარულო ურთიერთობებს ეხება, კარმის პრინციპები ცოტა უფრო რთულად აღსაქმელი ხდება. მოგეხსენებათ, სიყვარული საკმაოდ რთული, ვნებიანი და ყველაფრის მომცველი გრძნობაა. მას შეუძლია, ყველაზე გონიერ ადამიანსაც კი დააკარგვინოს თავი და ისეთი სისულელეები ჩაადენინოს, რაც სხვისგან გაუკვირდებოდა. ამიტომ, ამ მხრივ, თუ სიფრთხილე და წინდახედულება არ გამოიჩინეთ, შეიძლება, ისე დააზიანოთ სასიყვარულო კარმა, აზრზეც ვერ მოხვიდეთ.

**– როგორ საქციელს შეუძლია სასიყვარულო კარმის დაზიანება?**

– სასიყვარულო კარმის დაზიანება და დანგრევა შეუძლია ტყუილს, ღალატს, შეურაცხყოფას, დანაშაულის გრძნობას და ასე შემდეგ. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. თქვენს ჰარმონიულ სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობაში მცირედი ეჭვიანობა, ან, რაიმე მიზეზის გამო წარმოქმნილი დანაშაულის გრძნობაც კი, სასიყვარულო კარმას აზიანებს და ის დანგრევამდეც კი მიჰყავს. ხომ გსმენიათ, ყველაფერი კარგად იყო წყვილს შორის და მოულოდნელად დაშორდნენო. ამის მიზეზი კი გაუგებარია ხოლმე, არადა, ეს სწორედაც რომ, კარმის დაზიანების შედეგია, რამაც დაშორებამდე მიიყვანა შეყვარებული წყვილი.

**– თუ ასეთი დაზიანებული კარმის გამოსწორება გსურს?**

– თუ კარმის გამოსწორება გსურთ, უნდა გაითვალისწინოთ, წარსულში რაიმე ცუდი თუ ჩაიდინეთ. შეიძლება, ჩადენილის გამოსწორება ვერც მოხერხდეს, სამაგიეროდ, ამჟამინდელი პრობლემების მიზეზთა გაანალიზებით, შეგიძლიათ, სწორად განაგრძოთ წინსვლა და ჯანსაღი სასიყვარულო კარმის შექმნა თქვენი მომავლისთვის. გამოხატეთ გრძნობები; შეეცადეთ, მუდმივად ასიამოვნოთ პარტნიორს; არ დაიშუროთ კომპლიმენტები; იყავით კეთილი და ყურადღებიანი მისი გრძნობების მიმართ. ეს ყველაფერი ხელს უწყობს კარგი კარმის მოზიდვას თქვენს ურთიერთობაში. სამწუხაროდ, ხშირად ისე ვართ დაკავებული საკუთარი თავით, რომ მცირედი ყურადღების გამოხატვაც კი გვავიწყდება, რაც მომავალში უარყოფითად აისახება ჩვენს სასიყვარულო ურთიერთობებზე. პოზიტიური განწყობა დაგეხმარებათ, გადალახოთ ის გაღიზიანება, კონფლიქტური სიტუაციები და უარყოფითი ატმოსფერო, რომელიც თქვენ შორის იქმნება და რომელიც ეჭვიანობის, წყენის, გარიყულობის, მიტოვების მიზეზი ხდება. არ ჩაიკეტოთ ამ დროს საკუთარ თავში, ჯობია, გულახდილად გაარკვიოთ სიტუაცია რჩეულთან, რადგან ეს თქვენს კარმაზე დადებითად აისახება. ასევე, როდესაც წყენასა და ბოღმას აგროვებთ ვინმეს მიმართ, ეს თქვენს სასიყვარულო კარმასაც დიდ ზიანს აყენებს. ამ უარყოფით ემოციებს კი უძლიერესი ენერგია აქვს, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ მოიშორებთ და ნელ-ნელა საკუთარ ცხოვრებასაც დაინგრევთ. უბრალოდ, ისწავლეთ ადამიანების გაგება, პატიება და ყველაფერი კარგად იქნება. როდესაც საქმე სიყვარულს ეხება, გირჩევთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას გამოიყენოთ ეზოთერიკულ-პარაფსიქოლოგიური წესები, ანუ, ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. ასევე, ცოდნა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თან სდევდა ადამიანს და საკუთარ ბედში გარკვევისა და სწორი ნაბიჯების გადადგმაში ეხმარებოდა. ასე ადვილად შეძლებთ თქვენს ურთიერთობაში მინუსებისა და პლუსების დანახვას, დაფარული ზრახვების ამოცნობას და იმის გაანალიზებას, რაც სიყვარულში გაფერხებთ.

**სასიყვარულო კარმის დაზიანება და დანგრევა შეუძლია ტყუილს, ღალატს, შეურაცხყოფას და დანაშაულის გრძნობასაც კი**

**– ხომ ამბობენ, ნამდვილ სიყვარულს კამათიც ხშირად ახლავს?**

– რადგან სიყვარული ვნებიანი გრძნობაა, პარტნიორებს შორის ჩხუბი და კამათიც ხდება, ხშირია შეყვარებულ წყვილებს შორის უთანხმოება და, ამიტომ, უნდა აკონტროლოთ ემოციები და თუ გრძნობთ, რომ აგრესია მოგეძალათ საყვარელი ადამიანის მიმართ, სასწრაფოდ დალიეთ დაფნის ფოთლის ნახარში და ხელები გამდინარე წყალს შეუშვირეთ – ეს სიმშვიდეს დაგიბრუნებთ და რჩეულთან კამათსაც თავიდან აგარიდებთ. სხვათა შორის, დადებით და უარყოფით აზრებს მოვლენების გამოწვევის ძალა გააჩნია. თუ ნეგატიურად დაიტვირთებით, რაიმე ცუდი აუცილებლად მოხდება თქვენს ცხოვრებაში. მაგალითად, თუ ხშირად ფიქრობთ, რომ სასიყვარულო პარტნიორი გღალატობთ, ის აუცილებლად გიღალატებთ. ხომ იცით, ადამიანის ფიქრის რეალიზება რეალურად შესაძლებელი ფაქტია და ის კოსმოსიდან, სამყაროდან ბუმერანგივით დაბრუნებული „საჩუქარია". დადებითი მოვლენების მოსაზიდად აუცილებლად დადებითად უნდა იაზროვნოთ, უარყოფით აზრებს კი იგნორირება უნდა გაუკეთოთ. მთავარია, მოინდომოთ და ყველაფერი გამოგივათ.

**– პარაფსიქოლოგები ამბობენ, ადამიანის სახელში ერთგვარი კარმული კოდია ჩადებულიო. სასიყვარულო ურთიერთობაზე თუ ახდენს ეს გავლენას?**

– დარქმეული სახელი დაბადებიდანვე დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის პიროვნების, ფსიქოტიპის ჩამოყალიბებასა და სამომავლო ბედის განსაზღვრაზე. გეტყვით, რომ მამის, ბიძის, ბაბუის ან ოჯახის სხვა წევრის სახელის დარქმევა კარგი არ არის. საქმე ისაა, რომ შვილს არასდროს არ უნდა დაარქვათ იმ ადამიანის სახელი, რომელსაც მძიმე, ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა, ხშირად ავადმყოფობდა, ადრე გარდაიცვალა, მძიმე ბედი ხვდა წილად, წარუმატებელი ან უშვილო იყო. ასეთი ადამიანის პატივსაცემად დარქმეულმა სახელმა, შეიძლება, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის განვითარებასა და მომავალზე. თუ თქვენი ოჯახის წევრი ყველანაირად შემდგარია და ისეთი წარმატებულია, რომ მის ბედს ბევრი შენატრის, თამამად შეგიძლიათ, დაარქვათ ახალშობილს მისი სახელი. ნებისმიერ შემთხვევაში, ლამაზი ჟღერადობის გარდა, სახელის დადებით მნიშვნელობასა და მუხტზეც იფიქრეთ.

**ნონა დათეშიძე**

## დაურჩე მარტო?!

აქტიური ქალები სულ უფრო ხშირად რჩებიან პარტნიორის, ოჯახის გარეშე. რატომ? – მათ ასე უნდათ თუ, უბრალოდ, აღარ სცალიათ სერიოზული ურთიერთობისთვის?!

... სიმპათიური, განათლებული, იუმორით სავსე, გონებამახვილი და წარმატებული – თუმცა მარტოსული.

დავიწყოთ იმით, რომ მარტოობა ქალის ბუნებრივი მდგომარეობა არ არის. მას აუცილებლად სჭირდება გვერდით ადამიანი, რომელსაც დაეყრდნობა. ზოგადად, ადამიანები არ უნდა რჩებოდნენ მარტო... ჩვენ გარშემო მყოფნი ნამდვილად იმსახურებენ ჩვენს ყურადღებას. უბრალოდ, უნდა დავივიწყოთ ამპარტავნება და ვაჯობოთ ჩვენს შინაგან ხმას, რომელიც ჩაგვჩიჩინებს: „შენ ყველაზე კარგი ხარ და არავინ გჭირდება!“

ხშირი ეპითეტები წარმატებული ქალის მისამართით ძალიან აფუჭებს საქმეს. ქვეცნობიერად აკომპლექსებს ქალს და საკუთარ თავზე წარმოდგენას უზრდის... წლები გადის... ქალი არ იხევს უკან და ცდილობს, არ დაინახოს სიმართლე... თავს იმით იმართლებს, რომ მის ცხოვრებაში შესაფერისი კანდიდატურა არ გამოჩნდა... ლოგიკურია? – სულაც არა. ქალები შინაგანად დარწმუნებული არიან, რომ მეტისმეტად დიდ მოთხოვნას უყენებენ პარტნიორს. კანდიდატი ბევრ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. დავრჩე მარტო, თუ გავყვე იმას, ვისაც იდეალამდე ბევრი უკლია?! ასეთი არჩევნის წინაშე თუ დადგებით – ეს უკვე შეცდომაა. მაგრამ, რა ქნას ქალმა, რომელსაც ეშინია, რომ პრინცი გვერდს აუვლის. ამ ძებნა-ძიებაში კი ისე დარჩებით მარტო, ვერც მიხვდებით. იფიქრეთ, უკვე ხომ არ დაკარგეთ ძვირფასი დრო.

## დიახ, მე ვითხოვ!

ერთი შეხედვით, ყველაფერი მართებულია – პარტნიორი სამოსი არ არის, რომ არ მოგეწონოს და შეცვალო. ამიტომაც ყურადღებით, გულდასმით უნდა შეარჩიო. მამაკაცს უნდა ჰქონდეს ინტელექტი, პროფესიონალიზმი, იუმორის გრძნობა, არ აწყენს ცოტა რომანტიზმი. კარგია, თუ შეძლებს ქალის გამხიარულებას, იქნება სპორტული აღნაგობის, ჭკვიანი, შეძლებული და სექსუალური... ახლა გაჩერდით და ეს ჩამონათვალი კიდევ ერთხელ, ყურადღებით წაიკითხეთ... დარწმუნებული იყავით, კიდევ გექნებათ მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ იცით – ცხოვრებაში ასე არ ხდება. ლანგარზე დასკუპებული იდეალური პარტნიორი თავისით არ მოგერთმევათ. ზოგჯერ ადამიანის სისუსტე, სისულელე და შეცდომა გვიყვარდება, დაუგეგმავად და სპონტანურად.

კარგად დაფიქრდით. მოძებნეთ პრიორიტეტები. გამოარჩიეთ ხასიათის ის ძირითადი თვისებები, რომლებიც პიროვნებას თქვენთვის სასურველად აქცევენ. ის, რის გარეშეც, უბრალოდ, ვერ გექნებათ ადამიანთან ახლო ურთიერთობა. ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ ურთიერთობაში ყველანი ვიცვლებით და პარტნიორზე „გადავეწყობით“ ხოლმე. ამას შეუცნობლად ვაკეთებთ – ძალდაუტანებლად და ჩვენივე სურვილით. როცა პარტნიორი გვიყვარს, ვცდილობთ, საუკეთესო თვისებები გავააქტიუროთ, ვიყოთ უფრო კარგი და თუ ამას არ ვაკეთებთ, ესე იგი, ჩვენთვის სულერთია, რას გრძნობს ის ადამიანი, რომელიც გვერდით გვყავს.

დიახ, ჩვენ ვითხოვთ!.. მაგრამ ჯერ უნდა გავცეთ, რომ მივიღოთ ის, რასაც ვიმსახურებთ!

## შეეჩვევა... შეუყვარდება

რამდენად სარწმუნოა, არავინ იცის, მაგრამ მსოფლიო სტატისტიკა გვაუწყებს, რომ ყოველი მესამე ქალბატონი ოჯახს უსიყვარულოდ ქმნის. ქალები ამაზე სრულიად გაცნობიერებულად მიდიან და ხშირად უარს ეუბნებიან ცოლად გაყოლაზე კაცს, რომლის მიმართაც გრძნობა აქვთ. უპირატესობას სხვას ანიჭებენ. საქმე ისაა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სიყვარული მათ ოჯახში წამგებიან პოზიციაში აყენებს. ამიტომ ურჩევნიათ, პარტნიორი და ცხოვრების თანამგზავრი სხვა მონაცემების მიხედვით შეარჩიონ. მაგალითად, 60 პროცენტს უნდა, მისი ქმარი შემოსავლიანი, სტაბილური და წარმატებული იყოს. რა საჭიროა სიყვარული, როცა მამაკაცი ამდენ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. კაცმა ცოლს პირობები უნდა შეუქმნას. გაანებივროს და უზრუნველყოს მისი ღირსეული არსებობა – აი, მთავარი პრინციპი, რითაც ხელმძღვანელობენ ქალები გათხოვებისას. ზოგიერთი ქალი საერთოდ იმიტომ თხოვდება, რომ მარტო დარჩენის ან იმის ეშინია, რომ უკეთესი აღარავინ შეხვდება. ასეთ ქალებს რომ ჰკითხოთ, რისი იმედი აქვთ, ოჯახს უსიყვარულოდ რომ ქმნიან, გიპასუხებენ: რა პრობლემაა, თუკი ჩემზე იზრუნებს, აუცილებლად შემიყვარდება. ვერც შეედავები. ვინ იცის, იქნებ მართლებიც არიან. იგივე სტატისტიკა ხომ გვიმტკიცებს, სიყვარულით შექმნილი ოჯახებიც საკმაოდ ხშირად ინგრევაო. ანუ, თუკი თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდა კაცი, რომელიც ჯერ არ გიყვართ, მაგრამ სასურველი მეორე ნახევრის კრიტერიუმს აკმაყოფილებს, უკან ნუ დაიხევთ. იზრუნებს თქვენზე და სიყვარულიც მოვა!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

## ყველაზე... ყველაზე

როგორი ლამაზიც არ უნდა იყოს ქალი, ის ვერ დაიმსახურებს მამაკაცების ყურადღებას, თუკი არ ეცოდინება, როგორ „შეფუთოს“ და მიაწოდოს მას საკუთარი თავი. ურთიერთობა ყოველთვის „გუნდური თამაშია“. მხოლოდ გრძელი ფეხებით ან დიდი მკერდით ფონს ვერ გახვალთ.

ხშირად ქალი, რომელსაც პარტნიორის მიმართ დიდი პრეტენზიები აქვს, ფარულად მიანიშნებს მამაკაცს, რომ თვითონ უნაკლოა, შეუდარებელი და ყველაზე... ყველაზე... ასეთი „პრინცესები“ ბოლოს „მათხოვრების“ საკბილონი ხდებიან და არა უფლისწულების.

თუ გაგიმართლათ, რომ კარგი კარიერა გაიკეთეთ, წარმატებული ხართ და ღმერთმა სასიამოვნო გარეგნობითაც დაგაჯილდოვათ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სამეფო ტახტს და გვირგვინს იმსახურებთ. მეტისმეტად ნურც იმის აფიშირებას მოახდენთ, რომ აბსოლუტურად დამოუკიდებელი და თავისუფალი ხართ, თორემ მამაკაცს აუცილებლად გაუჩნდება შეკითხვა: „კი, მაგრამ სჭირდება კი ამას გვერდით მამაკაცი?“ თქვენ ხომ ქალი ხართ? – ენდეთ ინტუიციას და იაზროვნეთ ლოგიკურად. გააქრეთ ხმაში მბრძანებლური ნოტები. არ აგრძნობინოთ მამაკაცს, რომ „მესაჭე“ თქვენ იქნებით და პირველობას არაფრით დათმობთ. პირიქით, ყოველთვის მოუსმინეთ ყურადღებით და მოთმინებით. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ საუკეთესო „შესაფუთი მასალა“ ღიმილია!

# როგორ ავიმაღლოთ განწყობა

მალე ზამთარი დადგება. ეს ის დროა, როცა შემოტევას იწყებს მელანქოლია და დეპრესია. მართალია, ეს, ძირითადად, სეზონური პრობლემებია, მაგრამ, მაინც პრობლემა ჰქვია და, რომ არ გაღრმავდეს და გახანგრძლივდეს, დროზე უნდა „ჩაერიოთ“ საკუთარი თავის საქმეებში. ნუ დაგეზარებათ და, თუ გაქვთ საშუალება, გარკვეულ თანხასაც ნუ დაინანებთ თქვენივე გუნება-განწყობის გამოკეთებაში, თორემ, თუ პროცესები შორს წავიდა, ექიმებთან სირბილი და მკურნალობა გაცილებით უფრო ძვირი დაგიჯდებათ.

ეს სეზონი იდეალური პერიოდია აუზზე სიარულის დასაწყებად. სულ რაღაც 30 წუთი ცურვა საკმარისია იმისთვის, რომ სტრესი მოიხსნათ და რამდენიმე დღის განმავლობაში მხნედ და ენერგიულად იგრძნოთ თავი. სხვათა შორის, კვირაში ორ-სამჯერ, ანუ, სისტემატურად ცურვა დადებითად მოქმედებს კანის ხარისხზე, წვავს ცხიმებს და საოცრად აუმჯობესებს მეხსიერებასა და კონცენტრაციას. თუ აუზზე სიარულის დრო და ფინანსები არ გაქვთ, დილით მიიღეთ კონტრასტული შხაპი, საღამოს კი, დაძინებამდე 1-2 საათით ადრე – ბალახების ნახარშის დამამშვიდებელი აბაზანა.



ცნობისათვის, ენერგოდანახარჯების თვალსაზრისით, 30-წუთიან ცურვას ცვლის 30-წუთიანი ძუნძული ან სწრაფი ნაბიჯით სეირნობა. გარდა ამისა, ნახევარსაათიანი ძუნძულის შედეგად ორგანიზმში აქტიურად გამომუშავდება ბედნიერების ჰორმონი – ენდორფინი.

სეირნობა ვახსენეთ და, შესაძლოა, ბევრმა არც კი იცის, რომ ჩვეულებრივი გასეირნება დილას და საღამოს (20-30 წუთი) ორმაგი შედეგით ჩაენაცვლება ანტიდეპრესანტებს, მით უფრო, თუ ამას ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში ან პარკში მოახერხებთ – ეს ესთეტიკურ სიამოვნებასაც მოგანიჭებთ და თქვენი ფილტვები ჟანგბადის „მარაგსაც“ აიღებს.

დილის მოციონის შემდეგ აუცილებლად დალიეთ გამამხნევებელი ჩაი: ჭიქაში ჩააგდეთ ლიმონის ერთი რგოლი, კოჭას 2-3 ცალი თხელი ფირფიტა და დაასხით მდუღარე წყალი. თქვენთვის სასურველ ტემპერატურამდე რომ გაგრილდება, დალიეთ ყლუპებით. ეს, ერთი შეხედვით, უბრალო სითხე საოცარ შედეგს მოგცემთ – C ვიტამინისა და კოჭაში შემავალი მიკროელემენტების ერთობლიობა სიცოცხლის ხალისით გავსებთ.

თუ მთელი ბინა არა, თქვენი ოთახი და სამზარეულო მაინც (ანუ, სადაც უფრო მეტხანს გიწევთ ყოფნა) აავსეთ მხიარული ფერებით: ცოცხალი ყვავილებით, ფერადი სურათებით და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აანთეთ ფერადი ნათურები. შეეცადეთ, ბინაში მუდმივად იქონიოთ ლარნაკში ჩადებული ფერადფოთლებიანი ტოტები – ცოცხალი მცენარეების ფერადოვნება და სურნელი ენერგიითაც აგავსებთ და კარგ ხასიათზეც დაგაყენებთ.

ჯერ კიდევ შემოდგომაა და ყველაზე სეზონურ ბოსტნეულს – გოგრას, ტოლი არ ჰყავს რკინის შემცველობის თვალსაზრისით, რკინა კი სწორედ ის ნივთიერებაა, რომელზეც, ძირითადად, დამოკიდებულია ჩვენი სულიერი წონასწორობა, შრომისუნარიანობა და ჯანმრთელი აქტიურობა.

თუ დღის განმავლობაში გადაღლილი დაძინებას ვერ ახერხებთ, დალიეთ 1 ჭიქა გოგრის წვენი (1 ჩაის კოვზი თაფლი გაურიეთ) – ეს საოცარი სითხე სასიამოვნოდ მოგადუნებთ და მშვიდად ჩაგეძინებათ. როგორც ჩიკაგოელი მეცნიერები ამტკიცებენ, ახალგამომცხვარი გოგრის ნამცხვარი, გარდა იმისა, რომ გუნება-განწყობას აუმჯობესებს, ადამიანებს შემოქმედებითად განაწყობს.

მაშ, ასე, ნუღარ დააყოვნებთ, გაიხალისეთ ყოველი დღე!

# ტკბილი ცდუნება

***დღეს კონკრეტულ დიეტას არ შემოგთავაზებთ, უბრალოდ, გიამბობთ, როგორ ინარჩუნებენ სასურველ წონას და, შესაბამისად, მომხიბვლელობასა და ახალგაზრდულ იერს ის მეგავარსკვლავები, რომლებიც ვერ უმკლავდებიან ცდუნებას, ყოველდღიურად მიირთვან მათთვის საყვარელი ტკბილეული ისე, რომ ამით არაფერი „დაუშავდეთ“.***

***თუ თქვენც ტკბილეულის მოყვარული და სუსნია ხართ, მიჰბაძეთ მათ – იმედია, ისეთსავე შედეგს მიიღებთ.***



**სარა ჯესიკა პარკერს** ყველაზე მეტად ნაყინი უყვარს, განსაკუთრებით – ნაღების და, თანაც, შოკოლადის „თავსახურით“.

„ზაფხულში ნაყინს თითქმის ყოველდღე ვჭამ და, სხვათა შორის, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, რადგან, მისგან ისეთ სიამოვნებას ვიღებ, შეუძლებელია, ამით რამე დამიშავდეს“, – აცხადებს მსახიობი.

***დასკვნა***: თუ გახდომა გსურთ და მაინც წაგიცდათ ხელი ტკბილეულზე, არც იდარდოთ და არც თავი დაიტანჯოთ, ბოლომდე შეირგეთ სიამოვნება. თუ მაინცდამაინც შეგაწუხათ სინდისის ქენჯნამ, იმ საღამოს 15-წუთიანი ვარჯიში „გამოუწერეთ“ საკუთარ თავს, ან, სხვას ნუღარაფერს მიირთმევთ.

**კეტი პერი** ბავშვობაში ხილის „ლოლუებზე“ გიჟდებოდა და ეს სიყვარული დიდობაშიც გამოჰყვა. ოღონდ, როგორც თავად ამბობს, მიირთმევს მხოლოდ ნატურალურ კარამელს, საღებავებისა და არომატიზატორების გარეშე და ორიგინალური გემოთი, განსაკუთრებით კი მანგოს „ლოლუები“ უყვარს. მაგრამ, კეტიმ იცის, რომ, გარდა გასუქებისა, ტკბილეულს სხვა ცუდი თვისებაც აქვს, კერძოდ, აფუჭებს კბილებს. ამიტომ, „ბავშვობასთან დაბრუნების“ უფლებას თავს მხოლოდ კვირაში ერთხელ ან ორჯერ აძლევს, დღის დანარჩენ მონაკვეთში კი ზღუდავს საკვების რაოდენობას.

**ნიკოლ შლეზინგერი**, როგორც ჰავაის კუნძულების ჭეშმარიტი შვილი, ჭკუას კარგავს ბანანის ჩირის ალადებზე ქოქოსის სიროპით და მაკადამიის კაკალზე შოკოლადის სოუსით.

„როგორც კი მომინდება „ჩემი“ ტკბილეულის ჭამა, ვცდილობ, საქმეზე გადავერთო, თორემ, არ არის გამორიცხული, მხოლოდ მასზე ფიქრითაც კი, რამდენიმე კილოგრამი მოვიმატო“, – სიცილით აღნიშნავს ვარსკვლავი.

როგორც ჩანს, აქტიური მუშაობა იცავს ნიკოლს ზედმეტი სასუსნავისა და, შესაბამისად, ზედმეტი კილოგრამებისგან.

**სანდრა ბალოკი** გულახდილად აღიარებს, რომ გიჟდება ტკბილეულზე, განსაკუთრებით კი მას შოკოლადი და ვენური შტრუდელი ჰყვარებია. „მაგრამ, ყოველდღე ვერ ვაძლევ თავს ასეთი სიამოვნების უფლებას. ასე რომ არ მოვიქცე, მშვიდობით, სიგამხდრევ და ახალო კინოროლებო! ამისთვის კვირაში ერთი დღეც საკმარისია, მაგალითად, კვირა დღე, დანარჩენი ექვსი დღის განმავლობაში კი მკაცრად ვაკონტროლებ ჩემი კვების რეჟიმს“, – ამბობს ბალოკი.

**ტეილორ სვიფტი**, როგორც თავად აღნიშნავს, დილას ტკბილი ფანტელებითა და კრემიანი „პეჩენიებით“ იწყებს, ოღონდ ბევრს არ მიირთმევს.

„ვიცი, რომ ეს არ არის მთლად „სწორი“ საუზმე, მაგრამ, ამ მეთოდით ვახერხებ, ვაკონტროლო ჩემი მიდრეკილება ტკბილეულის მიმართ“, – აცხადებს მომღერალი და, თუ მისი აღნაგობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეჭვი არ შეგვეპარება, რომ ის ამას კარგად ახერხებს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: რა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას და როგორ უნდა ავიცილოთ ის თავიდან?**

**პასუხი:** როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, დაბერებას იწვევს ორგანიზმის სხვადასხვა ქსოვილის მოლეკულებისა და ოქსიდანტების ურთიერთქმედება, რის შედეგადაც იწყება ჯაჭვური რეაქცია; ეს ხელს უწყობს სხეულის შიგნიდან რღვევას და აჩქარებს დაბერების პროცესს, რაც თანდათან „ამოტივტივდება“ ზემოთ და ვრცელდება კანზეც. ანუ, ამ ყველაფრის მიზეზი არის ანტიოქსიდანტების ნაკლებობა. მის თავიდან ასაცილებლად, სისტემატურად მიიღეთ ის პროდუქტები, რომლებიც ჭარბად შეიცავს A, C და E ვიტამინებს, მიკროელემენტებს – სელენსა და თუთიას, თუმცა, სპეციალური პრეპარატების დახმარებაც იქნება საჭირო, რასაც ექიმი-კოსმეტოლოგი დაგინიშნავთ. ამასთან, მაქსიმალურად მოერიდეთ მზეზე დიდხანს ყოფნას, სოლარიუმებს და მიირთვით მხოლოდ ეკოლოგიური პროდუქტი.

**კითხვა: მაქვს ძალიან ხვეული თმა, რომელიც, პრინციპში, მომწონს, მაგრამ, ხანდახან მომინდება ხოლმე რაღაცის შეცვლა, ვთქვათ – გასწორება, თუმცა, სალონში წასვლის საშუალება ყოველთვის არ მაქვს. რას მირჩევთ?**

**პასუხი:** საერთოდ, ხვეული თმა უფრო მშრალია (მთელ სიგრძეზე), ვიდრე სწორი ან ტალღოვანი. ამიტომ, აუცილებელია მისი სისტემატური დატენიანება სპეციალური საშუალებებით – ეს თმას გააჯანსაღებს კიდეც და უფრო მორჩილსაც გახდის ვარცხნილობის შეცვლის დროს. გასწორებისას, უთოს გამოყენების წინ, აუცილებლად დაიმუშავეთ თმა თერმოდამცავი სპრეით, რომ ღერები არ დაზიანდეს.

**კითხვა: დიეტის დროს ყოველთვის ვჭამდი უმ სტაფილოს, მაგრამ, ახლობელმა მითხრა, რომ მოხარშული სტაფილო უფრო სასარგებლოა. მართალია თუ არა ეს?**

**პასუხი:** დიახ, ეს სიმართლეა. ბეტა-კაროტინი, რომლითაც ასე მდიდარია სტაფილო, მიეკუთვნება თერმოსტაბილური ვიტამინების ჯგუფს და, თერმული დამუშავების დროს, არათუ არ ხდება მისი დაშლა, არამედ, იღებს ორგანიზმისთვის ადვილად ასათვისებელ ფორმას.



მოამზადა
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ გააკოტრა სტალინმა ჩემბერლენი და დალადიე

ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი. თუმცა, მანამდე, 1936-1937 წლებისთვის ასეთი ვითარება შეიქმნა: გერმანია, იტალია და იაპონია მსოფლიოს ახალი გადანაწილებისთვის ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ. ომის დაწყება, თუ თავიდან აცილება, დამოკიდებული იყო იმაზე, რა ღონისძიებებს გაატარებდნენ: ინგლისი, საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი გერმანია-იტალია-იაპონიის სამხედრო ბლოკის წინააღმდეგ. მიმდინარეობდა დიდი დიპლომატიური ბრძოლა. სწორედ ამ ბრძოლაზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრიაპირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

ლოგიკურად ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებას წინ ვერაფერი ვერ უნდა დადგომოდა, რადგან გერმანია ერთნაირად საშიში იყო სამივე ქვეყნისთვის. ინგლის-საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ლიდერებს შორის დიდი განსხვავება იყო. იოსებ სტალინთან შედარებით, ინგლისის პრემიერ-მინისტრი – ნევილი ჩემბერლენი და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი – ედუარდ დალადიე, არათუ მეორე, მესამეხარისხოვანი პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ. იმ დროსაც კი, დასავლეთის ქვეყნებში სასიცოცხლო საკითხებს პრემიერ-მინისტრები და პრეზიდენტები არ წყვეტდნენ. გადამწყვეტ როლს პარლამენტი ასრულებდა. ასე რომ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერის, სტალინისათვის, მარტო ჩემბერლენისა და დალადიეს პრობლემა კი არ იდგა, არამედ ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტებისა, სადაც უამრავი ბრწყინვალე პოლიტიკოსი მოღვაწეობდა. ამიტომ იყო, რომ ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანება გერმანიის წინააღმდეგ საკმაოდ მტკივნეული პროცესი გამოდგა და დროში ძალზე გაიწელა. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ჰიტლერმა და ჩეხოსლოვაკიას ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა. ადოლფ ჰიტლერი ითხოვდა გერმანიისთვის გადაეცათ ჩეხოსლოვაკიის ნაწილი – სუდეტის ოლქი, სადაც უმრავლესობას ეთნიკური გერმანელები შეადგენდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლა იოსებ სტალინმა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობას გერმანიის წინააღმდეგ დახმარება შესთავაზა. თუმცა კი, წინასწარ იცოდა, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ამ შეთავაზებას არ მიიღებდა. მისი სტრატეგიაც ამაზე იყო გათვლილი. ჩეხოსლოვაკიის მთავრობისგან საბჭოთა კავშირის მიერ შემოთავაზებულ დახმარებაზე უარის თქმის შემდეგ, ცხადია, ეს ქვეყანა ინგლის-საფრანგეთს უნდა დაეცვა. ფრანგები და ინგლისელები გერმანიასთან ომისთვის მზად არ იყვნენ, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის დაცვაზეც ღიად უარს ვერ იტყოდნენ. ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიამ გამოსავალი იმაში იპოვა, რომ ჰიტლერს მოლაპარაკება შესთავაზეს. ეს უკვე გერმანიის გამარჯვების მაუწყებელი იყო. 1938 წლის სექტემბერში მიუნჰენში გამართულმა კონფერენციამ სუდეტის ოლქი გერმანიას გადასცა. მთელმა მსოფლიომ დაინახა ინგლის-საფრანგეთის უსუსურობა. ესეც სტალინის გეგმის ნაწილი იყო. 1939 წლის გაზაფხულზე გერმანიის ჯარები ავსტრიაში შეიჭრნენ – ავსტრია გერმანიის სახელმწიფოს ნაწილი გახდა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ გერმანიის აგრესიის აღკვეთა ინგლის-საფრანგეთს საბჭოთა კავშირის გარეშე არ შეეძლოთ. 1939 წლის მარტში მოსკოვში დაიწყო ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება. ცხადია, ამ მოლაპარაკებაზე მთავარი მოთამაშე საბჭოთა კავშირი იყო. ეს კი ინგლისელებსა და ფრანგებს ძალზე აღიზიანებდათ. მოლაპარაკება უსაშველოდ გაჭიანურდა. ინგლისელები და ფრანგები ეშმაკობდნენ. მათ იცოდნენ, რომ აღმოსავლეთში, კონკრეტულად მონღოლეთის ტერიტორიაზე, საბჭოთა-კავშირ იაპონიის სამხედრო კონფლიქტი მწიფდებოდა. თუ იაპონელები გაიმარჯვებდნენ, სტალინი უფრო დამთმობი გახდებოდა. საბჭოთა ჯარებმა იაპონელები სასტიკად დაამარცხეს, ინგლისელები და ფრანგები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ როგორ მოულოდნელ დარტყმას უმზადებდა მათ იოსებ ბესარიონის ძე. ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების პარალელურად, უაღრესად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკება. სრულიად მოულოდნელად, მოსკოვში ჩამოფრინდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი – იოაჰიმ ფონ რიბენტროპი და 23 აგვისტოს გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას 10 წლის ვადით. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიისთვის ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნიშნავდა. ამიერიდან ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ სრულიად მარტოდმარტო დარჩნენ, რადგან გერმანიასთან ომის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი მათ დახმარებას ველარ აღმოუჩენდა. ასე გააკოტრა სტალინმა უდიდესი ტრადიციების მქონე ინგლისური და ფრანგული დიპლომატია.

1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას რამდენიმე საიდუმლო მუხლი ჰქონდა. სტალინმა და ჰიტლერმა პრაქტიკულად ევროპის ტერიტორია გადაანაწილეს. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, რომლებიც მაშინ დამოუკიდებელი ქვეყნები იყვნენ, საბჭოთა კავშირს ერგო. პოლონეთის სახელმწიფო გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ორად გაიყვეს. მდინარე ვისლას აღმოსავლეთ ტერიტორია, საბჭოთა კავშირის უნდა ყოფილიყო, ვისლას დასავლეთით მდებარე ტერიტორია კი გერმანიისა. ვისლაზე მდებარე პოლონეთის დედაქალაქი ვარშავაც ორად უნდა გაყოფილიყო. ჰიტლერმა სტალინისთვის მიცემული სიტყვა დაარღვია და პოლონეთის დაპყრობის შემდეგ, საბჭოთა ჯარებს ვისლას აღმოსავლეთ ოლქების მთლიანად დაკავების საშუალება აღარ მისცა. საბჭოთა კავშირს მხოლოდ დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია ერგო, რომელიც ამ დროისთვის პოლონეთს ჰქონდა მიტაცებული. ასე რომ, მთელი პოლონეთი პრაქტიკულად გერმანიას დარჩა. სტალინმა წყენა არ შეიმჩნია, ამ საკითხზე ხმაურის ატეხა არ ღირდა, რადგან 23 აგვისტოს ხელშეკრულების საიდუმლო მუხლი გამჟღავნდებოდა. თუმცა, სტალინს წყენის დავიწყება არ სჩვეოდა და ეს გერმანელებმა მალე გამოსცადეს თავის თავზე.

**სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ გერმანიის აგრესიის აღკვეთა ინგლის-საფრანგეთს საბჭოთა კავშირის გარეშე არ შეეძლოთ**

1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულება ითვალისწინებდა, ინგლის-გერმანიის ომის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის გერმანიის მხარეზე გამოსვლას. საბჭოთა მხრიდან გარანტიები ძალიან მტკიცე იყო. 1940 წლის გაზაფხულზე გერმანიამ ომი დაუწყო ინგლისს, მაგრამ წარმატებები ვერ მოიპოვა. ინგლისის ქალაქებზე მხოლოდ საავიაციო დარტყმები ხორციელდებოდა. ომი გაჭიანურდა. სამაგიეროდ, 1940 წლის ზაფხულში გერმანიამ ადვილად დაიპყრო საფრანგეთი. ინგლისი კი მედგრად აგრძელებდა ბრძოლას. 1940 წლის შემოდგომაზე ბერლინში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია ვიაჩესლავ მოლოტოვის ხელმძღვანელობით. იოჰან ფონ რიბენტროპმა მას დაპირების შესრულება მოსთხოვა. მოლოტოვმა, დიპლომატიური ეთიკის სრული დაცვით, რიბენტროპს მოუბოდიშა, რომ ინგლისის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირი გერმანიას ვერ დაეხმარებოდა. ეს გერმანელებისთვის უმძიმესი დარტყმა იყო. ამრიგად, სტალინმა შესძლო, ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირება გერმანიასთან, რაც საბოლოოდ, საფრანგეთის კაპიტულაციითა და ინგლის-გერმანიის გაჭიანურებული ომით დასრულდა. სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა ვითარება, რომლის ფინალი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი უნდა ყოფილიყო. სანამ ინგლისი გერმანიის წინააღმდეგ ომს აგრძელებდა, საბჭოთა კავშირის მდგომარეობა გერმანიასთან მოსალოდნელ ომში, არც ისე უიმედო იყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გერმანიის მხარეზე არ დადგებოდა, საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, კიდევ უფრო ხელსაყრელი სჩანდა. სტალინის მთავარი სტრატეგია გახლდათ ის, რომ გერმანიას ერთდროულად 2 ფრონტზე უნდა ებრძოლა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამას მან მიაღწია კიდეც. ამასთან ერთად, სტალინის წინაშე იდგა ერთი მეტად რთული, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა: გერმანიის მოთხოვნით, შეიძლებოდა, შორეულ აღმოსავლეთში იაპონიას ომი დაეწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს კი გერმანიასთან ომში ჩაბმული საბჭოთა კავშირისთვის სასიკვდილო დარტყმის ტოლფასი იქნებოდა.

1941 წლის გაზაფხულზე იაპონიის პრემიერ- მინისტრი გერმანიაში იმყოფებოდა. ცხადია, ამ შეხვედრაზე ჰიტლერის მთავარი სათხოვარი რა იქნებოდა იაპონიისადმი?! – ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იაპონიის პრემიერ-მინისტრი სამშობლოში მოსკოვის გავლით დაბრუნდა. ის შეხვდა იოსებ სტალინსაც. ამ მოლაპარაკების თემაც ცხადია, თუ რა იქნებოდა?! – იაპონიის მხრიდან ნეიტრალიტეტის დაცვა. მოლაპარაკებამ, რა თქმა უნდა, უაღრესად საიდუმლო ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ მთელი მსოფლიო ელვის სისწრაფით მოიარა უცნაურმა ამბავმა: პირველი შემთხვევა იყო, როცა, სტალინმა უცხო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სარკინიგზო სადგურამდე მიაცილა, ბაქანზე გადავიდა და ვაგონში შეჰყვა. რატომ გააკეთა ეს სტალინმა? მოლაპარაკება, ხომ ფაქტობივად, კრემლში დასრულდა. ამ მოულოდნელი ჟესტით, დიდმა რეჟისორმა უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა ადოლფ ჰიტლერს, რომლისთვისაც სიკვდილამდე ამოუხსნელი დარჩა, რაზე საუბრობდნენ ვაგზლის ბაქანზე, ან ვაგონში საბჭოთა ბელადი და იაპონიის პრემიერ-მინისტრი. ჰიტლერზე არანაკლებ გაოგნებულნი დარჩნენ ინგლისელი და ფრანგი დიპლომატები. სტალინთან ორთაბრძოლაში გაკოტრებულმა ნევილი ჩემბერლენმა და ედუარდ დალადიემ სათამაშო მოედანი დატოვეს. ამიერიდან, მესამე მოთამაშე – სტალინის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთაგან, ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული – ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი გამოდიოდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ცოტა მოგვიანებით, მათ მეოთხე – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი – ფრანკლინ რუზველტი დაემატა. საჭადაკო დაფაზე ახალი, რთული და ხანგრძლივი პარტია იწყებოდა.



**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

# დროის რა პერიოდში იმუხტება კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი დადებითი და სასიცოცხლო ენერგიებით

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***ბევრმა არ იცის, რა არის კარმა და რა დანიშნულება აქვს მის კარმულ-კოსმიურ მისიას დედამიწაზე. მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს რელიგიაში კარმა „ჩადენილს“ ნიშნავს. კარმა, რეალურად, ნებისმიერი მიზანმიმართული და განზრახი ქმედებაა, რომელსაც თავისი შედეგი აქვს. ამასთან, აზრიც და სიტუაციაც ქმედებად ითვლება.***

***ასტროლოგიურად, კარმას თავისი კანონი აქვს, კარმის კანონი მოქმედებს ისე, რომ თითოეული ჩვენი მოქმედება ანაბეჭდს მომავალში დატოვებს ან წინ დაგვხვდება.***

***თითოეული ადამიანი საკუთარი მისიით მოდის დედამიწაზე და, შესაბამისად, თავისი გაკვეთილი კარგად უნდა გაითავისოს და გაითვალისწინოს ის, რასაც კოსმოსი უქადის. ეს ადამიანებს თავიანთი მდგომარეობის უკეთ გაცნობიერებაში ეხმარება.***

***ასე რომ, დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ტექსტს და გაიგეთ, რა არის თქვენი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე.***

**ვერძი** – თქვენ დაიბადეთ იმ დროს, როცა ბუნება გაღვიძებას იწყებს. ეს პერიოდი თქვენთვისაც გამოსაფხიზლებელი უნდა იყოს. სწორედ ამ დროს მოგეცემათ უამრავი ენერგია. დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა, გაუნაწილოთ ენერგია სხვებს. დაეხმაროთ უმწეოებს. იყავით გულღია, კომუნიკაბელური, ქველმოქმედი და ადვილად შეძლებთ საკუთარი ბედნიერების მოპოვებას.

**კურო** – თავისუფალი სივრცე და ლამაზი გარემო დაგეხმარებათ იმაში, რომ შეძლოთ თვითრეალიზება და ჰარმონიული განვითარება. მეტი კონტაქტი იქონიეთ ახლობლებთან, მეგობრებთან. ასევე, მიეცით მათ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება. ნუ იქნებით დიქტატორი და მეტი ყურადღება მიაქციეთ, რას ითხოვენ თქვენგან გარშემო მყოფები. გაითვალისწინეთ მათი რჩევები – ეს თქვენი კარმული მისია და ბედნიერების გარანტია.

**ტყუპები** – უნდა შეძლოთ ორ ადამიანს შორის მშვიდობის მისიის შესრულება, იბრძოლეთ თქვენი სიმართლისთვის და შემოიკრიბეთ გარშემო ერთგული ადამიანები. ამით ჰარმონიულ გარემოს შეიქმნით და წარმატებებსაც ადვილად მიაღწევთ.

**კირჩხიბი** – ისწავლეთ დღევანდელი დღით ტკბობა. იაზროვნეთ და იმოქმედეთ ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ და არა ისე, როგორც გირჩევენ. ნუ იყურებით წარსულში, მომავალში უკეთესი რამ შეიძლება მოხდეს და მასზე იყავით ორიენტირებული. აწმყოში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა თქვენი კარმული მისიაა დედამიწაზე, რაც მომავალში წარმატებას მოგიტანთ.

**ლომი** – შეეცადეთ, თქვენი გარემოცვა და მთელი სამყარო ისეთი მიიღოთ, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც თქვენ გსურთ, რომ იყოს. ასე გაიუმჯობესებთ ურთიერთობებს როგორც ოჯახის წევრებთან, ისე კოლეგებთან. მაშინ ცხოვრებაც გაგიადვილდებათ და დედამიწაზე თქვენს კარმულ მისიასაც ადვილად შეასრულებთ.

**ქალწული** – თქვენთვის მთავარია გონების მომართვა და შრომისუნარიანობის გამოვლენა, რათა საწადელს ადვილად მიაღწიოთ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ და ნუ იქნებით სხვების ხელის შემყურე. მთავარია, არ მოადუნოთ ყურადღება. ყური უგდეთ ინტუიციას და ის მიგიყვანთ საჭირო ადგილამდე. ნუ დახარჯავთ ძალებს ტყუილუბრალოდ. ისწავლეთ მოთმენა – ამას გავალებთ თქვენი კარმა.

**სასწორი** – შეხედეთ სამყაროს სხვა თვალით და აღიქვით მოვლენები ისე, როგორც არის. დაფიქრდით, ზოგჯერ რეალობა უფრო საინტერესოა, ვიდრე ოცნება. დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა, იყოთ რეალისტი.

**მორიელი** – იყავით დაკვირვებული და დაიცავით ზომიერების გრძნობა. გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. ჩაუღრმავდით საკუთარ გრძნობებს. თქვენი კარმული მისიაა, ადეკვატურად მიჰყვეთ მოვლენებს და სწორად მოახდინოთ რეაგირება.

**მშვილდოსანი** – მეტად უსმინეთ საკუთარ ინტუიციას. ნუ იტყვით სხვების დახმარებაზე უარს, ასევე, ნუ ჩაერევით სხვის საქმეში მათი თხოვნის გარეშე. თქვენი კარმული მისიაა, ყური უგდოთ გულის კარნახს, არ დაზოგოთ შესაძლებლობა და ენერგია საქმეში და იყოთ გულისხმიერი სხვების მიმართ.

**თხის რქა** – გიყვართ, როცა თქვენ გარშემო ყველაფერი რიგზეა, ამისთვის კი ძალღონეს არ იშურებთ. ნუ აჰყვებით ემოციებს. გარშემო მყოფები თქვენგან მხოლოდ სიმართლეს ელიან და ეს თქვენი კარმული მისიაცაა დედამიწაზე. თქვენ უნდა იყოთ მაგალითი სხვებისთვის. ამიტომ, შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. იყავით ოპტიმისტი და ეს წინსვლაში დაგეხმარებათ.

**მერწყული** – ნუ დაფრინავთ ღრუბლებში, იყავით რეალისტი. მეტი გულისყურით აკეთეთ ის საქმე, რომელიც ითავეთ. გახსოვდეთ, ამქვეყნად იმისთვის მოხვედით, რომ გაულამაზოთ ცხოვრება გარშემო მყოფებს. თქვენი მთავარი კარმული მისიაა, იყოთ დამთმობი, ჰუმანური და მეტად კომუნიკაბელური – ეს ბარიერებისა და პრობლემების დაძლევაში დაგეხმარებათ და წარმატებებს მოგიტანთ.

**თევზები** – ხშირად იცვლით აზრს და სხვების ზეგავლენის ქვეშაც ადვილად ექცევით. დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა, სხვებზე იზრუნოთ, დაეხმაროთ მათ და საქმეს შემოქმედებითად მიუდგეთ. ისწავლეთ თქვენი ძალისხმევის მხოლოდ ერთ საქმეზე კონცენტრირება. დაისახეთ მიზანი და ყველა ღონე იხმარეთ მის მისაღწევად – ამ შემთხვევაში ბედი ნამდვილად გაგიღიმებთ და თქვენს კარმულ-კოსმიურ მისიასაც შეასრულებთ დედამიწაზე.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1995 წლის 12 მაისს, 4-დან 5 საათამდე. მაინტერესებს, რა არის მისი კარმული მისია, რომელი პროფესიაა მისთვის მისაღები და წარმატებების მომტანი; ასევე, რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ექნება კარგი მომავალი?**

**პასუხი:** მისი კარმული მისიაა, მეტად წარმოაჩინოს თავის ხასიათში დადებითი თვისებები; იყოს მეტად ორგანიზებული, მიზანსწრაფული, შეუპოვარი, ნებისყოფიანი, შრომისუნარიანი, ფულის ყაირათიანი მხარჯველი. რაც მეტად იქნება მოწესრიგებული, მით სწრაფად მიაღწევს წარმატებებს. უნდა იყოს „უხალტურო“ მუშაკი და ყველა საქმე მხოლოდ კარგად, მიფუჩეჩების გარეშე უნდა გააკეთოს, ყურადღება მიაქციოს ყველა დეტალს; უნდა იყოს მარტოხელა მებრძოლი, დამოუკიდებელი. გამოავლინოს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, საკუთარ თავზე აიღოს ინიციატივა, გამოავლინოს ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები. სასიყვარულო-პარტნიორული ურთიერთობისთვის მისთვის კარგია ქალწულის, კუროს, თხის რქის, კირჩხიბის ან თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი. მოერიდოს ლომსა და მერწყულს. პროფესიებიდან კი მისთვის წარმატების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი; პედაგოგიკა, სამხედრო სტრუქტურა, უშიშროების სფერო, სადაზღვევო და საგამომძიებლო სტრუქტურები; მშენებლობა, მედიცინის ფართო სპექტრი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, სოციოლოგია, ტელემექანიკა, ლინგვისტიკა.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2005 წლის 23 თებერვალს, დილის 5 საათზე. მაინტერესებს, რომელი სპეციალობა უნდა აირჩიოს, რომ შემდგომში წარმატებას მიაღწიოს?**

**პასუხი:** მისი კოსმიური მისია უკავშირდება უცხოეთს, ამიტომ, რაც მეტად ექნება კავშირი უცხოეთთან, მით მეტი წარმატების შანსი მიეცემა. პროფესიებიდან მისთვის კარგია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, კოსმეტიკური საქმიანობა, სადალაქო საქმე, საკონდიტრო სფერო, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, სპორტი.

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

29 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

30 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ჟარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ. 10 წუთი;***

1 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზურა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

### კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

26 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

27 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მეზურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

28 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ეუხენია ბალგოა"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორები: ლევან წულაძე და დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: გივი ბერიკაშვილი, თამარ სხირტლაძე, ეკა ჩხეიძე, ზვიად სხირტლაძე, ზურა ბერიკაშვილი, მაია ტატიშვილი, ლილე ფილფანი. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

30 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

1 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

### მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

28 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

1 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ტარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 5 - 14 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

25 ნოემბერი, **ორშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

26 ნოემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„რკინის ბიჭები"** - (ბილეთის ფასი - 6, 10 ლარი), რეჟისორი კოტე აბაშიძე. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, ვანო იანტბელიძე, სოფო გურგენიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ძვირფასი პამელა"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 13 ლარი), რეჟისორი კოტე აბაშიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„საქაღლე"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ვანო ხუციშვილი. მონაწილეობს: სლავა ნათენაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

30 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

1 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

### სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

25 ნოემბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„სტრიპტიზი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ნიკა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, დათა თავაძე ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

27 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ტროელი ქალები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დათა თავაძე. მონაწილეობენ: ნატუკა კახიძე, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

### მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

30 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ქალი და მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: გურამ ლალიაშვილი, ილია ჭეიშვილი, თამრი ბზიავა, გაგი შენგელია, ნუცა მჭედლიშვილი, ნინი კვასხვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

1 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ამორ - უცნაური სიყვარულის ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნინო ბურდული. მონაწილეობენ: ქეთი ასათიანი, პაატა ინაური; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

### ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90**

28-29 ნოემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ბაყრა"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

30 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მაკბეტი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ანა ალექსიშვილი, იმედა არაბული, ბუბა გოგორიშვილი, ნანკა კალატოზიშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ვარდოსანიძე, არჩილ სოლოღაშვილი, ტატო ჩახუნაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

### გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 293-11-06**

27 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 18.00 - **„ხოლსტომერი. ცხენის ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ვალერი ხარიუტჩენკო, ლუსია არტიომოვა, აპოლონ კუბლაშვილი, მარიშა კიტია, არჩილ ბარათაშვილი, მიშა არჯევანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ლაშა გურგენიძე, სოფიო ლომჯარია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

29 ნოემბერი, **პარასკევი** 18.00 - **„არტურო უის კარიერა"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ინა ვიროზიოვა, გოგი თურქიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

30 ნოემბერი, **შაბათი** 12.00 - **„ზღაპარი სალთან მეფეზე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარი კიტია, მიხეილ არჯევანიძე, კარინა ყენია, სოფო ლომჯარია, აპოლონ კუბლაშვილი, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

### საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 99-63-14**

26, 29 ნოემბერი, **სამშაბათი, პარასკევი** 19.00 - **„დანკოს გული"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი კირა მებუკე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## ორშაბათი 25 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"მიფრთხილდი ლა ტურ!"** (ჟ.მარე) **17.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.05** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **21.00** თოქ-შოუ – "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.30** მხ/ფ **"ემიგრანტები"** (მ.ფონ სიუდოვი) **02.10** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში".

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.30** მხ/ფ **"ფუჭი დიდება"** (ი.ბერგმანი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერი დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ **"მოიტაცეს თამარ ქალი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"შერეკილები"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.00** განთიადის სტუმარი **15.25** სპექტაკლი **"შიში"** **17.40** ეთნოგრაფია **18.10** აქტუალური თემა **18.30** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 00.05, 22.00, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"კაცია ადამიანი?!"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ლაზი ვორე" **00.25** ისტორიის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00" 0.45" 2.30" 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55" 8.10" 9.15** მაღვიძარა **8.00" 9.00" 10.00" 12.00" 15.00" 18.00" 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **13.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

## სამშაბათი 26 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"მე და კატერინა"** **17.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **18.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. **"მაფიოზი"** **23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **01.40** მხ/ფ **"კინგის გამოსასყიდი"**.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** **1** სერ. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** მისია სტუდენტი **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ **"ბინძური სიყვარული"** (კ.ელექტრა).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** ქართული კინოს ვარსკვლავები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 00.05, 22.00, 02.30** სიახლენი **10.40** დოკ/ფ "დღესასწაული" **10.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.10** მხ/ფ **"კაცია ადამიანი?!"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი - საქართველოს მომავლის ვარსკვლავები - ე. გოგიბედაშვილი, ლ. რამიშვილი **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** აქტუალური თემა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"წითელი ბუშტი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **00.25** ისტორიის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.50, 13.50, 23.00** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**25 ნოემბერი – 1 დეკემბერი**

*დარბაზი 1*

13.00, 16.30, 19.30, 22.30 - **„შიმშილის თამაშები: ცეცხლის ალში"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.00 - **„სახლი, რომელიც ფანჯრიდან გაიპარა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.15, 20.00 - **„გივი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.15 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00, 18.00 - **„მოღრუბლული 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

20.15, 22.30 - **„მრჩეველი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 4*

12.00 - **„თორი: ბნელი სამყარო"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

14.30, 17.00, 22.30 - **„მრჩეველი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

20.00 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.30 - **„მოღრუბლული 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

15.00, 17.30, 20.00, 22.30 - **„თორი: ბნელი სამყარო"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

13.00, 16.30, 19.30, 22.30 - **„შიმშილის თამაშები: ცეცხლის ალში"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00 - **„მოღრუბლული 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

14.00, 16.00, 18.00 - **„გივი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00 - **„მრჩეველი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22.30 - **„თორი: ბნელი სამყარო"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხორცი ლუდში










**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ღორის უძვლო ხორცი, ცოტა სოიის სოუსი, 1-2 ლიტრი ლუდი, 1 სადილის კოვზი „კოკა-კოლა“, 1 ლიტრი ბურახი, 3 ცალი ხახვი, 4-5 კბილი ნიორი, ცხარე წიწაკა, 2 ცალი დაფნის ფოთოლი, 1/2 კოვზი გახეხილი ჯანჯაფილი (იმბირი), 1 სადილის კოვზი თაფლი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით მომცრო კუბიკებად, ხახვი და ნიორი გაარჩიეთ. ღრმა ქვაბში ჩაასხით ცივი წყალი, დადგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე.

მოათავსეთ მასში ხორცის ნაჭრები და ხარშეთ 10 წუთი. გადაღვარეთ წყალი. ხორცს მოაყარეთ ნივრის კბილები და შუა-შუა გაჭრილი ხახვი. ასევე, ჩაუმატეთ წიწაკა, მოასხით სოიის სოუსი, დაუმატეთ თაფლი და ჯანჯაფილი (თაფლის ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ კარამელივით მომწვარი შაქარი). კერძს დაასხით „კოკა-კოლა“, ლუდი, ბურახი. წყლის ჩამატება საჭირო აღარ არის. ჩინელები ამ კერძს ბრინჯის ღვინოს ასხამენ. დადგით ქვაბი ცეცხლზე. მიიყვანეთ ადუღებამდე. ხარშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე 2 საათის განმავლობაში. ხორცი რომ მოიხარშება, ამოიღეთ ლანგარზე და სუფრასთან მიიტანეთ ცალკე. სოუსი გააცივეთ და მიირთვით ნებისმიერ გარნირზე მოსხმული.

# ხორცი ფორთოხლით










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ღორის ხორცი (რბილი ნაჭერი) – ძალიან მჭლე არ უნდა იყოს, რომ შეწვისას არ გამოშრეს; 1-2 ცალი ფორთოხალი, 1 სადილის კოვზი თაფლი, მარილი, შავი და თეთრი, სურნელოვანი პილპილი; წითელი, ცხარე წიწაკა, ქონდარი, ქინძი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით 3-4 სანტიმეტრის სისქის ნაჭრებად. მოაყარეთ მარილი და ყველა ჩამოთვლილი სუნელები, პილპილის ნაზავი. წაუსვით კარგად ნაჭრებს. ფორთოხალი კარგად გარეცხეთ. გადაავლეთ მდუღარე წყალი. დაჭერით კანიანად ნახევარმთვარისებურად. ხორცის ნაჭრები ჩაჭერით შუა-შუა და ჩააწყვეთ ამ ჭრილებში ფორთოხლის ნაჭრები. თხლად გადაუსვით ზემოდან თაფლი. დააწყვეთ ხორცის ნაჭრები გამოსაცხობ ტაფაზე ფრთხილად, მიჯრით. მოათავსეთ აირღუმელში 200 გრადუს ტემპერატურაზე და 30-40 წუთში მზად იქნება. ხორცი იქნება ძალიან არომატული, გემრიელი და პიკანტური. მიირთვით მოხარშულ კარტოფილთან ან პიურესთან ერთად.

უკვე მზა კერძში ფორთოხალი სამშვენისის ფუნქციასაც ასრულებს და თავსაც მოიწონებთ.

# წვნიანი გუფთა





**საჭირო ინგრედიენტები:** ნახევარი კილოგრამი ხორცის ფარში, 1 კვერცხი, ქათმის ბულიონის კუბიკი, 3-4 ცალი კარტოფილი, ნახევარი ჭიქა ბრინჯი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, ტომატ-პასტა, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით, თუ სურვილი გაქვთ, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, ოხრახუში.

**მომზადების წესი:** ფარშში ჩაუმატეთ კვერცხი (1 ან სურვილისამებრ). ბულიონის კუბიკი გახსენით ლიტრ-ნახევარ წყალში და მიიყვანეთ ადუღებამდე. კარტოფილი გათალეთ და დაჭერით კუბიკებად. ჩაყარეთ მდუღარე ბულიონში და დაუწიეთ ცეცხლს. ხახვი დაჭერით კუბიკებად და ისიც ჩაყარეთ ბულიონში. სანამ კარტოფილი იხარშება, დაჭერით ძალიან წვრილ ჩხირებად სტაფილო და თუ გაქვთ, ბულგარული წიწაკაც. ფარშისგან გააკეთეთ პატარა ბურთულები, მანამდე უყავით მარილი და ცოტა შავი პილპილი. ბულიონში კარტოფილის ჩაყრიდან 20 წუთის შემდეგ (დაბალ ცეცხლზე უნდა იხარშოს), ჩაუმატეთ სტაფილო, ბულგარული და მდუღარე ბულიონში ნელ-ნელა ჩაყარეთ ფარშის ბურთულები. შეგიძლიათ, წვნიანს სტაფილო მაშინ ჩაუმატოთ, როცა ფარშის ბურთულები ზემოთ ამოტივტივდება. ბოლოს დაუმატებთ ბრინჯს. ხარშეთ 5-10 წუთი დაბალ ცეცხლზე. ბოლოს დაუმატეთ ტომატ-პასტა. 5 წუთის შემდეგ წვნიანი მზად იქნება. უყავით ცოტა მარილი და გადმოდგით. სურვილისამებრ მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სამარხვო ნამცხვარი „თაფლის კვერი“

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ჭიქა შაქარი, 1 ჭიქა წყალი, 2 სადილის კოვზი თაფლი, 1 ჩაის კოვზი სოდა, 2 სადილის კოვზი კაკაო, 0,5 ჭიქა ქიშმიში, 0,5 ჭიქა დაფქული ნიგოზი, 0,5 ჭიქა ზეთი, 1,5-2 ჭიქა ფქვილი, დარიჩინი – გემოვნებით, ნუში – მოსართავად.

**მომზადების წესი:** პატარა ქვაბში ჩაყარეთ შაქარი, დაასხით წყალი და ზეთი, დადგით ცეცხლზე და შეათბეთ. დაუმატეთ თაფლი და მოურიეთ, რომ შაქარი და თაფლი კარგად გადნეს. თაფლიან მასას შეურიეთ ერთმანეთში არეული დარიჩინი, კაკაო, ნიგოზი, ქიშმიში და სოდაარეული ფქვილი. უნდა მიიღოთ სქელი არაჟნის სისქის მასა. ცომი მოათავსეთ ცხიმწასმულ, ფქვილმოყრილ ფორმაში და აცხვეთ 30-35 წუთის განმავლობაში, მაღალ ტემპერატურაზე. მზა ნამცხვარს ზემოდან მოაყარეთ ფირფიტებად დაჭრილი ნუში.



# შემწვარი ღორის ხორცი მდოგვის სოუსში

**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ნაჭერი ღორის ხორცი თავისი ძვლით, მარილი და პილპილი – გემოვნებით, ზეთი – შესაწვავად.

**სოუსისთვის:** 1/4 ჩაის ჭიქა წვრილად დაჭრილი კამა, 2 სადილის კოვზი მდოგვი, 1,5 სადილის კოვზი თაფლი, 0,5 ჩაის კოვზი მარილი, 1/4 ჩაის კოვზი შავი პილპილი, 0,5 ჭიქა გახეხილი ყველი.



**მომზადების წესი:** ხორცის ნაჭრებს მოაყარეთ მარილი, პილპილი და გაცხელებულ ზეთში ორივე მხრიდან შებრაწეთ. მანამდე სოუსის ყველა ინგრედიენტი ბლენდერში დააქუცმაცეთ და, შებრაწვას ცოტა რომ დააკლდება, წაუსვით ხორცის ნაჭრებს და მოათავსეთ შესაწვავ ფორმაში, დარჩენილი სოუსი კი ზემოდან მოასხით. ღუმელში გააჩერეთ დაახლოვებით 15 წუთის განმავლობაში, საშუალო ტემპერატურაზე, სანამ ბოლომდე მომზადდება.

# ქათმის ფილე მოტკბო-მომჟავო სოუსში

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი ქათმის ფილე, 1 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, 120 გრამი სტაფილო, 1 თავი წითელი ხახვი, 5 გრამი ნედლი ჯანჯაფილი, 170 გრამი დაკონსერვებული ანანასი, 1 სადილის კოვზი ზეთი, 150 მილილიტრი ფორთოხლის წვენი, 1 სადილის კოვზი წითელი ღვინის ძმარი, 75 გრამი კეტჩუპი, 1 სადილის კოვზი თაფლი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით სასურველი ზომის კუბიკებად, წიწაკა – ოთხად, ხახვი კი – რვა ნაწილად. სტაფილო და ჯანჯაფილი გახეხეთ. ანანასი გადაწურეთ და კუბიკებად დაჭერით. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, დაუმატეთ ხორცი, მოაყარეთ მარილი და მაღალ ცეცხლზე შებრაწეთ. ხორცი ამოიღეთ და ამავე ცხიმში ჩაყარეთ ხახვი, სტაფილო, წიწაკა და 3-4 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაუმატეთ ჯანჯაფილი და კიდევ ოდნავ მოშუშეთ. ძმარი, ფორთოხლის წვენი, კეტჩუპი და თაფლი ერთმანეთში აურიეთ, დაუმატეთ ტაფაზე ინგრედიენტებს და შუშეთ 1 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ ხორცი და ანანასი. კერძი საშუალო ტემპერატურაზე მანამდე შუშეთ, სანამ ხორცი ბოლომდე მომზადდება. ბოლოს დაუმატეთ მარილი და წიწაკა.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 27 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ვინეტუ და აპანაჩი" 17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.30** "ჩვენი ეზო" **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. **"მაფიოზი" 23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: (პ/რ).

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული" 11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **23.30** მხ/ფ **"წინასწარმეტყველი"** (ტ.რაჰიმი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** სერ. **"ნათია და ნათია". 18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო" 22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **00.30** სერ. **"ექიმი ჰაუსი". 01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.).

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** ქართული კინოს ვარსკვლავები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 00.05, 22.00, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.15** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** დოკ/ფ **"წითელი ბუშტი" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** კონცერტი - ხათუნა კოკოჩაშვილი **16.55** კვირიაკე **18.10** აქტუალური თემა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ზოგი ჭირი მარგებელია" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მეფე და არა დედოფალი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 13.50, 23.00** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## ხუთშაბათი 28 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო" 17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.30** "ქართული ჯარი" **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. **"მაფიოზი" 23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ **"დედა ძუძუმწოვრი"** (ნ.ნოლტი).

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული" 11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი" 01.00** მხ/ფ **"ბოროტების სავანე – 3"** (მ.იოვოვიჩი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** სერ. **"ნათია და ნათია" 18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო" 22.00** პროფილი (**1** სარეკლამო ჭრა) **00.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი". 01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.15** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** ქართული კინოს ვარსკვლავები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 00.05, 22.00, 02.30** სიახლენი **10.45** ლექსით ქებათა ქება **11.20** ეთნოგრაფია **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ზოგი ჭირი მარგებელია" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "სარფი მოლენი" **16.30** კონცერტი - გია ყანჩელი **18.10** აქტუალური თემა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"მოცურავე" 20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **22.25** დოკ/ფ "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ზღვარ-ზე" გად. VI **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 13.50, 23.00** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

## პარასკევი 29 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"გრაფი მონტე -კრისტო" 17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **20.50** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.30** "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ **"კონფლიქტის ზონა" 01.20** მხ/ფ **"მკვლელი ნინძა"**.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული" 11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი" 01.00** მხ/ფ **"მელქიადეს ესტრადას სამი დასაფლავება"** (ტ.ლი ჯონსი) (ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა

დღე" 16.00 სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 17.00 კომედი შოუ. 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 ქართული კინოს ვარსკვლავები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 00.05, 22.00, 02.30 სიახლენი 10.30 დოკ/ფ "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" 10.50 "ზღვარზე" გად. VI 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.10 მხ/ფ "**მოცურავე**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.50 კონცერტი - ანს."გორდელა" 17.05 კვირიაკე 18.10 აქტუალური თემა 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**როგორ ვიცხოვრო უშენოდ**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "გარდამოხსნა" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური ამბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "მდუმარენი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.).

## შაბათი 30 ნოემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00 საბ/ფ. "**ფიქრები თავისუფლებაზე**" 10.30 საბ. ან/სერ. "**დაქ დოჯერსი**" 11.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 კონცერტი: "შემოდგომის თბილისი" 14.00 ფეხბურთი "**დილა**" /გორი/ - "**ტორპედო**" /ქუთაისი/ (პ/ტრ) 16.30 "გურმანია" 17.00 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 18.00 ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" 19.00 "ეტალონი" 20.30 "ევროვიზიის დღიური" 21.00 საბავშვო ევროვიზია (პ/ტრ) 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "**ნაპირზე**".

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 08.25 მხ/ფ "**წითელქუდა**" 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" 13.00 მისია სტუდენტი 14.30 ახალი ქართული ხმა 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "**უკვდავები**" (უ.ჰარტი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.00 ეკი ვოკი. (გ/ჩ) 11.00 იღბლიანი ბორბალი. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 00.30 მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "კოსმოსიდან დანახული დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 00.05, 22.00, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ "**როგორ ვიცხოვრო უშენოდ**" 13.20 დოკ/ფ "გარდამოხსნა" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - ვერდი "**რექვიემი**" - ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრი (დირ. რიკარდო მუტი) 16.45 მხ/ფ "**ლომა**" 18.10 საქართველოს ქალაქები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.30 დოკ/ფ "დიმიტრი შევარდნაძე" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ "**დიდი ქალაქის ჩირაღდნები**".

7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

## კვირა 1 დეკემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ფ "**ოქროს კომპასი**" 10.00 "ეტალონი" 11.00 საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 ქარ. მხ/ფ "**ამბავი სურამის ციხისა**" 16.30 დ/ფ "ფოტო" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 მხ/ფ "**ოუშენის 13 მეგობარი**" (ჯ.კლუნი) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "დოკუმენტალისტიკა" – ფილმი ფილმზე: "ქრისტინე" 22.00 სპექტაკლი: "**ზაფხულის ღამის სიზმარი**" 00.30 მხ/ფ "**ძალაუფლება**".

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 08.25 მხ/ფ "**ვარსკვლავის დაბადება**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ "**გარიგება**" 17.40, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.00 კვირის ანალიტიკური გადაცემა 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 23.00 რომ გადახვალ გააჩერე 00.00 მხ/ფ "**მანკიერი ვნება**" (ს.სარანდონი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე. 14.00 ეკი ვოკი. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერი.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 00.05, 22.00, 02.30 სიახლენი 10.45 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ "**ლომა**" 13.20 გამოყენებითი ხელოვნება 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.15 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 სალვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები. 19.30 მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.40 მხ/ფ "**საბრინა**".

7.00, 0.30, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.30, 0.00 "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

### ვერძი

პროფესიულ სფეროში გამოიყენეთ არაორდინარული გზები და ახალი იდეები. იყავით მეტად დიპლომატი. ოჯახური პრობლემების გამო ნუ ინერვიულებთ, რადგან ეს მალევე მოგვარდება. გაგიჭირდებათ ინფორმაციის მიღება და მისი გამოყენება. დროა, აპატიოთ შეცდომები მეგობრებს.

### კურო

დაისახეთ მიზნები და ეცადეთ, გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა საზოგადოებაში საკუთარი სტატუსის ამაღლებით. კარგია იმიჯის შეცვლა. მოერიდეთ უკანონო ქმედებებს. სასიყვარულო ურთიერთობაში ნუ იქნებით ლიდერი, რათა ეს დაპირისპირების საბაბი არ გახდეს.

### ტყუპები

იყავით მეტად ორიენტირებული შეხვედრებსა და კონტაქტებზე. სასიყვარულო ურთიერთობაში კი უფრო ღრმა გახდება თქვენი გრძნობა. იყავით მეტად ოპტიმისტი, რათა ეს ჯანმრთელობაზე დადებითად აისახოს. კარგია სამკურნალო პროცედურების ჩატარება.

### კირჩხიბი

კარგია ავტორიტეტის ამაღლება, ასევე საქმიანი მოლაპარაკებები და ახალი კონტაქტები. მეტი დრო დაუთმეთ ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებას. პირად ცხოვრებაში გაურკვევლობა ნეგატიურად აისახება თქვენს სასიყვარულო გრძნობაზე.

### ლომი

სამსახურსა და კარიერაში წარმატებების პერიოდია. გამოიყენეთ თქვენი ცოდნა და გამოცდილება მაქსიმალურად. შესაბამისად, მოიმატებს შემოსავალიც. საყვარელი ადამიანი კი თავისი სითბოთი და მზრუნველობით გაგანებივრებთ. საქმეში გაომიყენეთ თქვენი პასუხისმგებლობა.

### ქალწული

გაიზრდება კონტაქტებისა და გადაადგილებების რაოდენობა. არ არის გამორიცხული, ოჯახური კონფლიქტი. ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება. არ გირჩევთ გარისკვას. ყურადღება მიაქციეთ საბუთებს და თუ გულდასმით არ გადაამოწმებთ, ისე ნუ მოაწერთ ხელს.

### სასწორი

სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალ ნაცნობებთან, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა. მეტი დრო დაუთმეთ პროფესიულ საქმეებს. საყვარელ ადამიანს ნუ მოაკლებთ ყურადღებას. ხშირი გადაადგილება მოგებას მოგიტანთ. თუმცა, დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ, რათა დახარჯული ენერგია აღიდგინოთ.

### მორიელი

ენერგობალანსი დაბალია, ამიტომ, ეს იქნება გაღიზიანების და უსიამოვნებების მიზეზი გარშემო მყოფების მიმართ. ეცადეთ, ისეთ საქმეებს მოკიდოთ ხელი, რისი შესრულებაც არ გაგიჭირდებათ. საყვარელ ადამიანთან მიმართებაში მოერიდეთ ეჭვიანობას და გაითვალისწინეთ მისი სურვილები.

### მშვილდოსანი

მნიშვნელოვანი პერიოდია, რომელიც ცხოვრებასა და კარიერაში დიდი ცვლილებებით დაგამახსოვრდებათ. საყვარელი ადამიანის გვერდით იყავით მეტად თბილი და გულლია. კარგია შორეული მოგზაურობა, რადგან ის კარგ პერსპექტივებს გპირდებათ.

### თხის რქა

მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. ნუ გარისკავთ, ნუ აიღებთ კრედიტებს, მოერიდეთ აზარტულ თამაშებს და სათუთად მოეპყარით სასიყვარულო პარტნიორს. თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან. იყავით ფრთხილი და დაკვირვებული.

### მერწყული

ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებების პერიოდია. კარგია ახალი ნაცნობობა, გართობა და მოგზაურობა. არ არის გამორიცხული, ურთიერთობა დაგეძაბოთ ოჯახის წევრებთან. სასიყვარულო ურთიერთობაში კი ადრე მიღწეულ სიმაღლეებს დაიპყრობთ და თავს გამარჯვებულად იგრძნობთ.

### თევზები

საქმეებს ადვილად დაასრულებთ, გაიძლიერებთ ავტორიტეტს და შესაბამის მოგებასაც ნახავთ. საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა თქვენს სოციალურ სტატუსს აამაღლებს. საყვარელი ადამიანი არა მარტო სიამოვნებას და სულიერ სიმშვიდეს, არამედ ფინანსურ დახმარებასაც გაგიწევთ.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 3 დეკემბერი, 00 სთ: 20 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

მოსალოდნელია პრობლემები სასიყვარულო და საფინანსო სფეროში. იყავით ყურადღებით, ნუ დაიბნევით და აკონტროლეთ სიტუაცია. კარგად გადაამოწმეთ ინფორმაცია. მაღალია მოტყუების ალბათობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ჩალისფერი, ოქროსფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სარდონიქსი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ადგილსამყოფლის შეცვლა, სასიყვარულო კავშირები. კარგია იურიდიული საქმეები, მშენებლობის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა და ნაწლავთა სისტემები, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მაღალია მოტყუების ალბათობა. იყავით თავშეკავებული. ცვლილებების დღეა. მოერიდეთ თმის შეჭრას და ახალი საქმეების დაწყებას. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი ან ჰელიოტროპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, დიეტის დაწყება. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამახვილდება სექსუალური ენერგია, რაც ხელს შეუწყობს ინტიმური კავშირების გააქტიურებას. მოერიდეთ ახალ ნაცნობობას, გამოცდების ჩაბარებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ მწვანე, ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, მალაქიტი, ოპალი ან ჯესპილიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია თმის შეჭრა, დიეტის დაწყება, საფინანსო-საბანკო ოპერაციები. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი

კარგია ინტელექტუალური საქმიანობა, ცოდნის მიღება. მოერიდეთ არამოტივირებულ მოქმედებებს. კარგად დაისვენეთ, რომ ძალები აღიდგინოთ. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან ტოპაზი. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კონტაქტები, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი

ნუ იკამათებთ. აკონტროლეთ გადამეტებული სიამაყე და ამბიცია. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, სარდიონი ან აკვამარინი. დიდი ალბათობაა, სიზმარი აგიხდეთ. კარგია სწრაფად შესრულებადი საქმეები, სასიყვარულო კავშირები, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის დროა. კარგია მეგობრული შეხვედრები, სამეცნიერო კვლევა, ორიგინალური მოქმედებები. აკონტროლეთ ეჭვიანობა. ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ატარეთ წითელი, ყვითელი, მწვანე, შინდისფერი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი, გიაცინტი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. კარგია თმის შეჭრა, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### კვირა

მოიმატებს ჭორები, გაღიზიანება, ეჭვიანობა და პრეტენზიულობა. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, ფულის ვალში აღებას. ატარეთ წითელი, ყვითელი, მწვანე ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ონიქსი, მწვანე იასპი, ამეთვისტო ან გიაცინტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, ავტორიტეტულ ადამიანებთან კონტაქტი, თმის შეჭრა, მასაჟი, ვარჯიში. სუსტდება ცხვირი, შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## წერეთელი

**წერეთლების** თავდაპირველი საცხოვრებლისა და ამ გვარის წარმოშობის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ **წერეთლები** ჰერეთის საერისთავოში ცხოვრობდნენ. თავდაპირველად ეს მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა მეცნიერმა მოსე ჯანაშვილმა.

არსებობს მეორე მოსაზრება, რომლის მიხედვით, **წერეთლების** თავდაპირველი საცხოვრებელი ზემო ქართლში იყო: „გორის სამხრეთით, თრიალეთის მთის ჩრდილო მხრიდან მიემართება ქედი, რომელიც ატარებს **წერეთის** ქედის სახელწოდებას, ხოლო ამავე რაიონში, მდინარე ტანას შემდინარეთა ხეობაში, მდებარეობს სოფლები – დიდი **წერეთი** და პატარა **წერეთი**. ამდენად, გვარ-სახელი **წერეთელი** ამ გეოგრაფიული სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები“.

1103 წელს დავით აღმაშენებელმა შეიერთა კახეთ-ჰერეთის სამეფო, მეცამეტე საუკუნის 20-30-იან წლებში „თავისი ძლიერებით განთქმული საქართველო დაავადებულსავით დაუძლურდა და იგი მონღოლებმა დაიპყრეს. მეთოთხმეტე საუკუნის დამლევსა და მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში თემურ ლენგის შემოსევებმა კიდევ უფრო დააქვეითა საქართველოს სიძლიერე, მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა კახეთის სამეფო, რომლის საზღვრებში მოექცა ჰერეთის მიწა-წყალი“, – წერს ივანე ჯავახიშვილი. ჰერეთში **წერეთლები** ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდნენ, ხოლო მათი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. ადამიანთა ჯგუფი საცხოვრებელს იცვლის, როდესაც გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდება, რაც, შეიძლება, გამოწვეული იყოს მტრის გამუდმებული შესევით, ჟამიანობით, სარწმუნოების იძულებით გამოცვლის შიშით და სხვა ფაქტორებით.

საქართველოში თემურ ლენგმა რამდენჯერმე ილაშქრა, მათ შორის, ჰერეთის საერისთავოშიც. 1394 წელს ჰერეთის გამგებელმა ხიმშომ გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა თემურ ლენგს, მაგრამ დამარცხდა. დიდი ალბათობაა, რომ სწორედ ამ პერიოდისთვის დატოვეს **წერეთლებმა** საცხოვრებელი და ჩასახლდნენ ქართლში, ტანას ხეობაში და ზემო იმერეთში.

ერთ-ერთი ხალხური თქმულებით, **წერეთლებმა** დიდი ბრძოლა გაუმართეს თემურ ლენგს, ბოლო ბასტიონის დაცვა საკუთარ თავზე აიღო დედოფალმა დარეჯან **წერეთელმა** და შეაკვდა მომხდურს. მისმა შთამომავლებმა დარეჯანაშვილის გვარი მიიღეს.

**წერეთლები** რომ ზემო ქართლში, ტანას ხეობაში ცხოვრობდნენ, დადასტურებულია ისტორიული საბუთებით. 1648 წლის 10 თებერვალს ქართლის მეფემ, როსტომმა, ზემო იმერეთში მცხოვრებ ზაალ **წერეთელს** ზემო ქართლში სოფელი თიღვა უბოძა, რაც წყალობის წიგნშიც წერია.

რუისის ეკლესიის მრევლში 1715 წელს დასახელებულნი არიან დავით და გიორგი **წერეთლები**.

1550-1570 წლებში ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში პირველად გვხვდება ტერმინი **„საწერეთლო“: „საწერეთლოელთა** საყდრის ყმანი“, „**საწერეთლოს** მახარებელი ხუცესი“.

ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები იმის მანიშნებელია, რომ **წერეთლებს** თავიანთი ადგილ-მამული, ტერიტორია აქვთ ზემო იმერეთში და მათი სათავადო ჩამოყალიბებულია. 1651 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამე საფიცარის წიგნში ასახელებს „დიდ ბოიარებს“ – დავით, ქაიხოსრო და ზაალ **წერეთლებს**; უფრო მოგვიანებით, 1627 წელს, იმერეთის მეფე გიორგი მესამე წყალობის სიგელში კაცხის მონასტრის წინამძღვარს, ევდემონ **წერეთელს** ასახელებს. ზემო იმერეთში **წერეთლები** თავდაპირველად მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე დასახლდნენ, რადგან, იმ პერიოდში საჩხერე, მოდინახეს ციხე და ჯრუჭის მონასტერი ფალავანდიშვილებს ეკუთვნოდათ; სვირის, შორაპნის, კაცხისა და ხარაგაულის ციხეები – აბაშიძეებს. **წერეთლებმა** პირველი ციხე-დარბაზი, თავისი კარის ეკლესიითა და საჯირითო მოედნით, სოფელ ჭორვილაში ააშენეს. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ძმები, ქაიხოსრო და პაატა **წერეთლები**, საძმო ოჯახს გამოეყვნენ, მერაბ წულუკიძისგან მოდინახეს ციხე შეისყიდეს და ფალავანდიშვილების ყმა-მამულსაც დაეპატრონენ.




მოდინახეს ციხის შესყიდვამ და ფალავანდიშვილების სამკვიდრო ყმა-მამულის დაპატრონებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა **წერეთლების** ეს შტო. პაატა უშვილო იყო, ამიტომ, ძმის, ქაიხოსროს შვილი – ქველი იშვილა. ამ ქაიხოსროს შთამომავლები არიან საჩხერელი და სხვიტორელი **წერეთლები**, რომლებმაც საქართველოს გასაბჭოებამდე შეინარჩუნეს თავადობა, ხოლო მდინარე ყვირილას მარცხენა მხარეზე მცხოვრები **წერეთლები** აზნაურებად დარჩნენ.

იმერეთის სამეფოში **წერეთლების** აღზევება იწყება მეჩვიდმეტე საუკუნიდან. ისინი სხვადასხვა დროს იყვნენ: სარდლები (ორი დროშით), სახლთუხუცესები, ბოქაულთუხუცესები, მეღვინეთუხუცესები, მეაბჯრეთუხუცესები, მოლარეთუხუცესები, მოურავები, თარჯიმნები, ელჩები, სასულიერო მოღვაწენი, მღვდლები, დეკანოზები, არქიმანდრიტები, ეპისკოპოსები, მიტროპოლიტები, მეფეთა სულიერი მოძღვრები.

ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს **წერეთელი** იმერეთის კათოლიკოსის მოვალეობას ასრულებდა. 1820 წლის 6 მარტს იგი მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა, 2005 წლის 27 ივნისს კი წმიდა სინოდმა წმიდანად შერაცხა.

1839-1841 წლების საეკლესიო ჩანაწერებითა და 1850 წლის 6 დეკემბრის საიმპერატორო აღრიცხვით, იმერეთში ცხოვრობდა თავადი **წერეთლების** 17 ოჯახი (საჩხერე, სხვიტორი) და აზნაური **წერეთლების** 45 ოჯახი.

ყველაზე მეტი აზნაური **წერეთლები** (13 ოჯახი) ცხოვრობდა სოფელ პერევისაში.

## ნებიერიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ნებიერი**. ეს საკუთარი სახელი უძველესია და მოიხსენიება ტბეთის სულთა მატიანეში. ამავე ძირისაა გვარი **ნებიერაშვილი.**

**ნებიერიძე** სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილ გვარებს მიეკუთვნება. **ნებიერ** გლეხთა კატეგორია საქართველოში მეთექვსმეტე საუკუნეში მომრავლდა. **ნებიერი**, ანუ, წყალობის ყმა, ისეთი კატეგორიაა, რომელიც ფეოდალთა შეთანხმების საფუძველზე ინარჩუნებდა გარკვეულ შეუვალობასა და უფლებებს.

**ნებიერიძეები** სამცხის თემიდან არიან წარმოშობით.

1846-1847 წლებში, სტეფანე **ნებიერიძე**, ხელმწიფის მიერ გამოცემული რესკრიპტით, ახალციხელ მოქალაქეებთან ერთად, რომლებსაც დიდი მამულები ჰქონდათ შეძენილი, ჩაირიცხა ფეოდალთა კასტაში, აზნაურის წოდებით.

იონა **ნებიერიძემ** კი, ღერბიან ქაღალდზე დაწერილი ცნობა მისი აზნაურული წოდების შესახებ პირველად მიიღო 1853 წელს და წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორ იზუმოვსკის, რომ, როგორც აზნაურს, ჩინის მისაღებად ეს დრო ნამსახურეობაში ჩათვლოდა.

საქართველოში 2 470 **ნებიერიძე** ცხოვრობს: ზესტაფონში – 1 240, თბილისში – 640, გორში – 154. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**თამი ადამია, იგივე თამი ადამსი, დიდი ხანია, ამერიკაში ცხოვრობს, თუმცა, მანამდე ძალიან ბევრ ქვეყანაში ცხოვრობდა და, შესაბამისად, მისი კარიერაც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა. თამის ბავშვობის ოცნება – ჰოლივუდში წასული-ყოლო, უკვე აუხდა, თუმცა, როგორც მსახიობი, მომავალში კიდევ უფრო მეტ კარიერულ წინსვლას გეგმავს. გარდა ამისა, თამი აქტიურად ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას და ქართველი ბავშვებისთვის დასახმარებლად სერიოზული პროექტების დაწყებას აპირებს. თამისთან ერთად განსაკუთრებულად პოპულარულია მისი ძაღლი – ვივალდი, რომელიც წითელ ხალიჩაზეც მუდმივად პატრონის გვერდით არის.**

# როგორ გახდა კალიფორნიაში, სილამაზის კონკურსზე თამი ადამია „მის საქართველო“ და რატომ ჩააცვეს მას ნიკოლ კიდმანის 10 000-დოლარიანი კაბა

**თამი ადამსი**: ადამსი – ეს არის ჩემი ამერიკული ფსევდონიმი, ისე ადამია ვარ, მაგრამ, ყველა ასე მიცნობს. საქართველოში ვარ დაბადებული, ძალიან მინდოდა მსახიობობა და სულ ვფიქრობდი, როდის წავიდოდი ჰოლივუდში. ამას უკვე მივაღწიე, მაგრამ, წარმატების მისაღწევად კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. სხვათა შორის, ლოს-ანჯელესში ქართული კაფეს გახსნას ვგეგმავ. კარდაშიანების ოჯახს კარგად ვიცნობ, მათივე მოწყობილ ერთ-ერთ წვეულებაზე გავიცანი. მართალია, ისინი არიან ჩემი ბესტ ფრენდები, მაგრამ, ბიზნესის გაპიარების კუთხით, ალბათ, დამეხმარებიან.

**– მოდი, სანამ მიამბობ იმაზე, თუ რას საქმიანობ ამჟამად, მანამდე მომიყევი, რა გზა გაიარე ამერიკაში ჩასვლამდე.**

– 8 წლის ვიყავი, როდესაც მშობლებთან ერთად საცხოვრებლად ჰოლანდიაში გადავედი. 10 წლის ასაკში მოსკოვში ჩავედით, იქ 4 წელი ვცხოვრობდით, მასწავლებლები სახლში მოდიოდნენ, მამეცადინებდნენ. შემდეგ შვეიცარიაში გადავედით საცხოვრებლად, იქ 5 წლის განმავლობაში ვსწავლობდი საუკეთესო სკოლაში – „ლე როზეში“, რომელიც პრეზიდენტებსა და მათ შვილებს აქვთ დამთავრებული. მშობლებს ისეთი ბიზნესი ჰქონდათ, სულ დაფრინავდნენ და, უნდოდათ, მეც მათთან ერთად ვყოფილიყავი, მესწავლა ბევრი ენა, მენახა ბევრი რამ. ამიტომ, ძალიან ბევრგან ვიცხოვრე. შვეიცარიის შემდეგ უკვე მონტე-კარლოში გადავედით და იქ ყველაზე დიდხანს დავრჩით – 10 წელი. მონაკოს ინტერნაციონალური სკოლაც დავამთავრე. ჩემი ამხანაგების უმეტესობაც სწორედ იქიდან მყავს. რაც მთავარია, გავხდი მონაკოს პრინცესას ნათლია. პრინცი ალბერი მამაჩემის ამხანაგია, მეც პრინცესასთან ერთად ვიზრდებოდი – დებივით ვიყავით. მათი დახმარებით შევედი მონაკოს ელიტაში, დავდიოდი წვეულებებზე, კარნავალებზე. ძალიან კარგი, ნორმალური ოჯახი აქვთ. უსაყვარლესი ხალხია, უყვართ დაპატიჟება, თავადაც მოსვლა სტუმრად. ძირითადად ჩვენთან იყვნენ ხოლმე. პრინც ალბერს ძალიან უყვარს გართობა, წვეულებები. ამერიკელი ვარსკვლავები ჩამოჰყავდა ხშირად და იქ გავიცანი პამელა ანდერსონი. მოკლედ, ბავშვობიდან ვარსკვლავების გვერდით ვიზრდებოდი. მაგრამ დედა ყოველთვის მასწავლიდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ჩავრთულიყავი ისეთ საქმეში, როგორიც ქველმოქმედებაა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო ერთ-ერთ საქველმოქმედო პროექტში – „მსოფლიო დედოფალი“ და გავხდი „მის საქართველო“. დაახლოებით 30 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა ამ კონკურსში და თითოეული მონაწილე ძალიან ნიჭიერი იყო, ყველას რაღაც ჰქონდა გაკეთებული. იქ მხოლოდ სილამაზეს არ აფასებენ, დიდი რეზიუმე უნდა შეავსო: ვინ ხარ, რა ხარ და რა გაგიკეთებია. ამ კონკურსის პრეზიდენტი ჯენიფერ ლოპესის დაქალი და ყოფილი „მის პუერტო-რიკოა“. ჩემ გარდა სამი ქართველი გოგონა მონაწილეობდა, მაგრამ, მე ამირჩიეს, რადგან, სერიოზული რეზიუმე მქონდა. ის, რაც კონკურსზე სპონსორებისგან შემოვიდა, ყველაფერი ქველმოქმედებას მოხმარდა, ბავშვებთან დავდიოდით საავადმყოფოებში, ვნახულობდით, ვეხმარებოდით. ეს იყო ჩემთვის პირველი კონკურსი და, ალბათ, უკანასკნელიც, რადგან, ძალიან რთული იყო – ნახევარ წელიწადში „კუკლა“ გავხდი, სერიოზულ სტრესს გავუძელი. ჩვენ უნდა გვეპოვა სპონსორები, ვის უნდოდა, რომ მე გავმხდარიყავი „მის საქართველო“ და შემდეგ დებდნენ ამ ყველაფერში ფულს. ჯერ მხოლოდ კაბა მეცვა 10 000-დოლარიანი – ეს კაბა ნიკოლ კიდმანს ეცვა „ოსკარების“ ცერემონიალზე და მე დამასპონსორეს. როცა ხდები ამ კონკურსის გამარჯვებული, ტიტულს გაძლევენ და უკვე მთელ მსოფლიოში გაქვს სტატუსი. არადგან „მის საქართველო“ ვარ, ქართველი ვარ, ამიტომ, მინდა, ქართველ ბავშვებს დავეხმარო. რაც მთავარია, ამ კონკურსის წყალობით, ძალიან ბევრმა ადამიანმა გაიგო, სად არის საქართველო. ყველგან დაიბეჭდა ჩემი სახელი და გვარი, ინტერვიუები და ის, რომ საქართველოდან ვარ.



გავხდი მონაკოს პრინცესას ნათლია. პრინცი ალბერი მამაჩემის ამხანაგია, მეც პრინცესასთან ერთად ვიზრდებოდი – დებივით ვიყავით. მათი დახმარებით შევედი მონაკოს ელიტაში, დავდიოდი წვეულებებზე, კარნავალებზე

**– მოდი, გავაგრძელოთ საუბარი იმაზე, თუ რას აკეთებდი მონაკოში სკოლის დამთავრების შემდეგ.**

– მონაკოში სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში დავბრუნდით. იქ ჩავაბარე რუსეთის თეატრალური ხელოვნების აკადემიაში „გიტის“, სამსახიობო ფაკულტეტზე და ფრიადებზე დავამთავრე. პარალელურად, ვმონაწილეობდი სერიალში, რომელიც ერთი გოგონას ნამდვილ ისტორიაზე იყო აგებული. ის შეყვარებულს ცოლად უნდა მოეყვანა, მაგრამ, არ მოვიდა, რის გამოც გოგონა ჭკუიდან შეიშალა. ამ გოგონას დედა მორწმუნე იყო, სახლში ძალიან ბევრი ხატი ჰქონდა, მაგრამ, ეს გოგონა და მისი მეგობრები ურწმუნოები იყვნენ და ხატებზე ბევრს იცინოდნენ. ერთ დღესაც, გოგონამ აიღო წმიდა ნიკოლოზის ხატი, ეცეკვებოდა და უცებ გაშეშდა, თან თქვა: თუ არსებობს წმიდა ნიკოლოზი და ის მოვა, მხოლოდ მაშინ გამოვალ ამ სიტუაციიდანო. ასე იყო 40 დღის განმავლობაში. ერთ დღესაც, მათი მეზობელი მოვიდა, რომელიც წმიდა ნიკოლოზს ჰგავდა. როგორც კი გოგონამ დაინახა, მაშინვე ხატი დააგდო ძირს და მოკვდა – გამოცდა ჰქონდა. ამ გოგონას როლი ვითამაშე – რთული, მაგრამ, საინტერესო. ყველა არხზე გადიოდა და ძალიან რეიტინგული გახდა. გარდა ამისა, ვმონაწილეობდი სხვადასხვა რეკლამაში. „გიტის“ დამთავრების შემდეგ მუსიკალურ აკადემიაში ჩავაბარე. ალბომი გავუკეთე პატარა ინდუს ბიჭს, ექვსი თვე ვამეცადინებდი, რეპერი გავხადე. მისი ალბომი ახლა ნიუ-იორკში ერთ-ერთმა სერიოზულმა მუსიკალურმა კომპანიამ აიღო. მეც ძალიან ბევრი კონცერტი მაქვს ჩატარებული, ვმღერი არენბს, ჰიპ-ჰოპს, რეპსა და ჯაზს. მაგრამ, ახლა უფრო კინოზე და სერიოზულ საქმეებზე ვარ გადართული... მოსკოვიდან პირდაპირ ლოს-ანჯელესში წავედი. ამერიკაში რომ ჩავედი, ორ უნივერსიტეტში მოვეწყვე: ერთი იყო „ლი სტრასბერგი“ და მეორე – მუსიკალური ინსტიტუტი, სადაც ცნობილი მომღერლები სწავლობდნენ. საბოლოოდ, მაინც მსახიობობა ავირჩიე. ლი სტრასბერგი იყო მერლინ მონროს პირადი მასწავლებელი. ის გარდაიცვალა, მაგრამ ახლა იქ მისი შვილი – დევიდია, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ. სწავლის პერიოდში ვითამაშე ტენესი ვილიამსის სპექტაკლში „Татуированная роза” – ქვრივის როლი ისე შევასრულე, რომ დევიდი და სხვებიც ათი წუთის განმავლობაში ფეხზე ამდგარი მიკრავდნენ ტაშს, ხალხი ტიროდა. სწორედ მაშინ გამიკეთეს „მწვანე ბარათი“ და ასე დავრჩი ამერიკაში. ამ სკოლაში გავიცანი რობერტ დე ნირო, ალ პაჩინო, ისინი გვიტარებდნენ ზოგჯერ მასტერკლასებს, გვესაუბრებოდნენ. ტომ კრუზსაც ვიცნობ, ჯულია რობერტსაც, ბრუკ შილდსსაც, რომელიც ხშირად არის „ლი სტრასბერგში“, გვესაუბრება. რომ მეუბნებიან, საქართველოში ჩამოდი, აქ იცხოვრეო, კი მინდა, მაგრამ, ეს ყველაფერი, ანუ, დილით „ბულოჩკებს“ რომ ყიდულობ დი კაპრიოსთან ერთად – შუადღეს კი ალ პაჩინოსთან ერთად – წიგნებს, ჩამოსვლაში როგორ გავცვალო?! თუმცა, საქართველო ძალიან მიყვარს და, მინდა, ჩამოვიდე, სხვადასხვა პროექტი გავაკეთო. ამ სპექტაკლით დაიწყო ქასთინგები. ხან სერიალებში ვთამაშობ, ხან რეკლამებში ვარ, უფრო და უფრო წინ მივდივარ, უკვე მპატიჟებენ წითელ ხალიჩაზე და ცოტა დამრჩა ოცნების ასრულებამდე. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფილმია, სადაც ჯეიმს ფრანკო თამაშობდა მთავარ როლს და დიდი მოგება მოიტანა. უკვე გამოვჩნდი დიდ ეკრანზე, ვილაპარაკე. რეჟისორებმა ნახეს: „აა, უკვე ჩანს კინოში“ – და ახლა ველოდები ახალ პროექტებს. კიდევ, მაქვს შემოთავაზება ფილმიდან „ოსტატი და მარგარიტა“, რომელშიც მთავარ როლს ძალიან ცნობილი მსახიობი ასრულებს.

**– რის რეკლამებში ხარ გადაღებული?**

– ძირითადად, უფრო სპორტული ფირმები მიღებენ რეკლამებში, მაგალითად, „ნაიკი“, „ადიდასი“. ვაკეთებ ჩემს მუსიკალურ პროექტს ძალიან ნიჭიერ ახალგაზრდა კომპოზიტორთან ერთად. ლოს-ანჯელესში არის ასეთი ადგილი – რივიერა 31, სადაც იმართება ჯაზის საღამოები და მოდის ხალხი, ვისაც ევროპა ენატრება. ახალ ალბომს ვწერთ, რომელიც იქნება უფრო ჯაზის სტილში და აქ ვიმღერებთ ხოლმე. ასე რომ, წინ ძალიან ბევრი გეგმა და საქმე მაქვს.

**ნათია უტიაშვილი**

# 2 მილიონი მანეთი ყალბი ფული თბილისის 31-ე ქარხანაში დამზადებულ დაზგაზე იბეჭდებოდა

## აფეთქება

1975 წლის 2 ივლისს მოსკოვში, სომოვის ქუჩა №37-ში, გაზის გაჟონვის შედეგად უმძლავრესი აფეთქება მოხდა და ერთსართულიანი კერძო სახლი მიწასთან გაასწორა. აფეთქების ადგილზე დიდი ორმო წარმოიქმნა და მძლავრი ხანძარი გაჩნდა, ყველაზე დიდი საოცრება კი ის იყო, რომ ჰაერში ცეცხლწაკიდებული, სხვადასხვა ნომინაციის საბჭოთა ფულის კუპიურები დაფრინავდა...

შემთხვევის ადგილი სასწრაფოდ შემოლობეს და იქაურობას ცნობისმოყვარე ადამიანები მოაშორეს. აფეთქებული სახლიდან მეხანძრეებმა სამოციოდე წლის მამაკაცის ნახევრად დამწვარი ცხედარი გამოიტანეს. ცხედარს მხოლოდ წელს ქვემოდ ჰქონდა წაკიდებული ცეცხლი, სახე კი უვნებლად ჰქონდა გადარჩენილი და მეზობლებმა მასში 61 წლის იური პაპანდოპულო ამოიცნეს. იგი მოსკოვის №4 პოლიგრაფიულ ფაბრიკაში მუშაობდა ინჟინრად.

„კაგებეს“ გამომძიებელ-ექსპერტებმა გულდასმით გამოიკვლიეს იური პაპანდოპულოს აფეთქებული სახლის პერიმეტრი და დაასკვნეს, რომ სპეციალურ სარდაფში ფულის საბეჭდი მანქანა იყო დამონტაჟებული, რომელზეც ფული იბეჭდებოდა. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ფულის კუპიურების ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ პაპანდოპულოს სარდაფში დაბეჭდილი ფული აბსოლუტურად იდენტური იყო სახელმწიფოს მიერ გამოშვებული კუპიურებისა და მათი ერთმანეთისგან გარჩევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

## საიდუმლო გამოძიება

უშიშროების კომიტეტში შექმნილ საგანგებო ჯგუფს, რომელიც ფულის ბეჭდვის საქმეზე საიდუმლო გამოძიებას აწარმოებდა, პოდპოლკოვნიკი ჯემალ გიორგაძე ხელმძღვანელობდა. ის პირადად იური ანდროპოვმა დაიბარა და კატეგორიულად მოსთხოვა უმოკლეს დროში ამ საქმის სრულყოფილი გამოძიება.

## მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

ყალბი ფულის ბეჭდვის საქმის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება №4 პოლიგრაფიული ფაბრიკის საგულდაგულო შემოწმება იყო. ამიტომ, 5 ივლისს, ანუ, აფეთქებიდან მესამე დღეს, ფაბრიკაში პირადად ჯემალ გიორგაძე მივიდა, რათა მის დირექტორს, 57 წლის რომან დორენკოს გასაუბრებოდა. პოდპოლკოვნიკმა ზუსტად დილის 10 საათზე შედგა ფეხი დორენკოს მიმღებში, მდივან გოგონას წარუდგა და უთხრა:

– დირექტორს მოახსენეთ, რომ მისი ნახვა მინდა.

– იცით, რომან ანდრეევიჩი ჯერ არ მოსულა, არადა, ის ერთი საათის მოსული უნდა იყოს. როცა აგვიანებს, ყოველთვის რეკავს და მატყობინებს, დღეს კი არც დაურეკავს. ვიცი, რომ არსად წასვლას არ აპირებდა. სახლში ვურეკავ და ყურმილს არავინ იღებს. ნეტავ, რამე ხომ არ მოხდა? – სხაპასხუპით მიუგო მდივანმა „კაგებეს“ პოლკოვნიკს.

გიორგაძემ მდივნის ტელეფონით ისარგებლა, თავის განყოფილებაში დარეკა, ერთ-ერთ ხელქვეითს დორენკოს ბინის მისამართი უკარნახა და უთხრა:

– შეამოწმეთ, რა ხდება. მე ამ ნომერზე ვიქნები და შემატყობინეთ, – და მდივანი გოგონას ტელეფონის ნომერი უკარნახა.

გიორგაძე მდივანს გაესაუბრა და შეიტყო, რომ დირექტორი დორენკო და ინჟინერი პაპანდოპულო ერთმანეთთან ზომიერ დამოკიდებულებაში იყვნენ. გოგონამ ორივე დადებითად დაახასიათა და გიორგაძეს ჰკითხა:

– რამე მოხდა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

ჯემალმა თავი გააქნია. ამ დროს ტელეფონმა დარეკა და გიორგაძე იკითხეს. ჯემალმა ყურმილი რომ აიღო, ხელქვეითმა მოახსენა:

– ჯემალ ივანოვიჩ, რომან დორენკო თავის აბაზანაში ვენებგადაჭრილი აღმოვაჩინეთ. ეჭვია, რომ მასზე ძალა იხმარეს და ექსპერტები არკვევენ, მკვლელობაა ეს თუ თვითმკვლელობა...

## „გოსზნაკის“ სპეცქაღალდი

„კაგებეს“ ექსპერტებმა უმოკლეს დროში დაადგინეს, რომ №4 პოლიგრაფიული ფაბრიკის დირექტორი რომან ანდრეის ძე დორენკო მოკლული იყო, მის ორგანიზმში კი ალკოჰოლის დიდი დოზა აღმოაჩინეს. „კაგებეს“ ექსპერტმა ჯემალ გიორგაძეს მკვლელობის სრული სურათი დაუხატა და უთხრა:

– მოკლულმა და მკვლელმა ჯერ ერთად დალიეს და, წესით, დორენკო ძალიან მთვრალი უნდა ყოფილიყო. მკვლელმა ის გააშიშვლა და ჯერ აბაზანაში დაახრჩო, შემდეგ კი ვენები გადაუჭრა და თვითმკვლელობის ინსცენირება მოაწყო.

პოდპოლკოვნიკმა ხელქვეითები შეკრიბა და თითოეული მათგანის დაწვრილებითი მოხსენება მოისმინა. უფროსმა ლეიტენანტმა ვიქტორ სეროვმა გიორგაძეს მოახსენა:

– ჯემალ ივანოვიჩ, ზუსტადაა დადგენილი, რომ პაპანდოპულოს სარდაფში დაბეჭდილი ფულები იმიტომაა სახელმწიფოს მიერ დაბეჭდილ კუპიურების აბსოლუტურად იდენტური, რომ მას „გოსზნაკის“ №077 სპეცქაღალდზე ბეჭდავდნენ. ეს ქაღალდი კი მხოლოდ ფულის საბეჭდ ფაბრიკაში, №23 საამქროში მზადდება და იქვე ინახება. მისი არაქარხნულად დამზადება გამორიცხულია და ამ საქმის თანამონაწილე სწორედ იმ ფაბრიკაში, კონკრეტულად კი სწორედ №23 საამქროში უნდა ვეძებოთ.



№23 საამქროს 49 წლის პავლე კოსიგინი ხელმძღვანელობდა. „კაგებე“ მის დასაკითხად რომ მივიდა, კოსიგინი სამსახურში არ აღმოჩნდა და, როგორც დორენკო, ისიც მკვდარი იპოვეს საკუთარ ბინაში.

## თბილისური კვალი

დადასტურდა, რომ, დორენკოს მსგავსად, კოსიგინიც მოკლული იყო და მორიგ თათბირზე გიორგაძემ ხელქვეითებს უთხრა:

– ბოლო ორ დღეში ორი მკვლელობა ძალიან ბევრია. აშკარაა, რომ ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებს და ვიღაც თავიდან იშორებს მოწმეებს. საქმე ძალიან საშიშ ბოროტმოქმედთან გვაქვს და ჩვენი ძალისხმევა უნდა გავაათკეცოთ.

იმავე თათბირზე მაიორმა იურინმა გიორგაძეს უთხრა:

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ამ დილით მივიღეთ საბეჭდი მანქანის ექსპერტიზის სრული დასკვნა და იქ წერია, რომ პაპანდოპულოს სარდაფში აღმოჩენილი ფულის საბეჭდი მანქანის ნაწილები ქალაქ თბილისის 31-ე საავიაციო ქარხანაშია დამზადებული. სავარაუდოდ, მთელი დაზგაც იქ დამზადდა, ის ნაწილ-ნაწილ ჩამოიტანეს მოსკოვში და მხოლოდ შემდეგ, ადგილზე ააწყვეს ის.

– ამ დასკვნის საფუძველს რა იძლევა?

– ის, რომ დურალ №580ბ მხოლოდ თბილისის საავიაციო ქარხანაში იგზავნება და სპეციალურად იშტამპება. სწორედ ამ შტამპის არსებობა იძლევა ასეთი დასკვნის საფუძველს.

– გასაგებია. როგორც ჩანს, ჩვენი ძალების არეალი ფართოვდება და თბილისში მოგვიწევს გამგზავრება. თითქმის სამი წელია, სამშობლოში არ ვყოფილვარ და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ, – თქვა გიორგაძემ და იმავე საღამოს თბილისში გასამგზავრებლად მოემზადა.

ამასობაში, „კაგებემ“ შეიტყო, რომ მოსკოვის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში 51 წლის ანტონ სავენკოს გვამი აღმოაჩინეს. სავენკო №23 საამქროს თანამშრომელი იყო და პირადად აგებდა პასუხს სპეცქაღალდის წარმოებაზე. „კაგებე“ მას სამი დღე ეძებდა.

## ყალბი ფულის მჭრელთა ბანდა

თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის საიდუმლო შემოწმებამ გიორგაძე ერთ-ერთი საამქროს უფროსზე, ვინმე ოლეგ პორტნოვზე გაიყვანა, რომელმაც აღიარებითი ჩვენება მისცა და საქმეც იქიდან გაიხსნა. პორტნოვმა აღიარა, რომ მისი დეიდაშვილის, გივი კორღალიძის შეკვეთით, მან სპეციალური დაზგა დაამზადა, რასაც ზუსტად ორი წელი მოანდომა, ნაწილ-ნაწილ გამოზიდა ქარხნიდან, მისი შემდგომი ბედი კი არ იცოდა. გივი კორღალიძე მოსკოვის ფულის საბეჭდი ფაბრიკის რიგითი ინჟინერი იყო და კარგად იცნობდა დაზგებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი დასაკითხთა სიაში იყო, „კაგებეში“ ის ჯერ გამოძახებულიც არ იყო. პორტნოვი ჩუმად აიყვანეს და შევჩენკოს ქუჩაზე, „კაგებეს“ იზოლატორში მოათავსეს, სამსახურში კი ხმა გაავრცელეს, რომ ის ავად იყო და რეანიმაციულ განყოფილებაში იწვა, სადაც არავის უშვებდნენ. გიორგაძე 23 ივლისს მოსკოვში დაბრუნდა და გივი კორღალიძის აყვანის ბრძანება გასცა. კორღალიძე 24 ივლისს ფულის საბეჭდი ფაბრიკის შესასვლელში აიყვანეს და პირდაპირ ლუბიანკაზე გააქანეს. გიორგაძემ მას დაჯდომა შესთავაზა და უთხრა:

– თქვენ ბრალი გედებათ სამი ადამიანის მკვლელობაში, უკანონო დანაშაულებრივი ჯგუფის ფორმირებასა და დიდი რაოდენობის ფულის ბეჭდვაში. თანხას, სავარაუდოდ, თქვენ იტყვით.

– საქმე სულ რაღაც სამი თვის დაწყებული გვქონდა და მხოლოდ 2 მილიონი მანეთი დავბეჭდეთ. გამოყენებით კი მხოლოდ 40 ათასი გამოვიყენეთ. რომ არა ეს სულელური აფეთქება, ფრთებს გავშლიდით და მაგარ ბიზნესსაც დავატრიალებდით, – ცინიკურად განუცხადა კორღალიძემ გიორგაძეს.

გივი კორღალიძე გაასამართლეს და დახვრიტეს. მისი ჩვენების საფუძველზე კი ყალბი ფულის მჭრელთა ბანდის კიდევ სამი წევრი დააპატიმრეს, რომელთა დახოცვაც კორღალიძემ ვერ მოასწრო...

**ნიკა ლაშაური**

# მდგმურმა სახლის პატრონი არყის ორი ქვაბისთვის მოკლა

30 წლის კახა ყ-შვილი სამართალდამცველებმა მკვლელობის ბრალდებით შემთხვევის ადგილზე დააკავეს. ახალგაზრდა მამაკაცი წარსულში ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი და ბინაში, სადაც დანაშაული მოხდა, ქირით ცხოვრობდა. სამართალდამცველები შემთხვევის ადგილზე მაშინ მივიდნენ, როცა მკვლელი საწოლში მწოლიარე დაჭრილ, სისხლში მოსვრილ დიასახლისს ახრჩობდა, თუმცა ის უკვე გარდაცვლილი იყო.

ოპერატიული ინფორმაცია პოლიციის გა-



ნყოფილებაში ანონიმურად დაფიქსირდა. ქალბატონმა, რომელმაც სამართლადამცველებთან დარეკა და საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ მისი მეზობლის ბინაში ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი და სამართალდამცველები საშველად იხმო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბინაში, სადაც ჩხუბი მოხდა, 60 წლის ვერა ს-იანი მარტო ცხოვრობდა. მას ეგრეთ წოდებულ „იტალიურ ეზოში“ მდებარე საკუთარი ბინის ერთი ოთახი ახალგაზრდა მამაკაცზე ჰქონდა გაქირავებული, რომელიც, მეზობელთა ინფორმაციით, ციხიდან ახალი გათავისუფლებული იყო.

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, კახა ყ-შვილი ვერა ს-იანის ბინაში ექვსი თვის განმავლობაში ცხოვრობდა. თავიდან მდგმურსა და სახლის პატრონს ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ – დიასახლისი „ამაყობდა,“ რომ მისი მდგმური ძალიან ყურადღებიანი იყო და მარტოხელა ქალს სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა. როგორც გარდაცვლილის მეზობლებმა პოლიციაში განაცხადეს, მარტოხელა ქალი ალკოჰოლის მოყვარული იყო და ბევრჯერ უნახავთ, როგორ ქეიფობდა ის მდგმურთან ერთად. ახალგაზრდა კაცი კი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და უბანში მხოლოდ სახლის მეპატრონესთან ჰქონდა კავშირი. ამონაწერი მოწმის, ვენერა დ-შვილის ჩვენებიდან: „ჩვენს ეზოში სულ ექვსი ოჯახი ვცხოვრობთ. ვერა ათი წელია, მარტოა, მას შემდეგ, რაც მისმა ვაჟმა ცოლი მოიყვანა და საცხოვრებლად მის ბინაში გადავიდა. შვილთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა, წელიწადში ერთხელ თუ მოდიოდა დედასთან სანახავად. ვერას შემოსავლის ერთადერთი წყარო ის პატარა ოთახი გახლდათ, რომელსაც ის დიდი ხანია უკვე, რაც აქირავებდა. როდესაც ამ ახალგაზრდა კაცმა ვერას ბინა იქირავა, თავიდან ყველას ძალიან მოგვეწონა. ვხედავდით, როგორ აწვდიდა ყოველ საღამოს დედის ტოლ ქალს სურსათს, ვერა სულ ამბობდა: ღმერთმა გამომიგზანა ამ გაჭირვებაშიო. ცოტა უცნაური ბიჭი იყო – ეზოში არავის გვესალმებოდა, მოვიდოდა სახლში და ან ვერასთან იყო, ან თავის ოთახში გამოიკეტებოდა. ერთ დღეს ჩემმა ქმარმა მითხრა, რაღაც არ მომწონს ეს ჩვენი მდგმური, ერთი ნაცნობი არ ჰყავს, რომ მოაკითხოსო? ბოლო თვეებში რამდენჯერმე შევესწარი, რომ ვერას არაყი მიუტანა და ერთად სვამდნენ. საწყალ ქალს ალკოჰოლი უყვარდა. რამდენჯერმე გავაფრთხილე, ვერა ამ ბიჭთან დალევას თავი დაანებე-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. ამან უფრო საეჭვო გახადა მათი ურთიერთობა, მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ იყო და არავინ ჩავრეულვართ. პირველად ჩხუბის ხმა ვერას ბინიდან მკვლელობამდე ალბათ, ერთი თვით ადრე გამოვიდა. ორივე, დიასახლისიც და მდგმურიც ნასვამები იყვნენ და ერთმანეთს ძალიან ცუდი სიტყვებით მიმართავდნენ. იმ ინციდენტმა ჩაიარა, მაგრამ ამის შემდეგ ვერამ მეზობლებთან მდგმურის ლანძღვა დაიწყო. ერთ-ერთ მეზობელთან ისიც კი უთქვამს, მგონი, ჩემი მდგმური ქურდი და ყაჩაღიაო. ამის შემდეგ მათთან ურთიერთობას უფრო ვერიდებოდით. ასე რომ, რა ხდებოდა მდგმურსა და სახლის პატრონს შორის, წარმოდგენა არ გვქონდა. მკვლელობის დღეს სახლიდან საშინელი ხმაური და მტვრევის ხმა გავიგონე. ჯერ ვიფიქრე, შევსულიყავი მათთან და გამეფრთხილებინა, მაგრამ ჩხუბი რომ აღარ დასრულდა, პოლიციაში დავრეკე. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ დახურა მდგმურმა ღია ფანჯრები. ამით ხმა დაახშო და ჩხუბის მიზეზი ვერ გავიგე. პოლიცია რომ მოვიდა, ვერა უკვე დაჭრილი და დამხრჩვალი იყო.”

რატომ დაახრჩო ახალგზარდა მამაკაცმა 60 წელს მიღწეული ქალი? რა ვერ გაიყვეს მათ? როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, ვერა ს-იანმა საკუთარი სარდაფიდან ორი დიდი, როგორც თავად ამბობდა, საარყე ქვაბი დაკარგა. მარტოხელა ქალი დაკარგულ ქვაბებს მეზობლებში ეძებდა: ხან ვის დააბრალა ქურდობა და ხან – ვის. თუმცა, რამდენიმე დღეში ერთ მეზობელს გამოუტყდა, რომ არყის ქვაბები, რომელთა გაყიდვაც ჰქონდა გადაწყვეტილი, მდგმურმა მოპარა: დამათრო, დამაძინა და ისე გაიტანა ჩემი სარდაფიდანო, – უმტკიცებდა ქალი მეზობელს. მოგვიანებით, ბრალდებულის სახით დაკითხულმა კახა ყ-შვილმა გამოძიებასთან განაცხდა, რომ სახლის პატრონთან ჩხუბი სწორედ ამ ქვაბების გამო მოუვიდა. ამონაწერი ბრალდებულის ჩვენებიდან: „იმ საღამოს ჩემს ოთახში ვიყავი, დასაძინებლად დავწექი, როცა ვერამ დამიძახა: ცოტა ხანი ჩემთან ამოდიო. ნასვამი ვიყავი, აღარ მინდოდა დალევა, მაგრამ დიასახლისთან მაინც ავედი. ვერა მთვრალი დამხვდა, მეც შემომთავაზა, ერთად დავლიოთო. ორი ჭიქა დავლიეთ ერთად. უცებ ამიხირდა: სად წაიღე ჩემი ქვაბებიო. მე ვუთხარი, ტყუილად მაბრალებ ქვაბების მოპარვას, მე ამ საქმესთან საერთო არაფერი მაქვს-მეთქი. ხვალ პოლიციაში მივდივარ, პირდაპირ შენ უნდა დაგადო ხელიო. მითხრა. ეს ველარ მოვითმინე. ამას მოჰყვა ჩხუბი. ვერა ისე ხმამაღალა ყვიროდა, ავდექი და ფანჯრები დავხურე, რომ მეზობლებს არაფერი გაეგოთ. ისე გამომიყვანა მდგომარეობიდან, მაგიდიდან დანა ავიღე და დავარტყი. ფართხალი დაიწყო, მაგრამ მაინც მაგინებდა. ამის შემდეგ ქალი საწოლზე დავაგდე და ყელში ხელები წავუჭირე. მკერდიდან სისხლი მოსდიოდა და მეც გავსისხლიანდი, ქალი უკვე დამხრჩვალი იყო, მაგრამ ისეთი გამწარებული ვიყავი, თავს არ ვანებებდი. ამ დროს ბინაში პოლიცია მოვიდა. მათ შემთხვევის ადგილზე დამაკავეს.”

კახა ყ-შვილს წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია – სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს დანაშაულის იარაღი, საოჯახო დანა, რომელიც გარდაცვლილს ეკუთვნოდა. ვერა ს-იანი უკვე გარდაცვლილი იყო – მისი გადარჩენა შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა ვეღარ შეძლო. დაკავებულმა ჯერ ჩადენილი მკვლელობა აღიარა, შემდეგ კი არყის ქვაბების ქურდობის ფაქტი. მოპარული ქვაბები სამართალდამცველებმა მიტოვებული და დანგრეული შენობიდან ამოიღეს. როგორც ბრალდებულმა განაცხადა, ქვაბების გაყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი.

სასამართლომ კახა ყ-შვილი დამნაშავედ ცნო და 60 წლის ქალის მკვლელობისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**25 ნოემბერი**

1867 – ალფრედ ნობელმა დააპატენტა დინამიტი.

1885 – პრაღის ცაზე პირველად გადაუღეს ფოტოსურათი ვარდნილ მეტეორს.

1924 – მონღოლეთში დამყარდა კომუნისტური წყობილება.

1940 – ფაშისტებმა შექმნეს ვარშავის გეტო – ებრაელთა შემოღობილი დასახლება.

**26 ნოემბერი**

1832 – ნიუ-იორკში მოძრაობა დაიწყო მსოფლიოში პირველმა ცხენშებმულმა ტრამვაიმ – კონკამ.

1922 – გამოჩნდა პირველი საბჭოთა ფული (ჩერვონეცი).

**27 ნოემბერი**

1095 – კლერმონის საეკლესიო კრებაზე, რომის პაპმა ურბან მეორემ ქრისტიანულ სამყაროს მოუწოდა, გაელაშქრათ იერუსალიმის მუსულმანთაგან გასათავისუფლებლად. ასე დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობების ხანა.

1895 – ალფრედ ნობელმა დაწერა ანდერძი, სადაც თავისი ქონების დიდი ნაწილი გამოყო მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დასაჯილდოებლად. დღესდღეობით ამ ჯილდოს ნობელის პრემია ეწოდება.

1971 – კოსმოსური აპარატი „მარს 2“ გახდა პირველი დედამიწიდან გაგზავნილი სხეული, რომელიც მარსის ზედაპირს შეეხო.

**28 ნოემბერი**

1414 – დააპატიმრეს და ინკვიზიციის სასამართლოს გადასცეს ჩეხეთის ეროვნული გმირი იან ჰუსი.

1581 – 18 წლის უილიამ შექსპირმა ჯვარი დაიწერა ენ ჰათაუეიზე.

1895 – ჩიკაგოში ჩატარდა ამერიკის კონტინენტზე პირველი ავტორალი.

1919 – ლედი ასტორი გახდა პირველი ბრიტანელი პარლამენტარი ქალი.

1943 – დაიწყო თეირანის შეხვედრა სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის მონაწილეობით.

1974 – ჯონ ლენონის ბოლო გამოსვლა სცენაზე.

**29 ნოემბერი**

1899 – ესპანეთში დაარსდა საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“.

1929 – ამერიკელმა პილოტმა რიჩარდ ბიორდმა პირველმა გადაუფრინა სამხრეთ პოლუსს.

1959 – „გრემის“ პირველი ლაურეატები იყვნენ ფრენკ სინატრა და დიუკ ელინგტონი.

**30 ნოემბერი**

1854 – დაიწყო სუეცის არხის მშენებლობა ეგვიპტეში.

1922 – დაარსდა ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქი.

1986 – ივან ლენდლი გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც გამოიმუშავა 10 მილიონ დოლარზე მეტი.

**1 დეკემბერი**

1835 – დაიბეჭდა ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრის პირველი წიგნი.

1887 – ლიტერატურულ ნაწარმოებში პირველად გამოჩნდა შერლოკ ჰოლმსის პერსონაჟი.

1891 – ჯეიმს ნეისმიტმა გამოიგონა კალათბურთი.

1903 – ეკრანებზე გამოვიდა პირველი ვესტერნი: „მატარებლის დიდი ძარცვა“.

1918 – ისლანდია გამოეყო დანიას და გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1987 – დაიწყო გვირაბის მშენებლობა ლა-მანშის სრუტის ქვეშ – ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: რამდენჯერ არის რეკომენდებული ძაღლის დაბანა ერთი თვის განმავლობაში?**

**პასუხი:** ეს კითხვა ძაღლის პატრონებს ხშირად აინტერესებთ. აუცილებელია, გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ძაღლის კანი და ბეწვი არა მხოლოდ მექანიკურად, არამედ სხვადასხვა ქიმიური მექანიზმებით უზრუნველყოფს ორგანიზმის დაცვას მიკრობების მავნე ზემოქმედებისგან. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცხიმოვან ჯირკვლებს. ხშირი დაბანის შემთხვევაში, დამცავი ცხიმოვანი ფენის განლევა ხდება, რის გამოც ცხიმის გამომყოფი ჯირკვლები იწყებს დაძაბულ მუშაობას. ეს კი ჰიპერტროფირებას და საბოლოო ჯამში, სებორეული დერმატიტის განვითარებას იწვევს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ძაღლს ვაჭამოთ რძის პროდუქტები? თუ შეიძლება, მაშინ რა რაოდენობით?**

**პასუხი:** ძაღლისთვის უმარილო ყველის მიცემა დასაშვებია, მხოლოდ მცირე რაოდენობით. ასევე, შეგიძლიათ, რძის პროდუქტებიდან აჭამოთ ხაჭო და მაწონი. რაც შეხება სხვა სახის რძის პროდუქტებს, დაუშვებელია მათი მიცემა, რადგან ეს გამოიწვევს სხვადასხვა სახის გართულებას. ასე რომ, იმედია, გაითვალისწინებთ ამ რჩევას და გაუფრთხილდებით თქვენი ოთხფეხა მეგობრის ჯანმრთელობას.

**კითხვა: მყავს 6 წლის სტაფი. ძალიან ალერსიანი ძაღლი იყო, მაგრამ უკვე რამდენიმე თვეა, საგრძნობლად გაავდა. ეს ასაკობრივია თუ სხვა მიზეზი შეიძლება იყოს.**

**პასუხი:** არ არის გამორიცხული, ეს პრობლემა ასაკობრივი იყოს, ან რაიმე ფაქტორი აღიზიანებდეს ძაღლს. უმჯობესია თუ ძაღლს კინოლოგს უჩვენებთ, რომელიც დაგეხმარებათ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. ზეპირად ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ძაღლის დაბანა ადამიანისთვის განკუთვნილი შამპუნით?**

**პასუხი:** დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სიხშირით და რა საშუალებებით ხდება ცხოველის დაბანა, გაწმენდა და დავარცხნა. დღევანდელ პირობებში არსებობს ბეწვის მოვლისა და დამუშავების ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ მათგან უნდა შეირჩეს ისეთი, რომელიც ხარისხიანია და არ გამოიწვევს ალერგიულ რეაქციებს, კანის გამოშრობას და ბეწვის დაზიანებას. გახსოვდეთ და არასდროს დაივიწყოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ადამიანის შამპუნის გამოყენება.

**კითხვა: ანტიბიოტიკების მიღება თუ არის რეკომენდებული ძაღლებისთვის?**

**პასუხი:** დაუშვებელია ანტიბიოტიკების თვითნებურად გამოყენება. ლაბორატორიული გამოკვლევის გარეშე, მათი თვითნებური დანიშვნა ან ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის ხანგრძლიობის თვითნებური შეწყვეტა აუარესებს ძაღლის შემდგომ მდგომარეობას. განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო გენტამიცინისა და ბისეპტოლის თვითნებური გამოყენების დროს. აღნიშნული პრეპარატები ხასიათდება მაღალი ნეფროტოქსიკურობით და იწვევს ჰიპერსალივაციას და ღებინებას. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზოგი სახის ვეტერინარული პრეპარატის გამოყენება, დაუშვებელია თვითნებურად, დიაგნოზის დაზუსტების გარეშე მათი ტოქსიკურობისა და ზოგიერთი ჯიშის გენეტიკური თავისებურებების გამო.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ გავახარო როზმარინი და რა სარგებლობა მოაქვს ამ მცენარეს?**

**პასუხი:** როზმარინის სამშობლო ეგვიპტეა; ის, ასევე, მიჩნეულია სუბტროპიკულ მცენარედ, რომელიც ძალიან ლამაზია და მარადმწვანეთა ჯიშს განეკუთვნება. მას იყენებენ როგორც ჭრილობების მოსაშუშებლად, ისე შინაგანი დაავადებებისთვის; აგრეთვე, კუჭ-ნაწლავისა და სისხლის გამწმენდ საშუალებად. როზმარინი ძალიან იოლი მოსავლელია, რადგან ყინვებს ადვილად უძლებს. მას აქვს ძალიან ლამაზი ყვავილები, მისი ფოთლები კი გამოიყენება კერძებში, როგორც სანელებელი. მცენარე ხარობს, როგორც თესლით, ასევე კალმითაც, მაგრამ კალმები შეიძლება აიჭრას ადრე გაზაფხულზე და დაკალმდეს მცენარე, როდესაც დაფესვიანებას იწყებს. როდესაც შენიშნავთ ახალ ამონაყარს, მიხვდებით, რომ მცენარე მზად არის გადასარგავად. როზმარინს სჭირდება ფართო ქოთანი, სადაც ის ფესვებს კარგად გაუშვებს და თავისუფლად გაიზრდება. შეგიძლიათ, როზმარინი დატოვოთ გარე კლიმატში – მას გაყინვის საშიშროება არ დაემუქრება.

**კითხვა: ბინაში მაქვს ასპიდისტრა, რომელმაც დაიწყო გაყვითლება. იქნებ, მირჩიოთ, როგორ ვუშველო?**

**პასუხი:** ასპიდისტრა ტროპიკული ქვეყნებიდანაა; ასევე, მისი სამშობლოა ავსტრალია. ეს მცენარე ძალიან ლამაზია. მას ხშირად პალმას ამსგავსებენ, მაგრამ, ის ბალახოვანია და პალმების ოჯახში არ შედის. მცენარე მარადმწვანეა და ძალიან იოლი მოსავლელია. არსებობს მცენარის ორი სახეობა: ჭრელი და მწვანე. მცენარე ყვითლდება მაშინ, როდესაც არ ყოფნის ადგილი. ასეთ დროს ფესვები იწყებს ლპობასა და გაყვითლებას. ამიტომ, გირჩევთ, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მცენარე გადარგოთ დიდ ქოთანში. თუ გსურთ, შეგიძლიათ, ის გაყოთ რამდენიმე ნაწილად, რომ ახალი ამონაყრების ამოსვლა დაიწყოს. ასპიდისტრა ძალიან იოლი გასახარებელია როგორც ეზოში, ისე სახლის პირობებში. მას უყვარს ჩრდილიანი ადგილი, სადაც უპრეტენზიოდ გრძნობს თავს. ზაფხულში ირწყვება კვირაში ორჯერ, ზამთარში კი – 15 დღეში ერთხელ. ეზოს პირობებში მცენარეს ზამთარში მორწყვა არ სჭირდება.

**კითხვა: სჭირდება თუ არა პილეას ბევრი წყალი?**

**პასუხი:** აქტიური ზრდის პერიოდში მიწა მუდმივად ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრის სიცივეში, როდესაც მცენარეს, ფაქტობრივად, სძინავს, მიწას შეშრობა უნდა აცადოთ და იშვიათად მორწყათ – მას ზედმეტი წყალი ვნებს. ზაფხულში ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. ფორმის შესანარჩუნებლად მცენარე რეგულარულად გაკრიჭეთ.

**კითხვა: როგორ სინათლესა და ტემპერატურაზე უნდა მოვათავსო ეონიუმი?**

**პასუხი:** ამ მცენარეს მთელი წლის განმავლობაში სჭირდება სინათლე, ზამთარშიც კი ნათელ ადგილას უნდა დადგათ. რაც შეეხება ტემპერატურას, მას ამ დროს სიგრილე მოსწონს და შეგიშლიათ ამყოფოთ 8-11 გრადუსზე, ხოლო ზაფხულში მისთვის 18-24 გრადუსიც საკმარისია.

**კითხვა: როდის ყვავის კლივია?**

**პასუხი:** კლივია რეგულარულად ყვავის, თუკი ზამთრის დასაწყისში დაასვენებთ, ანუ, ორი თვის განმავლობაში დაახლოებით 7 გრადუს ტემპერატურაზე უნდა ამყოფოთ და იშვიათად მორწყათ. ეს ყველაფერი მცენარეს ხელს შეუწყობს, დროულად იყვავილოს. ზედმეტი სითბო მისთვის არ შეიძლება, რადგან ეს ყვავილობის პერიოდს შეამოკლებს.

**მოამზადა**
**თეოგა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: თუ შეიძლება, დამიხასიათეთ „ფორდის“ ჯიპები“ – „ესკეიპი“ და „ესკალადე“. მაინტერესებს, რამდენად გამოსადეგია და, ხომ არ გაუჭირდება მისი შენახვა საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანს?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, გაგიჭირდებათ. „ესკეიპი“ და „ესკალადე“ ამერიკული ტიპის ისეთი „ჯიპებია,“ რომელთა ნაწილების შოვნაც ძალიან გაგიჭირდებათ, თანაც, ისინი იმდენ საწვავს მოიხმარენ, რომ ბენზინის ცისტერნასთან ერთად უნდა იაროთ. მართვაში აგრესიული ტიპია, გაზს რომ მიაჭერთ, ძალიან სწარფად იღებს სიჩქარეს, მაგრამ, „ფართხალი“ უყვარს: ოდნავ ზიგზაგიან გზაზეც კი, მოსახვევში შესვლისას, გეჩვენებათ, რომ მძღოლის გვერდითა სავარძელზე ზიხართ. ამავდროულად, არც ისეთი გამძლეა, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს: მაშინ, როცა „ტოიოტას“ ამ კლასის „ჯიპი“ „ერთხელ გაფუჭდება, „ფორდის“ ეს „ჯიპები“ ათჯერ „მოასწრებენ“ გაფუჭებას.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*

**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: რას ნიშნავს „მერსედესის“ კლასების აღმნიშვნელი ნიშნები „C”, „S”, „E” და რა შემთხვევაში ერთიანდება ისინი, მაგალითად, „CLS“, „CLK“, „SLK” და ასე შემდეგ?**

**პასუხი:** თითოეულ მათგანს აქვს თავისი განმარტება. მაგალითად: „ცეელესი“ გერმანულად ნიშნავს „კუპერ ლაიჰტ სპორტლიჰ“, ქართულად გამოვა „მსუბუქი სპორტული კუპე“, „ცეელკა“ – აბსოლუტურად სხვა რაღაცას ნიშნავს: „კუპერ ლაიჰტ კურც“ – „მსუბუქი მოკლე კუპე“, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მანქანა „ცე“ კლასისაა. „ცეელეესი“ „ე“ კლასის მანქანაა, მაგრამ, „ცეელესი“ აწერია, რადგან, ეს იმის აბრევიატურაა, თუ რა ტიპის მანქანაა ან რა ძრავა აქვს, რა მოდიფიკაციაა. სხვადასხვა მოდელის შემთხვევაში, სხვადასხვა რამეს ნიშნავს და კლასთან არანაირი კავშირი არ აქვს. რაც შეეხება კლასებს, ის დაყოფილია ავტომობილის მოხმარებიდან გამომდინარე, უფრო ფუნქციური დატვირთვაა ვიდრე მისი აღწერილობა: ყოველდღიური, ეკონომიური, ლაქშერი, სპორტული და სხვა. მაგალითად: „S“ – „სონდერკლასი“ ანუ, უმაღლესი კლასი „მერსედეს-ბენცის სედანებში.“ „SL” – (სპორტ ლაითი), მსუბუქი წონის მქონე სპორტული მანქანა (სინამდვილეში, „მერსედესის“ ეს მოდელი საკმაოდ მძიმეა); „E” – დღესდღეობით აღარაფერს ნიშნავს, მაგრამ, როდესაც პირველად გამოვიდა, ბენზინისძრავიან მანქანას აღნიშნავდა. „C” – ეს არის „მერსედესის“ ყველაზე პატარა ავტომობილები; „ML” – არც ამ აბრევიატურას აქვს დღეს მნიშვნელობა, ეს არის საშუალო ზომის ეგრეთ წოდებული „პარკეტნი“ „ჯიპი“. „SLK” – როგორც უკვე გითხარით, მსუბუქი სპორტული მოკლე ავტომობილი; „CL” – კომფორტული კუპე. ძირითადად, ეს არის S კლასის ბაზაზე შექმნილი ორკარიანი მანქანა, მაღალი და სპორტული კუპე. CLK – რეალური აღწერილობა არ აქვს, მაგრამ, შეიძლება, გადაითარგმნოს როგორც „კომფორტული სპორტული კუპე“ და ასე შემდეგ.

**კითხვა: მყავს „მიცუბიში პაჯერო”, 3.5 ძრავით, 1999 წლის. გამიფუჭდა კატალიზატორის ტემპერატურის სენსორი და ავტომობილმა მოუმატა ბენზინის წვას. სად ვიშოვო ეს ნაწილი და როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ამ ნაწილის შოვნა სამ ადგილას შეიძლება: ქუთაისის ქუჩაზე მდებარე მაღაზიებში, სადაც გამართლებაზეა, კარგი ხარისხის ნაწილს იყიდით თუ ვერა; მეორე – „მიცუბიშის” ცენტრში, სადაც კარგი ხარისხისას იყიდით, მაგრამ, შედარებით ძვირი დაგიჯდებათ და, მესამე – დაშლილებში, სადაც, ასევე, გამართლებაზეა, იქნება თუ არა საერთოდ ეს ნაწილი და, თუ იქნება, ივარგებს თუ არა. სენსორის გამოცვლა მარტივია და მისი შეცვლა ბევრ ხელოსანს შეუძლია, მაგრამ, უმჯობესია, ისეთ ადგილას შეცვალოთ, სადაც ახლოსვე იქნება კომპიუტერული დიაგნოსტიკა, რომ შემდეგ მისი მუშაობა გადაამოწმოთ.

**კითხვა: მაინტერესებს „ნისან X ტრიალი”, 2.2 დიზელის ძრავით. როგორი ზოგადი მონაცემები აქვს ამ ავტომობილს, რას მეტყვით ძრავასთან დაკავშირებით და, ზოგადად, როგორ მუშაობს ის ჩვენს პირობებში?**

**პასუხი:** „ნისანის” ეს მოდელი საკმაოდ მორგებულია ჩვენს პირობებს, არ საჭიროებს ხშირ სერვისს და თავისი კლასის სხვა მოდელებთან შედარებით, კარგი მანევრი აქვს. რაც შეეხება ძრავას, ამ ტიპის ძრავით აღჭურვილი ეს მოდელები ძალიან პოპულარულია და ყველაზე კარგად იყიდება ინგლისში, სადაც მომხმარებელი ჩვენზე გაცილებით მეტად მომთხოვნია და მანქანის მიმართ მეტი პრეტენზია აქვს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეგრეთ წოდებული „გამომდგარი” ძრავაა.

**კითხვა: მყავს „აუდი”, 2003 წლის, 3.0 ძრავით, მექანიკა, „კვადრო“. შეიძლება თუ არა ამ ავტომობილზე კომპრესორის დამონტაჟება, მომიმატებს თუ არა ეს ავტომობილზე წვას და რა დაჯდება ამის გაკეთება?**

**პასუხი:** შეუძლებელი არაფერია. მაგრამ კომპრესორის დამონტაჟება საკმაოდ რთული თემაა კონკრეტულ მოდელზე საქართველოში. გარდა იმისა, რომ მას ბევრი წვრილმანი დეტალი დასჭირდება, როგორიცაა: სამაგრები, გადამყვანები და სხვა, შემდგომში უკვე კომპიუტერული ჩარევა დასჭირდება. ამისთვის საჭიროა ან სპეციალური კომპიუტერი, რომლითაც თქვენს კომპიუტერს ჩაანაცვლებთ, ან, მინიმუმ, ჩიპი, რომელიც წინასწარ არის მომზადებული ამ ტიპის ინსტალაციისთვის. ეს რომ იყოს რომელიმე ისეთი მოდელი, რომელიც კომპრესორით ქარხნულად არის აღჭურვილი და დაშლილებში იოლად მოიძებნება, პირდაპირ აიღებდით ყველა საჭირო დეტალს კომპიუტერის ჩათვლით და დაამონტაჟებდით. „აუდის” შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულადაა: პირველი – გაგიჭირდებათ სპეციალისტის პოვნა, ვინც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს და, თუ ითავა მისი შესრულება, დროშიც ძალიან გაიწელება და ძალიან ძვირიც დაჯდება. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რა თქმა უნდა, გაიზრდება საწვავის ხარჯი. ამას მარტივი ახსნა აქვს: დამატებითი ჰაერი, რომელიც კომპრესორმა ჩატუმბა, საჭიროებს დამატებით საწვავს, რომ ის ფეთქებად მასად გადააქციოს. ეს იმდენად ძვირი დაგიჯდებათ, რომ, უმჯობესია, ავტომობილი შეცვალოთ და ის მოდელი შეიძინოთ, რომელსაც თქვენთვის სასურველი სიმძლავრე აქვს.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



1 2 3 4 5 6 7 8

ვულკანი იტალიაში

ტყდება შიგნიდან / ციმბირის მხარე

ბიბლიური პერსონაჟი

უცხარი შიში / ფედერიკო (.....) ლორკა

აზიის ქვეყანა

იმ მხარის ბინადარი

დასახლებული პუნქტი

რთული

დას.საქართველოს ტაძარი

ლენინის „ახალი" პოლიტიკა

სვლა ასეთიც არის / ენრიკო

დიდი ვივიენი / ლვინის „უნარი"

მთავარი ნიმუში

ფართობის ერთეული / შინაგანი ორგანო

დიდი არკადი / ნორჩი ვარდი

კომისარი.... / გარეული თხა

დიდი ტბა აღმოს. აფრიკაში

მავანი პარი.....

იაპონიის კუნძული / იტალიის ქალაქი

ზღაპრის ცხენი / აფრიკის ქვეყანა / ქალაქი რაჭაში

მღვდლის საზეიმო სამოსი / ფაფუკი

მედიცინის დარგი

ზოგი ჩვენი მტრის სახელი ქველად

ფართობის საზომი ერთეული

ამაღამდელო (.......) ნუ გათენდები მალეო

თითზე იკბინა ანუ?

ზღაპარი (.....)-ფურცელა

სისხლისღვრა

თვითმფრინავი (.....)-62

„სამი მეგობრის" ავტორი

ქიმიური ელემენტი

პირველი ბერძენი მითიური მფრინავი

ორმაგის ნინსართი

საგანგებო სიტყვა / ფართო გზა

ეთიოპიის მეორე სახელი

ცირკის სპორტსმენი

სამიანი ნარდში

იგავი ანუ?

პატარა ანუ?

ნაბიჯით (......)!

ყანნი / ოზურგეთის სოფელი

მაჟორი და.....

გრამატ. კავშირი

კახა აბუაშვილი / სიმინდს აქვს

აფრიკის ქვეყანა

ბერძნული ანბანის ასო

მონოდების სიტყვა / ლვინის სათავსი

შუღლი / დიდი დიეგო

დო,რე,მი "როგორ" დასავლეთში

ფაკულტეტის ხელმძღვანელი

პოლანდიელი ფილოსოფოსი

ტკბილეული სხვაგვარად

ვერდის ოპერა / ჩვილი ბავშვი / ცხრაკაცა

დაცინვის სახეობა / აფრიკის მდინარე

არავინ იცის, საიდან მოდის

სურნელოვანი ნივთიერება

ფოსტალიონი კინოგოგონა

საესტრადო მიმოხილვა

იტალიის დიქტატორი დუჩე

დიოგენეს სახლი

უილიამი მოკლედ

ზოგი სხივია / ფესვი 81-იდან

რაჭის კურორტი

მამაკაცის რუსული სახელი

ჩვენი სამეზობლოს ქალაქი

ბედის მონახევრეა

მონონების ორი ასო

პირველი საკვები

ვოლგის შენაკადი / გამოუცდელი, მიამიტი

რაღაც მანენის მსგავსი

სასწავლო ნივთი / ფესვი 64-იდან

შვილის ცოლი / ნადილი

იქ (ძვ.) / შურისძიების ღვთაება

ირანის მონარქი / გააჩინა ანუ?

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | |
| | | | | 2 | 1 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | 1 | 2 | | | | |
| | | | 3 | 2 | 2 | 2 | 3 | | | | | | 2 | | | 1 | | | | | | 3 | 2 | 2 | 2 | 3 | | | |
| | | 3 | 4 | 2 | 1 | 3 | 1 | 3 | 3 | 3 | | 3 | 3 | | | 3 | 4 | | 1 | 3 | 3 | 1 | 3 | 1 | 2 | 4 | 3 | | |
| | 8 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 4 | 7 | 12 | 6 | 1 | 3 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 4 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 8 | |
| 6 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 4 | 7 | 8 | 6 | 1 | 2 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 6 | 10 | 7 | 6 | 8 | 7 | 4 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 6 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 6 |
| | | | | | 8 |
| | | | | 3 | 4 |
| | | | 3 | 3 | 3 |
| | | 2 | 2 | 3 | 2 |
| | 2 | 1 | 1 | 2 | 2 |
| | 2 | 1 | 3 | 1 | 2 |
| | 2 | 2 | 2 | 1 | 2 |
| 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 |
| | 3 | 2 | 4 | 2 | 6 |
| | | | 11 | 2 | 8 |
| | | 6 | 2 | 3 | 3 |
| | 2 | 12 | 2 | 3 | 3 |
| | 15 | 1 | 3 | 2 | 2 |
| | 12 | 5 | 1 | 1 | 2 |
| 5 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 |
| | 2 | 1 | 2 | 2 | 2 |
| 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 |
| | | 2 | 4 | 2 | 3 |
| | | | | 2 | 11 |
| | | | | 2 | 6 |
| | | | | 12 | 2 |
| | | | | | 15 |
| | | | | | 12 |
| | | | | | 5 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 6 | | 1 | 7 | | 9 | |
| | 4 | | 8 | | 2 | 7 | | 6 |
| 7 | 2 | | 9 | | 6 | 1 | 5 | |
| | 6 | 7 | | 4 | 9 | | 1 | 2 |
| 2 | 8 | 3 | 1 | | 5 | 4 | | 9 |
| 4 | | 1 | 2 | 7 | | 3 | 6 | 5 |
| | | 2 | 5 | | 1 | | | 7 |
| 9 | | 4 | 6 | | 3 | 5 | | |
| | 1 | | 7 | 8 | | 9 | 2 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 9 | | | | | 2 | 5 |
| 1 | | | | 9 | 4 | | | 6 |
| | | 6 | | | 3 | | | 1 |
| | 8 | | 4 | | | 6 | | |
| | 6 | | 8 | | 1 | | 4 | |
| | 9 | | | | 7 | 8 | | |
| 6 | | 5 | | 7 | | | | |
| | 1 | | 9 | 6 | 8 | 2 | | 4 |
| | 2 | | 1 | | | | | 3 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. წრით დაიწყეთ ფუტკრის ხატვა
2. შუაში ჩახატეთ ორი თვალი
3. დაასრულეთ თავის ხატვა
4. მიახატეთ ტანი
5. ფრთებიც არ დაგავიწყდეთ
6. დაასრულეთ ნახატი
7 . გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე თაგუნას



## იპოვე ჩრდილის შესაბამისი ტელეფონი



# მისანი

## (იგავ-არაკი)

ერთი მისანი იყო, რასაც კი ბრმად ხელს შეახებდა, უმალ გამოიცნობდა.

ერთხელ მგლის ლეკვი მიუყვანეს და უთხრეს:

– აბა, გამოიცან, რა არისო.

მისანმა თითები მოუფათურა ლეკვს და თქვა:

– არ ვიცი, ძაღლია, არ ვიცი – მელა, მაგრამ ამას კი გეტყვით, ეს ის ცხოველია, ცხენის რემაში რომ არ გაიშვებაო.

სიავე ავისმთქმელს შუბლზე აწერიაო.

## რიცხვრებუსი

,,13, ,2

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ყვავილთა მეფე | | გაზი ანუ / ცეცხლის ნაწილი | | |
| | | | | |
| სახელ-მწიფო | | | სხეულის ნაწილი / შინაური ცხოველი | |

# იდეალური მეორე ნახევარი?!

*არ ვიცით, როგორები ვიქნებით ოჯახში საკუთარ მეორე ნახევრებთან. ზოგჯერ ბევრი რამ პირიქით გამოგვდის...*

**1. ისურვებდით ოჯახის შექმნას?**

ა) მხოლოდ ანგარებით – 1 ქულა;

ბ) რა თქმა უნდა, სიყვარულით – 10 ქულა;

გ) არ ვიცი. ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული – 5 ქულა.



**2. გსურთ, გყავდეთ შვილები?**

ა) დიახ. აუცილებლად – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) არ ვიცი – 5 ქულა.

**3. რამდენი შვილი გინდათ გყავდეთ?**

ა) ერთი – 5 ქულა;

ბ) ერთზე მეტი – 10 ქულა;

გ) არც ერთი – 1 ქულა.

**4. მიგაჩნიათ, რომ პირველი სიყვარული ქორწინებით უნდა დასრულდეს?**

ა) დიახ – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) არ ვიცი – 5 ქულა;

**5. დასვენების დღეებში, ოჯახის წევრებიდან ყველაზე ადრე ვინ იღვიძებს?**

ა) მე – 10 ქულა;

ბ) ზოგჯერ მე – 5 ქულა;

გ) მე არასოდეს – 1 ქულა.

**6. კერძების მომზადება გეხერხებათ?**

ა) დიახ. ზოგჯერ – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) ვცდილობ, როგორღაც – 5 ქულა.

**7. კარგად იცნობთ ხელოვნების რომელიმე დარგს?**

ა) დიახ – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) მინდა, რომ ვერკვეოდე – 5 ქულა.

**8. შეგიძლიათ, ხელდაუბანელი მიუჯდეთ სუფრას?**

ა) რატომაც არა? – 1 ქულა;

ბ) არა – 10 ქულა;

გ) თუ მეჩქარება, კი – 5 ქულა.

**9. სიგარეტს ეწევით?**

ა) დიახ – 1 ქულა;

ბ) არა – 10 ქულა;

გ) ხანდახან, სხვების ხათრით – 5 ქულა.

**10. რომელ სასმელს ანიჭებთ უპირატესობას?**

ა) არაყს, კონიაკს, ლიქიორს – 1 ქულა;

ბ) ღვინოს, შამპანურს – 10 ქულა;

გ) „კოკა-კოლას" – 5 ქულა.

**11. როცა გაწყენინებენ, ტირით?**

ა) დიახ, ძალიან – 1 ქულა;

ბ) არა – 5 ქულა;

გ) ზოგჯერ ხდება – 10 ქულა.

**ნახეთ შედეგები:**

*11-54 ქულა: ქორწინებაზე სერიოზულად არ გიფიქრიათ. ალბათ, ჯერ დრო არ არის და არ აჩქარდეთ. ეტყობა, ჯერ ვერ ხედავთ ბედნიერებას ამაში.*

*55-94 ქულა: გაქვთ შესაძლებლობა, კარგი ოჯახი შექმნათ და კარგი მეუღლე გახდეთ. თუმცა, გამორიცხული არ არის, მერე ცხოვრება ერთფეროვნად მოგეჩვენოთ. ნუ აჰყვებით სტერეოტიპებს. ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.*

*95-110 ქულა: მშვენიერი მეუღლე იქნებით. მზად ხართ ამისთვის. რატომ აყოვნებთ?! სანდო და კარგი პარტნიორი ხართ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ და ოჯახი ბედნიერებას, სიამოვნებას მოგანიჭებთ.*

### ვატიკანის ჩონჩხები

ბალზამირებლი ადამიანების ნარჩენები შემოსილია ფარჩით, ხავერდითა და ძვირფასი ქვებით. ასევე, მოსავთ მათ ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილის ტანსაცმელი. ოქროთია დაფარული მათი უბადრუკი ნარჩენები. თავის ქალებს დიადემები ამშვენებს, მაგრამ ისინი მაინც ჩონჩხებია.

500 წლის წინ ევროპას პროტესტანტული რეფორმების ტალღამ გადაუარა. ამ პერიოდში წმინდანთა ბევრი ნაწილი დაიკარგა და განადგურდა. როგორც კი რომის ეკლესია ისევ მოძლიერდა, გადაწყვიტა, „დანაკლისი" როგორმე შეევსო. სწორედ იმ დროს გვამების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდნენ. ქალაქის გარეუბანში, კატაკომბებში უამრავი უპატრონო გვამი ეყარა, რომელთა ვინაობა და ასაკი არავინ იცოდა. ეკლესიის მითითებით, ბერები არჩევნდნენ უკეთ შენახულ ჩონჩხებსა და გვამებს, აცმევდნენ მათ ძვირფას სამოსელს, რთავდნენ ძვირფასი სამკაულებით და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ეკლესია-ტაძრებში აგზავნიდნენ. არქმევდნენ წმინდანთა სახელებს და მორწმუნეებს აჩვენებდნენ. მეცხრამეტე საუკუნეში ბევრ ყალბ წმინდანს ჩამოხსნეს ძვირფასეულობა და დაკრძალეს, ჩუმად და ხმაურის გარეშე. თუმცა, ზოგიერთი „ძვირფასი გვამი" ახლაც ინახება ეკლესიათა სარდაფებში.

სამწუხაროდ, მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის არქივშია შემონახული, რომელია ჭეშმარიტად წმინდანის გვამი და რომელი – „ნეშტი კატაკომბებიდან". ეს ინფორმაცია დღემდე მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

### არაჩვეულებრივი შხეფები

*მსოფლიოში უამრავი შადრევანია. ლამაზიც, გრანდიოზულად დიდიც და ორიგინალურიც. გემოვნებაზე არ დავობენ, თუმცა, მაინც ხუთმა მათგანმა მოიპოვა განსაკუთრებულის სტატუსი.*

1. **„თავდავიწყების შადრევანი"** სინგაპურში, სანტეკ სიტის კომპლექსში. ულამაზესი შადრევანი ფენშუის პრინციპებით არის აგებული. წყალი ამ შადრევანში ქვემოდან ზემოთ კი არ ამოიფრქვევა, არამედ შებრუნებით. დღეში სამჯერ შადრევანში წყალი ჩერდება, ქვემოდან ამოდის კვარცხლბეკი პატარა ფანტანუკათი და იწყებს ცეკვას. ამ დროს თუ მის შხეფს დაიჭერ, სიმდიდრე გარანტირებული გაქვს.

2. **გიგანტური ონკანი** – შვეიცარიაში. ვინცერტური, ქვეყანაში სიდიდით მეექვსე ქალაქი, ამაყობს ორიგინალური და უცნაური შადრევნით. ტექნოლოგიების პარკში ჰაერშია გამოკიდებული უზარმაზარი ონკანი, რომლიდანაც წყალი ჩამოედინება. საიდან ხვდება და მოდის წყალი ონკანში? მთელი გამოცანა ოპტიკური ილუზიისა „დამალულია" სპეციალურ მილში, რომელიც კარგად არის შენიღბული წყლის ძლიერი ჭავლის შიგნით.

3. **„ბრიუსელის ბიჭუნა"** – ბელგიაში. ბრიუსელში ბუთქუნა ბიჭუნას ქანდაკება დგას. მან ქალაქი გადაწვას გადაარჩინა, საკმაოდ ორიგინალური მეთოდით. ბრიუსელის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, რომ ეს მოვლენა იმსახურებდა უკვდავყოფას. ბიჭუნა ბრინჯაოსგან ჩამოასხეს, დადგეს გრან-პლასას მოედანთან. წყალი ისე იღვრება, თითქოს ბიჭუნა „ფისებს" შვრება. ბიჭუნას თავისი გარდერობიც აქვს, რომელიც 800 კოსტიუმისგან შედგება, ცხოვრებაში ხომ ყველაფერი ხდება, იქნებ რაში გამოადგეს.



4. **„გოლიათის თავი"** – ავსტრიაში. ვატენსი ინსბრუკიდან 15 კილომეტრის მოშორებით, 1995 წელს სვაროვსკის კრისტალების მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმის შესასვლელი უზარმაზარი გოლიათის თავია, რომელსაც თვალების ადგილას დიდი, მწვანე კრისტალები უზის, ხოლო პირიდან ჩანჩქერი იღვრება. მუზეუმში, ანუ „თავში", სვაროვსკის კრისტალებისა და ნაკეთობების შთამბეჭდავი გამოფენაა. ბილეთი მუზეუმში შესასვლელად 9,5 ევრო ღირს.

5. **„ტრევი"** – იტალიაში. რომში ულამაზესი, ბაროკოს სტილის შადრევანი მეთვრამეტე საუკუნეში ააგეს. დღეს ეს შადრევანი მარადიული ქალაქის სავიზიტო ბარათია. გადაღებულია უამრავ ფილმში. ფელინი ამ შადრევნის გარეშე ფილმს არ იღებდა. ტურისტი, რომელიც შადრევანში მონეტას არ ჩააგდებს, რომში ვერასოდეს დაბრუნდება.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# საბედისწერო დამთხვევა

## სტენლი ელინი

არტური უბრალო ოჯახში დაიბადა და ამით თითქოს მის ცხოვრებას სამუდამო დაღი დაესვა. კარგი გარეგნობაც ჰქონდა, ჭკვიანიც იყო, ელეგანტურიც; გამჭრიახი გონების ყმაწვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ კარგი განათლება მიეღო, მაგრამ, ის მაინც ვერასდროს იქნებოდა ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც კეთილშობილება სისხლში ჰქონდა – ყველაფერს ვერ ისწავლი... მუშაობა „ჰორტონი და ვაჟიშვილში“ – ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კომპანიაში დაიწყო. იქაც მრავლად იყვნენ ბედის ნებიერები, მაგრამ, არტურს ყველაზე მეტად ის სტკენდა გულს, რომ ვერ გამოიყენებდა საუკეთესო შანსს – შემთხვევით შეფის ქალიშვილი ნახა და მიხვდა, რომ ეს გოგო, ენი, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა მისთვის, მაგრამ, ფული არ ჰქონდა. თავისი უბადრუკი ხელფასით ენს პაემანზე ვერ დაპატიჟებდა, ამიტომ, ერთხელაც ვერ გადადგა თამამი ნაბიჯი. არადა, ენი მისი გასაღები იქნებოდა მაღალ საზოგადოებაში.

ერთ დღეს კი, როცა „ჰორტონი და ვაჟიშვილის“ ოფისთან, პატარა კაფეში ყავას სვამდა, მასთან წარმოსადეგი ახალგაზრდა მივიდა – ერთ-ერთი „იმათგანი.“ არტურმა შეხედვისთანავე იცნო. ჩარლი მქვიაო, – უთხრა მან, – ვიცი, რომ „ჰორტონი და ვაჟიშვილში“ მუშაობ. ერთ დროს მეც ვმუშაობდი იქ, მაგრამ, ანგარიშის ჩეკების გაყალბებისთვის გამომიშვეს. ჩემმა ოჯახმაც არ მაპატია ეს თაღლითობა – შერცხვათ ჩემი საქციელის და სახლიდან გამომაგდეს... დედას ვებრალები და ყოველთვე ხუთას დოლარს მიგზავნის ხარჯებისთვის, მაგრამ, არ მყოფნის და სასტუმროდანაც გამომაგდეს. შეგიძლია, ცოტა ფული მასესხო, სანამ ახალი გზავნილი მოვა? ვალს აქ, ამ კაფეში დაგიბრუნებ. თაღლითობისთვის კი დავისაჯე, მაგრამ, ვალს ყოველთვის ვაბრუნებ... არტურს გონება გაუნათდა – ეს კაცი მას ძალიან სჭირდებოდა.

– მინდა, რაღაც შემოგთავაზოთ... სასტუმროში ზედმეტ ფულს რატომ იხდით? მით უმეტეს, ახლა ვალიც გქონიათ. შესანიშნავ ბინაში ვცხოვრობ, კომფორტიც მაქვს და ყველა პირობაც. დიასახლისიც საკმაოდ ნორმალური ქალია. რას იტყვით, ერთად ცხოვრება რომ შემოგთავაზოთ? ქირას შუაზე გავიყოფდით. სამი დიდი ოთახი მაქვს, ამდენი არც მჭირდება...

ჩარლიმ თვალები მოჭუტა, თუმცა, ბევრი არ უფიქრია, მალევე გაებადრა სახე და დათანხმდა:

– პრინციპში, რატომაც არა. თან, ახლა ღამის გასათევიც არ მაქვს. სიამოვნებით მივიღებ ამ წინადადებას.

– ჩეკებზე ხელმოწერებს რატომ აყალბებდით, ეს ძნელი არ არის?

– არა, ჩემო კარგო, ძნელი სულაც არ არის, მთავარია, მოინდომო. ფულისთვის ვაყალბებდი, რა თქმა უნდა. ხელგაშლილი ცხოვრება მიყვარს – რა ვქნა, ასე გამზარდეს... ჩემი ოჯახისთვის ჩემი საქციელი მიუღებელია, მაგრამ, მე არც ვნანობ და არც ვდარდობ. რაც მთავარია, ეს ამბავი არ გახმაურდა, რაზეც მამაჩემმა იზრუნა. ოჯახის ადვოკატს კონკრეტულ მისამართს ვუგზავნი ხოლმე და ფულიც დაუგვიანებლად მოდის – აი, ასეთი ცხოვრება მაქვს.

არტური უყურებდა ჩარლის შეუდარებელ, ტანზე უნაკლოდ მორგებულ ტანსაცმელს, მის ძალდაუტანებელ, დახვეწილ მანერებს და წუხდა, რომ თვითონ ვერასდროს გახდებოდა ასეთი. თუმცა, ვინ იცის, იქნებ, ჩარლისთან ერთად ცხოვრებას თავისი კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოეხდინა...

რამდენიმე დღეში ორივე მიხვდა, რომ ერთმანეთს შესანიშნავად ეწყობოდნენ. არტური ისრუტავდა ყველანაირ ინფორმაციას, რომელიც ჩარლისგან მოდიოდა. აკვირდებოდა მის ხასიათს, მანერებს, საუბრის სტილს. მისის მარშის პანსიონში სრულმა იდილიამ დაისადგურა. მალე არტურმა თითქმის სრულად მოირგო ჩარლის იმიჯი. ხმაშიც კი მისი მსგავსი ინტონაცია გაუჩნდა. ლექსიკაც ჩარლის სიტყვებით შეივსო. ჩარლიმ მოგვიანებით უხერხულობაც კი იგრძნო – არტურის შემხედვარეს, ისეთი განცდა უჩნდებოდა, თითქოს საკუთარ თავს უყურებდა სარკეში... მერე, რამდენჯერმე არტურმა ჩარლისგან ტანსაცმელი ითხოვა და დახვეწილი სტილი კარგად შეიფერა. ყოველი თვის პირველ რიცხვში მოდიოდა კონვერტი ხუთასდოლარიანი ჩეკით. ჩარლისთვის ეს ფული არ იყო, არტურისთვის კი მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩეკი გასანაღდებლად არტურს მიჰქონდა – ასე ერჩივნა ჩარლის. ასწავლა, როგორ უნდა მოეწერა ხელი მის მაგივრად... ერთ დღეს არტური შეფის კაბინეტში შევიდა და იქ ენ ჰორტონი დახვდა. ქალიშვილის მზერა იმდენის მთქმელი იყო, რომ კაცმა გაბედა და ყავაზე დაპატიჟა... მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა. არტურს თავი ზღაპარში ეგონა. ენი აღარ მალავდა თავის გრძნობას მის მიმართ. შეფი სულ აქებდა და ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა, საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც კი დანიშნა... ეჭვი აღარ იყო, რომ მალე ქორწილზეც დაიწყებოდა ლაპარაკი. არტურს სულ უფრო ხშირად სჭირდებოდა ჩარლის გარდერობი. მაგრამ, უცებ აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი ხელის შემშლელი იყო დიდებისკენ მიმავალ გზაზე. გადაწყვეტილება მყისეულად მიიღო, ყოყმანის გარეშე... ჩარლის ღრმად ეძინა და არც განძრეულა... ბალიში მჭიდროდ დააბჯინა სახეზე და მანამდე არ გაუშვა, სანამ სხეულმა მოძრაობა არ შეწყვიტა. ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმე იყო მოსაგვარებელი – გვამი როგორმე უნდა მოეშორებინა. ჯერ იფიქრა, რომ ჩარლის დიდ ჩემოდანში ჩადებდა და გაურკვეველ მისამართზე გაგზავნიდა, მაგრამ, გვამი საკმაოდ მძიმე იყო და ვერც ისეთ ქვეყანას მიაგნო, სადაც პოლიცია საეჭვო ამანათს არ გახსნიდა. თუმცა, ჩემოდნის იდეა მაინც სწორი გზა იყო. მისის მარშის პანსიონს ყრუ და ბნელი სარდაფი ჰქონდა, რომელსაც არავინ იყენებდა, იქ საერთოდ არავინ ჩადიოდა... აი, სად უნდა ჩაეტანა ჩემოდანი. მისის მარშს კი ეტყოდა, რომ ექსტრავაგანტური ჩარლი სადღაც გაემგზავრა. ჩემოდანი ძალიან მძიმე იყო. არტურს საფეთქლებიც კი დაებერა და სულს ძლივსღა ითქვამდა, თან, ცდილობდა, ისე ჩაეტანა, რომ ხმაური არ აეტეხა და მობინადრეები ფეხზე არ დაეყენებინა. ბოლო ორ საფეხურზე ტვირთი დაუგორდა და შიშისგან ლამის გულიც კი გაუჩერდა. საბედნიეროდ, ყველას ღრმა ძილით ეძინა. არტურმა შვებით ამოისუნთქა. ჩემოდანი სარდაფის ყველაზე მიყრუებულ, ბნელ, მტვრიან კუთხეში მიაგდო და გაიღიმა – ამიერიდან ახალი, ნათელი ფერებით აღსავსე ცხოვრება იწყებოდა.



შესანიშნავი ვერსია მზად ჰქონდა: დეიდა მოუკვდა და პატარა პენსია დაუტოვა, თვეში ხუთასი დოლარის ოდენობით. ეს ბევრი არ იყო, მაგრამ, საწყის კაპიტალად გამოდგებოდა. მისტერ ჰორტონი აღფრთოვანებული იყო მომავალი სიძის პრაქტიკულობითა და ჭკუით. ქორწილი ივლისისთვის დაინიშნა... იმ დღეს, როცა ამაზე შეთანხმდნენ, ენთან პირველი უთანხმოება მოუვიდა. არტურს პომპეზური ქორწილი უნდოდა: ეს მისი განვლილი ცხოვრების კომპენსაციაც იქნებოდა – მაღალი საზოგადოება, სურათები მყვირალა სათაურებით ელიტური ქრონიკის ფურცლებზე... ხმაურიანი წვეულება... მაგრამ, ენმა მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია. მას უნდოდა, ცერემონიალს ვიწრო, ოჯახურ გარემოში ჩაევლო, მხოლოდ უახლოესი ნათესავების თანდასწრებით. სიტუაცია საღამოს გაირკვა, როცა მისტერ ჰორტონმა თავის კაბინეტში დაიბარა, ვისკი შესთავაზა და სთხოვა, რასაც ახლა ეტყოდა, საიდუმლოდ დარჩენილიყო.

– ჩემო არტურ, შენ მალე ჩვენი ოჯახის წევრი გახდები და ეს უნდა იცოდე. მით უმეტეს, რომ ენი ძალიან განიცდის... მე ვაჟიშვილიც მყავს, პატარა უფლისწულს ვეძახდი და ყველანაირად ვანებივრებდი. ეტყობა, სწორედ აქ დავუშვი შეცდომა – საკუთარ თავზე შეყვარებული და უპრინციპო გაიზარდა. ისეთი რაღაც ჩაიდინა, ოჯახში მისი გაჩერება შეუძლებელი გახდა. გავაგდე და ჩემი გვარით ცხოვრებაც ავუკრძალე. არც ვიცი, ახლა სად არის, მაგრამ, ჩემი ოჯახის ადვოკატს აქვს მისი მისამართი. ბოლომდე ვერ გავწირე და თვეში ხუთას დოლარს ვუგზავნი... ენი გიჟდებოდა ძმაზე და სულ მთხოვს, ვაპატიო... ამაზე ლაპარაკი ჯერ არ არის... ჩარლიმ ძალიან მატკინა გული და ლამის ყველაფერი დაანგრია, რასაც ჩემი წინაპრები და მე რუდუნებით ვაშენებდით. ამიტომაც არ გვინდა გრანდიოზული ქორწილი. აბა, წარმოიდგინეთ, რა ვუთხრა ჩემს ნაცნობ-მეგობრებს, რატომ არ ესწრება ჩემი ერთადერთი ვაჟი ასეთ მნიშვნელოვან მოვლენას?!

არტურმა იგრძნო, როგორ დაუნამა მთელი სხეული ცივმა ოფლმა. პირი გაუშრა და ხელფეხი გაუშეშდა, შეფის კაბინეტმა კი თითქოს ქანაობა დაიწყო. თვალწინ ჩემოდანი დაუდგა, შიგ გვამით და მისის მარშის პანსიონის ბნელი სარდაფი... ველარ გაუძლო და გულწასული სავარძლის სახელურზე გადაეკიდა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-47(673)

ადრე, როცა ქურდული სამყარო ქურდულ სამყაროს ჰგავდა და ჩვენი ძმები ქურდულ კანონებს პირნათლად ასრულებდნენ, ქურდი, შეიძლება, ათი მანეთის ქურდობისთვის გაესროკათ და ის პატიოსნად მჯდარიყო ციხეში. დღეს კი, ეგრეთ წოდებული ქურდები გაჭირვებული, ავადმყოფი თუ გამოუცდელი ხალხის ხარჯზე მილიონებს შოულობენ და, არათუ ვინმე იჭერს, არამედ, პოპულარიზაციას უკეთებენ მათ და, ეს იმიტომ ხდება, რომ ნამდვილ ქურდულ სამყაროს გაუწიონ დისკრედიტაცია.

ქურდებსა და ქურდულ სამყაროზე გამარჯვების მოპოვებას ადრეც ცდილობდნენ მილიცია და სხვა მსგავსი ორგანოები, მაგრამ, ეს იმიტომ არ მოხერხდა, რომ ჩვენს რიგებში მკაცრი შერჩევა ხდებოდა და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, 30 წლის ასაკამდე ქურდი ვერავინ გახდებოდა. რა თქმა უნდა, იყვნენ განსაკუთრებული დამსახურების მქონე ადამიანებიც, მაგრამ, ეს გამონაკლისი იყო და კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმ წესს, რომ ნამდვილი ქურდი ყოველგვარი მამაკაცური ღირსებებით უნდა ყოფილიყო შემკული, ურყევი ნებისყოფა უნდა ჰქონოდა და უმკაცრესად დაეცვა ჩვენი კანონები. სწორედ ასეთები იყვნენ ცალხელა, ბრილიანტი, ზურა და ბევრი სხვა, ვინც სამუდამოდ დარჩნენ ჩვენი სამყაროს ისტორიაში და მათზე დღემდე ლეგენდები დადის. ცალხელას ისტორია ყველამ იცის და, დარწმუნებული ვარ, ახლების უმრავლესობა ფარულად დასცინის მას. არადა, სწორედ ცალხელა და მისნაირები ქმნიდნენ ჩვენს ისტორიას და მათ მაგალითზე იზრდებოდნენ თაობები.

სანამ ბოლო სროკიდან გავთავისუფლდებოდი, ჩვენს საკანში ოციოდე წლის ბიჭი მოიყვანეს, რომელსაც ლევანი ერქვა და სასჯელს ჯიბგირობისთვის იხდიდა. ის ბავშვი, თავისი საქციელითა და მანერებით, კლასიკურ ნეპმანელ ქურდთა მიმდევარს ჰგავდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ეს მას შინაგანად ჰქონდა ნასწავლი და არა სადმე წაკითხული ან გაგონილი. მას ქურდობა უნდოდა და, რადგან საკანში ორი ქურდი ვისხედით, მან ძალიან მორიდებულად ჩაგვაყენა საქმის კურსში.

– კიდევ ვინმე თუ გყავს საქმის კურსში ჩაყენებული? – ვკითხე ლევანს, მან კი მომიგო:

– არავინ. სვაბოდაზე ქურდი არ დატოვეს, მოსკოვში გამგზავრებას კი ვერ ვახერხებდი, რადგან ვიზას არ მაძლევდნენ...

ლევანი ჩემთან ერთად ერთი წელი იჯდა ციხეში და ჩემზე ადრე გათავისუფლდა. ახლა ის როსტოვშია, ყბედალოს პაძელნიკია და ქურდები უკვე საქმის კურსში არიან, რომ მას ქურდობა უნდა. ყბედალოც ძალიან კმაყოფილია მისით და საკუთარ მემკვიდრედ მიიჩნევს. ერთადერთ ქსივაში, რომელიც ყბედალოსგან ციხეში მივიღე და ზუსტად ვიცი, რომ ჩემ გარდა არავის წაუკითხავს, ეწერა: „კობრა, ძმაო, ეს ბიჭი ნამდვილი ოქროსხელებაა და ისეთი შუსტრი, რომ თვალს ვერ შეავლებ. ჩვენი როსტოველი ძმები სულში იძვრენენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. გაგებით სუფთა ნეპმანელია და, ხომ იცი, როგორ იცავენ ჩვენს ტრადიციებს როსტოვში. მოკლედ, დიდი მადლობა საჩუქრისთვის. ახლა კი დროებით გემშვიდობები. მალე გათავისუფლდები და ერთმანეთს შევხვდებით“. მე მართლაც მალე, სულ რაღაც ექვს თვეში გავთავისუფლდი და ჯერ როსტოვში გამგზავრებას ვგეგმავდი, შემდეგ კი – ჩემს ცოლ-შვილთან, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, პაბეგში ვარ და საქართველოდან ჯერჯერობით ვერ გავდივარ.

პაბეგში პირველად არ ვარ და ექვს თვეზე მეტია, რაც არალეგალურ მდგომარეობაში ვიმყოფები. როგორც გამოცდილ კონსპირატორს, არალეგალური ცხოვრების წესების დარღვევა არ მჩვევია, თუმცა, ამას წინათ ვერ მოვითმინე, პიჯაკი ჩავიცვი და ერთ თბილ საღამოს კონსპირაციული ბინიდან ქუჩაში გავედი. გარკვეული დროის შემდეგ გაჩახჩახებულ რუსთაველის გამზირზე აღმოვჩნდი, რომელიც ხალხით იყო სავსე. ჩემს უსაყვარლეს ქუჩას ნელი ნაბიჯით გავუყევი, თან ჩემს ბავშვობას ვიხსენებდი. ლაღიძის წყლების ასახვევთან კინაღამ სულმა წამძლია და, დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ მთაწმინდისკენ არ ამეხვია. მე თვალცრემლიანმა გავხედე კონსერვატორიას და გზა განვაგრძე. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის გამზირი განახლებულია და გაჩახჩახებული, მას ძველი პეწი და სილამაზე დაკარგული აქვს და ძველს ახალთან რომ ვადარებ,



ვრწმუნდები, რომ ძველი ბევრად ჯობდა ახალს. ყველაზე მეტად კი იმან დამწყვიტა გული, რომ ამ ზღვა ხელხში ერთ ნაცნობსაც კი ვერ მოვკარი თვალი. ადრე, სანამ ზემელიდან ლენინის მოედნამდე ჩავიდოდი ხოლმე, მინიმუმ ასი ნაცნობი მაინც მხვდებოდა გზაზე, ახლა კი ყოველ ას ადამიანში ორმოცი არაქართველია და ოთხმოცი – არათბილისელი... ერთადერთ ნაცნობს ქაშუეთის ეკლესიასთან შევხვდი, რომელიც ტაძრის წინ იდგა და პირჯვარს იწერდა. ეს იყო ჩემი ბავშვობის მეგობარი, ძველი ყომარბაზი, სოლოლაკელი „ფაჩიკო“. მე მას მივუახლოვდი, მხარზე ხელი დავადე, შემოვაბრუნე და ვუთხარი:

– ფაჩიკო, ძმაო, როგორ ხარ?

– კობრა, ბრატ! – წამოიძახა ფაჩიკომ, გადამეხვია და მკითხა: როგორ ხარ? რამდენი წელია, ერთმანეთს არ შევხვედრივართ!

– თითქმის ოცი წელი, – ღიმილით მივუგე ფაჩიკოს, – სად ხარ, როგორ ხარ და, საერთოდ, რა ხდება ამქვეყნად?

ჩემს კითხვაზე ფაჩიკომ გაოცებულმა შემომხედა. შემდეგ საფეთქელზე იტკიცა საჩვენებელი თითი და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მითხრა:

– შენზე გავიგე, პაბეგშიაო, მართალია?

– მართალია, – დავუდასტურე ფაჩიკოს.

– ასე თქვეს, სარკე გაანგრია ტანით, იქ კი გვირაბი იყო და იქიდან მოუტყდაო ძაღლებს.

– კი, მასეა. ბაბუაჩემის ძველი ხოდით ვისარგებლე, „სოდს“ მოვუტყდი და, უკვე ექვსი თვეა, ვიმალები. დღეს კი ველარ მოვითმინე და რუსთაველზე გამოვისეირნე. ორ საათზე მეტია, ვტასაობ და პირველი ნაცნობი ხარ, ვისაც შევხვდი.

– ეეჰ, ნუ იტყვი, – სინანულით თავი გააქნია ფაჩიკომ, – ჩვენს ახალგაზრდობაში, ხომ გახსოვს, ერთ კვადრატულ მეტრზე ორი ნაცნობი გვხვდებოდა, ახლა კი ისეთი როჟები იჩითებიან, ადრე რომ მხოლოდ კინოჟურნალებში ვხედავდით ფილმის დაწყების წინ.

– აბა, ბიჭო, – გამეცინა მე, – ზემელზე, რუსთაველის ძეგლთან, შავკანიანი ტიპი დგას, ხელში ფეხსაცმლის ყუთი უჭირავს და ამბობს, დამეხმარეთ, ფლიიზ, დამეხმარეთო. კინაღამ დავიშოკე. ჯერ ფირმები გვაკლდა, ათასი ჯურის მოგვიმრავლდნენ და ახლა ფირმა მათხოვრები – ეს უკვე მეტისმეტია.

– ეგ რა არის, – გაეცინა ფაჩიკოს, – სოლოლაკში, ჩემ გვერდით ეზოში, უკვე ექვსი თვეა, თხუთმეტამდე ინდოელი ქირაობს ბაითს. საღამოობით პატარა სკვერში იკრიბებიან და ბაზრობენ ხოლმე. სოლოლაკელი პატარა ბიჭები ბლატნოი ბაზარს ასწავლიან და უნდა ნახო, ქართული როგორ დაამუღამეს. იმ დღეს სიგარეტის საყ-

იდლად გამოვედი და, სკვერთან რომ გავიარე, მთელი კოდლა იდგა. ერთ-ერთი მათგანი ჩემთან მოვიდა მეუბნება:

— ბიძაჩემო, სიგარეტს ვერ მომაწევინებ?

მე მას კოლოფი გავუწოდე.

— შეიძლება, ორი ღერი ამოვიღო?

ამოიღე-მეთქი.

ამოიღო, „სპასიბაო“, მითხრა და მეკითხება:

— ბიძაჩემო, რომელუბნელი ხარ?

— წარმოგიდგენია? მე, ფაჩიკოს, ჩალმიანი ინდოელი სოლოლაკში მეკითხება, რომელუბნელი ხარო...

— გლდანელი სიმონა ვარ-მეთქი, — ვუთხარი ინდუსს, მან თავი გააქნია და მომიგო:

— შორსაა. მე სოლოლაკელი რაჯი ვარ და, აი, აქ ვცხოვრობო...

— წარმოგიდგენია, კობრა? ჩალმიანი ინდუსი მეუბნება, გლდანი შორსაა და მე სოლოლაკელი რაჯი ვარო. თუ არ დავიშოკებოდი, არ მეგონა, მაგრამ, ხელი ჩავიქნიე და გავიარე.

— სხვა რა ხდება, ფაჩიკო-ჯან, შენ რას აკეთებ, კიდევ ყომარობ?

— ეეჰ, კობრა-ჯან, სადღაა საყომარო. ყოველ ფეხის ნაბიჯზე კაზინო-ტოტალიზატორები და სათამაშო აპარატებია გახსნილი, ყველა იქითკენაა გადართული და ნამდვილი იგროკები თითქმის აღარ დარჩნენ.

— მახსოვს, შენ და ფიუნესამ ლენინგრადში ტაშკენტელები რომ გაატყავეთ, — ვუთხარი ფაჩიკოს, მას კი ჩაეცინა და მომიგო:

— კარგი დრო იყო, კარგი, გოიმებიც ბლომად იყვნენ, კარგი მაყუთიც ტრიალებდა და, საერთოდ, ახალგაზრდები ვიყავით.

— ფიუნესა როგორაა? ისმის მასზე რამე?

— გეტყვი და არ დაიჯერებ.

— ისეთი რა არის, პრეზიდენტი ხომ არ გახდა?

— უკეთესი.

— უკეთესი?

— ჰო, კობრაჯან, ფიუნესა გრაფია, საფრანგეთში ცხოვრობს და ნიცაში უზარმაზარი ვილა აქვს.

— შაყირობ, ფაჩიკო?

— ხომ გითხარი, არ დაიჯერებ-მეთქი. ნაღდად მასეა.

— კი მაგრამ, როგორ?

— როგორ და, კაროჩე, ფიუნესას ტაშკენტში ვიღაც ფრანგი გრაფინია „შეუბამს,“ ქერივი ქალი, რომელიც იქ რაღაც ბიზნესის ამბავზე ყოფილა ჩასული. ერთი სიტყვით, ფიუნესამ იმდენი იჩალიჩა, რომ გრაფობა დაირტყა, საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო და ნიცაში გაშანშალებული ვილაც დაითრია. ახლა კი წამოწოლილია და თავის ჭიას ახარებს.

— სალოლ, ძმაო, სალოლ! — აღტაცებით წამოვიძახე მე და სიცილი ამიტყდა, რადგან, თვალწინ ატირებული ფიუნესა დამიდგა, რომელიც მე და ბერძენას გვეხვეწებოდა, როსტოველ ბანდიტებთან არ წამიყვანოთ, მომკლავენო...

— არადა, კობრა, სანამ ფიუნესა ტაშკენტში გაემგზავრებოდა, მეც მეპატიჟებოდა, რომ წავყოლოდი.

— რა პონტი გაგიმაზია?!

— აბა, ნუ იტყვი, — მითხრა ფაჩიკომ, მაგრამ, — რა თავში სახლელად მინდა გრაფობა. ჩემს მიწაზე ცხოვრება და სიკვდილი მირჩევნია ყველაფერს.



— აი, სოლოლაკელი რაჯის თანამემამულეები და სხვა ჩამოსულებიც რომ შენაირად ფიქრობდნენ, კარგი იქნებოდა, — ვუთხარი ფაჩიკოს, გამეცინა და ხელკავი გამოვდე, რომ გზა გაგვეგრძელებინა. ამ დროს ჩვენ წინ საპატრულო მანქანამ დაამუხრუჭა. იქიდან ახალგაზრდა კაპიტანი გადმოვიდა, მხედრული სალამი მოგვცა და წარმოგვიდგა:

— პოლიციის კაპიტანი იოსებ ღურჭუმელიძე.

ფაჩიკოს მარჯვენა მაჯა აუცახცახდა შიშისგან, რადგან, იფიქრა, რომ პოლიციელმა მიცნო და ჩემს დასაკავებლად გადმოვიდა მანქანიდან. მე მას მაჯაზე მოვუჭირე ხელი და ვაგრძნობინე, რომ დამშვიდებულიყო, პოლიციელს კი ვუთხარი:

— გისმენთ, ბატონო კაპიტანო, რაშია საქმე?

— ყაჩაღობისთვის დაკავებული მოქალაქის ამოცნობის პროცედურას ვატარებთ პოლიციაში, ორი მოწმე გვჭირდება და ვერ გამოგვყვებით?

— სიამოვნებით, ბატონო კაპიტანო, მაგრამ, ეს შეუძლებელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შვილიშვილისთვის სასწრაფოდ წამალი გვაქვს საყიდელი, ჩვენ ბაბუები ვართ და ძალიან გვეჩქარება; თანაც, პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ მაქვს, სიჩქარეში წამოღება დამავიწყდა. შენ გრიშა? — ვკითხე ფაჩიკოს, რომელმაც უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და კაპიტან ღურჭუმელიძეს ბოდიში მოვუხადე.

— რა გაეწყობა, სხვებს მოვძებნი, — გვითხრა კაპიტანმა, მაგრამ, სანამ წავიდოდა, ეჭვით შემომხედა და მითხრა: ძალიან ნაცნობი სახე გაქვთ, აშკარად სადღაც მინახავხართ...

— კი ბატონო, სულ ტელევიზორში ვჩანდი, სანამ ძველი მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგები იმართებოდა, არც ერთს არ ვაცდენდი და, ახლობლები იმასაც კი მეუბნებიან, ტელევარსკვლავი ხარო. კარგად იყავით, კაპიტანო, წამლის ყიდვა და მიტანა უნდა მოვასწროთ, — ვუთხარი ღურჭუმელიძეს და ჩქარი ნაბიჯით გავეცალეთ იქაურობას.

— კობრა, კინაღამ დაიწვი, — მითხრა ფაჩიკომ, როდესაც კიროვის ქუჩის კუთხეში მივედით და თავი უსაფრთხოდ დავიგულეთ.

— მაგ კაპიტან ღურჭუმელიძეს ნაღდად პოლიციის შენობის სტენდზე, ძებნილების სურათებში ვყავარ ნანახი და, კიდევ კარგი, რომ ვერ გაიხსენა. აბა, კარგად, ჩემო ფაჩიკო, ტაქსი და მისი ჯანი! წავედი, თორემ, რამე ხიფათში არ გავყო თავი, — ვუთხარი ფაჩიკოს, გამოვემშვიდობე და ტაქსით კონსპირაციული ბინისკენ გავემართე.

რაღაც მსგავსი შეგვემთხვა მე და ბერძენას ერთხელ, როცა სოჭში ვიმალებოდით, მოსკოვში ჩადენილი ქურდობისთვის კი მთელი საბჭოთა მილიცია ფეხზე იდგა და გვეძებდა. ისე მოხდა, რომ ტაქსით გადავადგილდებოდით, თან, სპორტულ ჩანთაში ნაქურდალი ნივთები და ხუთი ათასი მანეთი გვედო. ტაქსისტი, ცოტა არ იყოს, თავქარიანი შეგვხვდა და ერთ-ერთ ქუჩაზე, დღისით-მზისით, ორმოში ჩაარტყა ცხვირი, რაღაც გაუფუჭდა და გვითხრა:

— მორჩა, ბიჭებო, ჩამოქვეითდით, მოვედით...

— რატომ, რა მოხდა? — ჰკითხა ბერძენამ.

— გარაჟში უნდა წავიდე გასარემონტებლად, ვერ ხედავთ, რომ იამკაში ჩავვარდი? — უხეშად მიუგო ტაქსისტმა ბერძენას, რომელსაც მოთმინება ელეოდა და, კონფლიქტი რომ არ მომხდარიყო, საუბარში მე ჩავერთე და ტაქსისტს ვუთხარი:

— შეფ, სამმაგს გადაგიხდით, წაგვიყვანე.

— შენ რა, რუსული არ გესმის? — შემომიღრინა ტაქსისტმა, — ვერ გაიგე, რომ გარაჟში მივდივარ? კაპიკი არ მინდა თქვენი, გადადით!

— თავი გაქვს გასატეხი, თუ მეტი არა. ჩქარა, გზა განაგრძე, თორემ სეირს გიჩვენებ! — გაცხარდა ბერძენა, ტაქსისტმა კი იქით შეუტია, ხელი მარცხნივ გაიშვირა და მიუგო:

— აბა ერთი სცადე და გამიტეხე! აი, ჩემგან ხელმარცხნივ, სოჭის მილიციის სამმართველოს შენობაა და შორს წასვლა აღარ დაგჭირდებათ, აქვე მოგაყუჩებენ და მოგივლიან. ჩქარა გადადით და სხვა ტაქსი მოძებნეთ, თქვენი კაპიკი არ მინდა!

მე კვლავ ტკბილად ვცადე ტაქსისტთან



დალაპარაკება, რომელიც შეუვალი იყო და, იძულებულები გავხდით, მის ნებას დავყოლოდით. მე და ბერძენა მანქანიდან გადმოვედით და, ვეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდით იქაურობას, მაგრამ, ვინ გაცალა? უცებ, სოჭის მილიციის სამმართველოდან გამოსული „ჟიგული“ იმავე იამკაში ჩავარდა, რომელშიც ტაქსი, მაგრამ, მანქანაში მჯდარმა მეორე პირმა, რომელიც მძღოლის გვერდით იყო მოკალათებული, თავი ვერ შეიკავა, წინა შუშა თავით გაამტვრია და პირდაპირ ჩვენს ფეხებთან დაეცა გასისხლიანებული. შეშფოთებული ხანში შესული მძღოლი მანქანიდან გადმოხტა და გვიღრიალა:

– რას დგახართ? ჩქარა, მომეშველეთ და შენობაში შემაყვანინეთ.

მძღოლიც და თავგატეხილი მამაკაციც ფორმიანი მილიციელები იყვნენ. რა გაეწყობოდა, მე და ბერძენამ ხელ-ფეხში ჩავავლეთ მილიციის მაიორს და სოჭის მილიციის სამმართველოს შენობაში შევიყვანეთ. მანქანის მძღოლიც მაიორი იყო, რომელიც წინ მიგვიძღოდა. შენობაში, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საშვის გარეშე შეგვიშვეს. გრძელი დერეფანი რომ გავიარეთ, ძებნილთა დაფას შევავლე თვალი, სადაც სხვა ძებნილებთან ერთად ჩვენი სურათებიც იყო გამოკრული. წარმოიდგინეთ, ორი ძებნილი, ფაქტებიანი ჩანთით, მილიციის მაიორს მივათრევთ მილიციის სამმართველოს მედპუნქტში... ამაზე მეტი ტრაგიკომედია და ცინიზმი, ალბათ, შექსპირის ნაწარმოებებშიც კი არ მოიძებნება.

– გმადლობთ, ბიჭებო, თქვენ დროული და საჭირო დახმარება გაგვიწიეთ. დიდი მადლობა, – გვითხრა მილიციის მაიორმა-მძღოლმა და მე და ბერძენას გვკითხა: რით შემიძლია, გემსახუროთ? რამე დახმარება თუ გჭირდებათ, ნამდვილად არ დაგზარდებით.

– ამხანაგო მაიორო, ვაგზალზე მივდივართ და, თუ დროზე არ გავედით აქედან, შეიძლება, მატარებელზე დაგვაგვიანდეს, – ვუთხარი მაიორს, რომელმაც მომიგო:

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... წამოდით, გაგიყვანთ და რამე მანქანას გაგაყოლებთ...

დერეფანი რომ გავიარეთ და კვლავ ძებნილთა დაფას შევავლე თვალი, მომეჩვენა, რომ ჩემი და ბერძენას სურათები განსაკუთრებულად გამოკვეთილი იყო. მაიორს რომ მათთვის შეეხედა, მილიციის სამმართველოს შენობიდან ვინღა გამოგვიშვებდა? თუმცა, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. მაიორმა მაგრად ჩამოგვართვა ხელი, მშვიდობიანი მგზავრობა გვისურვა და ერთ-ერთ საპატრულო ეკიპაჟს გაგვაყოლა სადგურამდე. ჩვენ, რა თქმა უნდა, არსად არ მივემგზავრებოდით. როგორც კი მილიციელები წავიდნენ, კერძო მანქანა გავაჩერეთ და გეზი კონსპირაციული ბინისკენ ავიღეთ. ბედის ირონიით კი, მილიციელებს სადგურზე გამოკრულ ძებნილთა სტენდთან დავშორდით, რომელზეც, რა თქმა უნდა, ჩემი და ბერძენას ფოტოებიც იყო გამოკრული.

– ეს რა ორ ხათაბალას გადავურჩით... ცხვარი გვყავს დასაკლავი, – მითხრა ბერძენამ, როდესაც კონსპირაციულ ბინაში შევედით და სული მოვითქვით.

– ნამდვილი ტრაგიკომედიაა. აფსუსი არ იქნება, ჩვენ რომ ახლა დაგვიჭირონ? – ღიმილით მივუგე ბერძენას.

მართლაც, მე და ბერძენა კიდევ წელიწადნახევარი მოუხელთებელნი ვიყავით, ქალაქიდან ქალაქში ვმოგზაურობდით, ვჩალიჩობდით, თან, ცოტ-ცოტას ვგულაობდით კიდეც და, რომ არა კვლავ ერთი ტრაგიკომიკური შემთხვევა, ალბათ, კიდევ კარგახანს ვიქნებოდით მოუხელთებელნი.

ჩვენი ქურდული კრუიზის მორიგი გაჩერება უკრაინის დედაქალაქი კიევი იყო. იქ ერთმა ჩვენმა ნაკოლშჩიკმა ერთი ცნობილი ცირკის მსახიობის ბაითის ნაკოლი მოგვცა და გვითხრა:

– კლიენტი ბრილიანტების დიდი მოყვარულია, უნიკალური კოლექცია აქვს და ეს ყველაფერი საიდუმლო სეიფშია. აი, სეიფის ადგილმდებარეობა კი ნამდვილად არ ვიცი და ის თქვენ უნდა მოძებნოთო.

– მოვძებნით, ოღონდ კი სეიფი და ბრილიანტები ნამდვილად იყოს, – უთხრა ნაკოლშჩიკს ბერძენამ, მე კი ვკითხე:

– სიგნალიზაცია ან მსგავსი ეშმაკობები ხომ არ აქვს სახლში?

– არა, არანაირი სიგნალიზაცია. მხოლოდ ბაითში უნდა შეხვიდეთ, სეიფი მოძებნოთ და გახსნათ, – მომიგო ნაკოლშჩიკმა.

როგორც ყოველთვის, მე და ბერძენამ ატმიჩკები დავამზადეთ, ბინის პატრონის ზუსტი განრიგი შევისწავლეთ და, როდესაც ის სახლში არ იყო, ცარიელ ბაითში შევედით.

– კობრა, უკან ხომ არ გავიდეთ? – მკითხა ბერძენამ, როდესაც ბაითში ფეხი შევდგით.

– რატომ, რა მოხდა?

– რაღაც, არ მომწონს აქაური აბსტანოვკა. მეჩვენება, რომ სახლში კიდევ ვიღაც არის და გვითვალთვალებს.

– მაინც, რას გულისხმობ, ბერძენ?

– რა ვიცი, კობრა, რაღაც საზარელი სიჩუმეა და, დედას გეფიცები, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ბაითში ჩვენს გარდა კიდევ ვიღაცაა.

– თუ ასე ფიქრობ, კი ბატონო, გავიდეთ, – ვუთხარი ბერძენას, მან კი თავი გააქნია და მომიგო:

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | თ | | ი | | კ | ა | ლ | ა | თ | ი | |
| | | | | | ბ | უ | ტ | ი | ა | | ა | ფ | ა | რ | გ |
| | | | | | ი | | ე | | პ | | დ | ა | ვ | ა | |
| | | | | | ლ | ა | კ | მ | ე | | ო | ტ | ლ | ა | ს |
| | | | | | ი | თ | ა | ი | ლ | ო | გ | | ა | ს | ო |
| | | | | | ს | უ | ფ | რ | ა | | ა | | | | ლ |
| ო | ი | ლ | ე | დ | ი | ფ | | ო | | ა | | ა | ლ | ე | თ |
| მ | | ო | | ე | | | ი | ნ | ა | ვ | ქ | რ | ე | | რ |
| ა | რ | ბ | ე | ზ | | ი | ს | ო | რ | ტ | | ქ | ო | ს | ა |
| ლ | | ი | მ | ი | ც | ნ | ე | ვ | ს | ო | | ი | ნ | | ქ |
| ა | ბ | ო | | | | ე | ვ | ი | ე | | ი | მ | ო | ტ | |
| ს | უ | | ა | მ | ე | დ | კ | | ნ | ი | ნ | ე | ვ | ი | ა |
| | კ | ა | ზ | ი | ნ | ო | | | ა | ლ | ა | დ | ი | ნ | ი |
| | ი | ლ | ა | მ | ა | რ | ტ | | ლ | ა | ყ | ე | | ი | ძ |
| პ | | ა | რ | ა | ი | | ი | ფ | ი | რ | ა | | ო | | ნ |
| რ | | ყ | | ტ | რ | ე | კ | ი | | ი | ზ | ა | მ | რ | ა |
| ი | ნ | ა | კ | ე | დ | | ი | ლ | ა | კ | რ | | ი | | ტ |
| მ | ე | ფ | ო | ბ | ა | | | ი | ლ | ა | ა | რ | გ | | |
| ა | კ | ი | ლ | ა | | ი | თ | ა | ა | ს | | | | ო | გ |
| | ი | | ი | | ო | | | ლ | ი | ა | | ს | ე | ფ | ა |
| ი | | ე | | ა | ს | ა | თ | ი | ა | ნ | ი | | გ | ე | ზ |
| მ | ე | ლ | ო | მ | ა | ნ | ი | | | | ო | პ | ე | ლ | ი |
| რ | | ი | | წ | ვ | ი | ვ | ი | | ს | ტ | ა | რ | ი | |
| ე | ს | ა | ძ | ე | | ბ | ა | ქ | ო | | ი | ნ | ი | ა | ს |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 5 | 4 | 8 | 9 | 7 | 3 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 | 2 | 9 | 4 |
| 4 | 9 | 3 | 6 | 7 | 2 | 5 | 8 | 1 |
| 3 | 6 | 9 | 7 | 1 | 5 | 4 | 2 | 8 |
| 2 | 8 | 7 | 9 | 4 | 6 | 1 | 5 | 3 |
| 5 | 1 | 4 | 8 | 2 | 3 | 6 | 7 | 9 |
| 6 | 4 | 8 | 5 | 9 | 7 | 3 | 1 | 2 |
| 7 | 3 | 1 | 2 | 6 | 8 | 9 | 4 | 5 |
| 9 | 5 | 2 | 1 | 3 | 4 | 8 | 6 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 8 | 3 | 7 | 2 | 4 | 9 | 6 |
| 2 | 7 | 4 | 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 |
| 9 | 6 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 | 2 | 5 |
| 8 | 3 | 1 | 6 | 2 | 7 | 9 | 5 | 4 |
| 4 | 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 | 2 |
| 7 | 5 | 2 | 4 | 9 | 1 | 6 | 3 | 8 |
| 1 | 8 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 7 |
| 6 | 2 | 7 | 1 | 5 | 9 | 8 | 4 | 3 |
| 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 6 | 2 | 1 | 9 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. მტრედმა. 2. პომადა (ფრანგული სიტყვიდან la pomme – ვაშლი). 3. ერთი დარტყმით რომ მოეკვეთა თავი. 4. ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაწვას. 5. პრინცესა დიანა. 6. მზარეულის ჩაჩი. 7. „ეშმაკის ბორბალს“. 8. რესპუბლიკა (res publica – საერთო-სახალხო საქმე). 9. შუქურის მაგივრობას ასრულებდა. 10. ნეფრიტი.**

– არა, არა, რა სისულელეა! უბრალოდ, იზმენა ამეკიდა. მოდი, ვიჩალიჩოთ.

მე და ბერძენამ ჩალიჩი დავიწყეთ და მალევე მივაგენით საიდუმლო სეიფს, რომელიც, ტრადიციულად, საძინებელ ოთახში იყო დამალული. მე სეიფი გავხსენი, რომელშიც ბრილიანტების სამკაულები ელაგა და ბერძენას ვუთხარი:

– ნახე, რა კუშია? დაითრიე და ჩანთაში ჩაალაგე.

ბერძენა ბრილიანტის სამკაულებს იღებდა და ჩანთაში ალაგებდა, მე კი ამ დროს სერვანტს ვათვალიერებდი, რომელშიც ძვირფასი, მოოქროვილი ანტიკვარული კოვზები და ჩანგლები ელაგა.

უცებ ბერძენამ არაადამიანური ხმით შეჰკივლა და რომ შევტრიალდი, ფანრის შუქზე უზარმაზარ კაპიუშონიან კობრას მოვკარი თვალი, რომელიც ბერძენას მარჯვენა ხელში ჩაჰფრენოდა... მე მალევე ავანთე შუქი, კედელზე ჩამოკიდებული ხმალი ჩამოვხსენი და კობრა ჯერ შუაში გავჭერი, შემდეგ შიგ კაპიუშონში ჩავარჭვე წვერი, გავსრისე და გაფითრებულ ბერძენასთან მივიჭრი, რომელსაც ოფლი წურწურით მოსდიოდა.

– ნუ გეშინია, ბერძენ, შრატს გაგიკეთებენ და ყველაფერი კარგად იქნება, – ვუთხარი ბერძენას, მხარში შევუდექი და კარისკენ დავიძარი.

– ბრილიანტები, კობრა, ბრილიანტებს ვის უტოვებ?

– ჯანდაბას წაულია ისინი! დროის დაკარგვა არ შეიძლება, ჩქარა, წავედით საავადმყოფოში!

ბერძენას ძლიერმოქმედი შხამი მთელ ორგანიზმში უვლიდა, გადაადგილება უჭირდა, ამიტომ მხარზე გავიდე და კიბეებზე დავეშვი. ქუჩაში პირველივე შემხვედრი მანქანა გავაჩერე და ვუთხარი:

– ცენტრალურ საავადმყოფოში, ჩქარა!

– რა სჭირს, დაჭრილია? – მკითხა შეშფოთებულმა მძღოლმა, რაზეც მივუგე:

– არა, კობრამ უკბინა, ჩქარა, დრო არ ითმენს!

მძღოლმა ადგილიდან მოწყვიტა მანქანა. სულ მალე უკვე კიევის ცენტრალური საავადმყოფოს მიმღებში ვიმყოფებოდით და მიმღების მორიგე ექიმს ვუხსნიდი, რაშიც იყო საქმე.

– დარწმუნებული ხართ, რომ მას მართლა კობრამ უკბინა? – მკითხა დაეჭვებულმა ექიმმა, რომელსაც „ანტიგიურზინის“ მსგავსი სითხით სავსე შპრიცი უკვე ხელში ეკავა.

– ასი პროცენტით. შემიძლია, ბინის მისამართი მოგცეთ. წადით და იქ მკვდარ კობრას ნახავთ, რომელიც მე ხმლით მოვკალი, – ვუთხარი ექიმს, რომელმაც ბერძენას ნემსით წამალი შეუშხუპუნა და მითხრა:

– ყველაფერი რიგზეა. აბა, მიკარნახეთ ბინის მისამართი.

მე ექიმს ბინის მისამართი ვუკარნახე და დავამატე:

– ჩვენ იქ ბრილიანტების მოსაპარად შევედით და ასეთი რამ შეგვემთხვა.

ხუთიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ მორიგე ექიმის ოთახში მილიციის ოპერჯგუფი შემოვიდა. ექიმმა მათ ჩემზე მიუთითა და უთხრა:

– აი, ძებნილი კობრა. როგორც კი შევხედე, იმწამსვე ვიცანი და ჩემს ექთანს თქვენთან დავარეკინე. ამბობს, რომ ბრილიანტების მოსაპარად ვიყავით და ჩემს მეგობარს კობრამ უკბინაო. აი, მისამართი, გადაამოწმეთ.



მილიციელებმა ხელბორკილები დამადეს და სანამ ოთახიდან გამიყვანდნენ, მორიგე ექიმს ვკითხე:

– ექიმო, ხომ ყველაფერი კარგად იქნება, ნაკბენს გართულება არ მოჰყვება?

– ყველაფერი კარგად იქნება, თქვენი მეგობარი ორ დღეში ჩიტივით იფრენს. გართულება კი ისაა, რომ, ალბათ, ციხეში ჩაგსვამენ. რას იზამ, ძმაობილო, ჩემი ვალი იყო, რომ მილიციაში დამერეკა და ნუ მიწყენ.

– პირიქით, ექიმო, დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემს მეგობარს დროული დახმარება აღმოუჩინეთ. მშვიდობით...

ბერძენა ორ დღეში მართლაც კარგად გახდა და გვერდით მომისვეს, სასამართლომ კი ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიოგვისაჯა და მორიგ სროკებზე გაგვიშვეს... ჩვენი ძმები, ერთი მხრივ, გახარებულები იყვნენ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ბერძენა სიკვდილს გადაურჩა, მეორე მხრივ კი, ხუმრობდნენ და ამბობდნენ: კობრამ კობრას ტყავი არ დახია. ერთმა კობრამ ბერძენა სასიკვდილოდ გაიმეტა, მეორემ კი ის სიკვდილისგან იხსნაო...

ეს სროკი ყველაზე ხანგრძლივი იყო, რაც კი ჩემთვის მოუსჯიათ და, ესეც, როგორც სხვა დანარჩენი, ოტ ზვანკა დო ზვანკა მოვიხადე. თბილისში რომ დავბრუნდი, ბერძენა უკვე ჩამოსული დამხვდა და ჩვენ სულ შაყირ-შაყირით გავიხსენეთ ეს საქმე. იმ პერიოდში ყბედალოც აქ იყო და, აბა, მაგას რა გააჩერებდა. იმდენი ილაპარაკა, სანამ კბილი არ ასტკივდა, ბოლოს თქვა, კობრას გაუმარჯოსო და ორასი გრამი არაყი სულმოუთქმელად დალია.

– რომელ კობრას, ყბედალო-ჯან? – ჰკითხა ყბედალოს ბერძენამ, – მე რომ მიკბინა თუ...

– „თუ“, – მიუგო ყბედალომ და დაამატა: მაინც ვერ გამიგია, იმ ცირკის მსახიობს კობრა რა ჩემს ფეხებად სჭირდებოდა სახლში? მოთვინიერებით ვერ მოათვინიერებდა, დარაჯად კი მას არ იყენებენ, რომ სახლს უყარაულოს.

– აი, თუ არ იყენებენ. მთელი საქმე ჩაგვიშალა, – თქვა ბერძენამ, ყბედალომ კი დაამატა:

– მე თუ მკითხავ, ის ცირკაჩი ქალიც დასაჭერი იყო გველის, თანაც კობრას სახლში ყოლისთვის. ხომ შეიძლებოდა, რომ ბერძენა ვერ გადარჩენილიყო?

– იცი, სასამართლოზე რა თქვა იმ ნაბოზარმა? – უთხრა ბერძენამ ყბედალოს.

– რაო?

– რაო და, ჩემი გველის მკვლელობისთვის ამათ კიდევ ოთხ-ოთხი წელი დაუმატეთო.

– კარგი, კაცო!

– აბა?!

– წარმოგიდგენიათ? – ალაპარაკდა კბილგაყუჩებული ყბედალო, – ბაითში ვერ შესულხარ გველის შიშით და ჯიბეში ვერ ჩაგიყვია ხელი შიშით.

– რის შიშით, შენც გველი ხომ არ ჩიჩმე სხვის ჯიბეში? – ვკითხე ყბედალოს, მან კი მითხრა:

– გველი არა, მაგრამ, არც ბევრად ნაკლები.

– მართლა?

– მომისმინე და გეტყვი. კაროჩე, ერთხელ როსტოვის ავტობუსში ვჩალიჩობდი და ერთ მსუქან ბიძას ჯიბეში ჩავუძვერი, რომელიც კარგად იყო გამობერილი. ვიფიქრე, საფულეს ავპარსავ-მეთქი და, თითზე ჩამოკიდებული ვირთხა არ ამომყვა იქიდან?

– მოიცა, რა, შაყირობ?! – თქვა ბერძენამ, ყბედალომ კი დაიფიცა და დაამატა: არა, რა ვშაყირობ, ვირთხა იყო იმხელა, რომ კინაღამ ნახევარი ავტობუსი შეჭამა.

– მერე, როგორ მოახერხე მოტყდომა?

– რა მოტყდომა! მგზავრებმა კრისა დაბრიდეს, მისი პატრონი ავტობუსიდან ჩააგდეს, მე კი ექიმთან წამიყვანეს და შრატი გამიკეთეს.

– მართლა, ტო?! – არ დავიჯერე მე.

– ბოზი ვიყო, თუ რამე მომეტყუოს. იმ ნაბოზარს კრისა ამოვუყვანე ჯიბიდან და კინაღამ თითები მომჭამა. დასაბრედი იყო, აბა, რა იყო, – თქვა ყბედალომ, პირჯვარი გადაიწერა, მეორე ორასგრამიანი ჭიქა გამოცალა და გაჩუმდა.

ყბედალო მეორე დღეს როსტოვში გავაცილეთ და, უბანში რომ დავბრუნდით, ბერძენას ვუთხარი:

– ბერძენ, ძმაო, ზონიდან ერთი ნაკოლი წამოვიღე და, თუ თანახმა იქნები, ვიჩალიჩოთ.

– რა ნაკოლი, აბა, თქვი, – მითხრა ბერძენამ და გააბოლა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-47(673)**

## გაიღიმე, მოგეშვება...

თიკომ შეფარვით შეხედა ერთმანეთის გვერდით გაბუტულებივით მდგარ ზუკასა და გიგის. ზუკას აფეთქების კვალი ჯერ ისევ აჩნდა გიგის სახეზე და გაბრაზებასაც აშკარად არც ერთისთვის არ გაევლო. თითქმის არ ლაპარაკობდნენ. ზუკა დაუფარავად უბღვერდა ყოფილ მეგობარს. გოგომ გაიღიმა და თვითონაც მივიდა ყავის ჩამომსხმელ აპარატთან.

– უი, ხურდა არ მქონია, – თქვა სიცილით, – აბა, რომელი დამპატიჟებთ? გიგიმ მხრები აიჩეჩა, ზუკამ უსიტყვოდ მოიქექა ჯიბეები, რკინის ლარიანი იპოვნა და ჭრილში ჩაუშვა.

– შენ თავად აირჩიე, რძიანს დალევ თუ ურძეოს.

– ოჰო, თან ერთ ლარში უნდა ჩავეტიო, ხომ?

ზუკა უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა. გიგიმ ირონიულად გადახედა ორივეს:

– თიკო, შენ ჩვენი რაინდის მოთმინებას ნუ ცდი, თორემ, საქმის გარჩევა მუშტებით იცის, არ უჭირს ეგ საქმე.

ზუკამ იფეთქა:

– შენს ადგილას ჩუმად ვიქნებოდი, მაგრამ, ეტყობა, ფიქრობ, რომ დაუმსახურებლად მოგხვდა.

– სხვათა შორის, ეს საკითხი ჯერაც გასარკვევია, – მრავალმნიშვნელოვნად შემართა საჩვენებელი თითი გიგიმ და თიკოს თვალი ჩაუკრა, – შენ რას იტყვი საყვარელო, მეგობრებს შორის უნდა დარჩეს გაურკვეველი თემები?

– სანამ კიდევ მიმიმტვრევია შენთვის



ცხვირ-პირი, გაჩუმდი! დამიჯერე, ყველაფერი გარკვეულია და, თანაც, მე შენი მეგობარი აღარ ვარ.

– ბიჭებო, ნუ დახოცავთ ერთმანეთს. ვახო კაბინეტშია, პრობლემებს ნუ შეიქმნით.

– პრობლემები იმას ექმნება, ვინც სხვის საქმეში ცხვირს ყოფს, – ღრენით ჩაილაპარაკა ზუკამ, პლასტმასის ჭიქა მოჭმუჭნა, ურნაში ჩააგდო და ოთახიდან კარის გაჯახუნებით გავიდა.

– ვაიმე, როგორი გაბრაზებულია შენზე! – თვალები გაუფართოვდა თიკოს, – ასეთი რა დაუშავე?

– არაფერი. რისი დამშავებელი ვარ, არ მიცნობ? – მიამიტურად დაახამხამა წამწამები გიგიმ, – უწყინარი ვარ, როგორც აბრეშუმის ჭია.

– ოჰო, არ გრცხვენია მაინც? მე როგორ მეუბნები ამას? შენი შავი იუმორით იმდენჯერ მატირე, სათვალავიც კი ამერია.

– შავი იუმორი არაფერ შუაშია. ზუკას შემთხვევაში საკითხი აბსოლუტურად სხვანაირად დგას. მე ვცდილობდი, მასზე მეზრუნა, მაგრამ, ვერ გამიგო. ისე კი, რა ჩემი ბრალია, ზოგიერთები ხუმრობაზე რომ ხართ აცრილები.

– აცრილი ვინც არის, სახეზე ეტყობა, – დასცინა გოგომ და კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, რომ კაბინეტიდან გაფითრებული ვახო გამოვიდა.

– შემოდი შენ ჩემთან, – ჩავარდნილი ხმით უთხრა გიგის და მაშინვე უკან შებრუნდა.

თიკომ სინანულით გადააქნია თავი:

– კიდევ კარგი, დღის ბოლოა და სახლში მივდივარ. ვატყობ, აქ კიდევ ატყდება ქარიშხალი, დროზე გავასწრო, სანამ აგრესია ჩემზეც გადმოსულა.

– წინასწარ პროგნოზს ნუ გააკეთებ, საყვარელო. ისე არ წვიმს, როგორც ქუხს, არ იცოდი?

– კარგი, კარგი, შედი ვახოსთან. საქმე აქვს ადამიანს. მე როგორმე აგიტან და იმან იდარდოს, ვინც შენ გვერდით იქნება.

კაბინეტში შესულ გიგის ვახო ისეთი გაღიზიანებული დახვდა, რომ მაშინვე ჰკითხა:

– რამე მოხდა? იცი, სახეზე რა ფერი გაქვს? ქეთის ხომ შეხვდი და ეჩხუბე?

– მოდი, დაჯექი... – ვახომ ამოიოხრა, – ფანჯარა გააღე და სიგარეტი მომეცი.

– აუ, შენ მართლა ცუდად ხარ, აშკარად ქეთის ელაპარაკე.

– ჰმ, ქეთი... ქეთის არც ვახსოვარ და, საერთოდ, ჩემს ცოლს ვიღაც ტვინს ურევს. მაგის დედას მ...ავ! – შეიგინა ვახომ და მაგიდის ზედაპირს მუშტი გამეტებით დაჰკრა.

გიგი გაფითრდა:

– შენ რა, ხუმრობ? რაზე ლაპარაკობ, საერთოდ არ მესმის. ვინ გითხრა ეგ სისულელე.

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მითხრა? სისულელე კი არა, ნაღდი ამბავია. ქეთი, ჩემი ცოლი, ვიღაცას ხვდება... ჩემი ცოლი!.. ჯერ ისევ ჩემი ცოლია, ხომ მართალი ვარ?! იმდენს ბედავს, რომ ყველას დასანახად, აშკარად და დაუფარავად ეარშიყება უცხო მამაკაცს. ახლა გეკითხები, მე რა უნდა ვქნა, როგორ უნდა მოვიქცე?! – ვახომ ნელ-ნელა აუწია ხმას და სიგარეტს ნერვიულად მოუჭირა კბილები.

ოთახში ცოტა ხანს სიჩუმე იყო. გიგი ფიქრობდა და არ იცოდა, რა ეთქვა. სიტყვებს არჩევდა. სიტუაცია რთული იყო. ქეთის ვერ გალანძღავდა, მაგრამ, ვერც ვახოს ეტყოდა, დამშვიდდი, ისეთიც არაფერი ხდებაო.

– ბიჭო, რა მიკვირს, იცი? რომ გეკითხა, ვუყვარდი და გიჟდებოდა ჩემზე... თიკოზეც კი იეჭვიანა...

– რა?! თიკოზე? ჩვენს თიკოზე? ღლადობ?

– რას ვღადაობ. დამაცადე, ბოლომდე ვთქვა... დიახ, სწორედ ჩვენს თიკოზეც კი ეჭვიანობდა. დედას ვფიცავარ, გაოგნებული ვარ. ერთი თვეც არ გასულა, რაც სახლიდან წამოვედი და ეგრევე შემცვლელი მომიძებნა.

– ნუ აჭარბებ. რა შემცვლელი! გულახდილად გითხრა, არ მჯერა, რომ ქეთის ასეთი რაღაცის გაკეთება შეუძლია. ხომ იცი, როგორი თვალი მაქვს. არ არის ეგეთი ტიპაჟი.

– ეე, ახლა ნუ დამიწყე. გეუბნები, ვიღაცასთან დადის-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, სამსახურში აკითხავს, სახლში აცილებს და შეყვარებული თვალებით უმზერს. ისიც ხომ ფაქტია, რომ ქეთის ერთხელაც არ დაურეკავს და შერიგება არ უცდია.

– ნუ, ნაწყენია... ქალია... შენ კი სახლიდან წამოხვედი...

– ხო, წამოვედი... მეც მაწყენინეს და იმიტომ... მერე, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახი აღარ მინდა? ქეთისთვის კი, ეტყობა, სულერთია...

– მოიცა, მოიცა, ძმურად, მითხარი, ვინ გაგაგებინა, რომ ქეთისთან ვიღაც დადის?

– შენთვის ეს რატომ არის მნიშვნელოვანი? არ შეგიძლია, სიტყვაზე მენდო? იმიტომ დაგიძახე და მოგიყევი ეს ამბავი, რომ მითხრა, როგორ მოვიქცე. პრინციპში, შენი თქმაც არ მინდა, გავიგებ, ვინ არის და დავუნაყავ თავ-პირს, თან, პირდაპირ ქეთის ცხვირწინ. იმ ქალბატონთან კი მერე გავარკვევ ურთიერთობას.

– აუჰ, ეგ არ ქნა! შარი არ გინდა. რაც უნდა იყოს, პრესტიჟული ფირმის შეფი ხარ, ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო და სანდო კომპანიად ვითვლებით... რამდენი შრომა დაგვჭირდა ამ ყველაფრის შესაქმნელად და ერთი ჩხუბით წყალში უნდა ჩაყარო ყველაფერი?

– აბა, რა ვქნა, თუკი ეს ჩხუბი ღირსების საკითხია?! მშვიდად ვუყურო, როგორ მიშვრებიან თავზე? მერე ვინ? – ჩემი ცოლი! ჩემი ცოლის დედაც...

– ღირსების საკითხი რომ არის, იმიტომაც გმართებს დაფიქრება და სიფრთხილე. ხმაურისა და სკანდალის ატეხა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ, უნდა გაითვალისწინო, ამ ყველაფერს რა მოჰყვება. მე ჩემსას გეტყვი და მერე შენ იცი შენი საქმის. ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ. მგონი, ჯერ ქეთის უნდა დაელაპარაკო.

– ქეთის, ხო?! – კბილები გააღრჭიალა ვახომ, – მე ვიცი, მაგას როგორ დაველაპარაკები!

– ცოტა დამშვიდდი და ისე, უარესად ნუ გაამწვავებ სიტუაციას.

– როგორ უნდა დავმშვიდდე? რადგან ჩემს ყურამდე მოვიდა ეს ამბავი, ხომ წარმოგიდგენია, რა დღეშია.

– მოიცა, რა... ხალხი ბოროტია... გეუბნები, ქეთი ის ნატურა და ტიპაჟი არ არის, აიწყვიტოს და ქვეყანა ალაპარაკოს. იმიტომაც მაინტერესებდა, ვინ გაგაგებინა ეს ამბავი.

– ბიჭო, ყველას ცხვირწინ აკითხავს სამსახურში-მეთქი, ვერ გაიგონე? ამაზეა, რომ ვგიჟდები. გამოდის, რომ ქეთი უკვე აღარ ერიდება იმას, რომ მისი ამურული თავგადასავლების ამბები ჩემს ყურამდეც მოაღწევს, ანუ, სერიოზულად ფიქრობს ოჯახის დანგრევაზე.

– კარგი, რა, იქნებ, პირიქით, ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობს? – ხავსს მოებღაუჭა გიგი.

– სისულელეს ნუ ლაპარაკობ. ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობს და მთელი თანამშრომლების დასანახავად უცხო კაცს ელაქუცება?! არა, არა... უნდა ვცემო! – ისევ იფეთქა ვახომ.

– შენ და ზუკა მუშტების გარეშე ვერ აგვარებთ ურთიერთობებს... მოიცადე, რა, ვიფიქროთ ცოტა. მგონი, მაინც ქეთისთან დალაპარაკება აჯობებს.

– ჰო?! – ირონიულად ჩაიცინა ვახომ, – სავარაუდოდ, ქეთი ახლა იმ თავის თაყვანისმცემელთან ერთად ერთობა. ჩემი თავის ამბავი რომ ვიცი, ბრაზს ვერ შევიკავებ და საშინელებას დავატრიალებ.

– არ გინდა-მეთქი! მე ხომ არ ვნახე ნინის შეყვარებული და არ ვცემე? შენც მშვიდად შეხვდი მის გადაწყვეტილებას.

ვახომ გიგის შეხედა და სახე ერთიანად გაუწითლდა. გიგი მიხვდა, რომ რაღაც ისე ვერ თქვა.

– შენ გიჟი ხარ თუ სპეციალურად მეუბნები ასეთ რაღაცეებს, რომ გავცოფდე? ნინისა და ქეთის შორის განსხვავებას ვერ ხედავ? უფრო სწორად, ჩვენს ურთიერთობებს შორის? ქეთი ჩემი ცოლი და ჩემი შვილის დედაა, შენ კი ნინის ცოლად შერთვა საერთოდ არ გინდოდა. თუ გახსოვს, სწორედ მაგ მიზეზით იჩხუბეთ.

– ანუ, იმის თქმა გინდა, რომ მე ვარ მთავარი დამნაშავე, ნინი კი ანგელოზია? მაგ პრინციპით, არც შენ ხარ მართალი ქეთისთან, – არ დაინდო გიგიმაც, რომელზეც ცუდად იმოქმედა ნინის ასეთ კონტექსტში მოხსენიებამ. კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და ერთბაშად აყვირდა: არა რა, მეც უნდა მიმებეგვა ის მუტრუკი!

ვახომ შეხედა და მოულოდნელად ისტერიული სიცილი აუტყდა:

– მაგარ დღეში ვართ, ხომ იცი – ორივეს თითო მუტრუკი გვყავს საცემი. ერთად ხომ არ ვქნათ ეს ამბავი?!

– შენ ხუმრობ და, მე სერიოზულად უნდა ვიფიქრო ნინის დაბრუნებაზე. ქაჯი ხომ არ ვარ, ვიღაც კუნთებდაბერილმა მუტრუკმა შეყვარებული ამახიოს. რა შეყვარებული, ტო... ლამის ცოლი იყო.

– მოიცა, მართლა აპირებ, ნინი დაიბრუნო? – გაოცდა ვახო.

– რატომაც არა?! რაც მე მეკუთვნის, იმას სხვას არ დავუთმობ და, ახლა არ დამიწყო, რომ ქალი კერძო საკუთრებად არ განიხილება. ძალიან კარგადაც განიხილება. ვითომ, რატომ არა?!

– პრინციპში, გეთანხმები... ორივე დავიბაროთ და ვცემოთ, – გაიცინა ვახომ, მერე ერთბაშად დასერიოზულდა: ასე ადვილად არ გამოვა ეგ ამბავი. მოკლედ, რაღაც უნდა მოვიფიქროთ. გაქვს რამე იდეა? ოღონდ, სერიოზულად.

– არ ვიცი. ეგრევე მუშტი-კრივზე რომ არ გადავალთ, ფაქტია. მოიცა, იქნებ მე დაველაპარაკო ქეთის, შენ კი – ნინის?

ვახომ კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა.

– ეგ რას მოგვცემს?

– ნიადაგს მაინც მოვსინჯავთ.

– რა ნიადაგს?

– ნუ, გავიგებთ, რას ფიქრობენ ჩვენზე, ანუ, რა შანსები გვაქვს.

ვახომ ამოიოხრა:

– მე ერთადერთი შანსი მაქვს – ჩემი ცოლის ახალგამოჩეკილ თაყვანისმცემელს ჭკუა ვასწავლო და ქეთისაც გავაგებინო, რომ ისე არ არის, მაგას რომ ჰგონია.

– რას აპირებ?

– ხვალ საღამოს მივადგები ქალბატონს სამსახურში და ვნახავ, ვინ მომიძებნა შემცვლელად.

– სახლში მისვლა არ გირჩევნია?

ვახომ თავი გააქნია:

– ფაქტზე თუ არ გამოვიჭირე, შეიძლება, თავი გაიგიჟოს და იუაროს. იქ უნდა მივადგე. როგორც ვიცი, თითქმის ყოველ საღამოს მიდის. ოხ, ქეთი, ქეთი, შენგან არ ველოდი ამას.

– მეც მივადგე ნინის? – ჰკითხა გიგიმ.

– ეგ უკვე აღარ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ვახომ, – შენთან უკვე გარკვეულია ყველაფერი. ჯერ გადაწყვიტე, გინდა თუ არა ნინისთან ყოფნა და მერე აურიე იმ გოგოს ცხოვრება თავიდან.

– მაგას იმიტომ მეუბნები, არ გჯერა, ნინის მიმართ გრძნობა რომ მაქვს?

ვახომ თავი დაუქნია.

– შენ გინდა ისევ ქეთისთან ყოფნა? – კითხვა შეუბრუნა გიგიმ.

– ახლა ვფიქრობდი ამაზე და, მინდა. მგონი, წეღან სიმართლე ვთქვი – ქალი შეიძლება მივაკუთვნოთ კერძო საკუთრებათა ნუსხას. ნამდვილად მაქვს ჩემი ცოლის მიმართ რაღაც მაგის მსგავსი გრძნობა.

– აბა, რა... ჰოდა, რატომ უნდა დავთმოთ ჩვენი საკუთრება?! – სწრაფად დაეთანხმა გიგი.

***

ქეთი უხერხულად იჯდა და კაფეში მყოფებს დაძაბული ათვალიერებდა.

– ასე ძალიან ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად არის.

– ჰო? ასეთ სიტუაციებს შეუჩვეველი ვარ. ყოველ წუთს ველოდები, რომ კარი გაიღება და ჩემი ქმარი შემოვა.



– ჩვენი მიზანიც ხომ ეს არის? – გაუღიმა თომამ.

– არ ვიცი, ცოტა დავიბენი. არის კი ეს ჩემი მიზანი? მგონი, ლიზას მიზანი უფროა. მეეჭვება, ასეთმა მეთოდმა გაამართლოს.

– ვნახოთ, – ბიჭმა ისევ გაუღიმა, – მთავარია, რომ არაფერს ვაშავებთ.

– ჰო, მაგრამ, დისკომფორტის განცდა მაინც მაქვს. უცებ რომ მოვიდეს?

– ვინ, თქვენი მეუღლე? არ არის პრობლემა, მე არ მეშინია.

– ვიცი, – ქეთიმ მისი ზორბა, ბრგე სხეული შეათვალიერა, – მე მეშინია...

– ნუ ფიქრობთ ამაზე, არაფერი მოხდება.

ქეთიმ ჩაი მოსვა და მოულოდნელად ჰკითხა:

– თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემი ქმრის ადგილას?

– მე?! – ბიჭი დაიბნა. ერთბაშად ვერაფერი უპასუხა, – გულახდილად გითხრათ? ვიბრძოლებდი თქვენთვის და არაფრის დიდებით არ დაგთმობდით.

– მართლა? – ქეთის თვალები გაუბრწყინდა, – გმადლობთ ასეთი სიტყვებისთვის.

– იცით, როგორ ძალიან გეტყობათ, ქმარი რომ გიყვართ? თქვენმა მეუღლემ ეს უნდა დააფასოს.

ქეთიმ ამოიოხრა:

– ნეტავი, ცუდად არ დასრულდებოდეს ეს ყველაფერი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# მხოლოდ ქალებისთვის

***სიყვარული, ერთგულება, ღალატი, სიმართლე, მოლოდინი, შურისძიება, სინანული... – ეს მარადიული თემებია.***

***ამ რომანში ბევრი ქალბატონი ამოიცნობს ეპიზოდებს საკუთარი ცხოვრებიდან. არცაა გასაკვირი, რადგან, რომანი რეალურ ფაქტებზეა აგებული – მთავარი გმირის, ანუკას თავგადასავალში რამდენიმე ქალის რეალურად თავსგადახდენილი ისტორიაა თავმოყრილი***

რომ გაიპარნენ, გელა 24 წლის იყო, ანუკა – 19-ის. სამი წელი უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ, ჯერ პატარები ხართო, ერთმანეთი უკეთ გაიცანითო, თქვენი გრძნობა გამოსცადეთო, ინსტიტუტი დაამთავრეთო, სამსახურები იშოვეთო... მოკლედ, ესაო, ისაო, მაგრამ, ჯერ ადრეა თქვენი დაქორწინებაო... ამიტომაც, სამი წლის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს, სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდნენ. ითმინეს გელამ და ანუკამ, ითმინეს და, სამი წლის შემდეგ ადგნენ და გაიპარნენ. ისე, ვის გაეპარნენ, თვითონაც არ იცოდნენ, უბრალოდ, თავიანთი ჭკუით, მეტი რომანტიკა შესძინეს სამწლიან სიყვარულს, თორემ, არც გელას მშობლები იყვნენ ანუკას წინააღმდეგი და არც ანუკას მშობლებს ჰქონდათ რამე პრეტენზია გელას მიმართ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა.

გაიგეს ოჯახებმა, გაიპარნენო და, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ატყდა ერთი ამბავი: ანუკას დედამ, ოლიკომ, მოთქმით დაიწყო და მუქარით დაამთავრა სიტყვაში გამოსვლა – არ დამენახონ თვალით, თორემ, დავხოცავ ორივესო; ანუკას მამამ, გოგიმ – ეს როგორ გამიბედა ჩემმა შვილმა, როგორ მაკადრაო, მაგის მამობაზე ხელს ვიღებო; გელას დედამ, ლელამ, საერთოდ ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ ის თქვა, ღმერთო, ორივე მშვიდობით დააბრუნე სახლშიო, – და გაჩუმდა; გელას მამამ კი უხმოდ ამოიღო ჯიბიდან მობილური, შვილის ძმაკაცებს დაურეკა, გაიგო, სად გაიპარნენ გელა და ანუკა და, ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, სახლიდან გავიდა.

– ანდრო, სად მიდიხარ? – სასოწარკვეთილი ხმით დაედევნა ცოლი.

– დამელოდეთ! – კიბიდან ამოსძახა ანდრომ, მერე სადარბაზოსთან მდგარი თავისი „მერსედესი“ დაქოქა და ერთ საათში თავზე დაადგა მისი დანახვით გაოცებულ და შეშინებულ ნეფე-პატარძალსა და მათ მასპინძლებს.

ანდროს დანახვაზე გელა დაიბნა, ანუკამ დაიმორცხვა, მასპინძლები და რამდენიმე ახალგაზრდა გოგო-ბიჭი კი შეშინდნენ, აქ ამბავი არ ატყდესო, მაგრამ ანდროს არავისთვის მიუქცევია ყურადღება, საერთო სალამი თქვა და პირდაპირ ანუკას მიადგა:

– არ დამიმალო, მართალი მითხარი – მოგიტაცა თუ გამოიპარეთ?

ანუკას ისე შერცხვა, ისე, რომ კინაღამ გული გაუჩერდა. კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო, იდგა თავჩაღუნული და იატაკს ჩასჩერებოდა. ანდრომ აცადა გონზე მოსვლა და კითხვა გაუმეორა. ანუკამ ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ოდნავ გასაგონად ამოიჩურჩულა:

– მე თვითონ წამოვყევი...

ანდროს თითქოს ლოდი მოეხსნა, ანუკა გულში ჩაიკრა და ასე ჩახუტებული მიიყვანა სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან.

– ღვინო დამისხით! – გასცა ბრძანება და თვალით უხმო კართან აწურულ თავის შვილს. გელა ნელი ნაბიჯით მივიდა მამასთან და გვერდით დაუდგა.

– მე რას დამიდექი გვერდით, შე მამაძაღლო, დადექი ანუკასთან! – ანდრომ ხელით უბიძგა ნეფეს და შევსებული სასმისი ასწია:

– ხალხო! დღეს მე უბედნიერესი კაცი ვარ. დღეიდან ორი შვილი მყავს და, მინდა, მათ დიდი სიყვარული ვუსურვო. ამათი ცუდი ნუ გამაგონოს ღმერთმა!.. – ანდროს მღელვარებისგან ხმა ოდნავ აუკანკალდა და თვალზე მომდგარი ცრემლი რომ არავის დაენახა, სასწრაფოდ გამოცალა სასმისი, – დანარჩენს დღეს საღამოს მოგახსენებთ. ყველას, ვინც აქ ხართ, ჩემთან გელოდებით. დათუნა! – მიმართა შვილის ერთ-ერთ ძმაკაცს, – შენ გავალებ ამ საქმეს. ჩემი ტელეფონის ნომერი და მისამართი იცი. ყველას დაუგვიანებლად ჩამომიყვან, – შემდეგ ანდრომ დათუნას ჯიბეში ფულის საკმაოდ მოზრდილი შეკვრა ჩაუდო, შვილი და რძალი გადაკოცნა, კიდევ ერთხელ მიულოცა, დაბნეულ გელას ხუმრობით მსუბუქად წაუთაქა, იქ მყოფთ მადლობა გადაუხადა და სალამომდე დაემშვიდობა.



– წამოდით, შვილებო, სახლში, – ხელი ჩაჰკიდა ანდრომ ნეფე-პატარძალს და მანქანისკენ წაიყვანა. გზაში მობილურით რამდენიმე ძმაკაცს დაურეკა, რაღაც დავალებები მისცა და ბოლოს ცოლთან დარეკა – მოვდივართ და მძახლებიანად სახლში დამხვდითო. თვითონ კი გზიდან გადაუხვია და თბილისში საუკეთესო მაღაზიასთან შეჩერდა. მერე დაბნეული გელა და ანუკა ძალით გადმოიყვანა მანქანიდან და მაღაზიაში შეუძღვა. ახალგაზრდა, ლამაზმა და, ამავე დროს, ადამიანების ამოცნობაში განაფულმა გამყიდველებმა უმალ იგრძნეს „მსუყე“ კლიენტი და მომხიბვლავი ღიმილით შემოეხვივნენ.

– ორივე თავიდან ფეხებამდე გამოაწყვეთ. ყველაფერი საუკეთესო შეურჩიეთ, უპირველეს ყოვლისა – საპატარძლო კაბა. ნეფესაც ჩააცვით! – გასცა ბრძანება გელას მამამ. გამყიდველი გოგონები დაფაცურდნენ, ბედნიერებისა და მოულოდნელობისგან გაბრწყინებულ ანუკასა და გელას ხელი ჩაჰკიდეს და სადღაც გააქანეს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კი პარკებითა და ყუთებით დახუნძლულები გამოლაგდნენ მაღაზიის ფოიეში. ანდრომ ნავაჭრი მანქანაში ჩააწყობინა და ნეფე-პატარძალი საუკეთესო სალონში გააქანა. ცოტა ხანში, დავარცხნილ-გალამაზებულები, პარკებიან-კოლოფებიანად, საბურთალოზე წაიყვანა, სადაც გაწყობილ-გაწკრიალებული სამოთახიანი ბინა ჰქონდა დაკეტილი. ბინის კარი თვითონ გაუღო, ხმაურით შეუძღვა ოთახებში და საზეიმოდ გამოუცხადა:

– ეს ბინა თქვენია, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, მაგრამ, აქ მაშინ გადმოხვალთ საცხოვრებლად, როცა მე დაგრთავთ ნებას. მანამდე ჩვენთან იცხოვრებთ! ახლა კი სასწრაფოდ გამოიცვალეთ ტანსაცმელი. ჯერ სახლში მივდივართ, მერე ეკლესიაში, ეკლესიიდან კი – რესტორანში, 8 საათზე ხალხი გველოდება.

ყველაფერი თითქოს სიზმარში ხდებოდა. ანუკამ და გელამ მორთვა-მოკაზმვა არც ისე სწრაფად მოათავეს და გაბრწყინებულები გამოეცხადნენ სავარძელში განცხრომით გადაწოლილ ანდროს.

– რა ლამაზები ხართ! მადლობელი ვარ, მამა, ასეთი ბედნიერება რომ მომანიჭეთ! ქალიშვილი არ მყავდა და ახლა ისიც გამომიგზავნა ღმერთმა! – ანდრომ ორივე გულში ჩაიკრა, გადაკოცნა, მერე კი ოდნავ მოშორებით დადგა და კრიტიკული თვალით შეათვალიერა ნეფე-პატარძალი – ხომ ყველაფერი წესრიგში აქვთო.

– ღმერთმა კი არა, შენმა ერთადერთმა შვილმა! – პირველად ამოიღო ხმა გელამ და ამაყად გადახედა ანუკას.

– შენ – ჩუ, შენ მერე მოგელაპარაკები! – ხუმრობით შეუწყრა ანდრო შვილს და ორივე ააჩქარა.

თხუთმეტ წუთში პიპინ-პიპინით მიადგა „მერსედესი“ ანდროს სახლს. მეზობლები ფანჯრებში იყვნენ გადმოკიდებული, ბავშვები სადარბაზოსთან მოგროვდნენ.

... დედამთილი, თაფლიანი ფიალით ხელში, კარში გამოეგება შვილსა და რძალს, ამოტრიალებული თეფში დაუდო ზღურბლთან, პატარა კოვზით ორივეს თაფლი ჩაუდო პირში და ტკბილად დაბერება უსურვა. შამპანურის რამდენიმე ბოთლი ერთად აფეთქდა, ერთმანეთში აირია მილოცვა, დალოცვა, სადღეგრძელო, სიცილი, ცრემლი...

– აბა, ახლა კი ყველანი ეკლესიაში! – ბრძანა ცოტა ხანში ანდრომ, პირველი თვითონ დაიძრა და თან ასკაციანი ამალა გაიყოლა.

ჯვრისწერა ყველა წესისა და რიგის დაცვით ჩატარდა. სახელდახელოდ მოწყობილი ქორწილიც ისეთი გამოვიდა, კაცი იფიქრებდა,

სულ მცირე, ერთ თვეს მაინც ემზადებოდნენ. ანდროს წყალობით, იქვე მოხდა ანუკას მშობლების შემორიგებაც. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე დამთავრდა, ზღაპრებში რომ ხდება ხოლმე. მეორე დილას ანუკამ და გელამ ხელიც მოაწერეს და იმავე საღამოს ანდრომ ნეფე-პატარძალი საქორწინო მოგზაურობაში პარიზში გაუშვა.

საფრანგეთში გატარებულმა ერთმა თვემ უცბად გაირბინა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თბილისში დაბრუნდა და ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. გელას დედ-მამა თან ჰყვებოდა რძალს: ხელისგულზე ატარებდა, ყველანაირ კომფორტს უქმნიდა, ყველა სურვილს უსრულებდა. ანუკაც ცდილობდა, სითბო და ყურადღება არ მოეკლო მზრუნველი დედამთილ-მამამთილისთვის. გელა ხომ თაფლად და შაქრად ილვრებოდა – გიჟდებოდა ცოლზე, თვალებში შესციცინებდა, უიმისოდ ფეხს აღარსად ადგამდა. ერთი სიტყვით, ბედნიერებით ხარობდა ოჯახი. მათი ბედნიერება ერთი წლის თავზე პატარა ანდრო ასათიანის ამქვეყნად მოვლინებამ გააათმაგა, კიდევ ორი წლის შემდეგ კი – ხატულა გოგონას გაჩენამ, რომელსაც ანუკას ინიციატივით დედამთილის სახელი – ლელა დაარქვეს.

წელი წელს მისდევდა. ბავშვები იზრდებოდნენ. გელამ რაღაც ბიზნესი წამოიწყო და აღარ იყო მამის ხელის შემყურე, ცოლი კი არ გაუშვა სამსახურში – სანამ ფეხზე ვიდგები, მე ვარ ვალდებული, ოჯახი შევინახოო. ანუკაც აღარ გასძალიანებია. ბავშვები დედამ უნდა გაზარდოსო, – ფიქრობდა და ძიძაც დაითხოვა.

გავიდა რამდენიმე წელი. პატარა ანდრო უკვე მესამე კლასში გადავიდა, ლელა პირველ კლასში შეიყვანეს. თითქოს ყველაფერი ისევ ისე იყო: ბებია-ბაბუა მზრუნველობას არ აკლებდა რძალსა და შვილიშვილებს, გელაც თან ჰყვებოდა ცოლ-შვილს, მაგრამ, ანუკა რაღაც ცვლილებასატყობდა ქმარს. რას – ვერ ხსნიდა, თუმცა, უსიამოვნო შეგრძნება მუდამ თან სდევდა და განსაკუთრებით მაშინ უძლიერდებოდა, როდესაც გელა გვიან საღამოს ბრუნდებოდა სახლში სამსახურიდან. ანუკა კარს გაუღებდა, გაუღიმებდა და, სანამ ქმარი ტანსაცმელს გამოიცვლიდა და ხელ-პირს დაიბანდა, ვახშამს გაუწყობდა, თვალებში შესციცინებდა. გელა კი, დაბნეული თუ დაძაბული, ნაძალადევად გაუღიმებდა, დაღლილობას იმიზეზებდა და მაშინვე დასაძინებლად მიდიოდა.

„რა მჭირს, რატომ მემართება ასეთი რამ? თითქოს ყველაფერი ძველებურადაა, მაგრამ, მაინც რაღაცა ისე აღარ არის. ვგრძნობ, რომ რაღაც შეიცვალა, მაგრამ, რა?" – მთელ ღამეს ფიქრში ათენებდა ანუკა.

ისე, კაცმა რომ თქვას, გელაზე საყვედური ნამდვილად არ ეთქმოდა: ისეთივე ყურადღებიანი და მზრუნველი ქმარი და ისეთივე გიჟი მამა იყო, თუმცა, ქალური ალღო ანუკას რაღაცის შესახებ აფრთხილებდა.

ბოლოს, გადაწყვიტა, კარგად დაჰკვირვებოდა ქმარს და დაედგინა ის ცვლილება, რაც ასე აღელვებდა და აშინებდა.

და, დაიწყო ჩუმი ომი, თუ ამას ომი ერქვა: ყოველი საღამო ერთი შეხედვით ისევ ისეთი იყო – ცოლ-ქმრის თბილი შეხვედრა, გულითადი საუბარი ჩვეული შეკითხვებით:

– რა ხდებოდა დღეს სახლში, როგორ იყავით უჩემოდ?

– რა მოხდა დღეს სამსახურში საინტერესო?..

და ასე შემდეგ, მაგრამ, მათ ურთიერთობაში თანდათან გაჩნდა ყინულის ერთი პატარა ბურთულა, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა და, როდის იქცეოდა დიდ აისბერგად, არავინ იცოდა. ამ ყინულის ბურთულის არსებობა ანუკამ ცოტა გვიან დააფიქსირა, მაშინ, როდესაც დაღლილობის მომიზეზებით ქმარმა უკვე მეოთხედ თუ მეხუთედ უთხრა უარი ალერსზე. მართალია, ეს უარი თავაზიანი იყო და ბოდიშებით აღსავსე, მაგრამ, მაინც უარი ერქვა. ანუკა დააფიქრა ამ ამბავმა და ბოლოს იმაშიც გამოუტყდა თავს, რომ მათი ცოლქმრული ურთიერთობა ბოლო ხანებში უფრო მოვალეობის მოხდა იყო, ვიდრე ვნება და სიყვარული.



ამ აღმოჩენამ ანუკა შეაშფოთა და დააფიქრა.

ერთხელაც, როდესაც საღამოს სახლში მოსულ ქმარს კარი გაუღო და ღიმილით მიუშვირა ლოყა საკოცნელად, უცბად მიხვდა, რა ცვლილებას ამჩნევდა მასში.

„თვალს ვერ მისწორებს!" – გაიფიქრა ელდით და უცბად რაღაცნაირად ჩაქრა, ჩამოილვენთა, დაპატარავდა.

ვახშამი მაინც გაუწყო. ნახევარი დღე მოანდომა მისი საყვარელი კერძის მომზადებას და სიურპრიზად დაახვედრა. თანაც, გელა იმ დღეს ჩვეულებრივზე უფრო გვიან მოვიდა და, წესით, ძალიან უნდა შიებოდა.

სამზარეულოში რომ შევიდა და კოხტად გაწყობილი სუფრა დაინახა, გელა, რატომღაც, გაღიზიანდა, მაგრამ, შეეცადა, არ შეემჩნია. დედ-მამას და ბავშვებს უკვე ეძინათ და ამიტომ ცოლ-ქმარი მარტო მიუჯდა სუფრას. ანუკამ კერძი გადმოუღო საინზე, თვითონ კი ჩაი დაისხა და წინ დაუჯდა. საუბარი ვერ აეწყო. გელა დაბნეული და დაძაბული ჩანდა და გამალებული ჭამდა საჭმელს, თუმცა, აშკარად ეტყობოდა, არ შიოდა.

– ხომ მშვიდობაა სამსახურში? – ფრთხილად ჰკითხა ანუკამ.

– არის, რა! – მოკლედ უპასუხა გელამ და ლუკმა უგემურად გადაყლაპა, – რაღაც, მეტი აღარ მინდა, არადა, როგორ მშიოდა, – თქვა უმწეოდ და თეფში გვერდზე გასწია..

– ჩაი დაგისხა? – ანუკა წამოდგა და ფინჯანი გამოიღო კარადიდან.

– რა ვიცი, თუ გინდა, დამისხი.

ქალმა ოხშივარავარდნილი ჭიქა წინ დაუდგა ქმარს და უფრო თავისთავს ჰკითხა:

– ამ ბოლო დროს თითქმის არასდროს მოდიხარ მშიერი. სადმე სხვაგან სადილობ ხოლმე?

გელა შეცბა, სახე დაეძაბა, მაგრამ, თავს ძალა დაატანა და ძალით გაიცინა:

– კი, როგორ არა, მე და ამერიკის ელჩი „მარიოტში" დავდივართ სადილად.

– მარტო შენ და ელჩი?

– აბა, კიდევ ვინ?

– რა ვიცი, ისე გკითხე.

– შენ რა, დაკითხვებს მიწყობ? ეჭვიანობა დაიწყე? – გაღიზიანდა გელა და ხმას აუწია.

– რატომ ბრაზობ, ასეთი რა გკითხე? – ხმა აუთრთოლდა ანუკას.

– თუ ქალი ხარ, ახლა ცრემლები არ გადმოყარო, ისედაც ნერვები მაქვს მოშლილი და, საერთოდ, ამ სახლში ჯდომამ, მგონი, მთლად გამოგაშტერა.

ანუკა გაშრა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა გელამ ასე უხეშად მიმართა. თითქოს გული გაუჩერდა. რომ არ ატირებულიყო, ჩუმად ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

გელა მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და უფრო აეშალა ნერვები, მაგრამ ახლა ნამდვილად არ აწყობდა ცოლთან უსიამოვნება, თავს ძალა დაატანა, ანუკას მიუახლოვდა, მოატრიალა და გულში ჩაიკრა:

– ჰო, კარგი, დაწყნარდი. რაღაც უსიამოვნება მოხდა სამსახურში და ნერვები ველარ მოვთოკე. მაპატიე, – და თვალებში აკოცა, ისე, როგორც უწინ იცოდა ხოლმე. მაგრამ, ანუკამ იგრძნო, რომ ეს კოცნაც აღარ იყო უწინდებურად მწველი. ხელიდან გაუსხლტა, საძინებელში შევიდა, კარი შიგნიდან ჩაკეტა და საალერსოდ მომზადებული ქმარი სახტად დატოვა.

***

დღე დღეს მისდევდა, თვე – თვეს. გელა აღარ უხეშობდა, აღარც ანუკა იბუტებოდა. თითქოს ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა; ის საღამოც თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ, ქმრის გესლიანმა ფრაზამ – სახლში ჯდომამ გამოგაშტერაო, ანუკა გამოაფხიზლა. დიდხანს იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, ცხოვრების წესი შეეცვალა. კარგა ხნის უნახავ მეგობრებს ჩამოურეკა და საღამოს ყავაზე დაპატიჟა. სასიამოვნოდ გაატარეს დრო: იჭორავეს, იცინეს, ერთმანეთის ნახვით გაიხარეს და შემდეგი შეხვედრა შაბათ საღამოს კაფეში დათქვეს. მათი შეხვედრები გახშირდა და ანუკაც უფრო ხალისიანი გახდა.

ორიოდე თვის შემდეგ ერთ-ერთმა მეგობარმა ანუკას სამსახური შესთავაზა – სილამაზის სალონს ვხსნი და ექიმი-კოსმეტოლოგი მჭირდებაო. ანუკა მაშინვე დათანხმდა. ყველაფერზე ერთად იბინეს – საბუთების მოწესრიგებაზეც, სალონის მოწყობაზეც, რეკლამაზეც და, როცა ყველა პრობლემა მოაგვარეს, ანუკამ მხოლოდ მაშინ ჩააყენა ოჯახი საქმის კურსში:

– სამსახურს ვიწყებ!

დიდებმაც და პატარებმაც გაოცებით შეხედეს, ისეთი გამოწვევა იგრძნობოდა ამ პატარა წინადადებაში.

– რა გაგვიჭირდა, მამა, სამაგისო? – ცოტა არ იყოს, წყენით იკითხა ანდრომ.

– შენი სამსახური ბავშვებია. ამათ მიხედო, ის გირჩევნია! – საკმაოდ უხეშად უთხრა ქმარმა.



– რას დაესიეთ ამ ბავშვს! ძალიანაც კარგს იზამს. ახალგაზრდა ქალი რატომ უნდა იყოს სახლში გამოკეტილი? კი, დედა, გადი სამსახურში. ბავშვების დარდი ნუ გექნება, აგერ არ ვარ? – სიხარული ვერ დამალა ანუკას დედამთილმა. დედის გული რაღაცას გრძნობდა და, ეგონა, რძლის მუშაობის დაწყება სასიკეთოდ შეცვლიდა მისი შვილის ცხოვრებას.

– სახლში იჯდები და ოჯახს მიხედავ! – ცივად თქვა გელამ და ცოლს ისეთი თვალებით შეხედა, აგრძნობინა, საუბარი დამთავრებულიაო.

– რატომ, უარესად რომ გამოვშტერდე? – ირონიული ღიმილით იკითხა ანუკამ, – თუ, გაწყობს გამოშტერებული ცოლი?!

ანდრო და ლელა ვერ მიხვდნენ, რაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ, რაღაც ავისმომასწავებელი იგრძნეს და შეეცადნენ, სიტუაცია განემუხტათ.

– ნუ გახდით ახლა საჩხუბარს სამსახურის დაწყებას! შენც, რა მოგივიდა, თუ უნდა, იმუშაოს, რა ამბავი ატეხე? – მიმართა შვილს ანდრომ.

– რაც გინდათ, ის ქენით! – გაბრაზდა გელა და კარი გაიჯახუნა.

იმ ღამეს გელა სახლში არ მისულა. დარეკა, ტატოსთან ვართ ყველა, ვსვამთ და შუაღამისას მთვრალი ხომ არ დავჯდები საჭესთან, ბარემ აქ დავრჩებიო. დედამისს ელაპარაკა, ანუკას არც კი დაუძახა.

„არ მითხრა, ფაქტის წინაშე რატომ მაყენებო. ისიც კი არ მკითხა, სად ვიწყებ მუშაობას. თუ სახლშია, სულ გაღიზიანებულია...“ – ფიქრობდა სავარძელში მიწოლილი ანუკა, – რაღაცა სჭირს ნამდვილად, მაგრამ, რა? ვითომ, მღალატობს?“

თენდებოდა, ანუკას რომ გაეღვიძა. შესცივდა და თავის ლოგინში დაწვა. შაბათი იყო, შეეძლო, ენებივრა და ცოტა გვიან ამდგარიყო.

ისევ ჩათვლიმა. რაღაც უცნაური, არეული სიზმარი ნახა: ვიღაც უცნობი მამაკაცი ცდილობდა, მოჰფერებოდა. ანუკა იგერიებდა, უნდოდა, ეყვირა, მაგრამ, ხმა არ ამოსდიოდა. მერე სასმლის სუნი იგრძნო. მოძალადეს ხელიდან რომ ვერ დაუსხლტა, ტირილი დაიწყო და თანდათან ისტერიკაში გადაეზარდა.

– ჩუ, კარგი, დაწყნარდი, მე ვარ! ნუ ტირი, მე ვარ, სულელო! მოდი ჩემთან, ცრემლი მოგწმინდო! – ძილ-ბურანში ჩაესმა ანუკას ნაცნობი ხმა და შიშისგან ისე უცებ გამოფხიზლდა, სიზმარი და რეალობა ერთმანეთისგან ველარ გაარჩია. თვალი გაახილა დაფეთებულმა და გელა დაინახა საწოლზე ჩამომჯდარი. საკმაოდ ნასვამი იყო, წვერიც წამოზრდილი მოეჩვენა, თმაც აბურძგნილი ჰქონდა, მაგრამ, ისე თბილად დაჰყურებდა ცოლს, ისე ეფერებოდა, ისეთ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, რომ ანუკას ყველა ეჭვი გაფრინდა და ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

„ახლა ისევ ის გელაა, უწინ რომ იყო“, – გაიფიქრა გახარებულმა და ხმამაღალი სლუკუნით ჩაეკრა გულში. აღარაფერი ახსოვდა, მხოლოდ ის გაიფიქრა, ხელახლა დამიბრუნდა ქმარიო.

რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ იდილიამ დაისადგურა ასათიანების ოჯახში.

კვირა დღე გათენდა. ბავშვები ბებიამ და ბაბუამ პარასკევ საღამოს აგარაკზე წაიყვანეს და დაიბარეს, ორშაბათს დილით ადრე ჩამოვალთო.

გელა წვერს იპარსავდა, მაკიაჟწასმული და ვარცხნილობაგაკეთებული ანუკა ქმრის ტანსაცმელს აწესრიგებდა. უკვე 5 საათი სრულდებოდა, 7 საათზე მეგობრებთან იყვნენ მიწვეულები და მომზადება უნდა მოესწროთ. ანუკა კარგ ხასიათზე იყო. რამდენიმე თვეა, გელა მასთან ერთად აღარსად წასულა. თუ ვინმე დაპატიჟებდა, ყოველთვის ცდილობდა, ცოლის გარეშე მოეხერხებინა გაძრომა. თეატრი, კინო და რესტორანი ხომ საერთოდ ამოიღო დღის წესრიგიდან. გუშინ კი თვითონ უთხრა, ხვალ რესტორანში ვართ დაპატიჟებული და კარგად გამოიპრანჭე, ჩემი ცოლი ყველას უნდა სჯობდესო. ეს რომ გაახსენდა, ანუკას გაეღიმა და სიყვარულით გახედა ქმარს – თვალებში ეწერა, რომ ყველაფერი აპატია.

– გელა, რომელი ჰალსტუხის გაკეთებას აპირებ? – გასძახა ანუკამ და გაუთოებული თეთრი პერანგი სკამის ზურგს მოაცვა.

– ზუკამ რომ მაჩუქა! – გელა ოთახში შემოვიდა და პერანგის ჩაცმას შეუდგა, – მიდი, რა, გამომიტანე!

ის იყო, ანუკა ოთახიდან უნდა გასულიყო, რომ ტელეფონმა დარეკა, თანაც ისე მოულოდნელად, რომ ორივე შეკრთა. რატომღაც ორივე დაიძაბა და ორივემ უსიამოვნოდ გახედა აპარატს. ზუმერი კი ისე გამყინავად, ნერვიულად და ისტერიულად გაჰკიოდა, რომ ვერც ერთს ვერ გაებედა ყურმილის აღება.

„არ ავიღებ!“ – გაიფიქრა ანუკამ და მაშინვე აიღო ყურმილი.

– გისმენთ!

– გელას დაუძახე! – უბრძანა ქალის საკმაოდ უხეშმა ხმამ, – ჩქარა!

ანუკამ ყურმილი უხმოდ გაუწოდა ქმარს და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ, გელას დაძაბულმა სიჩუმემ და გაფითრებულმა სახემ ადგილს მიაჯაჭვა.

– მოვდივარ... – ძლივს ამოილუღლუღა გელამ და ცოლს დაბნეულად შეხედა, – შეგიძლია, გაიხადო ეგ ტანსაცმელი, არსად აღარ მივდივართ.

– რატომ, რა მოხდა? – შეშფოთებით იკითხა ანუკამ.

– შენი ჭკუის საქმე არ არის, გააკეთე, რაც გითხარი! – იყვირა გელამ და თვალები დაქაჩა. მერე სკამი მოისროლა, კედელს შეალეწა და კარი გაიჯახუნა. ორი წუთის შემდეგ საწოლ ოთახში შევარდა, კარადიდან მეორე პიჯაკი გამოიღო, გულისჯიბიდან ასდოლარიანების შეკვრა აიღო და გიჟივით გავარდა.

ანუკას ტირილის თავიც აღარ ჰქონდა, აღარც გაოცების, აღარც გაბრაზების. მხოლოდ ერთ რამეს მიხვდა: ყველაფერი დამთავრდა. მიხვდა, მაგრამ, ვერ იტყოდა, საიდან გამოიტანა ასეთი დასკვნა, ალბათ, უფრო იგრძნო.

გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. მერე ისევ ადგა, კარი ჩაკეტა, ტელეფონები გამორთო, ბარიდან ოდნავ ნაკლული კონიაკის ბოთლი და სირჩა გამოიტანა, უჯრიდან სიგარეტის კოლოფი და სანთებელა ამოიღო და ჟურნალების მაგიდაზე დააწყო. მერე მაგარი ყავა მოიდუღა და ისეთი ცხელი დალია, კინაღამ გულმუცელი გამოიფუფქა. სამი ღერი სიგარეტი ზედიზედ მოსწია, თან კონიაკს აყოლებდა. ალკოჰოლის მოქმედება რომ იგრძნო, ტახტზე დაწვა, პლედი დაიხურა და თვალები დახუჭა. უცბად იგრძნო, როგორ აყირავდა ყველაფერი და ანუკა ჯოჯოხეთივით შავ უფსკრულში გადაეშვა.

რამდენ ხანს ეძინა, არ ახსოვდა. ვერც ის გაიხსენა, ამდენი ხალხი როდის შემოვიდა მის ბინაში. მკლავი სტკიოდა. რომ დახედა, მიხვდა, ნანემსარი იყო. მერე ყნოსვაც დაუბრუნდა და იგრძნო, რომ წამლების სუნით იყო გაჟღენთილი მთელი ბინა. სამზარეულოდან დედამისის სლუკუნი ისმოდა. ტირილისგან თვალებდასიებული დედამთილი საწოლთან ეჯდა და ხელზე ეფერებოდა. ანდრო სამზარეულო-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო......................................
მარიკა 599 24 28 31

ში ბობოქრობდა, მაგრამ ანუკა სიტყვებს ვერ არჩევდა.

გელა ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. არაფერი უთქვამს, არც ბოდიში მოუხდია. ჩვეულებრივად შევიდა სახლში, ჩვეულებრივად მიიღო შხაპი, ივახშმა, პრესა გადაათვალიერა და ტელევიზორს უყურა. მერე, დავიღალეო, – თქვა და საწოლ ოთახში გავიდა. ცოტა დაძაბული იყო, მაგრამ, იხტიბარს არ იტეხდა.

ანუკა ძილ-ბურანში იყო. იგრძნო, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა და მის გვერდით დაწვა. თვალი ძლივს გაახილა და ქმრის საწოლს გახედა: გელა საბანში გახვეულიყო და გემრიელად ფშვინავდა. თავისდა გასაკვირად, ანუკას არაფერი უგრძნია – არც გაოცება, არც აღშფოთება, არც სიბრაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც შეურაცხყოფა. უბრალოდ, ქმრის საწოლი მისთვის ახლა ცარიელი იყო, გელას ნაცვლად კი მის გვერდით იწვა უსულო ტიკინა, რომლის ავიც და კარგიც, ყოფნაც და არყოფნაც ანუკასთვის აბსოლუტურად სულერთი იყო. იმ დიდმა სიყვარულმა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ გრძნობდა ქმრის მიმართ, ანუკას გულსა და გონებაში ძალიან ღრმად გაითხარა სამარე და იქ დაიმარხა, როგორც მას ეგონა, სამუდამოდ, ერთი სიტყვით – გარდაიცვალა. რა კარგი სიტყვა გვაქვს ქართველებს: „გარდაიცვალა“ – ესე იგი, ერთი სახეობიდან მეორე სახეობად გარდაიქმნა, ანუ, სიტყვა „მიყვარხარ“ გადაიქცა სიტყვად – „სულერთია“.

მეორე დილით ანუკა ადრე ადგა და სამსახურში წასასვლელად მოემზადა. ექიმმა კი უთხრა, ერთი კვირა კიდევ იყავი სახლშიო, მაგრამ, მაინც გადაწყვიტა წასვლა – სახლში გაჩერება არაფრით არ შეეძლო.

სამზარეულოში ყავას სვამდა, გელა რომ დაადგა თავზე.

– სად მიდიხარ ამ უთენია? – ჰკითხა გაოცებულმა ქმარმა, ჩაცმულ-დახურული რომ დაინახა.

– სამსახურში, – მოკლედ უპასუხა ანუკამ.

– აუცილებელია, დღეს წახვიდე? ორი კვირაა, არ გინახავვარ, ასე უნდა შეხვდე ქმარს? – ისე ჰკითხა, თითქოს ის ორი კვირა ცოლზე ზრუნვაში გაატარა.

– მეჩქარება.

– მალე დაბრუნდები?

– საღამოს რვისთვის.

– ცოტა ადრე ვერ მოხვალ?

– ვერა.

– მაშინ, არ დაიგვიანო.

– რამე ხდება?

– მეტი რა უნდა მოხდეს, მომენატრე.

– მართლა?! – არ უნდოდა, მაგრამ, ანუკას ეს „მართლა“ საკმაოდ ირონიულად გამოუვიდა.

– მართლა. შენ რა, არ მოგენატრე?

ანუკა გაჩუმდა. მერე, საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ, გულწრფელად უპასუხა:

– არ ვიცი, მგონი, არა.

გელამ გაოცებით შეხედა და მისკენ წავიდა. ანუკა მიხვდა, თუ ახლა არ გაიქცეოდა, კიდევ ერთხელ დამარცხდებოდა ქმართანაც და საკუთარ თავთანაც. ამიტომ, ვითომ ვერ დაინახა მისკენ წამოსული მეუღლე, სასწრაფოდ ადგა, ყავის ჭიქაც კი მაგიდაზე დატოვა და სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა სამზარეულოდან.

გელა მიხვდა ცოლის მანევრს, მაგრამ, კიდევ სხვა რაღაცასაც მიხვდა და გადაწყვიტა, ტაქტიკა შეეცვალა.

მეორე დღიდან ანუკა მას ველარ ცნობდა: ისევ ის ყურადღებიანი შვილი, მზრუნველი მამა და ყურებამდე შეყვარებული ქმარი იყო მის წინაშე. თავიდან იუცხოვა, მაგრამ, გელას ასეთი საქციელი სტაბილურად გრძელდებოდა და ანუკაც ნელ-ნელა დამშვიდდა.



„ეტყობა, კაცს ცხოვრებაში რამდენჯერმე აქვს გარდატეხის ასაკი და, ალბათ, ყველაფერი ამის ბრალი იყო“, – ფიქრობდა ხოლმე საღამოობით, როცა შვილებთან ერთად ხალიჩაზე ფეხმორთხმულ ქმარს უყურებდა, რომელიც ხან კონსტრუქტორის აწყობას ასწავლიდა ბავშვებს, ხან წიგნებს უკითხავდა.

ამ ყოფაში გავიდა რამდენიმე თვე. ოჯახი ისევ მშვიდად, წყნარად და ბედნიერად ცხოვრობდა. ანუკას სამსახურსაც ყველა შეეგუა, მით უმეტეს, რომ ანდროს ჯანმრთელობამ უმტყუნა, ისე ველარ ინახავდა ოჯახს და აღარც გელას ბიზნესი იძლეოდა დიდ მოგებას.

რაღაცნაირად, თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა, მაგრამ, მოულოდნელად ანდროს ინფარქტმა დაარტყა და სულთმობრძავი წაიყვანეს საავადმყოფოში. დიდი მცდელობის მიუხედავად, ანდრომ მხოლოდ ერთ კვირას იცოცხლა. სიკვდილის წინ მთელი თავისი ოჯახი ადგა თავზე. მან სიყვარულით გადახედა ყველას, თვალებით გამოემშვიდობა თითოეულ მათგანს და, როდესაც მიბნედილი მზერა შვილს მიაპყრო, საჩვენებელი თითი გაჭირვებით ასწია, სახე დაძაბა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ, მხოლოდ თითის დაქნევალა მოასწრო – უკანასკნელად ამოისუნთქა და სამუდამოდ დახუჭა თვალი.

ყველამ ძალიან მტკივნეულად გადაიტანა ანდროს გარდაცვალება, მაგრამ ანუკას მაინც სხვანაირად გაუჭირდა. მხოლოდ ახლა იგრძნო სრული სიცხადით, რომ მთელი ოჯახის ბურჯი და გალავანი ეს კაცი იყო.

ანდროს სიკვდილის შემდეგ ანუკას ეჩვენებოდა, რომ მათ ოჯახს შიგნიდან ღრღნიდა უხილავი ჭია, ერთადერთი მშველელი კი ცოცხლებში აღარ ეწერა.

ასეთ ტკივილსა და განცდებში გავიდა ერთი წელი. ანდრო აკლდათ და ენატრებოდათ, თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, უიმისობასაც შეეგუენ და ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა.

ხმამაღლა არავინ ახსენებდა, თუმცა, ბავშვების გარდა ყველას – ანუკასაც, ლელასაც და გელასაც, ძალიან ხშირად ახსენდებოდათ სიკვდილის წინ ანდროს აწეული თითი და შვილისკენ მიმართული საყვედურიანი და ტკივილიანი მზერა. ახსენდებოდათ, მაგრამ ეს გახსენება სამივეში სხვადასხვა ფიქრსა და განცდას იწვევდა: ლელას ეგონა, რომ ანდრო შვილს აფრთხილებდა – ჭკვიანად მოიქეცი და ცოლ-შვილს მიხედეო. თავიდან ანუკაც ასე ფიქრობდა, მაგრამ, მერე და მერე მამის სასიკვდილო სარეცელთან მდგარი გელას შეშინებული და გაფითრებული სახე რომ ახსენდებოდა, გულმა უგრძნო, რომ მომაკვდავმა მამამ რაღაცაში ამხილა ერთადერთი შვილი, ოღონდ, ისე, რომ სხვებს არ გააგებინა. რატომ გააკეთა ასე? დაინდო? შეეცოდა? ან, იქნებ, მის სინდისს მიანდო რაღაც ძალიან დიდი ცოდვა მოსანანიებლად? – ეს კითხვები არ ასვენებდა ანუკას და, თავისდაუნებურად, ქმარს დაუდარაჯდა, მის აჩრდილად იქცა, ასი თვალი და ასი ყური გამოისხა და ბოლოს კერძო დეტექტივიც კი დაიქირავა. ამ სამიდან მხოლოდ გელამ გამოიცნო, რა უთხრა თვალებით მამამ.

ერთ კვირა დღეს ანუკა სარეცხს აუთოებდა და თან ტელევიზორს უყურებდა. გელამ კი გადაწყვიტა, კარგად გამოეძინა, რადგან, როგორც თვითონ თქვა, ხვალ მძიმე დღე მელის სამსახურშიო. საწოლ ოთახში გავიდა, მაგრამ, მაშინვე უკან მობრუნდა, ცოლს დაუბარა, არავისთვის არ ვარ სახლში, თავი მისკდება, თუ არ დავიძინე, შეიძლება, მოვკვდეო, – და საძინებლის კარი გაიხურა.

გელას გასვლიდან თხუთმეტი-ოცი წუთი იყო გასული, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა.

„ნეტა ვინ უნდა იყოს?“ – გაიფიქრა ანუკამ და თმისა და ხალათის სწორებით კარისკენ წავიდა. უკმაყოფილო სახით გადაატრიალა საკეტი და გაღებულ კარს მიღმა თავისი მეგობრები დაინახა. გახარებულმა ისეთი წიოკი ატეხა, მეორე ოთახში ჩათვლემილი გელა გამოაფხიზლა.

თიკა, ანი და ელენეც ისეთივე წივილ-კივილით შემოცვივდნენ ოთახში და მთელი ბინა ახალგაზრდა ქალების სიცილმა, ურთიერთმოკითხვისა და მოწონების გამომხატველმა შორისდებულებმა აავსო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი „მენტალვიტა” მყუდრო და მშვიდ გარემოში გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ, პიროვნებაზე ორიენტირებულ ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.**

**თბილისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №39. ტელეფონი: 229 35 25.**



გოჩა მანველიძე

# სერიული მანიაკები

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-47(673)**

– მის პატიმრობაში აყვანას აპირებ?

– არა, მაგრამ, ბრალს მაინც წავუყენებ. ის არნახული თავხედიბით მოიქცა. ერთმანეთს ვუყურებდით. იცოდა, რომ მე ნებისმიერ შემთხვევაში შევამჩნევდი, მაგრამ, მაინც გააფრთხილა აბულაძე. თუმცა, ამისთვის უკვე დაისაჯა – აბულაძე მისი მანქანით გაიქცა. რამაზი რომ არა, ეჭვმიტანილს ყოველგვარი ხმაურისა და ექსცესების გარეშე ავიყვანდით. დანარჩენი კი თქვენც იცით. მანქანა იმდენად დაზიანებულია, რომ, ეჭვი მეპარება, აღდგენა მოხერხდეს! მისი დანაშაულის სიმძიმეზე კი სასამართლომ იმსჯელოს.

– გასაგებია. ამაში არავინ შეგზღუდავს, მაგრამ, მომხდარის შესახებ შენ და შენი ჯგუფის წევრებმა წერილობითი ახსნა-განმარტება უნდა დაწეროთ. ამ საკითხს დისციპლინარული კომისია განიხილავს. ალბათ, საყვედურს დამოგიცხადებთ. ავალიანისთვის ეს რიგითი მოვლენაა, აი, შენ კი პირველად ჩაგეწერება პირად საქმეში საყვედური.

– მეტი რა გზა მაქვს, შევეგუები, – მშვიდად ჩაილაპარაკა მირიანმა.

– კეთილი. ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით, ახლა კი საქმეს გადავხედოთ, – საქაღალდეს გადაწვდა მთავარი პროკურორი, – დანაშაულში ახალი ჯგუფის გამოკვეთამ მართლაც გამიჩინა საფიქრალი. არ დაგიმალავ და, ყოველივე ეს არარეალურად მეჩვენება. შენ პირადად დაკითხე დევიძე. როგორ გგონია, ის სიმართლეს ამბობს?

– ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, ის სიმართლეს ამბობს.

– რატომ ხარ ასე დარწმუნებელი?

– მე ყურადღებით ვაკვირდებოდი დევიძეს, როდესაც ამ გარემომებებზე დაიწყო საუბარი. მრავალ დამნაშავესთან მქონია საქმე. როგორც წესი, მათი უმეტესობა ჩემს მოტყუებას ცდილობდა და დაჟინებული მიმტკიცებდა, რომ ცამდე მართალი იყო და არაფერი დაუშავებია. მაგრამ, მათ შორის მხოლოდ რამდენიმე ახერხებდა ამ დროს სიმშვიდის შენარჩუნებას. დევიძეში კი არანაირი ცვლილება არ მომხდარა – მან იმავე განწყობით მიამბო დანაშაულის ეს მონაკვეთი, როგორც ადრე საუბრობდა. ღელავდა, თვალს ვერ გვისწორებდა, მაგრამ, მისი მდგომარეობისთვის ეს ბუნებრივი მოვლენა იყო, – უპასუხა მირიანმა.



– ესე იგი, შინაგან სიცრუის დეტექტორს ენდობი? – ირონიით ჩაილაპარაკა დავითმა.

– შინაგანი სიცრუის დეტექტორს სასამართლო არ ცნობს. თუ ეჭვმიტანილი ასე აღწერს დანაშაულს, ვალდებული ვარ, ყველა ფაქტი გადავამოწმო. ჯერჯერობით მე ვერაფრით გავაქარწყლებ დევიძის ჩვენებას, მაგრამ, საკითხს მაინც შევისწავლი და, არაუგვიანეს სამი დღისა, შედეგს მოგახსენებთ.

– იმედიანად ხარ განწყობილი, ეს კარგია, – თქვა მთავარმა პროკურორმა, – აბულაძის დაკითხვას როდის აპირებ? მის ჩვენებას დევიძის ნაამბობის დადასტურება ან გაქარწყლება შეუძლია.

– ის საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია და ამჟამად პირველი კლინიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში იმყოფება. თავზე ექვსი ნაკერი დაადეს. აქვს მძიმე ფორმის ტვინის შერყევა. ასეთ მდგომარეობაში მის დაკითხვას აზრი არა აქვს და ექიმებიც არ მომცემენ ამის უფლებას. ამიტომ, რამდენიმე დღე დაველოდები, მანამდე კი დევიძის მიერ აღწერილი ჯგუფის საკითხზე ვიმუშავებთ. მის შესახებ რამდენიმე მოსაზრება გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ მათი ვინაობის დადგენას, – მირიანმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: ეს იმ შემთხვევაში, თუ რამე არ მომაცდენს.

– ჩვენ გვგულისხმობს, – დავითს გახედა მთავარმა პროკურორმა.

– რა თქმა უნდა. გასაგებია, რომ ჩვენთან საუბარს ავალიანთან ერთად ქალაქის ქუჩებში მანქანით ჯირითი ურჩევნია, – უპასუხა მან.

– კეთილი. რახან ასე ფიქრობს, ჩვენც იძულებული ვართ, დავეთანხმოთ და ხელი არ შევუშალოთ მუშაობაში, – თქვა მთავარმა პროკურორმა და მირიანს სისხლის სამართლის საქმის მასალები დაუბრუნა.

* * *

რამაზ დევიძე მოღუშული იჯდა ოთახის კუთხეში და დაძაბული ადევნებდა თვალს ანას, რომელიც კომპიუტერთან მუშაობდა. ბოლოს მოთმინება გამოელია და იკითხა:

– დიდხანს უნდა ვისხდეთ ასე?

– შეგიძლიათ, ფეხზე ადგეთ, – მშვიდად უპასუხა ანამ.

– მე მაინტერესებს, რატომ მომიყვანე აქ?

– მე უკვე აგიხსენი, რომ დაკავებული ხარ.

– რა მიზეზით? – სწრაფად თქვა რამაზმა.

– ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

– მე არაფერი მითქვამს ზურასთვის, მან თავად შეგნიშნათ, – თავი იმართლა რამაზმა.

– ჩვენ სხვა რამ დავინახეთ.

– და, სამი გამომძიებლის ჩვენების საფუძველზე უნდა დამადანაშაულოთ?! ამას არავინ დაიჯერებს!

ანა პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ, სწორედ ამ დროს კაბინეტში მირიანი შემოვიდა. მან ჩაფიქრებით გახედა რამაზს, შემდეგ სამუშაო მაგიდას მიუჯდა და უთხრა, აქეთ გადმოჯექიო.

რამაზმა მაგიდასთან გადაინაცვლა და მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრო გამომძიებელს.

– ანამ უკვე აგიხსნა, შენი დაკავების მიეზი? – ჰკითხა მირიანმა.

– ეს მიზეზი კი არა, თქვენი მცდარი მოსაზრებაა! – უკმაყოფილოდ შენიშნა რამაზმა, – როგორც ჩანს, თქვენ ომი გამოუცხადეთ ჩემს ოჯახს!

– ეს უკვე შენი მცდარი მოსაზრებაა!

– ქალბატონმა ანამ მითხრა, რომ აბულაძის გაფრთხილებაში მადანაშაულებთ. მასაც ვუთხარი და თქვენც გაგიმეორებთ: მე არაფერი მითქვამს მისთვის!

– მოდი, თავიდან დავიწყოთ. რისთვის მიხვედი აბულაძესთან? – თქვა მირიანმა.

– როდის აქეთ კრძალავს თქვენი კოდექსი ნაცნობის მონახულებას? – ირონიით ჩაილაპარაკა რამაზმა.

– იმის თქმა გინდა, რომ აბულაძე, უბრალოდ, მოინახულე და რომელიმე სახინკლეში წასვლას გეგმავდით?!

– თქვენ არ გეხებათ, სახინკლეში მივდიოდით თუ ჩაიხანაში. ამიხსენით, რა დავაშავე ზურასთან შეხვედრით?!

– შეხვედრაში არავინ გადანაშაულებს. მთავარი ისაა, თუ რაზე საუბრობდით და რატომ გააფრთხილე ის, როცა ჩვენ შეგვნიშნე!

– კარგი, გეტყვით. ადვოკატმა მითხრა, რომ ჩემმა ძმამ აღიარა ნონას გაუპატიურება და თანამზრახველად ზურა დაასახელა. რაა იმაში უცნაური, რომ ამის შემდეგ მე ზურას დახმარებით მსურდა ვითარებაში გარკვევა? – უპასუხა დევიძემ.

– ერეკლეს უკვე დაუკავშირდი? – ჰკითხა მირიანმა.

– ერეკლე!.. – ბრაზით თქვა რამაზმა, – რისთვის უნდა დავუკავშირდე ადვოკატს, რომელიც თქვენთანაა შეკრული?

– რას ნიშნავს – „შეკრული“? – მოიღრუბლა მირიანი.

– ერეკლემ უარი თქვა ჩემი ძმის დაცვაზე. ხელშეკრულება ჩემ თვალწინ დახია და აღებული ჰონორარი უკან დამიბრუნა.

– კი მაგრამ, რატომ? – გაუკვირდა მირიანს.

– არ ვიცი. შეგიძლიათ, მას ჰკითხოთ. პირადად მე აღარაფერი მაკავშირებს იმ ავანტიურისტთან!

– მაშინ, სხვა ადვოკატის მოძებნა მოგიწევს. თუ ამის საშუალება არ გაქვს, ადვოკატს ჩვენ გამოვიძახებთ, – შესთავაზა მირიანმა.

– არ მჭირდება. მით უმეტეს, შენი გამოძახებული ადვოკატი!

– შენი ნებაა. მაშინ, ისე დაგკითხავ, – თქვა მირიანმა და საქაღალდეს გადაწვდა.

– ჩვენებასაც არ მოგცემ! – სწრაფად თქვა რამაზმა, – გამოვიყენებ დუმილის უფლებას! მაქვს ამის უფლება?

– გაქვს, – მშვიდად უპასუხა მირიანმა, – მაგრამ, არ გირჩევ ამ უფლების გამოყენებას!

– გასაგებია. შენთვის, რა თქმა უნდა,

ბევრად უკეთესია ჩემგან საჭირო ჩვენების მიღება, მაგრამ არაფერი გამოგივა!

– შენ ერთ გარემოებას არ ითვალისწინებ: თქვენი საუბრის შინაარსის აღწერა აბულაძესაც შეუძლია, თანაც, ეს მის მდგომარეობას არაფრით გაართულებს.

– სად არის ზურაბი? – ნიშნის მოგებით იკითხა რამაზმა. ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ძმის მეგობარმა გაქცევა მოახერხა. მისი აზრით, ზურაბი აყვანილი რომ ყოფილიყო, მირიანი მისი დაკითხვით იქნებოდა დაკავებული.

– საავადმყოფოში... – უპასუხა მირიანმა, – ჯერჯერობით მისი დაკითხვა არ შეგვიძლია, მაგრამ, ეს უსასრულოდ არ გაგრძელდება.

– საავადმყოფოში?! – დაიძაბა რამაზი, – რა შეემთხვა?

– ავტოავარიისას დაშავდა.

– ესე იგი, ჩემი მანქანა დაზიანდა?! – შუბლი შეიკრა რამაზმა.

– დაზიანდა ის სიტყვა არ არის. არა მგონია, მისი აღდგენა მოახერხო. ტექნიკური სამსახური ახლაც მანქანის მტკვრიდან ამოღებაზე მუშაობს.

– არა! მატყუებ! – წამოიძახა რამაზმა.

– სამწუხაროდ, სიმართლეს გეუბნები. ჩემთვისაც უკეთესი იქნებოდა, აბულაძე ზედმეტი ექსცესების გარეშე რომ აგვეყვანა, მაგრამ, შენი დამსახურებით მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. შენი მანქანა მტკვრის ფსკერზეა, აბულაძე კი ნეიროქირურგიულ განყოფილებაში იმყოფება ტვინის შერყევის დიაგნოზით. ასე რომ, კიდევ ერთხელ გეკითხები: რისთვის მიხვედი აბულაძესთან? – თქვა მირიანმა.

რამაზმა თავი ჩაქინდრა, საფეთქლები მოისრისა და ყრუ ხმით ალაპარაკდა:

– ერეკლემ ბოლომდე არ მითხრა ყველაფერი. გაბრაზებულმა მომახალა, გოგონა შენმა ძმამ და ზურამ გააუპატიურესო და წავიდა. ასე ხომ ვერ გავჩერდებოდი? სასწრაფოდ უნდა გამერკვია ყველაფერი, ამ თემაზე კი ტელეფონით ვერ ვისაუბრებდი. ამიტომაც, ზურას სახლში მივაკითხე. ის ეზოში დამხვდა. თავიდან კატეგორიული უარი განაცხადა – ტყუილია, გაუპატიურებასთან არაფერი გვაკავშირებსო. ჩვენ, უბრალოდ, ქუჩაში მივატოვეთ ნონა და, შემდეგ რა მოხდა, არ ვიციო!.. როდესაც ავუხსენი, რომ დევი გაუპატიურებას აღიარებდა, ვერსია შეცვალა და იმის მტკიცება დამიწყო, ყველაფერი ნონას თანხმობით მოხდა და ძალადობას ადგილი არ ჰქონიაო! ვხვდებოდი, რომ მატყუებდა. არც ვიცი, როგორ აგიხსნათ. იმ წუთებში ყველაფერზე ერთად ვფიქრობდი, მაგრამ, გამოსავალს მაინც ვერ ვხედავდი. ვერ ვხდებოდი, რით უნდა დავხმარებოდი ჩემს ძმას. მე ავანტიურაზე წასვლაც კი შევთავაზე ზურას...

– რა შესთავაზე? – ჩაეძია მირიანი.

– შევთავაზე, თავის თავზე აეღო დანაშაული.

– და, მარტო დამჯდარიყო საბრალდებო სკამზე?!

– არა. ის, უბრალოდ, უნდა მიმალულიყო. მე დავპირდი, რომ ფულსაც მივცემდი და საზღვარგარეთ გამგზავრებაშიც დავეხმარებოდი, ჩემი ძმა კი ჩვენებას შეცვლიდა და ყველაფერს ზურას მიაწერდა.

– საინტერესოა... ექსპერტიზის შედეგებსა და ნონას ჩვენებას, რომელსაც თავის დროზე მოგვცემს, რას უპირებდი? – ჰკითხა მირიანმა.

– არ ვიცი. ხომ გითხარი, რომ დაბნეული ვიყავი. ეს საუკეთესო აზრი იყო, რომელიც მაშინ მეწვია, – ჩაილაპარაკა რამაზმა.

– გააფრთხილე თუ არა აბულაძე?

– დამიჯერეთ... ეს შემთხვევით მოხდა. უბრალოდ, შევკრთი და ჩემთვის ჩავილაპარაკე, გავიჭედეთ-მეთქი!.. ზურაბს არ გამოჰპარვია ჩემი აღელვება, თქვენკენ გამოიხედა და ყველაფერს მიხვდა.

– ამას თავად აბულაძე აგვიხსნის.

რამაზი დაიძაბა და გაუბედავად ჰკითხა:

– რა მოხდება ახლა? ისევ იზოლატორში გამგზავნი?

– არა, ამჯერად შინ წახვალ. შენი დაკავება არ მჭირდება. თავდებში გაგათავისუფლებ, მაგრამ, ვიდრე ვითარება არ გაირკვევა, ქალაქიდან გასვლა გეკრძალება, – უპასუხა მირიანმა და ოქმის შედგენას შეუდგა.

შემთხვევის ადგილიდან წასვლამდე, მირიანმა გიორგის სთხოვა: პროკურატურაში ნუღარ დაბრუნდები. შენწილად დღეისთვის თავგადასავლები კმარა. სახლში დარჩი და დაისვენე. აბულაძისა და რამაზ დევიძის საკითხს, მე და ანა უშენოდაც გავარკვევთო. მაგრამ, გიორგიმ ვერ შეძლო შინ გაჩერება. მხოლოდ სველი ტანსაცმელი გამოიცვალა და მაშინვე ლოტკინზე მდებარე პოლიციის ქვეგანყოფილებას მიაშურა.

გიორგი და ოთარ რაზმაძე რამდენიმე წლის განმავლობაში ერთად მუშაობდნენ პოლიციის მთავარ სამმართველოში. შემდეგ ოთარი ლოტკინის დასახლებაში ქვეგანყოფილების ხელმძღვანელად გადაიყვანეს. მიუხედავად ამისა, მათ ურთიერთობა არ შეუწყვიათ და თავისუფალ დროს ხშირად ატარებდნენ ერთად.

– ისევ მე მომაკითხე? – ღიმილით შეეგება ოთარი ქვეგანყოფილების შენობაში შესულ გიორგის.

– რა ვქნა, ძმაო. შენს იქით გზა არ მაქვს, – უპასუხა მან.

– რისთვის გარბოდი მთავარ პროკურატურაში? – გაიკვირვა ოთარმა, – უჩემოდ ვერაფრისთვის მოგიბამთ თავი. ხომ ხედავ, რომ კაბინეტი შენი საქმე არ არის. შეეშვი მირიანს და ჩემთან გადმოდი. ზუსტად შენი შესაფერისი ადგილი მაქვს კრიმინალურ განყოფილებაში.

– ცოტა ხანი შემინახე ის ადგილი. ეს საქმე თუ ვერ გამოვიძიეთ, მთავარი პროკურორი ნაღდად უმუშევარს დამტოვებს, – ჩაიცინა გიორგიმ.

– ასე გართულდა ვითარება?

– რომ გითხრა, არ დაიჯერებ. ამიტომაც არაფერს გეტყვი.

– კარგი. იმას მაინც ხომ მეტყვი, კონკრეტულად რა გაინტერესებს? რით შემიძლია შენი დახმარება? – ჰკითხა ოთარმა.

გიორგიმ მოკლედ აუხსნა ვითარება და სიტყვა-სიტყვით ჩამოუთვალა დევი დევიძის მიერ აღწერილი ოთხეულის ნიშან-თვისებები.

ოთარი ჩაფიქრდა.

– ცოტაა... ძალიან ცოტაა. უბანში საკმარისზე მეტი მყავს პოტენციური მოძალადეები, მაგრამ შენს მიერ აღწერილ ტიპებს არ ვიცნობ. ხალი ყვირიმალზე, ადვილად დასამახსოვრებელი ნიშანია. რით ასკვნით, რომ



ისინი ლოტკინელები იყვნენ? – თქვა მოგვიანებით.

– ეჭვმიტანილმა უჩვენა, რომ დანაშაულის ადგილას მანქანა არ უნახავს. მისი აზრით ეს ოთხეული მათ მისვლამდე იმყოფებოდა იქ. ისინი ბუჩქნარს აფარებდნენ თავს. ჩვენ შევისწავლეთ ის ადგილი. ბუჩქნარში მრავალი ნამწვი აღმოვაჩინეთ. ექსპერტიზამ დაადასტურა, ნამწვებში მარიხუანას შემცველობა...

– შენ გინდა, მითხრა, რომ ისინი სისტემატიურად იკრიბებოდნენ იქ? – არ დაასრულებინა ოთარმა.

– ჰო... ბიოლოგიურმა ექსპერტიზამ ისიც უჩვენა, რომ მარიხუანას ძირითადად ერთი და იგივე პიროვნებები ეწეოდნენ, – უპასუხა გიორგიმ, – მთაწმინდიდან და ვაკედან, დასაბოლებლად არავინ გავა თბილისის ზღვაზე. ახლო-მახლო უბნებიდან, თემქიდან და გლდანიდანაც კი არ ავლენ იქ, მით უმეტეს, ფეხით. ის ხალხი ნაღდად სადღაც აქვე ცხოვრობს!

– მესმის... გეთანხმები, მაგრამ ასეთ ტიპებს არასოდეს შევხვედრივარ.

– ესე იგი, ცუდად მუშაობ! – მოიღრუბლა გიორგი

– შენი გადასაწყვეტი არ არის, ცუდად ვმუშაობ თუ – კარგად! – იწყინა ოთარმა, – თუ კაცი კანონს არ არღვევს, ქურდულს არ აწვება და დღედაღამ ბირჟაზე არ არის ჩამოყუდებული, ჩვენი თვალთახედვის არეში არ ხვდება. ზღვაზე პლანის მოწევა კი წვრილმანია. ჩემს თანამშრომლებს ყველა ბუჩქის გვერდით ვერ დავაყენებ!

– შენ დანით მუქარა და არასრულწლოვნის ჯგუფური გაუპატიურება, წვრილმანი გგონია! – ბრაზი მოერია გიორგის, – დანაშაულის ხასიათი იმაზე მიანიშნებს, რომ ეს მათთვის პირველი საქმე არ უნდა იყოს. ჯერ არ შვხვედრივარ „სასტავს“, რომელიც სპონტანურად გიჟდება. შეიძლება, ერთი შეიშალოს, ორი... მაგრამ, როდესაც ოთხი პიროვნება ერთად მოქმედებს, ეს უკვე წინასწარ დაგეგმილი და გააზრებული დანაშაულია.

– კარგი, კარგი... დამშვიდდი, – შემრიგებლური ტონით თქვა ოთარმა და თანამოსაუბრეს მხარზე გადახვია ხელი, – წამოდი, ერთი კაცი მოვინახულოთ.

– ვინ?

– ძველი თანამშრომელია. ამ უბნელია და თანაც, წლების განმავლობაში მუშაობდა კრიმინალურ პოლიციაში. რამდენიმე თვის წინ პენსიაზე გავიდა. კაცი კი არა, მოსიარულე არქივია. ამ უბანში ყოველ კენჭს იცნობს, – უპასუხა ოთარმა და მანქანისკენ დაიძრა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ცირკი, განსაკუთრებით კი – აკრობატული ნომრები. ალბათ, ამიტომაც, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გადაცემა „ნიჭიერში“ თამარ მჭედლიშვილის მიერ რუსთავის ავტოდრომზე პროფესიონალურად შესრულებულმა ულამაზესმა, ურთულესმა აკრობატულმა ნომერმა. ქალბატონი თამარის ისტორიაც საკმაოდ საინტერესოა და, პირადად ჩემთვის, ძალიან გულდასაწყვეტია, რომ მის შესახებ საქართველოში აქამდე არავინ არაფერი იცოდა.**

# ვინ აკეთებდა ტრიუკებს ყველანაირი დაცვის გარეშე 62 მეტრ სიმაღლეზე და რა საშინელი ტრაგედიის მოწმე გახდა თამარ მჭედლიშვილი

**თამარ მჭედლიშვილი**: 1957 წელს შეიქმნა ქართული საცირკო კოლექტივი და დაიწყეს ნომრების, მსახიობების შერჩევა. ბევრი ხალხი მივიდა სპორტიდან, მათ შორის – მამაჩემიც, რომელიც საქართველოს ჩემპიონი იყო აკრობატიკაში. ოთხნი იყვნენ და ოთხივე ცირკში გადავიდა – უძლიერესი ნომერი ჰქონდათ, თავისი ტრიუკებით. დღესდღეობით ასეთი ნომრები, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. დედას ცირკთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. ერთმანეთი უკრაინაში ნახეს, შეუყვარდათ და წამოიყვანა ხარკოვიდან თბილისში. ძმა მყავდა ჩემზე უფროსი – მალხაზი, რომელიც 6 წლის წინ გარდაიცვალა. 12 წლიდან ცირკში მუშაობდა, აკრობატული ნომერი ჰქონდა. მეც 6-7 წლის ვიყავი, როცა მამამ მითხრა: აბა, დაიწყეო. თავიდან ძალიან რთული იყო: მამა, რომ მავარჯიშებდა, ხან რა მტკიოდა, ხან – რა; ხან გამომდიოდა რაღაც, ხან – არა. თამაში მინდოდა ბავშვებთან და, ამიტომ, ტირილით, წუწუნით ვვარჯიშობდი პირველი ორი წელი. თავიდან ჩემს ძმასთან ერთად გამოვდიოდი, საერთო ნომერი გვქონდა: მის ხელებზე ვაკეთებდი სალტოს, ცალ ხელზე ვდგებოდი, მოკლედ, საკმაოდ რთული ნომერი იყო. 9 წლის რომ გავხდი, გაგვიშვეს მანეჟზე – ეს იყო საახალწლო ზღაპარი, სადაც მე და ჩემს ძმას ჩვენი ნომერი გვქონდა. ბევრი გვეუბნებოდა, სპორტის ოსტატის წოდებას მოგცემთო, რადგან, ძალიან ძნელ ტრიუკებს აკეთებთ, ისეთს, სპორტშიც რომ იშვიათობაოო, მაგრამ ჩვენ ამას დიდად არ ვაქცევდით ყურადღებას.



ველოსიპედით გადავედით ერთი მთიდან მეორეზე. მე ტრაპეციაზე ვიჯექი და ჩემს უფროსთან ერთად ტრიუკებს ვაკეთებდი: ის ყირაზე დგებოდა, მე კი ხელებით ვეკიდებოდი, ცალი მუხლით. მოკლედ, დავამყარეთ გინესის რეკორდი

**– შემდეგ როგორ განვითარდა თქვენი კარიერა?**

– დიდხანს ვიყავი ქართულ ცირკში. ძალიან ბევრი ცირკი არსებობდა, მაგრამ, ქართული კოლექტივი ყველაზე გამორჩეული იყო – სულ ანშლაგებით მიდიოდა ჩვენი წარმოდგენები. როგორც კი რეკლამები გამოჩნდებოდა – ქართული დასი ჩამოდისქალაქშიო, ბილეთებს ვერ ნახავდით. მე და ჩემს ძმას გვქონდა ერთი ნომერი, მაგრამ, შემდეგ სიმაღლეში გავასწარი, უცბად ავიყარე ტანი და, ფიზიკურად უჭირდა ჩემთან ერთად ტრიუკების კეთება. შეგვეძლო, მარტივი ტრიუკები გაგვეკეთებინა, მაგრამ, ამას ვერ ვიზამდით: მაღალი დონიდან დაბლა ჩამოსვლის უფლებას არც ჩვენ მივცემდით თავს და არც მამა დაგვრთავდა ნებას. ბოლოს, გადავწყვიტე, ინდივიდუალური ნომერი გამეკეთებინა – ჰაერში, მარტოს, რომ ჩემი აწევა არავის დასჭირვებოდა.

**– როგორი ნომერი გქონდათ?**

– საკმაოდ რთული ნომერი მქონდა, მის შესაქმნელად მინიმუმ წელიწად-ნახევარი დამჭირდა, თან, პარალელურად, ცირკში ვმუშაობდი. როგორც კი მომზადდა ეს ნომერი, მაშინვე გავაკეთეთ განცხადება: „მომზადებული გვაქვს ასეთი ნომერი და შეიძლება თუ არა მისი წარმოდგენაში ჩასმა“. მოსკოვში დამიბარეს. მთელი დირექცია მოვიდა, მინიმუმ 50 კაცი – ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ცირკში მუშაობდნენ და მათ უნდა გადაეწყვიტათ, გაუშვებდნენ თუ არა ჩემს ნამუშევარს „კონვეირში.“ მოეწონათ და დაწერეს ბრძანება: „ნომერი შედგა“. საკმაოდ რთული და ლამაზი ნომერი იყო, ამიტომ, პუბლიკას ძალიან მოსწონდა, თან, უკვირდათ, რადგან, ბოლო ტრიუკს, რომელიც „ნიჭიერშიც“ ვაჩვენე – კისრით ჩამოკიდებული ვტრიალებდი თოკზე – მაშინ ამას კბილებით ჩამოკიდებული ვაკეთებდი, თან, თოკი 13-14 მეტრ სიმაღლეზე იყო დაკიდებული და ქანაობდა. 1996 წელს სარატოვში ვიყავით გასტროლებზე, როცა მოსკოვიდან დამირეკეს და მითხრეს: გერმანიაში ხომ არ წახვალთ სამუშაოდ, ოღონდ იქ ცირკი არ არის, ღია ცის ქვეშ, პარკებში მიმდინარეობს წარმოდგენა – 100 მეტრი სიმაღლის ტროსზე მოტოციკლით; თქვენ კი ანძაზე უნდა იმუშაოთო. სიმართლე გითხრათ, ვერაფერი გავიგე და უარი ვუთხარი: რა მოტოციკლი, რა 100 მეტრი, ჩემს ძმასთან ერთად ვმუშაობ, თან, 5 წლის შვილი მყავს და მარტო ვერ დავტოვებ-მეთქი. მითხრეს, მოსკოვში მაინც ჩამოდით, ვიდეოზე ნახეთ რაზე გესაუბრებითო. ჩემმა ძმამ მითხრა: წადი, სცადე, ნახე, რა არისო. მოკლედ, ერთ კვირაში ჩავედი მოსკოვში და ვნახე ვიდეო. მანამდე ასეთი არაფერი მქონდა ნანახი. დამაინტერესა, თუმცა, საკმაოდ რთული და სარისკო იყო მისი შესრულება. დავთანხმდი და ჩავფრინდი გერმანიაში. ძალიან კარგად დამხვდნენ, სულ სამნი იყვნენ: ჩემი უფროსი, მისი ძმა და კიდევ ერთი ბიჭი. მათ ნომერს ერქვა: „ადამიანები ცასა და მიწას შორის,“ ანუ, ტროსი ჰქონდათ ძალიან დიდ სიმაღლეზე გაჭიმული, 100 მეტრზე ადიოდა ბიჭი მოტოციკლეტით, ამ მოტოციკლის ქვემოთ იყო ტრაპეცია, რომელზეც, ასევე, ადამიანი იჯდა და ასვლა-ჩამოსვლისას ორივე აკეთებდა ტრიუკებს, ყოველგვარი დაზღვევის გარეშე. გვერდით იდგა ანძა – რკინის კონსტრუქცია, რომელიც 62 მეტრი სიმაღლის იყო და მასზეც ადიოდა ადამიანი, აკეთებდა ტრიუკებს. წამიყვანეს ევროპის პარკში, რომელიც ძალიან დიდი და ლამაზია, მასთან ახლოს არის როგორც საფრანგეთი, ასევე, შვეიცარია და, ამიტომ, წარმოდგენაზე დასასწრებად ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ვუყურებდი წარმოდგენას – ეს იყო საოცრება. მერე ერთი ძალიან ცუდი შემთხვევა მოხდა. ბადენ-ბადენში, ერთ-ერთ პარკში, ჩემი უფროსის ძმას უნდა დაემყარებინა მსოფლიო რეკორდი. 600 მეტრ სიმაღლეზე გაჭიმეს თოკი თითქმის მთელი ქალაქის სიგრძეზე და მასზე უნდა გაეარა ფეხით, ყველანაირი დაზღვევის გარეშე. მეც, რა თქმა უნდა, ვესწრებოდი. ყველა მხრიდან მიდოდა გადაღებები, მაგრამ, ჟურნალისტებს უნდოდათ, რომ ზურგიდანაც ჰქონოდათ ახლო კადრი, ამიტომ, მესამე ბიჭი, რომელიც მათთან ერთად მონაწილეობდა წარმოდგენებში და ანძაზეც მუშაობდა, მოტოციკლზეც, ანუ, პროფესიონალი იყო, უკან გაჰყვა. მას თავზე კამერა დაუმონტაჟეს. 15 მეტრი რომ გაიარა, წონასწორობა დაკარგა, დაახლოებით 26 მეტრი სიმაღლიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა. მეორეს ისეთი მაგარი ნერვები აღმოაჩნდა, გაიგო, რომ ჩამოვარდა ეს ბიჭი, მაგრამ, გააგრძელა გზა და რეკორდი დაამყარა. რამდენიმე დღე რომ გავიდა, ჩემმა უფროსმა მითხრა: ამ ანძაზე შენ უნდა იმუშაოო. კონტრაქტი ჰქონდათ დადებული და ვერ გააუქმებდნენ. მთელ ევროპაში არც ერთი ქალი არ მუშაობდა ანძაზე, ამიტომაც, აცხადებდნენ: „ევროპაში ერთადერთი ქალი ანძაზე“. ოთხი დღე მქონდა მოსამზადებლად. სახლის ეზოში იდგა 25 მეტრი სიმაღლის ანძა და მითხრა: მიდი, ადიო. ზედ უნდა ავსულიყავი, მერე დავმდგარიყავი, მექანავებინა ამხელა კონსტრუქცია, თან, ყირაც უნდა გამეკეთებინა და ტრიუკებიც. ამხელა სიმაღლეს და გახსნილ სივრცეს არ ვიყავი მიჩვეული. ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მამამ ბავშვობიდან ასე გამზარდა: „საჭიროა – უნდა გააკეთო“. „არ შემიძლია“ – არ არსებობდა ჩემთვის. მოკლედ, ყველაფერი გამოვიდა: ჩამოვდიოდი ანძიდან, მერე ვჯდებოდი ტრაპეციაზე, ავდიოდი 100 მეტრ სიმაღლეზე, სალტოებს ვაკეთებდით, მოტოციკლი – ქვემოთ, ტრაპეცია – ზემოთ, ასევე, მუხლებით, ხელებით ვეკიდებოდი სივრცეში, სალტოს დროს ფეხზე ვდგებოდი და, თან, ეს ყველაფერი დაზღვევის გარეშე ხდებოდა. სამიოთხი ასეთი ასვლა გვქონდა. დღეში ოთხ წარმოდგენას ვმართავდი. ისე მოვეწონე, რომ, საბოლოოდ, მათთან რვა წელი ვიმუშავე. გასტროლებზეც დავდიოდით, რეკლამებშიც ვმონაწილეობდი. ბოლო 6 წელი თურქეთში ვმუშაობდი, ცირკში.

**– როგორც ვიცი, გინესის რეკორდსმენებიც ხართ.**

– ეს წარმოდგენა 1999 წელს ჩატარდა ლოზუნგით: „ადამიანები საზღვრებს გარეშე“. ალპებში 3 000 მეტრ სიმაღლეზე დაჭიმეს ტროსი: ერთი მთა ეკუთვნოდა გერმანიას, მეორე – ავსტრიას, მათ შორის საზღვარი დაახლოებით 240 მეტრი იყო. რადგან, მთები იყო, მოტოციკლი არ შეიძლებოდა, ამიტომ, ველოსიპედით გადავედით ერთი მთიდან მეორეზე. მე ტრაპეციაზე ვიჯექი და ჩემს უფროსთან ერთად ტრიუკებს ვაკეთებდი, ის ყირაზე დგებოდა, მე კი ხელებით ვეკიდებოდი, ცალი მუხლით. მოკლედ, დავამყარეთ გინესის რეკორდი. „ნიჭიერშიც“ იმიტომ გამოვედი, რომ, მინდოდა, ხალხს გაეგო, როგორი ძლიერი კოლექტივი იყო ქართულ ცრიკში, რომელიც დღეს საერთოდ არ არსებობს. ამაზე ყველაზე მეტად მწყდება გული და, კიდევ, იმ ხალხზე, რომლებსაც წლების განმავლობაში უცხოეთში გაჰქონდათ ქართული სახელი, მაგრამ, დღეს ისინი აღარავის ახსოვს.

**ნათია უტიაშვილი**

## დევიდ დათუნას და „გუგლის" ახალი არტ-პროექტი

დეკემბრის დასაწყისში, მაიამიში, პრესტიჟულ გამოფენაზე „კივი არტს გრუპისა" და „გალერეა შუკინის" თანადგომით, ინოვაციური, ინტერაქტიური და სოციალური ახალი არტ-პროექტის პრეზენტაცია შედგება, რომლის შემოქმედები არიან ნიუ-იორკში მცხოვრები, წარმოშობით ქართველი მხატვარი დევიდ დათუნა და კომპანია „გუგლი." პროექტის სახელწოდებაა Viewpoint of Billions და ეს არის „გუგლის" ახალი პროდუქტის „გუგლის სათვალისა" და დევიდ დათუნას თანამშრომლობის პირველი ეტაპი. სპეციალურად პროექტისთვის დევიდ დათუნამ, თავის ჩვეულ სტილში, ოპტიკური ლინზების გამოყენებით შექმნა ამერიკის შეერთებული შტატების დროშა, რომელიც შეიცავს პოზიტიურ და ნეგატიურ ელემენტებს, ხოლო „გუგლის სათვალის" საშუალებით შესაძლებელი გახდება დროშაში მხატვრის ხედვის და, ასევე, ვიდეო და ინტერაქტიური გამოსახულებების დანახვა. დათუნას დროშა, ასევე, კონტაქტში შევა აუდიტორიასთან და „გუგლის სათვალის" მეშვეობით კითხვების დასმისკენ უბიძგებს. მხატვართან ერთად პროექტზე „გუგლის" ახალი პროდუქტის – „გუგლის სათვალის" შემქმნელები მუშაობდნენ და, კომპანიის მტკიცებით, ეს თანამშრომლობა არის ახალი სიტყვა თანამედროვე ხელოვნებაში.



## გოჩა კეკიშვილმა მესამე მსოფლიო რეკორდი დაამყარა

„ლიდერბეთის" მხარდაჭერით 12 ნოემბერს თბილისში კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. ქართული საზოგადოება ნიჭიერი ადამიანების სიმრავლითა და რეკორდსმენთა რაოდენობით უდაოდ განებივრებულია – ამჯერად, მსოფლიოს ორგზის რეკორდსმენმა, გოჩა კეკიშვილმა, მესამე მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ღონისძიება საკმაოდ დიდხანს იგეგმებოდა და რეკორდსმენიც სერიოზულად ემზადებოდა მესამე მსოფლიო რეკორდისთვის, თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა ახალი გამოწვევისა და რეკორდის დამყარების წინ. სანახაობა კავკასიის რეკორდების ფედერაციის ეგიდითა და ორგანიზებით შედგა, რომელიც მრავალი საინტერესო ღონისძიების ხელშემწყობი და სულისჩამდგმელია.




გოჩა კეკიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას საინტერესო სანახაობა შესთავაზა: საათნახევრის განმავლობაში, ორივე ხელით წოლბჯენში, 3 675 მიზიდვა შეასრულა და კიდევ ერთხელ შეძლო გინესის რეკორდების წიგნში საკუთარი სახელის ჩაწერა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სპორტული მიმომხილველები და ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებმაც მიულოცეს სამგზის რეკორდსმენს და დაჰპირდნენ საზოგადოებას, რომ მომავალშიც მრავალ სასიამოვნო სიურპრიზს შესთავაზებენ.

## როგორ გააოგნა მარიამ იორამაშვილმა მარო თარხნიშვილი და სერგო ზაქარიაძე

***მშვენიერ ქალბატონს, საქართველოს სახალხო არტისტს ცაცა ჩიკვილაძეს (მარიამ იორამაშვილს) ბედმა საკმაოდ მწარე ხვედრი არგუნა. თავის დროზე ის როგორც არტისტი, მომღერალი, თეატრის მსახიობი, სილამაზითა და ნიჭით განთქმული იყო. მისით აღფრთოვანებულები იყვნენ სერგო ზაქარიაძე, მედეა ჯაფარიძე, ლეილა აბაშიძე და სხვა ცნობილი ქართველი არტისტები. ქალბატონი მარიამი თავისი გარეგნობით, მშვენიერი ხმითა და შესანიშნავი, მოსწრებული იუმორით გარშემო მყოფთა ყურადღებას და სიმპათიას ხშირად იმსახურებდა.***




**მარიამ იორამაშვილი:** წარმოშობით გორიდან ვარ, იქ დავიბადე და გავიზარდე. თუმცა, დიდი ხანია უკვე, თბილისში ვცხოვრობ – ჩემი გვარი, საერთოდ, გურულია ***(იცინის).*** ცნობილი და სახელოვანი ოჯახის შვილი ვიყავი. ბებია წარმოშობით ბაგრატიონთა ოჯახიდან იყო, ბაბუაჩემი გორის ტაძარში მეუფე გახლდათ.

ბავშვობაში ძალიან სასაცილო გარეგნობა მქონდა – შავი ვიყავი, მთელი სახე მეჭეჭებით მქონდა დაფარული, სულ თავში მიტყაპუნებდნენ. მაგრამ, გულკეთილი ვიყავი ძალიან და ამის გამო ყველას ვუყვარდი. ძალიან კარგად ვცეკვავდი და ვმღეროდი. მახსოვს ჩემი პირველი შეხვედრა მარო თარხნიშვილთან. თავისი გუნდის რეპეტიცია ჰქონდა და გაოცებული დარჩა – ამ პატარა ბავშვს ასეთი ხმა საიდან ამოსდისო.

**– ძალიან შეუხედავი ვიყავიო, ამბობდით და ამის გამო გული არ გწყდებოდათ?**

– როგორ არა. ხომ ვამბობ, სულ მიტყაპუნებდნენ და დამცინოდნენ-მეთქი. დედაჩემი სულ მწყევლიდა: შენი დაბადების დღე დაიქცა, მაიმუნი გჯობიაო ***(იცინის)***. სამაგიეროდ, რომ გავიზარდე, ისეთი ლამაზი ვიყავი, მამა ამბობდა, მთელი ქუჩები მოვიარე და ჩემი მარიამისნაირი ლამაზი ვერავინ ვნახე – ქუჩაში რომ დავდიოდი, მეუბნებოდნენ: გოგონი, ტროტუარზე გადადი, თორემ მოძრაობა ჩერდებაო.

**– სცენაზე როგორ აღმოჩნდით?**

– სკოლის დირექტორი და გორის თეატრის რეჟისორი მოვიდნენ, ბავშვებს არჩევდნენ – მოაჯირზე დავრბოდი და ვმღეროდი. ბავშვები გულგახეთქილები კიოდნენ, მე არ მეშინოდა. დირექტორმა მიყვირა: რომ გადავარდე, პასუხიც მე უნდა ვაგოო. რეჟისორმა შემომიბღვირა – მეც შევუბღვირე, გამიცინა – მეც გავუცინე, ჩამოვხტი და სიმღერა დავიწყე. რეჟისორმა ხელი ჩამკიდა, ეს ის არის, ვისაც 9 წელი ვეძებდიო. ასე ავიდგი ფეხი თეატრში. ვახტანგ წერეთელმა თავის სახელმწიფო ანსამბლში მიმიწვია – წამყვანი მომღერალი გავხდი პატარა ბავშვი. ცეკვის ანსამბლში, საერთოდ, ჯადოქარი მიწოდეს – დიდი ხნის განმავლობაში სოლისტი ვიყავი. გამოვდიოდი გორისა და ლაგოდეხის თეატრებში, სულ ჰეროიკულ როლებს ვასრულებდი. „ბაში-აჩუკში" ვითამაშე პირიმზისა და პირიმთვარისა, მელანო – სამი როლი ვითამაშე ერთ სპექტაკლში. ჩვიდმეტი წლის ვიყავი, თეატრალური პრემიით რომ დამაჯილდოვეს. შემდეგ რაჭაში გავთხოვდი, არაჩვეულებრივი მეუღლე მყავდა, არ მიშლიდა სცენაზე დგომას. ახალი თეატრი გაიხსნა და რომ გაიგეს, მსახიობი ვარ, მიმიწვიეს. ლეილა აბაშიძეს ისე უხაროდა ჩემი დანახვა, ხელებს გაშლიდა და მომეხვეოდა – დედა, რა ლამაზი ხარ, თვალს ვერ გაშორებო. ქუჩაში ყველა მეხვეოდა და მკოცნიდა, რაჭის თვალი მიწოდეს. შოვში კონცერტი ჩავატარეთ, მთავრობის წევრები იყვნენ ჩამოსულები – გაშტერებულები მიყურებდნენ. ყველა არტისტს ვიცნობდი – გოჩა აბაშიძეს, ლეილა აბაშიძეს, სერგო ზაქარიაძეს, თამარ ციციშვილს. ერთხელ, ბავშვობაში, გორში უცნობებმა მკითხეს: გოგონი, სტალინის სახლ-მუზეუმს ვერ მიგვასწავლიო. მე თამამად ვუპასუხე, აბა, სტალინის სახლ-მუზეუმი არ უნდა იცოდეთ, სად არის-მეთქი? სახლის წინ ბაღი იყო. ერთხელ დედაჩემს ვუთხარი: დედი, ხალხია თბილისიდან ჩამოსული, მშივრები არიან, მიხედე-მეთქი. სერგო ზაქარიაძე და თამარ ციციშვილი აღმოჩნდნენ. წლების მერე რომ შემხვდნენ, გაოგნდნენ, ვერ მიცნეს.

**– თქვენ დიდი ტკივილიც გაქვთ გადატანილი...**

– მეუღლეც დავკარგე და ორივე შვილიც – მარტო ვცხოვრობ და არავის ვაწუხებ. ძალიან დიდი ტრაგედია გადავიტანე, მაგრამ საინტერესოდ ვიცხოვრე.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# რუსეთის ტახტის მემკვიდრე დედით ქართველია, მის შვილს კი პაპის, გიორგი ბაგრატიონის პატივსაცემად დაარქვეს სახელი

საუკუნეების განმავლობაში ბაგრატიონები დანათესავებულნი იყვნენ ძველი დინასტიების წარმომადგენლებთან, ბიზანტიელ იმპერატორებთან – პალეოლოგოსებთან, კომნენებთან, დუკებთან, ბოტინაიტებთან და სხვებთან. აგრეთვე, არმენთა, ოვსთა, შარვანელთა, ყივჩაღთა, მონღოლთა, ჩერქეზთა, დაღესტნელთა, ყაბარდოელთა, ერაყელთა, ოსმალოთა და ირანის დინასტიებთან.

1801-1810 წლებში ქართული სამეფოების ანექსიის შემდგომ ბაგრატიონები რომანოვების ქვეშევრდომებად იქცნენ. ამრიგად, რომანოვების საიმპერატორო დინასტიის წარმომადგენლებს ბაგრატიონების საგვარეულოს წარმომადგენლებთან ქორწინება სასურველად არ მიაჩნდათ. ასეთი პრეცედენტი კი მოხდა, მაგრამ ის არ ჩაითვალა დინასტიურ ქორწინებად და აი რატომ.

რუსეთის იმპერიაში ტახტის მემკვიდრეობის ძალიან მკაცრი კანონები იყო ყოველთვის.

ტახტის მემკვიდრეს დიდი მთავარი (Велимкий Князь) და „ცესარევიჩი“ (Цесаремвич) ეწოდებოდა, მის ძმებს – დიდი მთავრები და „ცარევიჩები“ (Царевич), დებს – „ცარევნები“.

ამ შემთხვევაში რუსული ტერმინი Князь უნდა ვთარგმნოთ მთავრად და არა თავადად, ასე უფრო სწორად გადმოიცემა ის შინაარსი, რაც იგულისხმებოდა საიმპერატორო ოჯახის წევრების უმაღლეს ტიტულში.

დიდ მთავრებად მოიხსენიებოდნენ იმპერატორის შვილები და შვილიშვილები, ხოლო შვილთაშვილები კი იწოდებდნენ „საიმპერატორო სისხლის მთავრებად“ (Князь императорской крови). ყველა მათგანს ეწოდებოდა „მისი საიმპერატორო უმაღლესობა“.

ასეთი ტიტული მათ აძლევდა საშუალებას, ტახტის სამემკვიდრეო სიაში ყოფილიყვნენ, მიეღოთ სხვადასხვა პრივილეგია და ასე შემდეგ. მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი იქორწინებდა არათანაბარი (მორგანატული) ქორწინებით, ის კარგავდა ტახტის მემკვიდრეობის უფლებას. მისი შთამომავლობა დიდი მთავრისა და საიმპერატორო სისხლის მთავრის ტიტულს ვეღარ იღებდა. მეტიც, ამგვარი მორგანატული ქორწინებიდან შობილ შვილებს რომანოვის გვარის ტარების უფლებაც არ ჰქონდათ და მათ სხვა გვარს აძლევდნენ.

მაშასადამე, დიდ მთავრებსა და საიმპერატორო სისხლის მთავრებს ეკრძალებოდათ ქვეშევრდომების, – თუნდაც უგანათლებულესი თავადების შვილებზე ქორწინება, რაც ყველაზე მაღალი რანგი იყო იმპერიაში რომანოვების შემდეგ. რუსეთის იმპერიაში რომანოვებს არც ერთი გვარი არ მიაჩნდათ თავისი ღირსების შესაბამისად, რადგან ისინი მათი ქვეშევრდომები და ჩვეულებრივი თავადები იყვნენ, მათ შორის არა მარტო პირველი ხარისხის თავადები, არამედ მეფეთა და მთავართა შთამომავლებიც კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ.

რომანოვებისთვის თანაბარ ქორწინებად ითვლებოდა მხოლოდ მეფური და მთავრული ოჯახის შვილზე ქორწინება. ამგვარ ადამიანებს კი მხოლოდ რუსეთის იმპერიის გარეთ ეძებდნენ, ანუ არა თავიანთ ქვეშევრდომთა შორის.

ამ თემას ქვემოთ კიდევ მივუბრუნდებით, სადაც გამოჩნდება, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რომანოვებისთვის რუსულ სამეფო ლეგიტიმიზმის პრინციპებს ახალ ეპოქაშიც.

1917 წლის რევოლუციების მერე რომანოვების საიმპერატორო ოჯახმა დაკარგა ტახტი, იმპერია, სამეფო ოჯახი ამოწყვიტეს, დინასტიის წარმომადგენლები კი ემიგრაციაში აღმოჩნდნენ.

ბაგრატიონების სამეფო ღირსებას, მართალია, რომანოვები იმპერიაში არ აღიარებდნენ, მაგრამ ევროპაში, ლეგიტიმიზმის მიმდევრების თვალში, რუსების ამგვარი დამოკიდებულება ბაგრატიონებისადმი მაინც არ ითვლებოდა მთლად სამართლიან მოვლენად.

არც ბაგრატიონები და არც ქართველი პატრიოტები, განსაკუთრებით მონარქისტები, გულხელდაკრეფილი არ ისხდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობას და ჩვენი სამშობლოს ანექსიას საბჭოთა რუსული იმპერიის მიერ, არ ურიგდებოდნენ ქართველი მამულიშვილები. მთავრობის წევრების, პოლიტიკოსების, სამხედროების, საზოგადო მოღვაწეების დიდი ნაწილი იძულებით ემიგრაციაში განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით.



ვლადიმირ კირილის ძე მეუღლესთან ლეონიდა გიორგის ასულთან ერთად

1930-იანი წლებიდან ემიგრანტებს შორის გახლდათ მუხრანის ბაგრატიონთა შტოს მეთაური – გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონი (1884–1957) თავის მეუღლესთან, ელენე ზლოტნიცკა-ბაგრატიონ-მუხრანელთან (1886–1979) და შვილებთან, ირაკლი, ლეონიდა და მარიამთან ერთად.

ბაგრატიონთა ამ შტოს წარმომადგენლები ერეკლე მეორის შთამომავლებიც არიან. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორის ასული, ქეთევანი ცოლად ჰყავდა ივანე მუხრანბატონს (1755-1801). მათ შვილს ერქვა კონსტანტინე (1782-1842), კონსტანტინეს ვაჟს – ერეკლე (1813-1890), ერეკლეს ძეს კი – ალექსანდრე (1853-1918). ალექსანდრე მუხრანბატონი გახლდათ გიორგის მამა. გიორგი ბაგრატიონის მეუღლის ელენე სიგიზმუნდის ასულ ზლოტნიცკას დედა, მარიამი, ასევე იყო ერეკლე მეფის შთამომავლის, ელიზბარ ერისთავის ასული.

ლეონიდა ბაგრატიონი დაიბადა 1914 წლის 23 სექტემბერს (ახალი სტილით 6 ოქტომბერს) ტფილისში. 1934 წლის 6 ნოემბერს ის ცოლად გაჰყვა შოტლანდიური წარმოშობის ამერიკელ ბიზნესმენს სამნერ მურ კორბის. 1935 წელს მათ შეეძინათ ქალიშვილი ელენე კორბი. თუმცა, 1937 წელს ლეონიდა ბაგრატიონი და კორბი ერთმანეთს დაშორდნენ. ლეონიდა ბაგრატიონის ყოფილი ქმარი 1944 წელს გარდაიცვალა.

ირაკლი ბაგრატიონი დაიბადა 1909 წლის 21 მარტს ტფილისში (გარდაიცვალა 1977 წელს მადრიდში).

1940 წელს ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონმა იქორწინა იტალიელი გრაფის უგო პასკვინის ასულ მარია-ანტუანეტაზე (1911-1944). 1944 წლის 22 თებერვალს მათ შეეძინათ ვაჟი – გიორგი (ხორხე. გარდაიცვალა 2008 წელს თბილისში). დედა, მარია-ანტუანეტა მშობიარობას გადაჰყვა.

მეორე მსოფლიო ომის გამო ბაგრატიონები დასახლდნენ ესპანეთში, რომელიც, გენერალ ფრანკოს დამსახურებით, არ იყო ჩაბმული ომში და აიცილა ნგრევა.

ირაკლი ბაგრატიონმა ესპანეთში გაიცნო ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრი, ინფანტა მერსედესი (1911-1953), ესპანეთის მეფის ალფონსო მეცამეტის (მეფობდა 1886-1931 წლებში) დისშვილი. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და გადაწყვიტეს დაქორწინება. ინფანტა მერსედესის მამა, ინფანტი დონ ფერნანდო (პრინცი ფერდინანდი) დედის მხრიდან გახლდათ შთამომავალი ესპანეთის სამეფო ოჯახისა, ხოლო მამის მხრიდან – ბავარიის სამეფო ოჯახის წევრი, გვარად ვიტელსბახი (1884-1958). ის ასევე, იყო ესპანეთის მეფის დის ქმარი. პრინცმა ფერდინანდმა კითხვით მიმართა რუსეთის ტახტის მემკვიდრეს, ვლადიმირ კირილეს ძეს, ჩაითვლებოდა თუ არა მისი ქალიშვილის ქორწინება ირაკლი ბაგრატიონთან თანასწორუფლებიანად.

ვლადიმირ რომანოვმა შეისწავლა საკითხი, რჩევა ჰკითხა ბიძამისს, განათლებით იურისტს, დიდ მთავარ ანდრეი ვლადიმირის ძეს, რომელიც ყველაზე დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხებში. აგრეთვე დაეკითხა თავის მრჩევლებს, წერილობით დაუკავშირდა უცხოეთში მოღვაწე ქართველ ისტორიკოს, პროფესორ მიხეილ მუსხელიშვილს. ამის შემდეგ, ვლადიმირ კირილეს ძემ დადებითი პასუხი შეუთვალა ბავარიის პრინცს, იგივე ესპანეთის ინფანტს.

იმავე 1946 წლის 5 დეკემბერს, რუსეთის საიმპერატორო ოჯახის მეთაურმა, დიდმა მთავარმა ვლადიმირ კირილის ძემ გამოსცა აქტი „ბაგრატიონთა სახლს სამეფო ღირსება“ (царственное достоинство Дома Багратионов), რომელშიც ნათქვამია, რომ მას სამართლიანად და სასარგებლოდ მიაჩნია ბაგრატიონთა სამეფო ღირსების აღიარება. ხოლო მისმა კანცელარიამ რუსეთის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევა და საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება უარყოფითად შეაფასა („ვერაგობასთან მიახლოებული ნაბიჯი“).

რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის (მეფობდა 1855-1881 წლებში) მესამე ვაჟს ერქვა ვლადიმირი (1847-1909), მის უფროს ძეს – კირილი (1876-1938). დიდმა მთავარმა კირილმა 1922 წელს ემიგრაციაში თავი გამოაცხადა „რუსეთის იმპერიის ტახტის მცველად”. შემდგომში, როცა ნამდვილად დადასტურდა ბოლშევიკების მიერ ნიკოლოზ მეორის ძის ალექსის (1904-1918) და ალექსანდრე მეორის ძის მიხეილის (1878-1918) მკვლელობის ფაქტები, კირილ ვლადიმირის ძე რომანოვმა, 1924 წლის 31 აგვისტოს მანიფესტით – თავი რუსეთის დე იურე იმპერატორად, ხოლო შვილი – ვლა-

# რას ნიშნავს სამსაფეხურიანი საპენსიო სისტემა, შეუნარჩუნდება თუ არა, საპენსიო რეფორმით, მინიმალური პენსია ყველას და რაზე იქნება დამოკიდებული საბოლოო პენსიის სიდიდე

(მე-10 გვერდიდან)

ით. ვფიქრობ, თუ ნორმალურად წავა ყველაფერი, 40 წლამდე ასაკის მოქალაქეებს 20-25 წლის შემდეგ შეიძლება, ჰქონდეთ ნორმალური საპენსიო სისტემა.

**– თუმცა აქ არის ერთი აუცილებელი პირობა: მოქალაქე უნდა მუშაობდეს, თუ უმუშევარია, რას დააგროვებს?**

– თუ ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოვალთ, მაშინ ამაზე ფიქრიც არ შეიძლება, მაგრამ წინ უნდა გავიხედოთ იმ პერსპექტივით, რომ სამუშაო ადგილები იქნება, ეკონომიკა გვექნება მდგრადი, განვითარებადი და მისი მასშტაბები იქნება გაცილებით მეტი.

**– უმუშევრები ყველა ქვეყანას ჰყავს, უმუშევრების პენსიის პრობლემა როგორ წყდება?**

– უმუშევრებიც იღებენ დახმარებას, ჩვენთან 2008 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა ეგრეთ წოდებული სოციალური გადასახადი, რომლის პარალელურადაც არსებობდა 12-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი. ისინი დაწყვილდა და ჯერ 25 პროცენტი შეადგინა, შემდეგ – 20-მდე შემცირდა. სოციალურ გადასახადს ბევრი ქვეყანა იხდის და ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო საპენსიო უზრუნველყოფის სახსრების ფორმირებისთვის. ჩვენთან, ახალი საკონსტიტუციო ნორმით, გადასახდების შემოღება და, მით უმეტეს, მათი განაკვეთის ზრდა, რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს, ეს პოპულისტური ნაბიჯი ბევრ უსიამოვნებას შეგვახვედრებს.

**– შევახსენოთ მკითხველს, რომ ეს გადაწყვეტილება წინა ხელისუფლებამ მიიღო.**

– ჩვენ ხელისუფლებას ვირჩევთ იმიტომ, რომ მან უფრო კომპეტენტურად მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხზე; ხომ არ ვაწყობთ რეფერენდუმს ომის დაწყების ან ზავის საკითხებზე? ეს უფლებები მთავრობას აქვს გადაცემული. ბუნებრივია, არავის არ აძლევს ხელს გადასახადების შემოღება, მაგრამ, რეალობიდან გამომდინარე, ხან უნდა შემოვიღოთ, ხან უნდა გავზარდოთ, ხან – შევამციროთ. ამდენად, რეფერენდუმზე ამ საკითხის გამოტანა არ იქნება მართებული.

**– თუ იმაზე მეტ ხანს ვიცოცხლე, ვიდრე გათვალისწინებულია, პენსია მაინც იმავე ოდენობით მომეცემა?**

– მოგებული რჩება ის, ვინც მეტ ხანს ცოცხლობს. ის იღებს იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე შეიტანა და სტატისტიკურად იყო საშუალოდ გათვლილი. საფრანგეთში, მაგალითად, პენსიაზე გასვლის შემდეგ მამაკაცები საშუალოდ ცხოვრობენ 22 წელიწადს, ხოლო ქალები – 28 წელიწადს. ჩვენთან ეს ციფრი გაცილებით მოკრძალებულია: ქალებისთვის, დაახლოებით, 15 წელიწადია, მამაკაცებისთვის – 7 წელიწადი. ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია სიცოცხლის ხანგრძლივობასთან.

**– კონკრეტული მაგალითი რომ მოვიყვანოთ, რამდენი თანხა უნდა გადავიხადო ყოველთვიურად, რომ ამდენი და ამდენი პენსია მქონდეს? ეს როგორ ითვლება?**

– წინასწარაა ცნობილი, ვინ რამდენს აიღებს საპენსიო ასაკის დადგომასთან ერთად. პირობითად ვთქვათ, თუ თვეში 100 ევროს გადაიხდით, მაშინ გექნებათ პენსია, ვთქვათ, 300 ევრო; თუ გადაიხდით 120 ევროს, გექნებათ 380 ევრო. კორელაციური ცხრილებია და თავად განსაზღვრავ, რამდენის მოკლება გილირს დღეს, რომ შემდეგ პენსია მიიღო. ადამიანი არის თავისუფალი არჩევნის წინაშე. მას შეუძლია, ნაკლები გადაიხადოს და შესაბამისად, ნაკლები ექნება პენსია.

**– ყველას ჯვარი სწერია, მეც, ვთქვათ, ვერ მივაღწიე საპენსიო ასაკამდე – რა ემართება ჩემ მიერ საპენსიო ფონდში შეტანილ თანხას?**

– ეს წინასწარ უნდა იყოს დათქმული. ოჯახის წევრებს მიეცემათ მაშინვე ან გარდაცვლილი პირის საპენსიო ვადის დადგომამდე. ყველაფერი დეტალურადაა გაწერილი. მაგალითად, ჩილე დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა საპენსიო სისტემის დაგროვების დიდ ნოვატორად. იქ, დაახლოებით, 11 განსხვავებული საპენსიო სისტემა და ფონდი მოქმედებს. ყველას აქვს განსხვავებული მიდგომა და ხედვა.

**– გარდაცვლილის საპენსიო თანხა ოჯახს დანამატების გარეშე უბრუნდება?**

– დიახ. ამასთანავე, იგულისხმება, რომ თქვენ უვლით საკუთარ ჯანმრთელობას და რამე მავნე თვისებებით ზიანს არ აყენებთ მას. დაზღვევაში ამას ჰქვია მორალური რისკის ცნება. ამერიკაში, მაგალითად, ვინც შემჩნეულია გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობაში, ალკოჰოლის გამოყენებაში, მათთვის დაზღვევის თანხა ავტომატურად უფრო მეტია, იმიტომ რომ მათ შემთხვევაში რისკის ფაქტორი გაცილებით მაღალია.

**– ჩვენთან პარადოქსული რამ ხდება: სადაზღვევოები არ უზღვევენ ავტომანქანას 23 წლამდე ასაკის მძღოლს, იმიტომ რომ რისკი მაღალია; პარლამენტარს კი 21 წლის ასაკიდან ვირჩევთ. ანუ კანონების წერას ვანდობთ, მაგრამ მანქანას – არა.**

– საზოგადოება უფრო მომატებული რისკის ქვეშაა.

**– ზოგადად რომ ჩამოვაყალიბოთ, როგორია დაგროვებითი პენსიის სქემა?**

– სქემა სამსაფეხურიანია: პირველი საფეხურია საბაზისო, ანუ სოციალური პენსია, რომელიც მიეცემა აბსოლუტურად ყველას, ვინც არის საპენსიო ასაკის; მეორე საფეხურია, როდესაც საშემოსავლო გადასახადიდან რაღაც პროცენტი მიდის საპენსიო ფონდში, იმისდა მიუხედავად, გაქვთ თუ არა თქვენ ამის სურვილი და იქ დაგროვილი თანხა საპენსიო ასაკის დადგომასთან ერთად, ემატება საბაზისო პენსიას. მაგრამ, ამის პარალელურად, თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენი პენსია უფრო მეტი იყოს, შეგიძლიათ, გააფორმოთ ხელშეკრულება რომელიმე საპენსიო ფონდთან და შეიტანოთ შენატანები ყოველთვიურად.

**ნინო ხაჩიძე**

---

დიმირი (1917-1992) მემკვიდრედ და „ცესარევიჩად" გამოაცხადა.

1938 წელს კირილ ვლადიმირის ძე გარდაიცვალა და საიმპერატორო სახლის მეთაურად მისი ვაჟი, ვლადიმირ კირილის ძე გამოცხადდა. ვლადიმირ კირილის ძე დაიბადა 1917 წლის 17 (30) აგვისტოს ფინეთში, როცა რუსეთში დროებითი მთავრობა იყო. სულ მალე ფინეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ვლადიმირის დედა გახლდათ საქს-კობურგ-გოთას პრინცესა ვიქტორია (1876-1936), ბრიტანეთის დედოფლის ვიქტორიას (მეფობდა 1837-1877 წლებში) შვილიშვილი. პრინცესა ვიქტორია დაქორწინების წინ მონათლეს მართლმადიდებლურად და უწოდეს ვიქტორია თეოდორის ასული (Виктория Фёдоровна). აქვე გავიხსენოთ, რომ რუსეთის სამეფო ოჯახის წევრი ვერავინ გახდება, თუ მართლმადიდებელი არ არის. ასეთი წესი მიღებული და აუცილებელია ყველა სამეფო ოჯახში. მაგალითად, ვერავინ გახდება დიდი ბრიტანეთის დედოფლის სიძე ან რძალი, ვინც არ აღიარებს ანგლიკანურ პროტესტანტულ სარწმუნოებას.

1947 წელს ვლადიმირ კირილის ძემ გაიცნო ლეონიდა ბაგრატიონი, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. 1948 წლის 13 აგვისტოს, ლოზანაში, წმიდა გერასიმეს სახელობის მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრემ, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვმა და ლეონიდა გიორგის ასულმა ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილმა ჯვარი დაიწერეს.

1953 წლის 23 დეკემბერს ლეონიდა ბაგრატიონს და ვლადიმირ რომანოვს შეეძინათ ერთადერთი ქალიშვილი მარია. მარია დაიბადა მადრიდში. რადგან რომანოვებს აღარ ჰყავდათ მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელიც დედითაც და მამითაც სამეფო საგვარეულოს წარმომავლობის იქნებოდა, ამიტომ მარია ვლადიმირის ასული გამოცხადდა რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრედ.

1976 წლის 22 სექტემბერს, მარია ვლადიმირის ასული ცოლად გაჰყვა პრუსიელ პრინცს, ფრანც ვილჰელმ ჰოჰენცოლერნს. მარიას მეუღლემ ქორწინების წინ, ხელშეკრულების თანახმად, მიიღო მართლმადიდებლობა, მას უწოდეს დიდი მთავარი მიხეილ პავლეს ძე. ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ მარია ვლადიმირის ასული, მამის გარდაცვალების შემდგომ, უნდა ჩასდგომოდა სათავეში რომანოვების დინასტიას და ამიტომ მას სჭირდებოდა ისეთი მეუღლე, რომელიც მისი თანასწორი ღირსების იქნებოდა და დათანხმდებოდა, რომ მათ შვილებს მისცემოდა რომანოვის გვარი და არა ჰოჰენცოლერნის.

მარია რომანოვას და მიხეილ პავლეს ძეს მადრიდში, 1981 წლის 13 მარტს, შეეძინათ ვაჟიშვილი გიორგი, რუსეთის ცესარევიჩი. სახელი მას შეურჩიეს დიდი პაპის, გიორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონის პატივსაცემად. სახელის დარქმევის ინიციატორი გახლდათ გიორგი (ხორხე) ბაგრატიონი.

შემდეგში მარია რომანოვა და მიხეილ პავლეს ძე ჰოჰენცოლერნი დაშორდნენ. მიხეილ პავლეს ძე რუსეთის დიდი მთავრის ტიტულს ფლობდა 1776-1985 წლებში. შემდეგ დაიბრუნა თავისი ძველი ტიტული – პრუსიის პრინცი ფრანც ვილჰელმი.

1992 წლის 21 აპრილს მაიამიში, ამერიკაში, გარდაიცვალა ვლადიმირ კირილის ძე რომანოვი და ტახტის მემკვიდრე გახდა მისი ასული მარია რომანოვა.

მარია რომანოვას რუსეთის ტახტის მემკვიდრედ აღიარებს რუსეთის ეკლესია და რუსი მონარქისტების აბსოლუტური უმრავლესობა. თუმცა, რუსეთში არიან ადამიანები, რომელთაც უნდათ გამოაცხადონ, თითქოს „ვლადიმირ კირილის ძის ქორწინება ლეონიდა გიორგის ასულზე იყო მორგანატული (არათანაბარი), ვინაიდან საქართველოს მფლობელობა შედის რუსი იმპერატორების ტიტულში და რა უფლება ჰქონდა ვლადიმირ რომანოვს გაეცა სისხლით მოპოვებული ტერიტორია – საქართველოო"... და სხვა ამგვარები. თუმცა, ისინი ამინდს ვერ ქმნიან მონარქისტულ სამყაროში, ვერც რუსეთში და მით უმეტეს, ვერც ევროპაში...

ლეონიდა ბაგრატიონი გარდაიცვალა 2010 წლის 23 მაისს მადრიდში. ის დაკრძალეს პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის ტაძრის საძვალეში, თავისი მეუღლის, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვის გვერდით.

**გიორგი მახოზეშვილი**

**ანრი ჯოხაძის მიერ განსახიერებულმა ეთერ კაკულიამ „ჯიდიესის“ ახალ პროექტში, რომელის შესახებაც ამდენი კვირის განმავლობაში ვწერთ, ერთ საათში აალაპარაკა მთელი ქვეყანა. სოციალური ქსელი აივსო სტატუსებით: „რა მაგარი პროექტია „ერთი ერთში;“ ანრი ჯოხაძემ ძალიან კარგად იცის თავისი საქმის გაკეთება და, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან აგვიანებს, ყველას ნერვებს უშლის თავისი არაპროგნოზირებადობით, მის გარეშე არც ერთი შოუ არ არის, იმიტომ რომ შოუმენია, ის ქმნის სანახაობას, რომელზეც შემდეგ აუცილებლად ლაპარაკობენ...“**

# რატომ უნდა ანრი ჯოხაძეს ქალად გარდასახვა და ვინ შეძლო მისი „გამოსწორება“

**ანრი ჯოხაძე:** მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში უამრავ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა. უცხოეთში რა კონკურსზეც ვარ ნამყოფი, თითქმის ყველა მოგებული მაქვს. მაგრამ, პროექტს – „ერთი ერთში“ – კონკურსს ვერ დავარქმევ, რადგან, ეს ის პროექტია, საიდანაც არავინ ვარდება, თუმცა, ყველა პირველი ადგილისთვის იბრძვის. ზოგადად, ეს პროექტი ჩემნაირებისთვისაა, ჩემზეა დაწერილი და შედეგიც სახეზეა: სამი „ლაივშოუა“ გასული, აქედან ორჯერ ვიყავი პირველ ადგილზე და ერთხელ – მესამეზე, რაც უკვე მეტყველებს იმაზე, რომ რაღაცას სწორად ვაკეთებ. ამ პროექტში შემოვედი საპრიზო ადგილებისკენ მისასვლელად დარწმუნებული და სრულიად მოტივირებული.

**– „ჩემნაირებისთვის დაწერილი“ რას ნიშნავს?**

– ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ ხმა, არტისტიზმი, სიგიჟე, გამბედაობა. შოუმენებისთვისაა ეს პროექტი და, ვინც ამას ვერ აკეთებს, აბსოლუტურად იკარგება. ეს არ არის საწყენი, ობიექტურად ასეა.

**– ნანახი გქონდა ადრე?**

– რა თქმა უნდა. ის კი არა, ამ შოუს უკრაინულ ვერსიაზე დასწრებულიც კი ვარ. გავგიჟდი, ისე გამიხარდა, შემოთავაზება რომ მივიღე და რომ გავიგე, ასე მაღალ დონეზე გაკეთდებოდა. როგორც ამიხსნეს, ძალიან ძვირად ღირებული და რთულად გასაკეთებელი შოუა. პირადად რომ შევეჯახე, მივხვდი, რომ ასეთი სირთულის პროექტი არ არსებობს. რაც არ უნდა ნიჭიერი იყო, აქ ერთი ადამიანი ვერაფერს იზამს, ყველა სუპერპროფესიონალურად მუშაობს.

**– გადაკეთებასთან დაკავშირებით მინდა გკითხო. ძალიან სახასიათო მომღერალი ხარ, მკვეთრად გამოხატული მანერები გაქვს სცენაზე დგომის, მოძრაობის, მიკროფონის ჭერისაც კი. ანრის დატოვება არ გიჭირს?**

– სხვათა შორის, პირიქით, სწორედ ჩემი ინდივიდუალიზმი მეხმარება: ზუსტად ვიცი, რას ვაკეთებ და, ამა თუ იმ ადამიანად გადაკეთების დროს რისი გაკეთება, რაზე აქცენტირებაა საჭირო. აბა, როგორ აგიხსნა?! ესაა სწორედ ჩემი ინდივიდუალიზმი, რომ, შემიძლია, სხვადასხვა ტიპის ტყავში შევძვრე და წარმოვადგინო ისინი ძალიან ეფექტურად.

**– „ეთერ კაკულიაში“ აშკარად გაგიმართლა.**

– გაგვიმართლა ყველას: გაუმართლა ანრის, შოუს, ეთერ კაკულიასაც გარკვეული დოზით და, რა თქმა უნდა – არხს. ამ ნომრის შემდეგ ამ შოუზე ხალხი მასობრივად, სტიქიურად ალაპარაკდა და, ძალიან მიხარია, რომ ამაში ჩემი წვლილიცაა. „ნახეთ კაკულია, „ჯიდიესზე“ რომ გადაცემაა?!“ – ამ აჟიოტაჟის ატეხა არც ისე ადვილია და, მიხარია, რომ ამაში მეც მივიღე მონაწილეობა. ყველას გვინდა მოგება, წაგებული წასვლა აქედან არავის არ ესიამოვნება, მაგრამ, მე უკვე ის მიხარია, რომ ასეთ არხზე, ასეთ მაგარ პროექტში, მისი რეიტინგის დაწერისთვის რაღაც მარცვალი მეც ჩავაგდე.

**– თან, ერთი ტალღა სჭირდება „ფეისბუქს“ და, ჩათვალე, რომ შემდეგი გადაცემა ყველას ნანახი აქვს.**

– გეთანხმები. მართლა ძალიან მაგრად მუშაობს ყველა – ქორეოგრაფები, გრიმიორები... და, არ არსებობს, ამან შედეგი არ გამოიღოს. პატარა ბავშვივით ვარ: არ ვაცდენ ცეკვას, ვოკალის პედაგოგებთან სიარულს, არც ერთ რეპეტიციას. სულ ტრენინგში ხარ, ჩვენთან დროის ათვლა სხვანაირად იწყება, თბილისური „მოჩლაჩული“ პონტი აბსოლუტურად დავიწყებულია. მომწონს ეს ყოფა, პროფესიონალური ყოფა. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც გადაწყვიტა, რომ ამ შოუში ვყოფილიყავი. თქვენ არ იცით, მე როგორ „ვკაიფობ“ ყოველდღე, ჩემი პროექტია და სიგიჟემდე მომწონს. მანამდე ასეთი ტიპის პროექტები არ მაინტერესებდა, ფეხებზე მეკიდა.



მინდა, „მაზალო“ ქალები გავაკეთო

**ზუსტად ვიცი, რას ვაკეთებ და, ამა თუ იმ ადამიანად გადაკეთების დროს, რისი გაკეთება, რაზე აქცენტირებაა საჭირო**

ჩემს პუნქტუალურობასთან დაკავშირებით, ხომ იცი, ლეგენდები დადიოდა *(იცინის)*.

**– ვინ გინდა რომ „გააკეთო“? არის ვინმე ისეთი, ვისი განსახიერებაც ძალიან გინდა?**

– ძალიან მინდა, რომ ხშირად მომინიოს ქალების განსახიერება. ტრანსფორმაცია ამ შოუში, თან, ასეთი რადიკალური ტრანსფორმაცია – მთავარია. ბიჭის იდეალურად გაქალება არ გამოვა, მაგრამ, ამაზე შემდეგ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, აჟიოტაჟია, ეფექტური ნომერია. გაცილებით უფრო ადვილია შეფასებაც, როცა ასე რადიკალურად იცვლები. მინდა, „მაზალო“ ქალები გავაკეთო.

**– მაგალითად, ლაიზა მინელი?**

– თუნდაც. ძალიან მაგარი იქნებოდა.

**– ანრი, პროექტის გარდა რაზე მუშაობ?**

– სულ ცოტა ხანში გამოვა ჩემი ახალი კლიპი – დუეტი ჩემს ძმასთან ერთად. ეს არის სიმღერა თბილისზე, რომელსაც ერთად ვმღერით და, მგონი, კარგი კლიპიც გამოვიდა.

**– ხშირად უმღერი თბილისს...**

– აბა, რას ვუმღერო? არ მეცრემლება და არ მეწვიმება...

**– გიფიქრია თბილისის გარეთ ცხოვრებაზე?**

– კი, ძალიან ხშირად. თბილისი რა არის?! ერთი სნობური ქალაქი, ტრაკში „გაპუტულ პეროგარჭობილთა“ საზოგადოებით. არ დაგავიწყდეს – გაპუტული. ჩემთვის თბილისი მაინც ჩემი სამეგობროა, ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა მსიამოვნებს. მაგრამ, მიმაჩნია, რომ თბილისის თანამედროვე სახე ახლა ფორმირდება. ნელ-ნელა უკვე ყველაფერი ლაგდება და ამ სამყაროში ყველას თავისი ადგილი ექნება. დღესდღეობით ვეღარავის აკვირვებ გლამურით, რადგან, ის ძალიან ხელმისაწვდომი და იაფი გახდა; ვერავის გააკვირვებ სტატუსით, ვარსკვლავობით, მინისტრობითა თუ მინისტრის საყვარლობით. აქედან გამომდინარე, დღეს მთელი ეს სიტუაცია ძალიან გაშიშვლდა და, ადამიანის წარმატება თუ წარუმატებლობა მხოლოდ და მხოლოდ მის პირად რესურსებს უკავშირდება. იგივე ტელესივრცეს რომ გადაავლო თვალი, ზედმეტი გლამური უკვე ძალიან გაღიზიანებს, გაღიზიანებს ამა თუ იმ თოქ-შოუში მოწვეული ადამიანი, რომელიც ძალით აკეთებს სკანდალს – ამას გრძნობ და ხვდები. საერთოდ, მაყურებელი ისეთი გაზრდილია, გაოგნებული ვარ. გაზრდილი და, ამავდროულად, ძალიან სახიფათო გახდა ჩვენი მაყურებელი: ყველანაირ სიყალბეს ეგრევე გრძნობს, დაგტკეპნის და გაგამაიმუნებს. რეალურად, მან ძალიან კარგად იცის ყველაფერი, თუ როგორ იქნება თუნდაც ჩვენი, კულტურული სფერო.

**– ზუსტად იცი, ხომ, როგორ სჭირდები ამა თუ იმ შოუს?**

– რა თქმა უნდა. გადაცემებში ცნობილ სახეებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იწვევენ, რომ რეიტინგი დაწეროს, ხალხმა უყუროს. მე რომ მივდივარ გადაცემაში, ზუსტად ვიცი, იქ რა მინდა და რა უნდა გავაკეთო. ნუ, რა თქმა უნდა, თემასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეა ყველა. რაც ჟურნალისტებს გინდათ, ანუ, „საკბილო“ თემები, თან, დღეს ამ საკბილო თემების თამასამ ძალიან აიწია, უკვე პირდაპირ ზეწარქვეშ შემოხედვას გულისხმობს. ამიტომ, ასე ბრმად ეს ყველაფერი არ უნდა გააკეთო, რომ საჭირო შუალედი დაიცვა.

**სალომე გველესიანი**

**„ ...შემოქმედმა იზრუნა იმაზე, რომ მოეცა ჩვენთვის იდუმალებით აღსავსე სიცოცხლე. ვიტყოდი, რომ ეს არის სიცოცხლე სიცოცხლეში. ესაა მსუბუქი, ნაზი და ნატიფი სამყარო – უხილავი და ძლიერი. ჩვენ მან მოგვცა ყველაფერი, რაც გვესაჭიროება სრულყოფილებისთვის; მოგვცა სინათლე და ცნობიერება. მიიღეთ მადლიერების გრძნობით ის, რაც მოგვცა, მოგვცა უსასყიდლოდ. არც მე გამადლით ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას...“ – ამბობს ნანა მამაგულაშვილი, რომელიც წელიწადზე მეტია, ალტერნატიული და ინფორმაციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში მოღვაწეობს. მისი ბუნებრივი ნიჭითა და უნარით – დაეხმაროს ადამიანებს საკუთარი პრობლემების მოგვარებაში, საქართველოს ფარგლებს გარეთაც დაინტერესდნენ. მას სპეციალისტები ხშირად იწვევენ ბაქოში სეანსებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად. ქალბატონ ნანას გასაცნობად საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში ბაქოს ინფორმაციული, არამედიკამენტური მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელი, ბატონი აიშარი. მისი სურვილით, ნანა მამაგულაშვილმა მასტერკლასებისა და სეანსების ჩატარება მარნეულშიც დაიწყო. გარდა ამისა, შეხვედრები აქვს თბილისშიც, მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმში. ასევე, სპეციალური მიწვევით იგეგმება მისი ვიზიტი ისრაელსა და საბერძნეთში.**

# როგორ „კურნავს“ უწამლოდ ნანა მამაგულაშვილი ადამიანებს პრობლემებისგან

**ნანა მამაგულაშვილი**: ადამიანებთან მჭიდრო კონტაქტი, მათ პრობლემებზე საუბარი და გამოსავლის ერთად ძებნა – ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. ალტერნატიული და ინფორმაციული მედიცინის ეროვნული ცენტრი საკმაოდ სერიოზული ორგანიზაციაა. აკადემიური მედიცინა მკურნალობს მხოლოდ მატერიას, მაგრამ, მატერია და ინფორმაცია განუყოფელია ერთმანეთისგან. აზრი და სიტყვა, რომელსაც ჩვენ გავიფიქრებთ და წარმოვთქვამთ, უდიდეს ზეგავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაზე. თუ აზრი და სიტყვა სიკეთის მომტანია, უკან გვიბრუნდება გაასმაგებული სიკეთე. ერთი სიტყვით, ინფორმაციული თერაპია შეუცვლელი ინსტრუმენტია პროფესიონალის ხელში.



**– თუ სწორად გავიგე, შეიძლება, არაფერი გვტკიოდეს და კარგად მაინც არ ვიყოთ.**

– რა თქმა უნდა. ძალიან ბევრი ადამიანია ასეთ მდგომარეობაში. SI თერაპია – ინფორმაციული მედიცინის უახლესი მიმართულებაა. მისი საშუალებით შეგვიძლია, გადაველობოთ ნებისმიერ დაავადებას. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ჩვენ, ყველანი, ვართ ბიოლოგიური არსებები და ვცხოვრობთ ერთ მთლიან, ენერგოინფორმაციულ სივრცეში; გარს გვარტყია თითქოსდა „არაფერი“ – ჰაერი და, სწორედ ამ გამჭვირვალე ჰაერში ხდება ყველა ის მოვლენა, რომელსაც კაცობრიობა ჯერჯერობით ვერ ხსნის. თუმცა, ჩვენს ცენტრში შევძელით ის, რომ გამოგვყავს ადამიანები დეპრესიული მდგომარეობიდან, ვაუმჯობესებთ მათ ყოველდღიურობას; ხდება ფსიქოკორექცია – ენერგეტიკული და ინფორმაციული სისტემების აღდგენა, სტრესული და პოსტსტრესული მდგომარეობის ლიკვიდაცია.

**– რას ნიშნავს ეს?**

– გეტყვით. როცა მე სეანსს ვატარებ და მერე ვხვდები ისევ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემამდე უამრავი კონკრეტული პრობლემით მოდიან, ვხედავ, რომ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ არის შეცვლილი. ჩივილები აღარ აქვთ. დაბრუნებულია რწმენა, ხალისი და, იციან, რომ ხვალ ყველაფერი კიდევ უფრო კარგად იქნება. ყველას შეუძლია, გახდეს წარმატებული და იპოვოს ბედნიერება.



**– კიდევ რას მოიცავს არამედიკამენტური თერაპია და რეაბილიტაცია?**

– ანუ, რას ვთავაზობთ ადამიანებს: ნევროზული და დეპრესიული მდგომარეობის დაბალანსებას, ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ლიკვიდიაცია – ხვდებით, ალბათ, რას ნიშნავს ფსიქოლოგიური დამოკიდებულება მისი ფართო მნიშვნელობით; ასევე, ნეგატიური ინფორმაციისგან გათავისუფლება, ენერგოინფორმაციული კორექცია; ენერგეტიკული ცენტრების (ჩაკრების) გახსნა, აღდგენა და დაბალანსება; ენერგოინფორმაციული და ინფორმაციული დიაგნოსტიკა. მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი ჩვენთან არის სიახლე, თორემ, მთელ მსოფლიოში არსებობს ალტერნატიული და ინფორმაციული მედიცინის ცენტრები. ეს მიმდინარეობა იქ ძალიან პოპულარულია, მთელი აღმოსავლური მედიცინაც ამაზეა დაფუძნებული.

**– უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, რა პრობლემებით მოდიან ადამიანები თქვენთან და რისი მოლოდინი აქვთ?**

– პრობლემები ბევრნაირია, როგორც პირადული სახის, ასევე – ყოფითი. ალბათ, ხშირად გსმენიათ ნაცნობებისგან – ერთხელ დამიცდა ფეხი და ველარ გავიხარეო და, ეს არ არის შემთხვევით ნათქვამი. ძალიან ხშირად, ადამიანები ველარ გამოდიან ჩაკეტილი წრიდან – ერთი წარუმატებლობა მეორეს ებმის და, ჩნდება განცდა, რომ მათ ცხოვრებაში კარგი აღარაფერი იქნება. ეს საკმაოდ საშიში მდგომარეობაა. უამრავი ნეგატიური გამოვლინებით ზიანდება როგორც ადამიანის ფსიქოლოგიური, ასევე, მისი ფიზიკური მდგომარეობაც: არანაირი საქმე არ გამოსდით; სიხარული, ბედნიერება ქრება და ისადგურებს სრული გულგატეხილობა. ამ ადამიანებს შველა სჭირდებათ, თანაც, შველა პროფესიულ დონეზე. მიხარია, რომ ჩემი ნიჭი მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, საქართველოს ფარგლებს გარეთაც დააფასეს. დიდი ხალისით მივდივარ ხოლმე მასტერკლასების ჩასატარებლად, თუმცა, ყოველთვის შემიძლია, დავუთმო დრო კონკრეტული ადამიანის კონკრეტულ პრობლემას; დავუბრუნო მას ბედნიერება, რომელსაც თითოეული ჩვენგანი იმსახურებს.



**P.S. ქალბატონ ნანასთან ჩაწერა შესაძლებელია ტელეფონით: 577-755-418.**

# ბრძნული აზრები

**ებნერ-ეშენბახი**: გენიოსი გზას ხსნის, ნიჭიერი კი – ამ გზაზე მიდის.

**კრისპი**: კარგ ადამიანს ყურადღებას თუ არ მიაქცევ, ის ნაკლებად მოღვაწე ხდება, სულელი კი – დამნაშავე.

**დემოკრიტე**: არსებობენ ჭკვიანი ყმაწვილები და ბრიყვი მოხუცები, რადგან აზროვნებას დრო კი არ ასწავლის, არამედ ადრეული აღზრდა და ბუნება.

**ვოლტერი**: მთავარია, საკუთარ თავს შეეგუო.

**პუბლიუსი**: სხვას ბევრი აპატიე, საკუთარ თავს – არაფერი.

**ბეკონი**: კითხვა ბრძენთან შეხვედრაა, მოქმედება კი ბრიყვთან შეხვედრა.

**ემერსონი**: წლები გვასწავლიან იმას, რაც დღეებმა არ იციან.

**დემოკრიტე**: თუ ბევრს არ ისურვებ, მაშინ ცოტაც ბევრად მოგეჩვენება.

**ტოლსტოი**: იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რა არის ზნეობრივი, უნდა ვიცოდეთ ისიც, რაც არაზნეობრივია და ეს იმიტომ, რომ ვიცოდეთ – რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა.

**პლატონი**: სხვათა ბედნიერების ძიებაში გართულნი საკუთარს ვპოულობთ.

**ავრელიუსი**: ხშირად უსამართლობას სჩადის არა მარტო მოქმედი, არამედ უქმად მყოფიც.

**ციცერონი**: არაფერია უფრო მეტად გამომგონებელი, ვიდრე – ბუნება.

**ჯიბრანი**: შენ ბრმა ხარ, მე – ყრუ-მუნჯი, მოდი, ჩავკიდოთ ხელი და შევეცადოთ, გავუგოთ ერთმანეთს.

**ჰიუგო**: მცდელობა, განებივრებით ბავშვს შეუქმნა ბედნიერი ცხოვრება, არაკეთილგონივრულია.

**შექსპირი**: ბრძნული სიტყვის წარმატება დამოკიდებულია მსმენელის ყურზე და არა მთქმელის ენაზე.

**ჩეხოვი**: ერთი ტკივილი ყოველთვის ამსუბუქებს მეორეს.

**კოლდრიჯი**: ის, ვინც იკვეხნის, რომ ბევრი მეგობარი შეიძინა, სინამდვილეში არავინ შეუძენია.

**ნიცშე**: თუ შენ მონა ხარ, არ შეიძლება, იყო მეგობარი, თუ შენ ტირანი ხარ, მეგობრები არ გეყოლება.

**ჰორაციუსი**: საკუთარ თავს დაუსახე მიღწევადი მიზანი.

**კუნაბაევი**: ყველაზე ცუდი ადამიანი, ესაა ადამიანი მისწრაფებების გარეშე.

**პლინიუსი**: ბრმებში ცალთვალა მეფეა.

**ულებერი**: საუკეთესო კანონები ტრადიციებიდან იბადება.

**კონფუცი**: ნუ ღელავ იმაზე, რომ ხალხი შენ არ გიცნობს. იფიქრე იმაზე, რომ შენ არ იცნობ ხალხს.

**მარკუზე**: კლასობრივი მორალი: მეფეებს უფლება აქვთ, დაღრეჯილი იყვნენ. მონები მოვალენი არიან, იცინონ.

**სპინოზა**: მშვიდობა ყველაზე მოკლე მანძილია ორ ომს შორის.

**შოუ**: ვნებიან ქალთან უფრო იოლია ცხოვრება, ვიდრე მოსაწყენთან. მართალია, ხანდახან მათ ახრჩობენ, მაგრამ არასოდეს მიატოვებენ.

**ბალზაკი**: სიყვარულს ქალი თავისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალებად მიიჩნევს. მას ჩვენში საკუთარი თავი უყვარს.

# თუ გაგიოცნობთ

1. ყველამ იცის, რომ მარსი ომის ღმერთი იყო. მაგრამ, ერთხელ ის საომრად არ წავიდა, რადგან, მის ჩლემში ერთ-ერთმა ფრინველმა ბუდე გაიკეთა. **რომელმა?**

2. კარდინალ რიშელიეს ძალიან უყვარდა ვაშლის სუნი და ყოველთვის ედო ის მაგიდის უჯრაში. ბოლოს მან თავის აფთიაქარს შეუკვეთა: ვაშლისა და ცხიმებისგან მომზადებინა სპეციალური საცხი. **დაასახელეთ,** სიტყვა, რომელიც დაიბადა ამ საცხთან ერთად და დღემდე გამოიყენება.

3. შუა საუკუნეებში დამნაშავის დასჯის წინ მისი ახლობლები ჯალათს ქრთამს აძლევდნენ. **რისთვის?**

4. ვირუსის მოქმედებას კომპიუტერულ ინფორმაციულ სისტემებზე ხშირად ადარებენ ჩვენს ერამდე 47 წელს მომხდარ დიდ მოვლენას. **რომელს?**

5. **დაასახელეთ** ცნობილი პიროვნება, რომლის პორტრეტსაც ხშირად იყენებს ისრაელის საგზაო პოლიცია მოძრაობის წესების დაცვის პროპაგანდის მიზნით.

6. 1727 წელს ინგლისის მეფემ, ჯორჯ მეორემ, თავის საყვარელ ბარდის წვნიანში იპოვა მწერი, რის გამოც ბრძანება გასცა, თავები გადაეპარსათ 51 ადამიანისთვის. მან შემოიღო ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც ჰიგიენის დაცვაზე იქნებოდა პასუხისმგებელი და, ასევე, ის, რაც დღემდე არ შეცვლილა. **რა შემოიღო ჯორჯ მეორემ?**

7. ეს მოწყობილობა, რომლის სიმაღლე 90 მეტრი იყო, პირველად ჩიკაგოში ააგეს ამერიკის აღმოჩენის 400 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. ის საზეიმოდ გაიხსნა 1893 წლის 21 ივნისს. ამერიკელები მას „რუსულ საქანელებს" ეძახიან. **რას ვეძახით ჩვენ?**

8. ეტრუსკელი მეფეების ერთმმართველობის შემდეგ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში) რომის მართვა „საერთო სახალხო საქმე" გახდა. **რა ეწოდებოდა მაშინდელ რომის სახელმწიფოს?**

9. არც ისე ცნობილი ეგვიპტის დედოფალ ეუბტენის პირამიდა სხვებისგან გამოირჩეოდა იმით, რომ მოოქროვილი წვერო ჰქონდა. **რისთვის იყო ეს განკუთვნილი?**

10. ესპანელმა მეზღვაურებმა ევროპაში ჩამოიტანეს ქვა, რომელსაც ექიმები წარმატებით იყენებდნენ თირკმელების სამკურნალოდ. დღეს ამ ქვის სახელი თირკმლის ერთ-ერთ დაავადებას ჰქვია. **რა?**

*პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* კონსერვატორმა ინგლისელებმა მხოლოდ 1947 წელს გააუქმეს თანამდებობა, რომელზე დანიშნული პირიც ნაპოლეონ ბონაპარტის ინგლისში ჩასვლა-წამოსვლას ზარბაზნის სროლით ამცნობდა ხალხს.

* არამეული ენა, რომელზეც წმიდა მარიამი ლაპარაკობდა, დღევანდელი აისორების სალაპარაკო ენაა.

* დოსტოევსკის მუზეუმში არის დარბაზი, სადაც 74 სხვადასხვა ფორმის ნაჯახია გამოფენილი. ისინი გამოიყენებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თეატრში დადგმულ სპექტაკლში – „დანაშაული და სასჯელი."

* რომაელებს ჰქონდათ ფრაზა – AB OVO, რაც დაახლოებით ითარგმნება, როგორც „დაწყება", „უპირველესად", სიტყვასიტყვით კი ნიშნავს „კვერცხიდან". საქმე ისაა, რომ ისინი სადილს ყოველთვის კვერცხით იწყებდნენ.

* ბუმერანგის გასროლის სიშორის რეკორდი – 130 მეტრი – ავსტრალიელ ფრენკ დონელინს ეკუთვნის.

* სიტყვა „ბარი" „ბარიერისგან" წარმოიშვა.

* ცნობილი ბელორუსული ხალხური ცეკვა „ბულბა," კარტოფილის აღებისას სრულდებოდა და, რადგან ამ დროს ხელები ძალიან ჭუჭყიანი ჰქონდათ, მოცეკვავეები მათ ზურგს უკან მალავდნენ. ეს ტრადიცია ამ მოდერნიზებულ ცეკვასაც შემორჩა.

* ავსტრალიელმა გამყიდველმა ფრედ ჯოუნსმა სამკილომეტრიანი მოგზაურობა ჩაატარა გაბერილი ბუშტებით და თავის საქონელს ასე გაუკეთა რეკლამა.

* ჯამახირია არაბულად იგივეა, რაც რეჩ პოსპოლიტა, ანუ – რესპუბლიკა.

* იაპონიის ქალაქ მაცუსიროში სტუმრებს მინისძვრის შემთხვევაში კომპენსაციის სახით ლუდს ურიგებენ; სამადგილიან ნომრებში მყოფებს – ნახევარ ფასს ახდევინებენ, ხოლო ოთხ და მეტადგილიანში მობინადრეები გადასახადიდან სრულიად თავისუფლდებიან.

* კასპიის ზღვიდან ჩრდილო-დასავლეთით მქროლავ ქარს ადგილობრივი მცხოვრებლები ივანს ეძახიან, სამხრეთ აღმოსავლეთისას კი – მუჰამედს.

* ბირმაში არის მიაუს ტომი, რომელშიც შედის თეთრი, წითელი, ლურჯი, შავი და ჭრელი მიაუები – ისინი ამგვარად ტანსაცმლის ფერის მიხედვით იყოფიან.

* იქ, სადაც ნიანგებია, ბეჰემოტები არ ბინადრობენ, რადგან, ნიანგები პატარა ბეჰემოტებს ჭამენ, ხოლო ბეჰემოტები ნაპირზე გამოდიან და ნიანგების კვერცხებს თელავენ.

* ძველი რომაელები კბილის ჯაგრისისა და პასტის ნაცვლად ზეთისხილის რტოს იყენებდნენ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლc3-a3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ნადირობა სპორტია. განსაკუთრებით, როცა პატრონები მთავრდება, დათვი კი ისევ




ცოცხალია...

***

– ბანკის თანამშრომლებო, თქვენი ვერაფერი გამიგია: მე თუ თქვენ ამდენ ფულს განდობთ, თქვენ ბურთულიანი კალამი მაინც მანდეთ რამდენიმე წუთს, რომ დაგიბამთ...

***

– მასწავლებელმა საკლასო სამუშაოში ორიანი დამიწერა...

– რატომ?

– დაწერეთ, როგორ გაატარეთ ზაფხულიო. მეც დავწერე: „გმადლობთ, კარგად“...

***

– მიტო, ცოლ რატომ არ ირთავ? უკვე დროა, ჯო!

– რავი, ვინც სახლში მივიყვანე, დედაჩემი გადაირია, არც ერთი არ მეეწონა...

– შენ კიდევ, ისეთი მიიყვანე, დედაშენ რო გავდეს...

– მივიყვანე... მაგრამ მამაჩემმა გინებით ამიკლო...

***

წვიმამ დაუშვა და წყვილმა სადარბაზოს შეაფარა თავი.

– რა უნდა ვაკეთოთ ამ წვიმაში, მოდი, ჩემთან ავიდეთ, „არიოლი და რეშკა“ ვითამაშოთ. თუ „არიოლი“ მოვა, რასაც მეტყვი, შეგისრულებ, თუ „რეშკა“ – შენ შემისრულებ... მიდი, დაიწყე, მე მანამდე ბინაში ავალ და საწოლს მოვამზადებ...

***

როგორ მოვამზადოთ ერბოკვერცხი ებრაულად:

– ვისესხოთ მეზობლისგან სამი კვერცხი...

საინტერესოა ერბოკვერცხის ბოშური ვარიანტი:

– ჯერ მოიპარეთ ტაფა...

***

ბულგაკოვი, ჩეხოვი... პროფესიით ექიმები იყვნენ. ხედავთ, რა ხდება, როდესაც ექიმებს გარკვევით შეუძლიათ წერა?!

***

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სულთანი... მისი ჰარამხანა, რომელშიც 300 ხარჭა ჰყავდა, სასახლიდან სამი კილომეტრით იყო დაშორებული. ყოველთვის, როდესაც სულთანს შვებისთვის ქალის ალერსი მოესურვებოდა, სპეციალურად გამოყოფილი მსახური – სუმბულაიხანი გარბოდა და სულთანს რჩეულ ხარჭას აახლებდა. სულთანმა 90 წელი იცოცხლა, მსახურმა – მხოლოდ 30. ესე იგი, მამაკაცს ქალი კი არ კლავს, არამედ მათი დევნა.

***

– დედი, ტელეფონი ვიპოვე...

– მაჩვენე...

– გადავაგდე, რად მინდოდა, ერთი კნოპკაც არ ჰქონდა და, თანაც, უკან ჩაკბეჩილი ვაშლი ეხატა...

***

ტელეფონის ზარს პასუხობს ბიჭი, რომლის მამა ადვოკატია, დედა – სასამართლოს სამედიცინო ექსპერტი.




– სახლში მარტო მე ვარ. მამა ციხეშია, დედა – მორგში.

***

თქვენ სამეცნიერო ხარისხი გაქვთ მონიჭებული?!

გააკეთეთ საშინაო დავალება თქვენს მესამეკლასელ შვილიშვილთან ერთად და იგრძენით თავი იდიოტად!

***

ქალების ფორუმზე: „გინდათ ქმარი გამოსცადოთ? ჩაუყარეთ ტრუსებში მდოგვის ფხვნილი... თუ დაიჩივლა, ქავილი და წვა მაწუხებსო, ესე იგი თქვენი ერთგულია. თუ არ გაამხილა – გილოცავთ ბოზგლატბოზ!“

კომენტარი: ოი, შე კახპა! ეს რა გამაკეთებინე?! ხმაც არ ამოუღია, ისე მომინგრია ცხვირ-პირი და შემდეგ ვენეროლოგთან წავიდა...

***

რა საჭიროა ავიღოთ იპოთეკით მილიონი, 25 წელი ვიხადოთ, ვიტანჯოთ, მაშინ, როცა შეიძლება მოვიპაროთ და მხოლოდ 7 წელი ვიჯდეთ ციხეში მშვიდად.

***

შოტლანდიური სიბრძნე:

1. ბედნიერებას ვერ იყიდი, თუმცა, ტირილი „მერსედესში“ უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ველოსიპედზე.

2. მიუტევე მტერს, მაგრამ კარგად დაიმახსოვრე...

3. ზოგი ადამიანი მხოლოდ იმიტომ არის ცოცხალი, რომ მკვლელობა კანონით აკრძალულია.

4. დაეხმარე მას, ვისაც ეს სჭირდება, გავა დრო და აუცილებლად გაახსენდები... როცა კვლავ დახმარება დასჭირდება.

5. ალკოჰოლი პრობლემებს ვერ წყვეტს, თუმცა არც რძე წყვეტს პრობლემებს...

***

ისე მიყვარს ძილი, რომ, როდესაც მძინავს, მესიზმრება, რომ მძინავს.

***

შუახნის მამაკაცმა მომხიბვლელი ქალბატონი გაიცნო, ასე, 50 წელს მიტანებული...




დასხდნენ, თითო დალიეს, ისაუბრეს. და ქალი ეუბნება კაცს:

– ოდესმე დედა-შვილთან ერთად ყოფილხარ?

– არაო, – თავი გაუქნია კაცმა.

– ისე, ხომ არ ცდიდი?

– მაგას კითხვა უნდა?! – აღფრთოვანდა მამაკაცი.

– მაშინ, გაგიმართლა... წავედით ჩემთან....

შეაღო ქალმა კარი და დაიძახა: დედა, ჯერ ხომ არ გძინავს?!

***

სამოთხე. ადამი ეკითხება ღმერთს:

– ღმერთო, თქვენ შეგვქმენით მეც და ევაც. რატომ გაუკეთეთ მას ასეთი ლამაზი თვალები?

– რომ შენ ის გყვარებოდა.

– ასეთი ლამაზი სხეული?

– იმიტომ, რომ შენ ის გყვარებოდა.

– ღმერთო... რატომ არ მიეცი მცირე ტვინი მაინც?!

– იმიტომ, რომ მას შენ ჰყვარებოდი...

***

სიტყვები, რომლებიც ძნელი წარმოსათქმელია:

1. სინქროფაზატრონი;
2. ფენოლფტალეინი;
3. დიქლორდიფენილტრიქლორეთანი;
4. ტეტრაჰიდროკანნაბინოლი;
5. ბოდიში...

***

– ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ არის ქვეყანაზე!

– შეყვარებული ხარ?

– არა, გამოვიძინე...

# როგორ გახდა ფილარმონიის პაროდისტი ტრუსიკიანი „მკვდარი“

1999 წელია. ფილარმონიის პაროდისტი, მსახიობი დათო მამაცაშვილი ჯგუფთან ერთად სამტრედიაშია გასტროლებზე.

კონცერტის შემდეგ „მაგარი“ ბანკეტი გამართეს ამათ პატივსაცემად და ბევრი რომ არ გავაგრძელო, დათო ჭუკივით გამოთვრა. სასტუმრო რემონტში იყო და ყველა მსახიობს ადგილობრივი მოსახლეები მასპინძლობდნენ ვაკე მიდამოზე ჩამწკრივებულ, ერთნაირჭიშკრიან სახლებში.

მოკლედ, დათომ სუფრა ბოლომდე ნახევრად მოხდით მიატოვა და თავისი საცხოვრებლისკენ გაემართა შუაღამეზე, ბანცალ-ბანცალით, „ჭიშკარ-ჭიშკარ, შარა-შარა“... აერია მისამართი, ან როგორ არ აერეოდა, როცა ერთმანეთის მიბაძვით, ყველას ერთნაირი ჭიშკრები ჩაემწკრივებინათ „მტრის ჯინაზე“.

ერთი მიამგვანასავით (აქაოო...) და შეაბიჯა მხნედ. ეზოში შუქი ენთო და კიბით მხნედვე ავიდა გრძელ „ბალკონზე“. იქვე ტახტი დალანდა. „აკურატნად“ გაიხადა ჯინსი და „საროჩკა“ და გაწვა ტახტზე დანდობილად.

ის იყო, გვარიანი ხვრინვა ამოუშვა (ხვრინვაა – კაცს რომ ლუპავს ხშირად) და წივილ-კივილიც ჩაესმა:

– უი, უი, უი! შე საზიზღარო ტიტლიკანა, უნამუსო მამაკაცო! ადექი, ადექი, შე გათახსირებულო!

დაფეთებული დათო წამოხტა და კიბისკენ „დაგაზა“ ტრუსიკისამარამ.

... თურმე სულ სხვა სახლში მოხვედრილა. იმ ოჯახის უფროსი მძღოლი ყოფილა („დალნი რეისის“) და თურმე იმ ღამეს ბრუნდება.

ცოლი ყვიროდა...

იყვირებდა, აბა, რა ჭირს იზამდა? აშკარა შარი ეჭირა ხელში.

დათო ძუნძულით გავარდა და „მეოთხე“ სიჩქარით გარბის დაფეთებული, – ვაიმე, დედა, მიშველეთ!..

უკან რომ ხმაური შენელდა, ცოტა შეისვენა და უკუნ სიბნელეში ერთი განათებული ნათურა დალანდა. დალანდა და დარჩენილი ძალით იქით გაბანცალდა, დაჩაგრული „ადინოჩკა ვოლკივით“.

... სასაფლაოზე აღმოჩნდა. განათებულ „ქოხში“ შევიდა და იქვე, სახელდახელოდ მოწყობილ ნარზე წამოწოლილ კაცს დაადგა თავზე.

„ოთახი“ პატარა იყო. მობინადრე ხმამაღლა და მონოტონურად ხვრინავდა. პატარა ჯორკო იდგა პატარა მაგიდასთან და ამ ჯორკოზე ჩამოისვენა აქოშინებულმა. შუბლზე არ ეწერა, მაგრამ დათო მიხვდა, რომ მძინარე სასაფლაოს დარაჯი იყო.




ცოტა რომ დამშვიდდა, მაგიდაზე გამჭვირვალე სითხიანი ბოთლი შეამჩნია, ჭიქაც იქვე იდო, ყველაფერი „მონვა“. დაისხა და გადაჰკრა. გააჟრჟოლა და ტვინიც ამუშავდა. „დარაჯია ეს... ოჯახა ეს... ამას დალევა ნაყვარება... მეც...“ დაისხა კიდევ და დალია. მთლიანად დაუბრუნდა განსჯის უნარი... ცოტაც მოწრუპა ბოთლიდან და მაგარ კაიფშია... მძინარე კაცს დაადგა და უყურებს... უყურებს და ფიქრობს.

ამ დროს კაცმა ერთიც ამოიხროტინა და თვალები დააჭყიტა. დათო ადგას თავზე.

– ე.. ეე... რამხელა თავი გაქვს... იყო პირველი რეაქცია გაღვიძებულისგან, – ვინ ხარ, კაცო, შენ?!

– დათო ვარ მე, მამაცაშვილი, – ალალად გაუღიმა ამან – დათომ.

– მოიცა შენ! მოიცა... დათო... დათო... – ჩაფიქრდა კაცი, – რომ არ მახსოვხარ? ლოთიანად, გამახსენე ერთი, როდის მოკვდი შენ?

– არა, ბატონო, მე მკვდარი კი არა, დათო ვარ, მამაცაშვილი.

– ააა... გასაგებია, მკვდრებთან მოგივიდა „ხიპიში“, გაცოცხლდი და ახლა მე გინდა გამხვიო შარში? მე შემომეკედლე არა?! მაინც გიპოვიან!

– აუ! არა, არა, ბიძია დარაჯო, მე გზა ამებნა...

– გზააბნეული მკვდარი ხარ, კაცო? – შევიდა მდგომარეობაში დარაჯი.

– არა, ცოცხალი ვარ მე... ცოცხალი...

– აუ, ჩემი... ახლა მკვდრებმაც თუ დამიწყეს, ბიძია, ვოტკაში „წილები“, კარქათ ყოფილა ჩემი საქმე! ჩაძვერი ახლავე მიწაში, შე ტიტლიკანა მკვდარო, შენ! შე უპატრონო, გამოსვენების დროს შარვალ-კოსტუმის ჩაცმა დაავიწყდათ შენ ჭირისუფლებს?! ჩაძვერი შენ საფლავში, გელაპარაკები მე შენ!

დაფეთებულმა დათომ ბოთლს ხელი გაჰკრა და რომ უნდა წამოხტეს, დარაჯი საბოლოოდ გამოფხიზლდა და გაასწრო. გარბის დარაჯი და უკან ტრუსიკ-მაიკიანი დათო მისდევს.

... გათენებულა... მხარზე თოხგადადებული ყარამანა ბლიაძე ყანისკენ მიდის ღიღინ-ღიღინით, „ვსტრეჩნი“ დარაჯი დაინახა და შეცბა.

– საით გარბიხარ, თეოდოს, საით? – გაჩუმდი, კაცო, მკვდარი მომდევს, ტრუსიკით! – „დაუბარა“ დარაჯმა და გაშპა... დათო რომ დაინახა, ყარამანმა, – უი, უიო! – დააგდო თოხი და თეოდოსს „დაუბაგონა“... მგონი, ახლაც გარბიან.

დათო მამაცაშვილი კი ისევ ფილარმონიის პაროდისტია.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და ნერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიონთან 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11





ტურისტული სააგენტო

საქართველო

გთავაზობთ
კომფორტულ
ავტობუსებსა და
მიკროავტობუსებს
გაქირავებით.
ტელ.: * 18 18
2 18 18 18



## ტურისტული კომპანია

## „საქართველო"

აწყობს **აქციას** საქართველოს
მოსახლეობისთვის: ყოველ
შაბათ-კვირას გთავაზობთ
ერთდღიან ტურებს ქართლისა
და კახეთის მიმართულებით,
სადაც შეგიძლიათ, იმოგზაუროთ
და მოინახულოთ საქართველოს
ისტორიული და კულტურული
ძეგლები. ავტობუსები ყოველ
შაბათ-კვირას დილის 8 საათზე
გადის სპორტის სასახლიდან.
ტურის ღირებულება შეადგენს
**20** ლარს. ტური ჩატარდება
ნებისმიერი ამინდის პირობებში.

**დამატებითი ინფორმაციისთვის,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:
ტელ.: *18 18, ან, გვეწვიოთ „ფეისბუქის"
ოფიციალურ გვერდზე:
ტურისტული კომპანია „საქართველო"**

## საფინანსო კომპანია საქართველო,

ვიღებთ მოსახლეობისგან სესხს წლიურ
30 %-ად. ასევე, კომპანია გთავაზობთ
ავტოსალომბარდო მომსახურებას
ყველაზე დაბალ პროცენტად, ავტომობილების
ადგილზე დაზღვევით და გადაფორმებით.
ავტოდაზღვევას უზრუნველყოფს
სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი"

**www.saqartvelocompany.ge
მის. აღმაშენებლის გამზირი №151
ტელ: * 18 18**



# ერის მოამაგეთა დაჯილდოების ცერემონიალი „სოფლის მაშენებელი" 2013 წლის საუკეთესო მაშენებლები არიან





Scientia et Veritas

რეპროარტი
ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა
REPROART
GEORGIAN-AMERICAN CENTER FOR REPRODUCTIVE MEDICINE

კრისტალი
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
CRYSTAL
MICROFINANCE ORGANIZATION

JSC Georgian Beer Co.
ლუდსახარში
ზედაზენი

მეტრო მარტ

KUZANOV DENT

თურმანიძის მალამო
UNGUENTUM TURMANIDZE
მხოლოდ ამ შეფუთვით

LOVATO
LET THE BLUE DRIVE YOU
www.lovatogeorgia.ge
LTD. LOVATO GEORGIA

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

Total Charm
Clinic of Plastic Aesthetic Surgery and Cosmetology

ASKANELI BROTHERS

HAIRLINE INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE

SAVEMOMENT
PROFESSIONALPHOTO&VIDEO

Techno BOOM


სატელევიზიო მხარდაჭერა


TV.GE

RUSTAVI 2